

ამ წიგნში დაბეჭდილია მხატვარ
თინათინ შილაგაშვილის
სურათების აგროდამსკუება



თინათინა შილაგაშვილი



თინათინა შილაგაშვილი

1962/4

ცისკარი



2823

შინაარსი

11

მთარ შალამგვარძემ — „მარადი ხსოვნის“ სახელწოდ. ლექსი.	3
თენგიზ გოგოლაძემ — ცისფერი მთები, მოთხრობა.	4
ნოდარ გურუშიძემ — ლექსები	62
გრიგოლ აბაშიძემ — დიდი ღამე, რომანი.	54
ბიძინა შინააძემ — მე ვარ ოცი წლის, ლექსი.	94
მტია იოსელიანი — ჯარისკაცი დაბრუნდა, მოთხრობა, ვაგჟელეუბა.	95

წოდება

1962

გამომცემლობა

„საბჭოთა შვიკალი“

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

გურამ გვირდვინიანი — არჩილ ხუთაქურის მოთხრობები 107

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შვიკალი

საქართველოს ალკკ ც. კ-სა და შვიკალთა კავშირის ორგანო

პროკოპი რატიანი — ილია ჭავჭავაძე და გლეხთა განთავისუფლების პრობლემა 119

სარგის ცაიშვილი — დავით გურამიშვილი 185

* * *

აკაკი ბაქრაძე — სიცრუე სიცრუისა 149

ვლადიმერ მახავარიანი — ხაით მიყვავართ „ზღვის ბილიქს“ 155

სახე
 სახე
 სახე



რედაქტორი კონსტანტინე ლორთქიფანიძე

სარედაქციო კოლეგია:

გურამ გვერდნიძე, კარლო კალაძე, მუხრან მაჭავარიანი, როინ მეტრეველი, ჯანსუღ ჩარკვიანი (პ/მგ. მდივანი), გიორგი ციციშვილი, ვახტანგ ჭელიძე, სერგი კილაია, თამაზ კილაძე, ლაშა ჯანაშია.

დურნალი გადორმა მხატვარმა გულდა კალაძემ



ილია ტვაეცკოვსკი — 1874 წელი

მთაბეზარაძე

„მარადი ხსოვნის“ სხვადასხვა ლენინგრადადში

აქ მწვანე ბაღები ბიბინებს, ბიბინებს.
ვერ ნახავ წარწერებს,
ვერ ნახავ გვირგვინებს
და მხოლოდ ბაღები ბიბინებს, ბიბინებს.

ლენინგრადადები ბაღებზემ წვანან,
ბაღებზე უთვალავი ციმციმებს ცვარი;
აქ არცერთ საფლავს წარწერა არ აქვს,
მათი გვარები:
ორმოცდაერთი...
ორმოცდაორი...
ორმოცდასამი...

აქ ერთი საბანი მათ ახურიათ,
მწვანე საბანი,
რბილი საბანი,
აქ არა ჭკნება იასამანი,
აქ სამუდამო გაზაფხულია
და ზღაპრულია მართლაც ზღაპარი.

აქ მწვანე ბაღები ბიბინებს, ბიბინებს.
ლენინგრადადები ბაღებზემ წვანან.
ორმოცდაერთი...
ორმოცდაორი...
ორმოცდასამი...
სხვა წარწერა საფლავებს არ აქვს.

და არსად უვარი,
და არსად კანდელი,
და არსად წარწერა არ ვაგაოცებს;
მარადი ხსოვნა ლენინგრადადებს
„მარადი ხსოვნის“ სასაფლაოზე!





მომხრობა

გულმარჯოს ცის ნაწი,
დედამიწის მოსაელსა,
ხარის ქედს, გუთნის ღვედს,
მუშაკაცის შარჯვენას!

ხალხური

თავი პირველი

ბ ხორება დიდი შარაგზაა, ხან აღმა მიდის, ხან დაღმა ეშვება, ხან ისე შე-
მოუხვევს — თავბრუს დაგახვევს, ხან ვაკეზე გაიჭიმება და ერთფეროვნება-
ბოლო არ უჩანს. ხან კი... საოცარია, უცნაურია, ტყბილი და მწარე.

სამნი ვადექით ამ შარაგზას: მამაჩემი, დედაჩემი და მე. მშობლები ერთს
შემხაროდნენ, მზრდიდნენ, მალალებდნენ... მაგრამ, აგერ, შარაგზის უეცარი
მოსახვევი და... მამა ჩამოგვეშორდა.

იგი უეცრად გაჭრა და შინ დაგერჩა მისი ძველი ფეხსაცმელი, ტყვიის ქაშა-



თინათინ ბობოლაძე * ციხისძარი მთავარი *

რი, ერთი ხელი ტანსაცმელი და სურათი, რომელიც დღემდე კედელზე გვიკა-
დია და ასე იქნება, სანამ სული მიდგას და მამის ხსოვნა გამყვება. ჩემს
გომ კი ამ სურათს ჩამოხსნიან და მერე, ვინ იცის, მოიგონებენ კი ომის
ცეცხლში დაღუპულს?!

მამა ომში მოკლეს.

მარაგზაზე ორნიღა მივიდიოდით.

ქალაქის გარეუბანში ნაჭირავებ ოთახში ვცხოვრობდით. დიდ ქირას არ
ვიხდიდით, მაგრამ ის მცირედი გადასახადიც მჭიმე უღლად გვაწვდა კისერზე.
ლუკმაპური გვიჭირდა. ზამთარში გახუნებული, დამოკლებული და იდაყვებში
ამოკეხილი პალტო მეცვა, არც საზაფხულოს აკლდა საკერებელი.

დედა ერთხანს რომელიღაც არტელში მეშობდა, მაგრამ, როცა ძლიერ
გაგვიჭირდა, ჰოსპიტალში გადავიდა დამლაგებლად და ცოტა მოვითქვეით სული.
იქ ზვერი ღვთისნიერი ადამიანი იყო და ხელს გვიმართავდნენ.

ასე გაგვიჩინა თავი. იმედით ვსულდგმულობდით.

ცუდად არ ვსწავლობდი. მასწავლებლები მაქებდნენ და ამით ვიყავი
ბედნიერი. მათემატიკის მასწავლებელს ეგონა, უთუოდ მათემატიკოსი გავხდე-
ბოდი, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ფილოლოგობას მიწი-
ნასწარმეტყველებდა, ხოლო ისტორიის მასწავლებელს ამოჩემებული ჰქონდა,
რომ ისტორიკოსი უნდა გამოვსულიყავი... მაგრამ შემდგომში გავამტყუნე მათა
იმედი და მშენებელი გავხდი.

ხანდახან სრულიად უბრალო შემთხვევა ადამიანის ცხოვრებას მთლიანად
შემოაბრუნებს.

ორმოცდახუთში, როცა ომი დამთავრდა, ჰოსპიტალი გააუქმეს. ამ შენობა-
ში ძველად სკოლა იყო და ისევ ბავშვებს დაუბრუნეს. ჰოსპიტლის ყოფილმა
უფროსმა იცოდა ჩვენი საბინაო გასაჭირი და დედაჩემს ეზოში აგებული
საკუქნაო და სამრეცხაო დაუტოვა. ამ ამბავმა ძლიერ გავგახარა. ჩვენი მცირე
ბარგი-ბარხანა ფურგონზე დავყარეთ და გზას გავუღექით. მალე მივიდით.
ფურგონი გაჩერდა აგურის ერთსართულიან გრძელ შენობასთან, რომელსაც
რამდენიმე კარ-ფანჯარა ჰქონდა. ერთი კარი სამრეცხაოში შედიოდა, მეორე
საკუქნაოში, მესამე კი ჩამოღებული იყო და ნაკვეთ ამოხორცილი პატარა ოთახი
მოჩანდა.

ამ „სასახლეს“ ბევრი რამ აკლდა. სამრეცხაოს ცემენტის უსწორმასწორო
იატაკი ჰქონდა, საკუქნაოში აგური იყო დაგებული. ოთახების გამყოფი კედე-
ლი ალაგ-ალაგ ჩამონგრეულიყო. კარი ცალი ყურით ეკიდა. ფანჯრის მინები
თითქოს საგანგებოდ დაულეწიათ...

ამ ციხე-სიმაგრეს დავეპატრონეთ.

მეფურგონე გავისტუმრეთ და შინ მარტოდ დარჩენილი მე და დედაჩემი
მივაჩერდით ცივ კედლებს. დედა საოცრად მოქანცული და მოტეხილი იყო.
შეკრულ ლოგინზე ჩამოჯდა და დემილით შემავლო თვალი. მის ნაღვლიან
თვალებში მაინც ჩანდა სიხარულის სხივი და ეს, ალბათ, აქ გადმოსვლით იყო
გამოწვეული. ხანდახან ადამიანის გულს რა მცირედი რამ ახარებს! ეპ, დედა-
ჩემო, შენ დიდი სიხარული ჯერ არ ვინახავს და ახლა ამ ციხე და მღუმარე
კედლებმა გაგიღვიძეს სიხარული.

მე მაშინ თექვსმეტი წლისა ვიყავი, დედა იმედის თვალით შემომყურებდა
და მეც ვცდილობდი მისი იმედი არ გამემტყუნებინა. მაგრამ ახლა, როცა ამ
ძოუველესა და მოუწესრიგებელ ბინაში მოეხედით, აღარ ვიცოდი რა გამე-
უთებინა.



— ახლა პერზე მივდივარ, გამოვივლი და წამო ჩვესა, იქ ძველი აგური მიყრია, აი, ეს გობიე მონაგრეო, ნეტა რაში დაგჭირდება. აგურ ის ჩამონგრეული ადგილი ამოვაშენოთ. შუა კედელს კობტად უნდა ამოყვანა.

— მე რისი ამომყვანი ვარ, პაპა გაბრიელ?! — მზრები ავიჩეჩე გუბით.

— აგურს მაინც ვერ მომაწვდი, შე დალოცვილო?! — იწყინა რატომღაც და წარბი შეკრა.

— თქვენ რა, ხელოსანი ხართ?

— მებნლე ვარ, მაგრამ არც კალატობაში ჩამოუყვარდები ვისმეს. ოდესღაც ვმუშაობდი. აგურ, ის სახლი მარტო მე და ჩემმა დედაკაცმა ავაშენეთ. მაშ ასე... — ჩემს სიტყვას არ დაელოდა, პურის მოსატანად წავიდა.

პირდაღებული შევეყურებდი მის ნაკვალევს და გული სიხარულით მიძგერდა, რომ ასეთი კეთილი მეზობელი მეყოლებოდა, რომ სულ მალე, აი, თუნდაც დღესვე, სახლის შეკეთებას დაეწეებდი და პირველად ჩემს სიცოცხლეში მეც მივლუბდი მონაწილეობას შენებაში.

მალე კვლავ გამოჩნდა პაპა გაბრიელი. პურის ბარათით აღებული ულუფა გახეთში სათუთოდ გაეხვია. მცირე შენახვევი იყო და ამით მიეხვდი, რომ შინ ცოტანი იყვნენ. მართლაც, როცა პაპა გაბრიელმა თავის ბაღში შემოიყვანა, ერთი მოხუცი ქალი დაგვხვდა. ჩემი მეუღლეაო, გამაცნო მებნლემ და აქვე დაუშობა:

— ერთი შვილი ფრონტზე დამეკარგა, ქალიშვილი კი გორში მყავს გათხოვილი... აქ ორნი დავსახლდით და ისევ ორნი დაერჩით. ჩვენი ნამატი წავიდა, გაფრინდა... ახლა ამ ხეხილს შევეყურებ და შევხარბი, ესენიც ჩემი შვილები არიან.

მოხუცი შეტრიალდა და თავისი დაბალი სახლის გვერდით მიმითითა:

— აგურ, შეილო, ის აგური, მე არაფერში გამომადგება. ერთ-ორ ფიცარსაც მოგცემ. რა ჯანდაბად მინდა. შენ მოიხმარე, მადლია.

— გმადლობთ, პაპა გაბრიელ, — ვუთხარი და არ ავჩქარდი. მის ბაღში ყოფნას რა სჯობდა! გული სიამით ამიფორიაქდა და არ იქიდან გამოსვლა აღარ მინდოდა. მალა ავიხედავდი და ცის ლაყვარლზე შეფენილიყო ტოტები. ყლორტები, უამრავი ხასხასა და მოფართქალე ფოთლები... ლაყვარდიც ჩანდა ფოთლებში და გული ხტოდა ამ სილამაზის გამო.

ეს რა კარგი ბალი გქონიათ-მეთქი, რამდენჯერმე ვუთხარი მოხუცს. პირველად მაშინ მიეხვდი, რაოდენ კარგი ყოფილა საკუთარ ნამაგარს რომ უყურებ და ხარობ.

როცა აგური აგურს დაეადე და ათიოდეს ერთად მოვერეო, დედაბერი აწუწუნდა:

— გულ-მუცელი ჩაგწყდება, შეილო.

ათ აგურს კი არა, მთას მოვერეოდი. ჯანიც მქონდა და ხალისიც. აგურები გადავიტანე. მოხუცი წამომყვა და სახლის წინ გობი მოვანგრეოთ, შინ შუა კედლიც ჩამოვანგრეოთ და იმ დღის სამუშაო ამით გავათავებთ. როცა დედაჩემი მოვიდა, შეიცხადა: შეილო, ეს რა გიქნიაო.

— არ უნდა შევაკეთოთ?

— შერედა, ხელოსანი... ფული?

— აი ხელოსნები, დედა... შემომხედე, აი, ხელოსნები, — ვთქვი და წინ გავიშვარე ჩემი დიდრონი ხელები, რომლებსაც მოწაფეთა შაბათობაზე თხროლი გაუყვანია, სადგურში თივა ვადმოუტვირთავს, ორიოდე ყვინჩილა ბიჭი მიუბერტყია... ახლა დიდი საქმისთვის ემზადებოდნენ და ისე მომეჩვენა, თით-



ქოს ეს ხელები ეფიცებოდნენ დედაჩემს, არშენებდნენ, იჭადნებოდნენ... მზარ იყვნენ მთა მიძირ-მიძირათ... აბა რა ბედენა იყო ერთი კედლის აყვანა!

დედამ ჩემს ხელებს დახედა და მაინც უიმედოდ მიიხრა:

- — შენ რა ამშენებელი ხარ, ბიჭო.
- აი, ნახავ, დედაჩემო... პაპა გაბრიელიც მესმარება.
- ეგ ვილაა?
- ჩვენი მეზობელი... აგერ, იმ ბაღში ცხოვრობს...

დედაჩემს ნაღვლიანად ჩაეცინა. არ დამიჯერა. თავი დაანებე, როცა წელს მოვიმაგრებთ, ოსტატი მოვიყვანოთ და ყველაფერს გაგვიკეთებსო. ჩამთრამდე შეიძლება ცოტა ფული მოვაგროვოთ და იატაკი მაინც დავაგოთო.

დედის უნდობლობამ უფრო გამაგულისა და ერთი სული მქონდა როდის გათენდებოდა, რომ დედაჩემს დენახა რა შეეძლო მის ერთას... მართლაც, დრო იყო შევშველებოდი, ჩემი ნაოფლარით ლუკმაპური შემეტანა შინ, დედაჩემს მხარში ამოვუგომოდი, გამემგარებინა ნაადრევად მოტეხილი ქალი. გული მიკვდებოდა, რომ გაპირებამ, ყოველდღიური ლუკმაპურის ძებნამ ასე დამიჩაგრა დედა.

ნუ გეშინია, ჩემო კარგო დედა. შენ წედან გამოვიწოდე ჩემი ხელება, გითხარ, აი, ხელოსნები-მეთქი, მაგრამ არ დამიჯერე, არ დაუჯერე ხელებს, რომლებსაც ბევრი, ძალიან ბევრი საქმის გაკეთება შეუძლიათ. განა არა? შეიძლება დაიჯერე და გულში გაგებხარდა კიდევ, მაგრამ რატომღაც არ მაგრძნობინე. ალბათ, იმიტომ, რომ დაღლილი იყავი, ალბათ იმიტომ, რომ... რა ვიცი. რატომ არ დამიჯერე. ნახავ, ხეალ როგორ კედელს დაგახვედრებთ. შუაქარიც დატანებული ექნება. ზეგ ალბათ გაჯსაც ვიშოვნით და შეველესავთ მე და პაპა გაბრიელი. ნეტავ მალე გათენდებოდეს!

და ყველაფერი ერთი პატარა კედლის ამოშენებამ განსაზღვრა.

დილით, დედა გავისტუმრე თუ არა, პაპა გაბრიელი გადმოვიდა. თან ერთი ხეიბარი ახლდა. მივხვდი, ვინც იქნებოდა — ჩვენი კარის მეზობელი, ნაფრონტალი ნიკო. ფეხი საღდაც უცხო მიწაში დაეტოვებინა და ცალითა დაბრუნებულიყო. ჯერ კიდევ არმიული ვცევა. მოჭრილ ფეხზე ხის პროტეზი გაეკეთებინა. ერთ ხელში ყვარაჯენი ეჭირა, მეორეში იარაღით სავსე ხის ყუთი. შავგვრემანი იყო, თბილი და ალერსიანი თვალები ჰქონდა.

— ნიკო იატაკის დაგებაში დაგეხმარება. — თქვა პაპა გაბრიელმა, როცა მე და ნიკომ ხელი ჩამოვართვით ერთმანეთს.

— პო, მაშ, — დააქნია თავი ხეიბარმა, — ახლა სამუშაოზე მივდივარ, ჯველო. დაებრუნდები და დრო დავთქვავთ, როდის დავიწყოთ. ცოტა ფიცარი უნდა ვიშოვოთ. ემანდ, პოსპიტლის სარდაფში ბლომდა ჰყრია...

ყველაფერი გამოჩნდა. პაპა გაბრიელმა შენობის დაბრუნებთან წამიყვანა. ისიც ჩვენი კარის მეზობელი გამოდგა. ოსი იყო, ხელში გოგონა ეჭირა.

— არავის არ აწერია და წაიღე... მე პოლიცა მაქ და კარ-ფანძარაცა...

ასე დამთავრდა ჩვენი გარიგება.

უნდა გენახათ, რა ხალისით ავზილე თიხა, რა გატაცებით დავიწყე პირველი ჩემი მშენებლობა.

— ერიპაა! — წარბი შეჭკრა პაპა გაბრიელმა, როცა ჩემი ნამუშევარი შეათვალიერა, — ასე რომ ეშენებინათ, მთელი ქალაქი ორ დღეში დაინგრეოდა. აქ მიყურე...

გადმოშინგრია ორ-სამ წყებაზე დალაგებული აგურები და ახლა თვითონ მიჰყო ხელი კედლის შენებას. დიდი რამ ყოფილა გამოცდილება და ხელის გაწაფვა, დაოსტატება. ქაფჩას იან ხმარობდა, შემშურდა კიდევ, მარჯვენა ამე-



საქართველოს
საბჭოთაო
საზღვრო
სადაცხველი

★ ციხეში მთელი ★ ციხეში მთელი ★

ქავა და სული მიმდიოდა, სანამ გადმომცემდა. იმ წუთში მინდოდა ოსტატ
გაემხდარიყო.

პაპა გაბრიელმა აგურებზე ქაფხით გადაასწორა თიხა, ზემოდან თანაბრად
და კობტად დაალაგა აგურები. კიდევ თიხა და აგური, თიხა და აგური... მალე
გამოჩნდა დაბალი, მაგრამ ლამაზი კედელი.

— პაპა გაბრიელ, ეხლა მე ვცდი... შენი ჭირიმე, რა ლამაზად გამოდის.

პაპა გაბრიელმა მაშინვე უშვა ხელი სამუშაოს, კედელი შეათვალიერა და
სანამ ქაფხას გადმომცემდა, მითხრა: — უფრო უკეთ შეიძლებოდაო.

რატომღაც არ მოეწონა თავისი ნამუშევარი. ამაზე უკეთესი რაღა იქნებო-
მეთქი, ვთქვი ჩემთვის და ოთახის სხვა კედლებს შევხედე. პაპა გაბრიელის აშე-
ნებული უფრო მომეწონა.

— აი, ამ კედლებს ხომ სჯობია.

— ეგ ხო, რა! რისთვის აშენებდნენ? სამრეცხაოსთვის. იმისთვის არა
უშავდა რა. ჩვენ რისთვის ვაშენებთ? საცხოვრებელი ბინისთვის. ცუდს რად
უნდა შევადაროთ! კარგს შევადაროთ და უკეთესი გამოვიყვანოთ, ასე არა
სჯობია? ისეთი კედლები მინახავს, ისეთი ლამაზები... აგურს თუ ლამაზად და-
აწყობ, იცი რა სანახავია! ყველაფერს თავისი წესი და ლაზათი უნდა და ამასაც
თავისი წეს-ლაზათი აქვს. აბა, პა, მიდი, სცადე. მერე კიდევ. მოგეშველება.
ახლა კი ჩემს დედაკაცს მივხედავ. შენც თავს ნუ მოიკლავ, დილას აქეთ არა-
ფერი გიქამია.

დილა არ არის-მეთქი?! გავიჯირვე და კედლის საათს შევხედე. ჩვენს ძვე-
ლებურ კედლის საათს დიდი ხანია თავისი ყველი გასვლოდა, მაგრამ მაინც არ
ვეშვებოდით, ჰაპანწყვეტით მიითრევდა დროს ეს საცოდავი საათი. ენა კი
ჰქონდა, მაგრამ ლაპარაკი რომ შეძლებოდა, ალბათ კარგა მაგრად დაგვლან-
ძღვდა. საცოდავი, მაინც კარგად გვემსახურებოდა. რომ შევხედე, ოთხ საათს
გვჩვენებდა.

აქამდე ყოველთვის ვუჯერებდი ჩვენს საათს, ახლა არ დაუჯერე. პაპა
გაბრიელმა კი დაუჯერა და შინ წავიდა. კარგი იქნებოდა ერთად გემრიელად
გვესადილა, მაგრამ რაზე მიმებატყენა? დაზოგილი ღუკმა ჩვენც არა გვეყოფ-
ნიდა. დედაკაცს მივხედავო. დედაკაცს კი არა, მოშვიდა და შინ თავისი ულუფა
რომ ეგულებოდა, იმ ულუფის საქმელად გასწია.

პაპა გაბრიელი წავიდა და მარტო დავრჩი. რაღაც ორიოდღე ღუკმა გვებადა
შინ, იმის განადგურებას დიდი დრო არ უნდოდა. უკანასკნელი ღუკმა ჩავიდე
პირში და ქაფხა მოვიმარჯვე. თიხა ნამდვილი ოსტატებით გავშალე აგურებზე,
მაგრამ დაწყობილი აგური დამესვარა. გაგონილი მქონდა, კარგი ოსტატი აგურს
არ შესვრისო. თიხა გადავესწორე და შევუდებე აგურების წყობას. რა ლამაზად
დაუწყვია პაპა გაბრიელს, რა თანაბრად, რა კობტად! მე კი... თიხის ხაზს რომ
შევხედე, აგურებს შორის ზოგან ვიწრო იყო, ზოგან განიერი.

ერთ წუთს სასოწარკვეთით გავიფიქრე, ეს რა ჩემი საქმეა-მეთქი. მაგრამ
უცებ თითქოს ჩემი ორეული წარმომიდგა კედელს იქით: მაშ რა არის შენი
საქმეო. და მე პასუხი ვერ მოვძებნე.

მეათე კლასში გადავედი და აქამდე სწავლაზე თუ ვფიქრობდი. აგურ,
ერთი წელიც და მერე რა გზას დავადგები? მერე? რატომ მერე? ხომ შეიძლება
ახლავე ამოვუდგე დედის გვერდში და შრომის ტვირთი შევეუშუბუქო?

გუშინ როგორ მეწყინა დედის უნდობლობა! ახლა მოვა დედაჩემი და
მეტყვის... ნეტავ რას მეტყვის? ყოჩაღ, შეილო, რომ უახროდ იგანგლები, აკი
ვგრძნობდი, რომ არაფრის გამკეთებელი არ იყავიო. მეტყვის? არა, შეიძლება
არ მითხრას, მაგრამ დედის თვალებში ადვილად ვკითხულობ ყველაფერს.

თუკი პაპა გაბრიელსაც არ სჯეროდა ჩემი, მას რატომღა ამერღა? რად მიზეზ-
ჩენა ქაფია და რად დამტოვა მარტო?

ჩამოვეყქი და ნაღვლიანად დავეწვე ცქერა კედელს, სადაც მუცხვრულნი
უნდა დამეტანებინა.

გადმოვყარე ჩემი დაწყობილი აგური, ვედროში ჩავრეცხე და ხელახლა
ავაგე, არ მომეწონა. პაპა გაბრიელის ანაგები — თითქოს ადამიანის მხრებია,
ზედ რალაც მძიმეს და უშნოს აწყობენო — იმშუშნებოდა, იშორებდა და
ძირს ყრიდა აგურს.

მაშინ ერთიბერო კედლის აგებას ერთი კვირა მოეწინა. ერთი კვირა მე-
ბუზღუნებოდა დედა. პაპა გაბრიელი ხელს ისე აღარ მაშველებდა. თავზე და-
ზადებოდა, დაწყობილ აგურებს ხელახლა დამაწყობინებდა და კედელი იზრ-
დებოდა... იზრდებოდა ჩემში ის სიყვარული, რამაც მშენებლად მაქცია.

ისე უყარება და ცივი არასოდეს მჩვენებია პაპა გაბრიელი, როგორც მა-
შინ. იჯდა და მიყურებდა. როცა კედელი დავამთავრე, გადამხვია, გადამკოცნა
და მითხრა:

— კარგი მშენებელი დადგები, შვილო... შენ უკვე მოსძებნე შენი გზა და
გაპყევი, უკეთესი რაღა იქნება. გულიც კარგი გქონია.

და მოხუცის თვალში ცრემლი დავინახე. ამ ცრემლმა ბევრი რამ მითხრა.
იმ ერთიციქნა სარკეში დავინახე ჩემი ქება.

თავი მეთხუთმე

როგორც კი საკუთარი ნაჯაფარი დავინახე, უფრო მეტად შეთავილა.
დედის მონაგარს რომ ვილუქებოდი.

შინ ჩინებული კედელი ავაგე, მერე ხეივანი ნიკო იატაკის დაგებაში რომ
მომეშველა, მეც ხელი გავმართე და მის პატარა ქოხმახს, სადაც ხუთი თუ ექვ-
სი სული ვიწროდ ცხოვრობდა — ერთი ოთახი მივაშენეთ.

შრომა შემძლებია. შემძლებია საკუთარი მონაგარი დედის მონაგარს მი-
ვემატო და ადამიანურად ვიცხოვროთ.

და აი, ყველასათვის მოვლოდნელად დურგალ ნიკოს მშენებლობაზე გავ-
ყევი, შეგირდად მოვეწვეე და სექტემბრის ერთ დღეს ჩემი სკოლის დირექ-
ტორს განცხადება მივართვი, სალამოს ათწლეულში გადავდივარ-მეთქი. დირექ-
ტორს ეგონა ვეზუმრებოდი და ღიმილით ამხედ-დამხედა, განცხადება უკან
გამომიწოდა და მითხრა:

— ჩემო ზიძიკო, ვის განცხადებას მაძლევ, ვისი „აქეუნი“ ხარ?

— ჩემია ეს განცხადება! — განცხადება ისევე მაიგადაზე დავუღვივი.

— მერე, რამ გადაგრია?! — უცებ შეიცვალა კილო და ახლა მაკერად გა-
მისწორა თვალი. — პო, პო, რამ გადაგრია? ხუთებზე საშუალოს ამთავრებ და
ახლა გარბიხარ? მიზეზი, მიზეზი რატომ არ სწერია? აბა, მითხარი, მითხარი,
რამ გაიძულა ჩვენი სკოლიდან წასვლა?

— დილას მშენებლობაზე უნდა ვიყო. დრო არა მაქვს. სალამოს კი ვის-
წავლი.

— არაფერი შესძინ, რა მშენებლობა, რის მშენებლობა? — მხრები აიჩეჩა
და სათვალე შეისწორა.

ჩვენი დირექტორი ისტორიას მასწავლიდა და სწორედ ის იყო, ისტორი-
კოსობას რომ მიწინასწარმეტყველებდა, ჩემი დიდი იმედი ჰქონდა, და უცებ
ასეთ რამეს ვეუბნებოდი.

— პატივცემულო მასწავლებლო... თქვენი იმედი ვერ გავამართლე



მშენებლობაზე შეგირდად მოვეწყე... დედა მეცოდება. პატარა აღარ ვყოფი...
 პატარასავეთ ხელებში შევეყურებ.

ეროვნული
 კინოფილმი

— მერე, რაო დედამეწინა?
 — ეწინა, შეგირდად რომ მოვეწყე... თურმე აქამდე გულში სულსწორ
 რამ ელო, სულ სხვას მოელოდა ჩემგან... რა ვქნა, ყველას გიდალატეთ, —
 უხერხულად გავიღიმე და თავი დაეხარე.

— წადი და კიდევ იფიქრე, — მითხრა მასწავლებელმა.
 — მე უკვე ვიფიქრე! — დირექტორმა ყურადღება აღარ მომაქცია, ტე-
 ლეფონს გადასწვდა და სადღაც დაჩეკა... მერე საქმეთა მმართველი გამოიძი-
 ხა, სამასწავლებლოში გავიდა, მერე სულ მთლად დამეკარგა და ხახამშრალი
 დამტოვა.

მე კი გავჯიშტდი და გზიდან აღარ გადავეხუე. დილას ადრე მშენებლო-
 ბაზე გავიქეცი, სადაც უკვე მუშაობდა ოსტატი...
 ერთი კვირის მერე საბუთები საღამოს სკოლაში გადავიტანე და იქაც ბე-
 ჯითად განვაგრძე სწავლა. რაც ვიყავ, ისევე ის დავრბი. ახალმა მასწავლებლებ-
 მა მალე გაიციენეს და ისევე დამიშვიგობრდნენ, როგორც ჩემი ძველი პედაგო-
 გები.

ოსტატმა ბეჯითობა შემატყო. ჭკვიანი და წინდახედული კაცი იყო. ჩვენი
 ფასი ახლა მილიონიაო, მეტყობდა ხოლმე, ქვეყანა უნდა ვაშენოთო. და ეს სი-
 ამაყეს მშატებდა.

პატარა მშენებლობაზე გავიწაფე და ჩემი მარჯვენა აწ უფრო დიდსა და
 ნაღალ სართულებს ელოდა.

აი, ჩვენი უბანი: რამდენიმე მოზრდილი შენობა, უამრავი ერთმანეთზე
 მიყრილი ქობახი... ჩვენი სახლი, გაბრიელის კარ-მიდამო, დურგალ ხეივანის
 „ციხე-დარბაზი“, და ქალაქიც გათავდა. იქით დიდი ველი გაშლილიყო. ერთ
 დღეს ამ ველზე უამრავი აგური და ქვიშა დახვავდა, გაიჭრა გზები, უკვე გზ-
 მოჩნდა კედლები და ხარაიოები... მაშინ გაოცებას ვიყავი, რა აგური და რა
 მასალა შეაგებდა იმხელა ველს. მაგრამ ახლა ჩემთვის საოცარი არაფერია.
 ვინ მოსთელის რამდენი კედელი ამიყვანია საძირკვიდან ხუთ და ექვსსაო-
 თულიანი სახლის გვირგვინამდე.

დავამთავრე შეათე კლასი და პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დაესწრებელ-
 ზე შევედი. ცხოვრებაც იცვლებოდა. დედაჩემის გულს ყინული გააღზო ბედ-
 ნიერების სხივმა. ვიგრძენი რამდენად საჭირო ყოფილა მისთვის ჩემი შრომა და
 ჩემი კაციაყოლა.

წყინარად და მშვიდად მიდიოდა მოხუცი მებაღის ცხოვრება, თუკი უწინ
 კიდევ ჰქონდა ომში უგზოუკვლოდ დაკარგული შვილის დაბრუნების იმედი,
 ახლა ბედს შეურთავდა, ხეხილს უფლიდა და ესღა უხარებდა დარჩენილ დღეებს.
 რაჩივ უყვარდა თავისი პატარა ბაღი. პატარა კი არა, მისთვის მთელი სამყარო
 იყო. და მეც არა ერთი და ორი ტბილი საღამო გამიტარებია ამ მყუდრო სა-
 ვანეში. მეზობლები ჩამოვსდებოდით. დრო ნელა მიდიოდა. ესაუბრობდით და
 თავის გრძელ ვზაზე ჩემად მიმავალი მთვარეც ყურს გვიგებებდა. ხანდახან
 ამ მყუდროებაში ხეხილს შარიშვრით შეერხებოდა ფოთოლი და მოხუცი ახლა
 იმით უგდებდა ყურს. ალბათ, ბუნების რაიმე საინტერესოსა და უცნაურ ზღა-
 პარს ამზობდნენ. ჩვენ არ გვესმოდა, მხოლოდ გვატბობდა, მოხუცს ალბათ
 ესმოდა...

ერთხელ ნიკომ ამბავი მოიტანა: გავიგე, ამ ჩვენს კარ-მიდამოზე ქუჩამ
 უნდა გაიაროსო.

* თანავიზუალიზაცია * ცისფერი მთები *



— რაო?! — წარბი აზიდა გაბრიელმა. მან სწრაფად მოაწვია თვალი ზე ბილს და მერე ისევ ნიკოს შეხედა. — სად, სად უნდა გაიაროს? — გზის ადგილი ვერ იპოვნა მოხუცმა და თავი ისევ შემართა, თითქოს მტერთან სანძირში ველად ემზადებო.

— ჰო, რა ვიცი... ასე თქვეს, — უხერხულად შეიშმუნა ნიკო. ალბათ ინანა, მოხუცთან რად დამცდა ეს ამბავიო. ქუჩა თუ ჩვენს უბანში გაიქრებოდა, სიკეთე არ დაადგებოდა გაბრიელის ბაღს.

— ტყუილი იქნება, — არ დაიჯერა მოხუცმა და თავისივე სიტყვებით გამხნედა, — გზების მეტი რა არის.. ე, ნიკო, შენგან არ ველოდი. ტყბილი სიტყვა გქონდა და მწარე საიდან გამოურეგ? ჩვენს კარ-მიდამოზეო... აქ გზას რა უნდა?! ამ ორ ნაბიჯზე რა გზა უნდა გასკრან?! ის რა ქუჩა იქნება!

— ჰო, მართალია, მაშ. მეც არა მჯერა, — ნიკომ გადმომხედა და ჩუმაღ ჩამიკრა თვალი. ხოლო ცოტა ხნის შემდეგ, როცა ბაღიდან გამოვედით, ხმადაბლა მითხრა: — რას ამბობ, სიხარულით აღარ ვიცი, რა ვქნა... ბინას მომიკეცენ, კაცო.

კაცოო, შეამა სწორე ვითხრათ.

მე უკვე კაცი ვარ. ვითომ რატომ არაო! უღვაში არა მაქვს და ტანადობა მაკლია თუ?! ახლა დურგალი კარის მეზობელს, მშენებელი მშენებელს მესაუბრება და თავის სიხარულს მიზიარებს.

— შურიანი არა ვარ, ღმერთმა იცის, — განაგრძობდა ნიკო, — არც სიხარბეს დამწამებს ვინმე, მაგრამ, როცა უკანასკნელ კარ-ფანჯარას მოვითავებ ხოლმე, იატაკს დაეაგებ და მერე შიგ აღარ შემესვლება, რადგან სხეები შედიან ახალ ბინაში, — გული მწყდება. სხეები ხარობენ, შენ კი ნერწყვი უნდა უღაპო. ვითომ რადაო, ჩემ ხუთ შვილს კი არ მოუხდება სამოთახიანი ბინა! ჰოდა, მალე იქნება, მალე. გაბრიელს კი ეწყინა. აბა, მე რა ვქნა, თუ ეწყინა. მე ჩემი გამჭირვებია, კაცო. მერე ხეხილი და ადამიანი ერთია? შენ თქვი ერთი, ხეხილი თუ ადამიანი? ზვალ საბჭოში უნდა მივიდდე და ყველაფერი დაწვრილებით გავიგო კიდევ.

სიტყვის თქმა არ მაკალა. თავისი სათქმელი თქვა, გული იჯერა, გამომემშვიდობა და წავიდა. აგურის მაღალ მესერს გამოვყვევი, სკოლის ეზოში გამოველ. აქ ერთ წუთს შევდუქი და უკვე გამოცდილი მშენებლის თვალთ მიმოვიხედე. სად უნდა გავიღეს ქუჩა? შეიძლება ასე გასკრან. ბიჭოს, ჩვენი სახლიც მოჰყვება, ეს მესერიც, პაპა გაბრიელის ბაღის ნაწილი, სახლი, ხეიბარ ნიკოა მთელი ეზო. ქუჩა გაიქრება და ქალაქიდან წამოსული გზა მოკლეზე შევა ახალ უბანში. ჩვენც ბინას მოგვემენ და გადავალთ. შინ მისვლისთანავე დედას ეუთხარა:

— აქ ქუჩა გაჰყავთ თურმე. ძია ნიკომ თქვა.

— გაიყვანონ, რა ვქნა... მეერი რამ გაჰყავთ და გამოჰყავთ, — უგულოდ მიპასუხა დედა.

გული რომ გამეკეთებინა, მაშინვე დავიძინე:

— ჰოდა ბინას მოგვემენ.

დედაჩემს ჩაეცინა და მე გული მომიკვდა. რატომ არ სჯერა? ასე რამ გაუტეხა გული? ალბათ შეეჩვია იმას, რაც გვაქვს. ცხოვრებაში მწარე მეტო უნახავს და შეეგუა დაბალ სახლსა და სიფიწროვეს.

ერთ რამეში დედას ვგავარ: ხარბი არა ვარ და სიმდიდრეზე არასოდეს არ მიოცნებია, ხეიბარ ნიკოსი არ იყოს, რატომღაც იმიტიე კმაყოფილი ვიყავი, ეზოში რომ მჭონდა გამართული პირსაბანი სააბაზანოს მაგივრად...

საუბარი აღარ გავვიგრძელებია ქუჩის გაყვანის. ბინის მიღებისა და კარგი

ცხოვრების თაობაზე. დედა დაღლილი იყო და ადრე დაწვა. ჩავაქრე შუქი და ზეც მიწეწიქი.

ერთ ოთახში ძველი საათი გვეკიდა, ხოლო იქ, სადაც მე მეძინა, მალევე დაწვდა. რა დავიდგი. ღრმა ძილი ვიციოდი და საათის წკრიალს გამოვყავდი სიზმრებში დას. ძალზე ადრე ვდგებოდი და სამუშაოდ მივეშურებოდი — ვაკეში საცხოვრებელ სახლს ვაგებდით.

თავი მისამდე

იმ დილას ყველაფერი ჩვეულებრივად დაიწყო: მალეძარამ ზრიალი გააბა, სხარტად წამოვხტი და ცოტა ხნის შემდეგ ჯერ კიდევ უცაქრიელ ქუჩაში განქარბული მივაბოჯებდი. შრომას დილით აქვს მადლი, სანამ მზე ამოვა და ჩამოცხება.

ყველაფერი ჩვეულებრივად დაიწყო. ხელთათმანები ჩავეცივი, ქაფჩა მოვიმარჯვე და აგურის საწყობად მოვემზადე. ბრიგადირმა ჩამოგვიარა. შუახანს გადაცილებული კაცი იყო სანდრო ხოტივაძე. კალატოზობა, დურგლობა და ხარტობა მისხალ-მისხალ იყო. თვალი ჰქონდა: არც შევეუღა სჭირდებოდა, არც თარაზო. თუ მოეწონებოდი და თვალში მოუვიდოდი, სულში ჩავისევამდა. ალბათ ნაწილობრივ მისი „ბრალიც“ იყო, შენება ასე ძალიან რომ შემეყვარდა. გვახფხულის დილა ყვავილივით იფურჩქნებოდა ქალაქში.

ძია სანდრომ დავალება მოგვცა და მუშაობას შევეუდგეთ. მე რომ აგურების წყობას მიეყოფიდი ხელს, ჩემი დამხმარე მუშა, შიო ლაბაური აწუწუნდებოდა, სული მომამტყვევინეო. აი, შე დონდლო-მეთქი, შევეუძახებდი და ერთი მაგრა შევახურებდი.

ჯანი მერჩოდა, ხელეზში ცეცხლი მენთო. მერედა მუშაობაში ჯანიც მემატებოდა და ცეცხლიც. ბიჭი იყო და ვინმეს ეჯობნა ჩემთვის, თავს არ მოვიცლავდი!

ჰოდა, იმ დღეს, როცა ვაკეში საცხოვრებელი სახლის მეოთხე სართული აგვყავდა, როცა ყველაფერი ჩვეულებრივად დაიწყო და მიდიოდა, შუადღიას, სანამ შევისვენებდით, უჩვეულო რამ მოხდა.

ვილაქამ მხარზე შემაბო ხელი. მივხედე, ძია სანდრო იყო.

— გვხატავენ, — მითხრა და დაბლა გადამახედა.

უცნობი გოგონა მოსულეყო. მშენებლობის შორიახლო ჩამჯდარიყო, წინ საერთოდ ყუთი დაედგა და რაღაცას გულმოდგინედ ხატავდა.

მთლად კარგად ვერ დავინახე მისი სახე. მოკლედ შეკრეპილი თმა კი ჰქონდა, კაბა ჭოლგასავით დაფინა მიწაზე და ფეხები არ უჩანდა. წამოიხედავდა, ცოტა ირიბად, ქვეშ-ქვეშ გამოგვხედავდა, მერე თავს ისევ დახრიდა. თავიანი საქმით ისე იყო გართული, ხარაჩოზე წამით ჩამწკრივებულ მუშებს, ალბათ, ვერც კი გვაშინებდა.

ერთი წუთით მართლაც ყველამ მიანება საქმეს თავი.

აგური, ცემენტი, ქვიშა, კირი, მტვერი, ბურბუშელა და უცებ... პებელასავით ციდან ჩამოფრენილი გოგონა.

ქალაქის ქუჩებში, ვინ იცის, რამდენი ქალიშვილი მხვდებოდა. ჩვენი ინსტიტუტის აუდიტორიები და დერეფნები სავსეა ხოლმე თვალხატულა ქალიშვილებით. ზოგს გულგრილად შეხედავ, ზოგს სულ ვერ შეამჩნევ, ზოგს თვალუბითაც გაუთამაშებ.

მაგრამ სულ სხვა იყო მშენებლობის ბურსა და ორომტრიალში გამოჩენილი გოგონა.

ორიოდე საათი იჯდა და წავიდა.
წავიდა და რატომღაც ძალიან დამწყდა გული.

იმ საღამოს ძია ნიკომ, რომელსაც ქალაქის აღმასკომში შევევლო, სიხარულთ მითხრა:

— როგორც იქნა... ამ დღეებში უკვე გასჭრიან ქუჩას. წლის ბოლოს უნდა ყოფილიყო, მაგრამ აღმასკომის თავმჯდომარეს უთქვამს, წლის ბოლო არ ვიცით... სამოთახიანი არ ამცდება. შეატუმრები ხოლმე?

— გესტუმრები, აბა რა!

— აბა, შენ იცი. ბარგის გადატანაში ხომ მიშველი?

— გიშველი.

— ღვინოს ხომ სვამ?

— ხო, დაგვიღვეია! — ვიწუინე რატომღაც, თუმცა აქამდე თავი არასოდეს არ დამიღვია ღვინისმსმელად.

— ახლა ზღოზღად უნდა დავლიოთ. ისეთი ქეიფი უნდა გავმართო! მამ დაგვიღვეია! — მხარზე ხელი დამარტყა და თავის ქოხს მიაშურა.

ის მხატვარი გოგონა გამახსენდა და სულ სხვანაირად წარმომიდგა მშენებლობის ეზო. ხეალ მოვა? იქნებ დამთავრა კიდევაც სურათი და აღარ გამოჩნდეს? ვინ იყო? მერედა ჩემთვის სულ ერთი არაა?! მოვა და მოვიდეს, არ მოვა და ნუ მოვა! მერე მე რა... მაგრამ იქ, იმ არეულ-დარეულ ეზოში, რაღაც სულ სხვანაირი იყო... იმედივით, რამ გამახსენა იმედი? იმედივით? რის იმედივით?

ფიქრი წამოიშალა, ღრუბელივით წამოვიდა. ლოგინში რამდენჯერმე ვიცვალე გვერდი და დედა შემეხმინა:

— რა იყო, ლეო, გაწუხებებს რამე?

— რა უნდა მაწუხებდეს!

„მალეძარავე, მალე დარევე! მალეძარავე, მალე დარევე!“ ამეკიატა გუნებაში. მალეძარა კი კარგა ხანა დღედა და როცა ტუბილად ჩამეძინა, მაშინ გადაირია, მაგრამ არ გაუუჯავრდი, გმადლობ-მეთქი, ეუთხარი.

მივედი თუ არა, იმ მხარეს გავიხედე, სადაც გუშინ მხატვარი იჯდა. მაგრამ აღარავინ დამხვედრია. გულდაწყვეტილი ავყევი ხარახოს მტვრიან, ჩამოლაფულ კიბეს.

მშენებლობაზე ჯერ არავინ იყო. შინიდან თავის დროზე გამოვედი. გტყობა გზაში მერბინა. პო, ვერ ვიგრძენი და მიჩრბენია. ფიქრით ავერ იმ აგურების გროვასთან ეტრიალებდი. არა, ნამდვილად გულდასაწყვეტი იქნება, რომ ის ლამაზი ზმანება დღესაც არ განმეორდეს.

უხივარ და ჩემს თავს ველაპარაკები:

— რამ გადაგრია?

— ?!

— პო, აბა, მითხარ, რამ გადაგრია!

გულს ბაგაბუგი გაუღიოდა. ახლა გულს ვკითხე:

— რამ გადაგრია?

ბაგ-ბუგ, ბაგ-ბუგ. ურტყამს და ურტყამს, ლამის გამომინგრეოს მკერდის ფიკარი. მერე რა უნდა? ვთქვათ გამოანგრია და გამოვარდა. მერე? მერე რა უნდა? გულო, ჩადეკ საგულესა, გულო, ჩადეკ საგულესა...

მაგრამ გული არ დგებოდა საგულეს. გული იყო გულდასაწყვეტილი, რომ



თინათინი გომოლახი *
კოსტაპოლი მთიანი *

იგი არ ჩანდა. ან რა გამოაჩენდა იმ უთენიას. იმ დროს, ალბათ, ტუბილად ეძინა. ხარაჩოა კიბეზე ვილაც ამოდიოდა. ფეხის ხმაზე ვიცანი ჩვენი სამუშაოთა მწარმოებელი ნოდარ ჯიშკარიანი. ახალგაზრდა კაცი იყო. ჩვენთან აგერ ერთი კვირაა ვაღმოიყვანეს და ხეირიანად არც კი გვიცნობდა. ალბათ ძია სანდრომ და ენდობოდა, რომ მთელი დღე სამუშაოზე არ ჩანდა, სადღაც დაიარებოდა და რაღაც სხვა საქმეებით იყო დატვირთული. იმ საქმეს ვერ ვხედავდით. ხოლო როცა გამოჩნდებოდა, რაღაც ძალიან საქმიანი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

გამიყვირდა, ასე აღრე რამ მოიყვანა-მეთქი. გუშინ მთელი დღე არ ჩანდა. — შენ აქა ხარ, ბიჭო? — შინაურით გამოიღმა და ხელი ჩამომართვა, — ასე უთენია რა მოგარბენინებდა? — შითხრა და სადღაც იქით გაიხედა, მერე მე გამისწორა თვალი.

— ყოჩალი მუშა ჩანხარ და მალე დაგაწინაურებენ. ისე, ნამეტანი ნუ მოიკლავ თავს. ხვალ შეიძლება აგური ვერ მოგვეწოდონ.

— რატომ?
— რა ვიცი. გაცდენას არ დაგიწერთ, მაგაზე ნუ იღარდებთ, მე ისეთი კაცი არა ვარ. თქვენ არ გიცენიათ ნოდარ ჯიშკარიანი. მაშინ მოვეცდე, ჩემს მუშებს რაზე ვაწყენინო.

— აქამდე აგური ყოველთვის მოდიოდა და...
— ახლა, ბიჭო, შენ თუ მაგას გამოეკიდე... ხედავ, რა გაშლილი მშენებლობა დაიწყო. აგურის ქარხანა ველარ აუღის. ხვალ არ მოიტანენ, ზევ განდებდა. შენ იცე ჩქარობ, გეთაყვა... სინქართ სოფელი არავის აუშენებიაო. ხომ გავგონია...

— ეგ კი გამიგონია, მაგრამ სინქარე მაინც საჭიროა. ქალაქში ბევრი უბინაო და გაჭირვებული გვეყავს.

— მართალი ხარ...
თავისი აზრი არ დაამთავრა. მხარზე ხელი დამკრა და ხარაჩოზე გაიარა. შენობის კიდეზე მივიდა და იქიდან მთავარსარდალივით გაიხედა. არ მეჭაწნიკა მისი არხეინობა და სიტყვები. აგური არ იქნებო. აქამდე იყო? იყო. ჩვენი სამუშაოთა მწარმოებელი, რომელიც ამას წინათ დააწინაურეს, თავს იკლავდა და მასალას არ გვაკლვებდა... იქნებ მართლა უჭირს ქარხანას? შეიძლება. მაშ ხვალ უნდა გავცდეთ. ესე იგი ვილაცას რამდენიმე დღით უნდა დავეგვიანოთ ბინა. მომაგონდა ხეიბარი ნიკო. საწყალი, ყოველ დღე აღმასკომში კითხულობს, როდის გასჭრიან ქუჩას, რომ ბინა ელისოსს, ყოველდღე იმედებით დაზურგული მოდის. სადღაც აგური აკლდება მშენებლობას და ხეიბარს ბინას უგვიანებენ. ადამიანის სიცოცხლე კი დღეებითა და საათებითაა დათვლილი. ყოველი ბედნიერად გატარებული წუთი მისთვის ერთ რამედ ღირს.

ჯიშკარიანზე გული მომივიდა. ნუთუ ისიც ამას არ ფიქრობს, არ განიცდის. ნუთუ ერთი წუთითაც არ უფიქრია ეს? რა ქნაღვლება! ალბათ კარგი სახლ-კარი აქვს გაწყობილი. სხვისი ჭირი — ღობეს ჩხირით. მამლარს მშვირვი მამლარი ეგონაო... და წამოვიდა ანდაზები. ანდაზებმა გული მომფხანა.

ცოტა ხნის შემდეგ, როცა ძია სანდრო მოვიდა, როცა შიო ლაბაურმა კედელთან მოხიდა აგური, უგუნებოდ შევუღვქვი მუშაობას.

ძია სანდრომ შემატყო, რომ ჩვეული ხალისით არ ვაწყობდი აგურს და მკითხა, რა დავემართაო.

- რა გეჩქარება, ხვალ მაინც დავდგებით, — ვუთხარი ქარაგმულად
- არაფერი მესმის.
- ინიინერს არაფერი უთქვამს თქვენთვის?
- რაო, რა უნდა ეთქვა.

— ხეალ ავური არ იქნებოა.

ლბაური წელში გაიშართა და თქვა, ვაცხონე მაგის დედ-მამა... მე თქვა
ლი გადაუბრიალე, ხებრე-მეთქი, ვუთხარი და ლამის საყელოში მივწვდი.

— ესეც ახალი ამბავი! — თქვა ძია სანდრომ, — ჩვენი დათიკოსტეფანე...
იქცეოდა.

დათიკო ის ძველი ინიენერი იყო, სამშართველოში რომ გადაიყვანეს.

— იმუშავეთ, ბიჭებო. გავიგებ რაშია საქმე, — დაგვიბარა ძია სანდრომ
და ეზოში ჩავიდა, სადაც ამწესთან ჯიშკარიანი ვილაცას ელაპარაკებოდა. ცო-
ტა ხნის შემდეგ ჯიშკარიანი და ჩვენი ბრიგადირი პირისპირ იდგნენ. მათი ხმა
არ გვეყურებოდა, მაგრამ შევატყვეთ, როგორ შეპყვენენ ლაპარაკში. ძია სან-
დრო დინჯად არიგებდა რალაცას, ნოდარი ხელების გაშლით ელაპარაკებოდა
და ეტყობოდა, ცხარობდა, მერე მოტრიალდა და ამწევის მუშას დაუ-
ცაცხანა.

ძია სანდრო ისევ ხარაჩოზე გამოჩნდა.

— რაო, ძია სანდრო, ნოდარმა?

— იმუშავეთ! — დაგვიღრინა და მეტი არაფერი უთქვამს.

ლბაურის მოწოდებული ავური კედელზე დასხმულ ხსნარში ჩავდე და
ქაფჩა ისე დავეყაყუნე, თითქოს ჯიშკარიანს ეუყაყუნებდი. მოტვლეპილ დიდ
შუბლში: ეი, გამოფხიზლდი, ცხოვრებას ნუ გვირევე-მეთქი.

უცებ, ჩემდა უნებურად, თავი წამოვწიე და ეზოს გავხედე. გავხედე და
გულმა ჩიტვით დამიწყო ფართხალი: მხატვარი გოგონა ნელი ნაბიჯით მი-
დიოდა იმ ადგილისაკენ, სადაც გუშინ იჯდა.

— შენა დღეს ძალიან მოუყელი, — მომესმა შიოს ბურტყუნი, — გუშინ
მომკალი, მალე, მალეო... დღეს კიდევ იმითი მკლავ, რომ ავურს არ მართმევ.

არ მიმიხედნია. გოგონას თვალს არ ვაშორებდი.

— ნეტა რა დაინახა ისეთი? — ჰკითხა ვილაცას შიომ და გვერდში ამო-
მიდგა. მანაც ეზოში გადაიხედა.

— ჰოო! — თქვა შიომ და ამოიოხრა.

— მოიტა ავური! — უცებ შევფუცხენდი და ქაფჩა დავატრიალე.

— მოიტა ავური! დაეცხოთ, შიო! — შევეუძახე და წამოვიდა ავური, აიწია-
კედელი... როგორ მინდოდა იმ წუთში ზღაპრული ძალა მომცემოდა და კედე-
ლი ისე სწრაფად ამეყვანა, რომ ჩვენი მხატვარი თვალეზად გადაქცეულიყო
და ამ საკვირველებით ხელი შეშლოდა. არა, მე მისი საქმის გაცულება როდი
მინდოდა. მისი გაკვირება მეწადა, ჩემი კაიბიკობის ჩვენება მინდოდა, რომ
მასაც ჩემსავით ასჩიტებოდა გული.

რალაც საქმე მოვიმიზეზე და ეზოში ჩავედი. გოგონას შორიახლო ჩავუარე
და მის საეტიულო ყუთში ჩავიჭყიტე. ჩვენს მშენებლობას ხატავდა. სახეზე
შეებედე. ქვეშ-ქვეშ გამოშხედა. ლოყები ამეწვა. რამდენ ვინმე შემოუხედავა
და ასე არასოდეს დამმართნია.

შუბლზე სწორად შეკრეპილი თმა ჰქონდა, დიდრონი მრგვალი თვალეზი
და ბაწია, წამობურცული ტუჩები. უხერხულად ვიგრძენ თავი. ავურების გრო-
ვას ვეცი, რამდენიმე ავური ჩაებლუჯე და შენობისაკენ გავიქეცი. სიიდანდაც
სიცილი გაისმა. ვერ გავარჩიე, კაცი იცინოდა თუ ქალი. მე კი რამდენიმე ავუ-
რით მეოთხე სართულისაკენ გავრბოდი. აჭოშინებული ავიჭერი და იქ გალი-
მებული ძია სანდრო შემეგება.

— ბიჭო, ეს ამხელა ზორთუმიანი მანქანა რისთვის გვიდგამ?

ავურები დაეყარე, დაფიშორცხვე.

სანდრომ უღვაშზე გადაისვა ხელი, მერე მხარზე დამარტყა და გულის-
სიღრმიდან თქვა:



თანამშრომლობა * ცისფერი მთაი *

— ეჭვი, ჯველი ვიყო!

რას იზამდა, ჯველი რომ ყოფილიყო? ჩემი ხნისა რომ ყოფილიყო, ორი აგურით მეოთხე სართულზე რომ აერბინა... იმიტომ, რომ... რომ...

იმ ღამეს ვერა და ვერ დავიძინე. მთელი ღამე ფხიზლობდა დედაჩემი დროდადრო შემეხშიანებოდა. ერთ ხანს თავს მოვიმძინარებდი, მერე ისევ ვწარბოდი. დედაჩემი რომ არ შეფიქრიახნებულიყო, ალბათ წამოვუდგებოდა და გარეთ ვიხეტიალებდი. მერე რა წყნარი, მთვარიანი ღამე იყო. მთვარე ფანჯარაში იხედებოდა და თითქოს ხელს მიქნევდა, გარეთ მიხმობდა: გამოდი, მეც მარტო ვარ და ახლა ქვეყანაზე ჩვენ ორა გველიძავს, გამანდე შენი ფიქრიო.

რა გამეწყო, რა მეთქვა? აფორიაქებული გონებით აზრს როგორ დავაღებდი!

ეს იყო ჩემი პირველი უცნაური სიხარული, რომლის ბადალიც არასოდეს განმეცადა. მინდოდა მემღერა და იმას გაეგონა, მინდოდა ცაში აფურენილიყავ და იმას დავენახე, მინდოდა ჩემს სახელს დაექუბა და იმას გაეგო, მინდოდა გავფრენილიყავ და ისიც ჩემთან ერთად გამოფრენილიყო.

სიხარულმა წამომავლო განთიადისა. მშენებლობაზე უნდა გენახათ რა დღეში ვიყავ; სულ დამავიწყდა, გუშინ ჯიშკარიანმა რომ მითხრა, ხელ აგურს აღარ მოიტანენო. გუშინდელი მონარჩენი აგური კი მე და შიოს მალე შემოგველია.

ნოღარმა გადმომიღრინა:

— რა ცეცხლი წაიკიდე! ნეტა ვის აწონებ თავს! ცალი თვალი ეზოს გაავლე. იქ კიდევ იჯდა ჩემი ფერია.

ავბურტყუნდი:

— აგური გვინდა!

— მეც ბევრი რამ მინდა, — თქვა მშენებლობის მწარმოებელმა.

— არხეინი კაცი ყოფილხარ, ჩემო ძმაო, — წამოენთო ძია სანდრო და ჩვენც გვერდში დავუდგექით.

ინჟინერმა საქმიანი სახე მიიღო.

— დღევანდელი დღე გავციდებმა. ხელ მოაყრიან.

— მუშა ხელი გვიცდება, — შეეპასუხა ბრიგადირი.

— რა ექნა, ჩემო სანდრო... გამოცდილი კაცი ხარ, დავგარიგე, — უცებ მოღბა ნოღარი.

— თადარიგი უნდა დაიჭირო. ერთი დღის გაცდენას ორი მოჰყვება, ორს სამი და დავაგვიანებთ... ჩვენ კი პირობა გვაქვს დადებული. ნამუსიანი კაცის სიტყვა სიტყვაა და არ ვატყდებმა.

— აი, ახლა ქარხანაში მიედივარ, აგურის საქმეს მოვაგვარებ. შენ დურგლებს მიხედე.

ინჟინერმა მხრები შეათამაშა და კიბე პატარა ბიჭივით ჩაიბრინა.

— ჰაიდა, ჰე! — ჩაიციინა ძია სანდრომ და თავის ქნევით გადმოგვხედა.

სალამოს მე და ძია სანდრო ერთად წავედით შინისკენ. ერთ ხანს მდუმარედ მივაბიჯებდით. თავი ისე მომქონდა, თითქოს ქვეყანა ჩემი ყოფილიყოს.

— კარგი ბიჭი ხარ, მე და ჩემმა ღმერთმა, — დაიწყო ძია სანდრომ და ისე შემომხედა, თითქოს პირველად მიყურებდო.

— რამდენჯერ უნდა მითხრა, ძია სანდრო.

— აი, კიდევ გუებნები. საწყენი გითხარ რამე?!

— კარგ ბიჭობაზე ვლებ თავს და კარგი უნდა ვიყო, მა რა! — გავიღიმე

8823

და კვლავ ლაღად მიმოვიხედე. ძია სანდროს შექება ყოველთვის სიამაყით
მიესებდა გულს. იმასაც მივუხვდი, რომ რაღაცის თქმა უნდოდა. ასე შორიდან
კი დაიჭირა თავისი სიტყვა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— მე რა გამოიმეპარება! — უღვაწზე გადაისვა ხელი.

— რაო?

— რაო და ისაო... იმხელა მანქანა გვიდგას და შენ აგურებს ხელით ეზი-
ლები.

— ხდება ხოლმე, ძია სანდრო.

— რა ხდება, ბიჭო! რატომ აქამდე არ ხდებოდა?

— სანამდე, ძია სანდრო?

— შენ კარგა იცი. მოგეწონა?

— ეინა?

— კარგი გოგოა, მე და ჩემმა ღმერთმა.

— მერე მე რა!

— რა და ისა, რომ შენც კარგი ბიჭი ხარ, ცეცხლივით, კარგი მუშა კაცა,
მესამე კურსის სტუდენტი, კარგი მომავალი გაქვს... შენ თვითონ არ იცი შენი
ფასი.

— თუ ეგ გოგო ჩემი ბედია, პო, თუ ჩემი ბედია, ყოველ დღე მოვა და
დაგვხატავს. — ენა ამება. ეს რა ვთქვი?!

ძია სანდრომ გაკვირვებით შემომხედდა და რატომღაც ხელი უიმედოდ ჩა-
იჭნია. არ ვიცი, ამით რისი გამოხატვა უნდოდა. ალბათ, უგერგილო ხარო.

თავი ზოთა

...ერთ დღეს კი აღარ მოვიდა მხატვარი და მერეც აღარ გამოჩნდა.

— ხედავ, როგორ გაქრა, — თქვა ძია სანდრომ ისე, თითქოს სხვათაშო-
რის. ჩემს სიტყვას არ დაუცადა, თავის საქმეს მიხედა.

დაღონება განგებ არ შევიმჩნიე. ეს დალოცვილი იმედი მინც რა ყოფი-
ლა! რა გვეშველება. იმედი რომ არ იყოს?

მხატვარი გოგონას მოუსლელობა თვალს დააყლდა, გულსაც დააყლდა.

სიყვარულის ტყბილმა სევდამ სულ სხვა კაცად მაქცია, ჩემი ცხოვრების
უფრო შორეული სივრცე დამანახა, ბევრი ახალი ფიქრი მაფიქრა, და მაძებნიდა
იგი...

და მეც ვეძებდი. სად შეიძლებოდა შევხვედროდი? სამხატვრო აკადემია-
ში, გრიბოედოვის ქუჩაზე.

ერთხელ შნოიანად გამოვეწყე და გავწიე. აკადემიის კარწინ რამდენ-
ჯერმე გავიარ-გამოვიარე და გულდამწვარი რუსთაველზე ჩავედი. მას მერე
ხშირად დავდიოდი გრიბოედოვზე. და აი, ერთხელ დავინახე აკადემიის კარ-
თან გაკრულხ დღი განცხადება. ზედ ეწერა, რომ აკადემიაში ეწყობა სტუ-
დენტ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა.

გამოფენის გახსნის დღეს ავეყვი თეთრ და ფართო კიბეს. შევედი უზარ-
მზარ ღარბაშში, სადაც სურათები, ქანდაკებები და პლაკატები გამოეფინათ.
აქვე ტრიალბუნენ სტუდენტები, სტუმარი ახალგაზრდები, ცნობილი მხატვ-
რები. ზოგნი ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ, ზოგნი ცალად დადიოდნენ. ჩემთვის
ყველა უცნობი იყო და თავს უხერხულად ვგრძნობდი ამდენ ხალხში.

დავეყვი სურათებს და კიდევაც ვიპოვე ნაინობი ტილო. აბა, როგორ არ
ვიცნობდი! სურათს ქვემოთ ეწერა: „მშენებლობაზე. ზეთი. ფერწერის ფაქულ-
ტეტის მესამე კურსის სტუდენტი შაია ლოლაძე“.

ვიდექი და ვუმხერდი სურათს. იმ ადგილიდან ფეხს არ ვიკცილიდი. ხან-
დახან მივიხედ-მოვიხედავდი, მაგრამ მაიას ვერსად ვერ მოვკარ თვალი.

მნახველები ჩერდებოდნენ მაიას სურათთან. ზოგი რას ამბობდა, ზოგი რას. მე კი ვიდექი. თითქმის სათითაოდ დავთვალე აგურები, ფანჯრები, მუშები, ფიცრები... გონებაში წარმოვიდგინე, რომ აგურ ის, სულ მალე ხარანტევი შემდგარი კაცი მიასანდრო იქნებოდა. ის კი, აგურა რომ მაწვდის, ლაბუნა ჩემი მარჯვენა ხელი.

გვერდში ვილაყ ამომიღვა. ქვეშ-ქვეშ გაეხედე. ერთი თმაქოჩორა, აყლ-ყულა ყმაწვილი იყო, გადაწყობილი უღვაშები ჰქონდა, მჭიდროდ შემოჭეროლი კოსტუმი და წვეტიანი ფეხსაცმელი ეცვა. სურათს ირბად უყურებდა. ბოლოს ცხვირი სულ ახლოს მიიტანა წარწერასთან და ჩაიფრუტუნა.

— მოგწონთ? — მკითხა ისე მოულოდნელად, რომ ერთ წუთს დაიბენი კიდევ, — ამ სურათის გარდა, გეტყობათ, არაფერმა არ მოგზიბლათ. კარგა ხანა დგებართ და უყურებთ.

მართალი ვითხრათ, დამაბნია მისმა სიტყვებმა. თავი უხერხულად ვიგრძენ და რა გამეწყყო, აღარ ვიცოდი. ერთ წუთს ენაჩავარდნილი ვეუუურებდი და ვერაფერს ვეუბნებოდი.

— რა სიამოვნებას განიჭებთ ეს სურათი? — მკითხა და გამომდევლივით თვალი თვალში გამიყარა.

ჯერ გავიფიქრე, ვისი ტიპი-ტიპი არის-მეთქი, მერე ჩემი თავი რომ არ დამემციებინა, კითხვა შევუბრუნე.

— თქვენ რა, არ მოგწონთ?

— ვგიჟდები! — თქვა დამცინავად და თითები გაატაკუნა. — ქალის ნაწერი მიხეც არ იყოს!

— არაფერს ვაღივებ მოგწონდეთ! — მკვახედ შევეღრინე ახლა კი გულ-მოსოღმა. მაშინვე გამშორდა და ახლა სხვა სურათის წინ აიტუნა. თვალი არ ზომიშორებია მსთვის. იქაც რაღაც მოიქცა, ჯერ ცხვირი მიუსვ-მოუსვია წარწერას. მერე სურათს ერთხელ კიდევ აღმაცერად შეხედა და ჩაიფრუტუნა.

კარგახანს ვიტორლიალე დარბაზში. ის კი არ ჩანდა.

მაიას სურათი მიზიდავდა. მის სიახლოვეს დიდი სითბო ტრიალებდა. როგორც კი გავედი, ეს სითბო მომაკლდა. მაგრამ როდემდე უნდა ვყოფილიყავი იქ?

შინ დაღონებული წამოველ.

ჯიშვარიანი საოცრად კარგ გუნებაზე იყო იმ დღეს. სულ ლილინებდა. აგური მოიტანა და თავი მოჰქონდა. ბევრ სახლს აგური აკლია, მე კი... ვაგრბარათო, მალ-მალე იძახდა. ლილინებდა და შევატყე, რომ საოცრად კარგი სმენა ჰქონდა. კარგ გუნებაზე სხვებოც იყვნენ. ჯამაგირის აღების დღე იყო.

როცა ჯიშვარიანმა თავისი პირველი ხელფასი ჯიბეში ჩაიღო, რამდენიმე ბიჭს დაგვიძახა და გვითხრა, უჩემოდ შინ არ წახვიდეთო. ხუთნი ვიყავით. სამუშაოს ცოტა ხანს კიდევ შეერჩით და ჯიშვარიანმა მოგვაციოთა.

— ვეუბნები ამოგარჩიეთ და თქვენთან პურისქამა მინდაო, — თქვა და გადავახიდ-გადამოგებდა.

ეპაშითო, უთხრეს ბიჭებმა.

პურმარირი ჩემია და მანქანაცო, თქვა ჯიშვარიანმა. ბიჭებმა გაიწ-გაწიოიეს: როგორ რა...

ჯიშვარიანმა ჩაიყინა:

— ცოტა ადრე რომ გეფიქრათ, სხვა იყო... ახლა მე გპატიებთ.

თავს ლაფი დაგვასხა.

ქუჩაში რომ გავედით, რომელიღაც მსუბუქი მანქანის შოფერს ხელით

ანიშნა, ჩვენთან მოდიო. შოფერმა ხელი აუღო და მანქანაც ხელად ჩვენს
ფეხებთან დაამუხრტა.

წავედით და კარგად ვიპურმარილეთ.

ერქინეული

სულრაზე ჯიშკარიანმა ძმობა შემოგვეფიცა. როგორც განთიანდნისქრამქ
მამლის ყვილს სხვებზე ახვევებთან, ჩვენც ასე მოვიქვეციეთ. როცა ნუნუა ტვინ-
ში გაგვიჯდა, ერთმანეთი ვადავკონენთ, დაეიშალენით და ცალ-ცალკე წავე-
დით შინისაკენ.

მკლავზე ლევან სამხარაძე ჩამომეკიდა: შენი ჭირიმე, თავი არა მაქვს და
სახლამდე მიმიყვანეო.

მე მაგრად ვიდექი ფეხზე. განა რამდენი ღვინო უნდა დამელია, რომ მომ-
რეოდა! ლევანს კი მოერია, მოადუნა და მოამჩვარა. გზაში სულ ჯიშკარიანს ლო-
ცავდა, მავის დედ-მამის სული ვაცხონე, კაციც ეგა ყოფილაო. მაგნაირი უფ-
როსი არცა გვეოლია და არც გვეყოლებოაო. ამიხირდა, რას გაჩუმებულხარ
და რატომ სიტყვას არ შემაწეე, რომ ნოდარი კარგი ბიჭიაო. ნოდარის დარდი
სულ არ მქონდა. მაია მომავგონდა და ახლა ისღა მყავდა საფიქრელი. ქვეყანა
ჩემი იყო, ის კი არა.

სამხარაძე არ მეშვებოდა, ჯიშკარიანი კარგი ბიჭიაო.

— კარგია, მამო, ოქრო კაცია! — დაუუდასტურე, რომ თავი დაენებებინა.
მაგრამ ახლა იმაზე ჩამაცივდა, უგულოდ თქვიო.

— გულით ვამბობ, დამეხანე. აგერ შენი სახლი.

— გაუმარჯოს ჩემს სახლს! სახლი მანდ იქნება, არ გაიქცევა, — თქვა და
ხელი გაიქნია სახლისკენ, ისე შექანდა, მეგონა წაიქცეოდა. როგორც იყო, მო-
ვიშორე. სიმღერით შეაღო ჭიშკარი და მერე მისი შეძახილიც გავიგე: მოვდი-
ვარ, სახლის კარი გამიღეთო.

ღილით, როცა სამუშაოზე შევხვდით ერთმანეთს, ცოლ-შვილი დაიფიცა,
აღარაფერი მახსოვსო.

აკაღეშიაში კიდევ ერთხელ შევიპარე. ასე მეგონა, ყველა იქ მყოფი მე
პიუჩრებდა. მაიას სურათს ავუარ-ჩაუარე და მალე წამოველ. წამოველ და
ჩემი გულის მესაიდუმლეს, ძია სანდროს ვუამბე: ვეძებ და ვერ მიპოვნია-
მეთქი.

ეგ საქმე მე მომანდო, მითხრა ძია სანდრომ.

ორიოფე დღის შემდეგ სამუშაო ერთი საათით აღრე დაგვამთავრებინა,
ბრიგადიდან რამდენიმე ბიჭი შეგვარჩია და გვითხრა, აქედანვე ექსკურსიაზე
მივდივართო.

— სადა, ძია სანდრო?

— ამ ტანსაცმლით სად უნდა წავიდეთ?

— შინ გამიშვი, ხეირიანად ჩაიცვამ.

— არაფერი არ გინდათ. ეგ სამუშაო ტანსაცმელი გამოიცვალეთ და წა-
ვიდეთ.

სიტყვა არ გვათქმევინა, ცოტა ხნის მერე წინ გაგვიძღვა. რატომღაც თვალს
ნარიღებდა და მთელი გზა ერთხელაც არ შემოიხუხუდავს ჩემთვის.

— მე არ მაინტერესებს ექსკურსია, — თქვა ერთმა გზაში.

— არ გაინტერესებს და ნუ გაინტერესებს! — შეუტია ძია სანდრომ. —

მაგრამ სადაც ჩვენ, შენც იქ უნდა იყო! გაიგე?

— გაიგე.

— ჰოდა, ლაბარაკი აღარ იყოს!

ექვსნი მივდიოდით. გრიობედოვის აღმართი ავლიეთ და სამხატვრო აკა-



დემიის შენობას მოვადექით. კართან ცოტა ხნით შეჩერდა ძია სანდრო, ტბი-
ლად გაღმორგებულა და გეითხრა:

- მოვით, ვნახოთ, როგორ დაგებატა იმ ჩვენმა მხატვარმა.
- ვნახოთ!
- ეს კარგი გიფიქრია, ძია სანდრო! — შესძახეს ბიჭებმა. ძია სანდრო

თვალი ჩამიკრა და კიბეს აჩქვა.

დარბაზში დაედინჯეთ ნაბიჯი.

ჩვენი ნაცნობი შენობის დანახვაზე ბიჭები ახმურდნენ. სანდრო შეუწყრა,
სურათს თვალის მოქუტვით გახედა.

- მართლა კარგა დაუბატავს.
- ეს შენ არა ხარ?
- ესეც ძია სანდრო.
- რითა მგავს? ეგ შენ იქნები.

მრცხვენოდა ბიჭების ხორხოცის გამო. მხატვრები შემოგვეხვივნენ. ძია
სანდრომ მიხედა და სთხოვა, თუ შეიძლება მათ მოგვიყვანეთ და გავვაყვანიოთ.
ესიც უთხრა, ჩვენ სწორედ იმ მშენებლობიდან ვართ, რომელიც ამ სურათში
დაუბატავსო.

მაია აქ იყო, მიიხედ-მოიხედეს ახალგაზრდებმა.

ერთ ადგილზე ვერ გაჩერდი, ავწრიალდი. მივხვდი, რომ ძია სანდრო
თავის დანაპირებს ასრულებდა.

მაია მოძებნეს და მოიყვანეს. თამამი გოგონა ჩანდა, მაგრამ ჩვენს დანახ-
ვაზე ლოყები აწითლებოდა. ძია სანდრომ ხელი ჩამოართვა და მერე თავისი
ბრიგადის ხალხი გააცნო.

მე განზე ვიდექი. მრცხვენოდა რატომღაც. ძია სანდრომ მწყრაღად შემოკ-
ხედა. მაიას ხელი ჩამოვართვი, დაბნეულმა სახელიც ვერ ვუთხარი.

მერე სურათთან სჯა-ბაასი გაიმართა. ძია სანდრო რალაცას ეუბნებოდა
მაიას. მხატვრებიც რალაცას ამბობდნენ. მე მათი არაფერი შეუტრებოდა. ჩემგან
ოდნავ ზურგშექცევით მდგარ მაიას შევეუტრებდი და გული ხტოდა.

უცებ ძია სანდროს ხმა მომესმა:

— ბიჭო, მოდი, ჩაერე ჩვენს საუბარში. აქ შენ მოგვიყვანე და ახლა გა-
ვეირბინარ?

ნაბიჯი წინ წავდგი. მაიამ ქვეშ-ქვეშ შემომხედა და რატომღაც ისე გაილი-
მა, თითქოს რალაც გაიხსენაო. ალბათ ის დღე მოიგონა, ორი აგურით რომ
გავიქეცი... ან, ალბათ, ის გაიხსენა, ამას წინათ მის სურათს რომ არ ვშორდ-
ბოდი. საიდანმე მითვალთვალებდა და უკვირდა, რამ გადარიაო.

თვალი მოვარიღე და ძია სანდროს შევხედე.

— მაია შეგვიბრდა, მოვალ და თქვენი ბრიგადის დამკვრელ მუშებს
დავბატავო, — მითხრა ძია სანდრომ და იმ წუთში მზად ვიყავი გულში ჩამეკრა
ჩვენი თავიყავი.

... უნდა გენახათ რა მზიარულად დაებრუნდი შინ. ბიჭები რომ წავიდ-
წამოვიდნენ, ძია სანდროს მოვხვებე, გადაეკოცნე და გაიქეცი. უკან არ მიმი-
ხედნია, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ძია სანდრო იღვა და მიუტრებდა, მიუტრებდა
და მერე ისიც კმაყოფილი წავიდა შინ, სხვისი სიხარულით გალაღებულ.

თავი მთხუთი

მაიამ პირობა შეასრულა. ერთ დღეს მშენებლობაზე მოგვადგა და მუშე-
ბის ჩაბატავს შეუდგა. არავინ გაუცდენია და არც არავინ შეუწუხებია. ყველა-
ნი მუშაობისას, მოძრაობაში ჩაბატა და კარგადაც გამოუვიდა.



ჯგრი ჩემზე მოდგა. დასაჯდომი ადგილი თვითონვე შეარჩია და ხატა დაიწყო. ჩანახატს ფანქრით აკეთებდა.

აბა, თუ ბიჭი ხარ, ახლა იმარჯვე, ლეო! — ვუთხარა ჩემს თავს. გაეხიბედე მაიასაყენ და აგურების წყობას მიყვები ხელო.

ლაბაურმა არ მილალატა. ცეცხლი წაიკიდა ხელეებში. არც დუღაბს მაკლებდა, არც აგურს. კედელი ადიოდა და გულის სიღრმეში ჩემი სიამაყეც იზრდებოდა.

სურათი დამთავრდა. სამუშაო დღეც გათავდა და ჩვენ, ძია სანდროს ბრიგადის წევრები, მხატვარს შემოვეხვიეთ.

ძია სანდრო კი იდგა და ჩვენს ნახელავს უმზერდა. მართლაც ასე დიდებულად, ასე ლამაზად მინამღერ არც ერთი კედელი არ ამეყვანა.

ამ სისწრაფესა და შრომის დუღილში დაიბადა ჩემი სურათი. ვაოცებულნი ვიყავი მაიას ნახელავით.

მე, ძია სანდრო და მათა ერთად წამოვედით შინისკენ.

— რა დიდებულნი, რა მშვენიერი მომავალი გაქვთ! — თქვა ძია სანდრომ. არც მაიასკენ მოუხედავს, არც ჩემკენ, ქუჩას გააყურებდა და მისი ნათქვამი ყველას და ყველაფერს ეკუთვნოდა თითქოს.

ძია სანდრომ სხვაეც ბევრი რამ გვითხრა, რაც მე და მაიას ერთად გვეკუთვნოდა და შეგვეფეროდა. მე და მათა კი გაბუტულებივით მიყვებოდით და ხმას არ ვიღებდით.

ერთგან ეშმაკობა იხმარა ძია სანდრომ. ქალ-ვაყის მარტოდ დატოვების ძველსძველი ხერხი მოიშველია, რალაც მოიმიზეზა და გაგვექცა.

მაიამ თავი დაუკრა გამომშვიდობებისას და გზა განავრდო. მე რალა მექნა? მაშინ ამებლანდა ნაბიჯი, მაშინ დამადო რალაც ძალა ენაზე ლაგამი, მაშინ ამკადა ფუთიანი ტვირთი რალაცამ თუ ვილაცამ.

— სად ეცხოვრობთ? — პირველად ის გამომელაპარაკა და ის ფუთიანი ტვირთი მომეშვა.

— აი იქ... — ენას მაინც ვერ მოვაცილე ლაგამი, ხელი საბურთალოსკენ გავიშვირე.

— შორი გზა გქონიათ.

— თქვენ?

— მე ბარნოეის ქუჩაზე ეცხოვრობ, აქვე ახლოს.

— პოო! — რატომღაც გავიკვირე და შერე თავი რომ უხერხულ მდგომარეობიდან დამეხსნა, ვკითხე: — აღარ დაგვხატავთ?

გაეღიმა.

— თქვენთან რალა დავხატო. მთელი ალბომი ავაგე. თანაც ყოველ დღე თუ ვერ იმუშავებთ, სად მოგნახავთ კაცი. თქვენ მაინც რალაც საოცრად სწრაფად ამწყობდით აგურს. ყოველდღე ასე მუშაობთ?

— ასე. მოგვეწონათ კედელი?

— პო... დიდებული კედელი იყო. — ქვეშ-ქვეშ შემომხვია მაიამ და ცოტა ხნის დუმილის შემდეგ მითხრა, — მე დავინახეთ იმ დღეს, ჩემს სურათთან რომ ტრიალებდით.

ლოყაზე უარკიად წამეკიდა ცეცხლი.

— ისიც დავინახე... ერთ ყმაწვილს რომ შეუბღვირეთ. რაო, რა გითხრაო? — შევუბღვირე კი არა, სხვაგან რომ ვყოფილიყავი, ვცემდი.

— ასე დაიარება სტუდენტთა გამოფენაზე და ყველას დაგვეცინის.

— გინდათ, მივბერტყო?

მაიას გაეცინა, მე კი ხელის გული შეჭაებოდა: დიდი ხნის შეგობარეით გამოვუტყუდი.



— თუ გინდათ, ვცემ. მარტო ჩვენ სამს გვეცოდინება.

შაიას კიდევ გავცინა.

— თქვენ ხუმრობთ.

— სრულებითაც არა.

— სამი წელია აქადემიაში აბარებს გამოცდებს, ვერ მოხვდა და ვერა.

ახლა ჩვენზე იყრის ჯავრს, ვითომ, ნახეთ, ვინ მიიღეთ და ვის ასწავლითო. ქვეყანას დასცინის.

— არიან ასეთი ტიპები. მით უმეტეს, საქიროა...

— რა?

— ცემა.

ამ საუბარში იმე გავუშინაურდი შაიას, რომ აღარც კი მინდოდა წამოსვლა. იქნებ არც შაიას უნდოდა გამშორებოდა? რა ვიცი.

ავტობუსი მოვიდა, მაგრამ არ ჩავჯექი. მოვიდა მეორე და არც იმას გავეცარე. მესამე თვალთ გავაცილე... შაიას რომ გამოვემშვიდობე, შინ ფეხით წავედი. მაღე რომ მივსულიყავე შინ, მერე სადღა დაეტეულიყავე, მერე სადღა წაყულოდი გაფრენილ გულს?

შაიას კიდევ რამდენჯერმე შევხვდი და პირველი პეგმანი დავფენიწენე. არ მოვლო, მითხრა. გავშრი და ენა მუცელში ჩამივარდა. აქამდე გახარებულს უცებ დამწყდა გული. ერთი კვირა ჩემს გონებას შავი ღრუბელი არ მოშორებია.

იმ უგუნებოდ ვიყავი, რომ ლამაურა მუშტაც კი მოვეღერე რალაციის გამო. ცოტა ხნის შემდეგ ბოდიში მოვეუხადე, ჩემს ქვეაზე არა ვარ-მეთქი გატყობო, და ალალი გულით მიიღო ჩემი ბოდიში. მერე მითხრა: ბიჭო, ეხ ფუთიანი მუშტები რომ დაგვკრა, სული აღარ შემარჩებოდაო. ხუმრობის გუნებაზე არ ვიყავი. აღმათ სასაცილოდ მოვღრეჯე სახე და შინ წავედი.

პაპა გაბრიელი ჩვენთან გადმოსულიყო და მე გელოდა.

დღემ დაღერეშილობა შემატყო. წინა დღეებშიც მატყობდა, მაგრამ რატომღაც ახლა, პაპა გაბრიელის თანდასწრებით, შეიცხადა.

— რა მომივიდა და... დაღლილი ვარ და ის.

— სხვა დროს არ იღლებოდი? — არ მომეშვა დედაჩემი.

— სხვა დროს სხვა იყო. დღეს ასეა, — ძლივს გამოვეყარე და პაპა გაბრიელს შევხვდე.

— კაცია, ხან დაილონებს, ხან გაიხარებს, — თქვა მოხუცმა, — ისე, ჯანზე ხომ კარგა ხარ და... პოდა, მა რა გაფიქრებს, ჩემო ანეტა? ბიჭს არაფერი სტყეა. ლეო, შეილო, ყური მიგდე.

უხალისოდ დავიდგი სკამი და ჩამოვეჯექი. დედაჩემი გულბელდაკრეფილი მიყურებდა.

პაპას თურმე თავისი დარდი აწუხებდა და იმაზე გადმოსულიყო.

— გაპყავთ, თუ არა ეს ქუჩა? მითხარი, თორემ გული გადამელია.

— ამბობენ. — რატომღაც ცეცხლზე ნავთი გადაფეხსი პაპა გაბრიელს, რომელიც სულის კანკალით განიცდიდა ახალი ქუჩის გაყვანას.

— პოდა, რო ამბობენ, მართალია თუ არა? ნიკომ სული ამომიღო. იმე უხარია, გეგონებათ სასახლეს მისცემენ! — ღრინავდა პაპა. — ხეალ აღმასკომში გამოიარე და გამიგე, შენ გახარებას! იქნებ ახლა არა და ათი წლის მერე, ოცის პერე... მანამდე მეც აღარ ვიქნები და ეს ერთი დარდი არ წამყვება... ბალი რომ ჩამომიჭრან და ხეები ამომიყარონ, შეილებივით ნახარდი ხეები...

მოხუცს ხმა შეუთრთოლდა და ლამის ცრემლი გადმოღვარა. მეტი არაფერი უთქვამს, წამოდგა და წავიდა. ღია კარიდან თვალი მოვაყოლე პაპა გაბრიელს. მოხუცი ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა, თითქოს მის ხეხილს უკვე ჩეხავდნენ და დროზე თუ არ მიუსწრებდა, ყველაფერი დაიღუპებოდა.



სალამოს ლექციაზე წავედი და შინ ძალზე გვიან დავბრუნდი. უკმაყოფილო ახალი აღებული მქონდა და სტუდენტი ბიჭები ლექციის შემდეგ თითო ჰქო ლეინოზე დავპატიე. ყოყონა და დარდიმანდი ამხანაგები არ მყავდა. დერი ზონაზე და რიგზე იყო. თავის მოვლა ყოველთვის ვიციოდა. დარდი გულს მიჭამდა, ლეინოს მაინც არ მივძალავებო. ლეინოში დარდის ჩაკვლა სისულელედ მიმაჩნდა. შემეძლო კი დავმოვრალიყავი, შინ გაღვილი მივსულყავი. მერე? მეორე დღეს რაღას ვაპირებდი? სტუდენტი ამხანაგებთან თითო ჰქო ლეინო დავლიე, ამით დრო მოვკალი, გავერთე, მათგან თითო თბილი სიტყვა გავიგონე და გული ცოტა დავიშოშმინე. ეს დალოცვილი ყურძენი განა იმისთვის დაუწურობათ, რომ კაცი შიგ დაიბრწოს და განადგურდეს.

თავი მეთხუთსი

ერთხელ მე და ლაბაური რუსთაველზე მივდიოდით. შიომ ლაღობის წყალი დავლიოთო. შევედით ხალხით გაჭედილ დარბაზში. ზაფხულის სიცხეს ბევრი ხალხი მოეგროვებინა ცივი და გემრიელი წყლის ონკანებთან.

— ორ-ორი კახური, დეიდა, — დაიძახა ლაბაურმა და მალე მის ხელში წყლით სავსე ორი ჰქო დავინახე.

— აგურებიც მე უნდა გაწოდო, ჰქოცხიც, — მითხრა სიცილით.

— ეგრე, ჩემო შიო. უფროსის პატვისცემა უნდა იყოღე, მაშ, — გავიციონე მეც, ჰქო ჩამოვართვი და ის იყო პირთან მივიტანე, რომ... მაიას შევასწართვალი. ჩვენს გასწერივ იღვა და ვილაც ბიჭი... ოჰ მე! რაღაც არ მომეწონა მისი საქციელი. დიახ, საქციელი, თავაზიანობა, მშვენიერი, სხვებისთვის მოსაწონი, ჩემი გულის ამფორიაქებელი.

— ჩვენი მხატვარი, ლეო! — მითხრა შიომ.

— ვხედავ.

— კავალერთანაა! — ცეცხლი წამიკიდა ლაბაურმა.

— გაჩუმდი! — შევეღრინე.

— რათა?! — გაიოცა ლაბაურმა და თვალები ლამის გადმოუცვივდა.

— იმათა, რომ... ჩემად იყავი!

— წყალი კიდევ გინდა?

— ჯერ ეს არ დამიღვევია, ვერა ხედავ?

— ბოდიში.

ქალ-ვაჟს თვალს არ ვაშორებდი. ისინი კი ვერ მხედავდნენ. ვაჟი თავს ეკლებოდა მაიას, უღიმოდა და რაღაცას ისეთი სასოებით ეუბნებოდა... მაიაც იღიმებოდა და ისიც რაღაცას ამბობდა. ჰქოცხები ხელში ეჭირათ და ნელ-ნელა წრუბავდნენ.

დაიღუპა შენი საქმე, ლეო! ესეც შენი პირველი გატაცება, ერთი დაუმთავრებელი ტკბილი სიზმარი, ჩამწარებული სიზმარი.

წყალი ერთი სულის მოთქმით გადაკვარი და ცარიელი ჰქო ისე მივაწოდე ლაბაურს, მისთვის არ შემიხედავს.

გარეთ გამოვედი. შიოს ვთხოვე, ცოტა ხანს ქაღართან გავჩერებულყავით.

— გიყვარა? — ჩურჩულით და გაუხედავად მკითხა.

მე გავხედე და არაფერი ვუთხარი.

მაია და მისი თანმხლები ვაჟი მალაზიის კართან გამოჩნდნენ. ერთმანეთისათვის ხელი ჩაეკიდათ. ბავშვებმა რომ იციან, ისე. მზიარული საუბრით ჩაიარეს და ხალხს შეერივნენ.



თეატრი * ცენტრალური * ციხისი მთავარი

— აფსუს! — თქვა თავის ქნევით შიომ.
 — რა აფსუს, ბიჭო?
 — მერე გეტყვი.
 — ახლა თქვი!
 — სულ ცემაზე გიჭირავს თვალი და რა ვიცი, იქნებ...
 — რა აფსუს! თქვი!
 — ხვალ გეტყვი.
 — ახლა თქვი!
 — აფსუს-მეთქი... კარგი გოგოა.
 — ბიჭიც კარგი იყო.
 — შენა სჯობინარ. არა?
 — როგორ ფიქრობ?
 — სჯობინარ.
 — სად ისწავლე, ბიჭო, მლიქვნელობა. ალალი ბიჭი მგონიხარ და ეგ როგორ მოგდის, — გამეღიმა უნებურად.
 — სჯობინარ და. — თავის სიტყვაზე დადგა ლაბაური.
 — წამო, ჩემო შიო. ჩემი ძმა ხარ და გეტყვი. გულში ჩამივიარდა ეგ გოგო. იცი რამდენი ღამე გამითენებია მაგაზე ფიქრით! და ყველაფერი წყალში ჩაშეყარა.

მოწამლულმა ამოვიარე რუსთაველი. შიოსთან დარდი ცოტა მიქარვდებოდა, მაგრამ როცა საბურთალოს აღმართს მარტოდმარტო შევეყევი, მუხლი ნომიდუნდა.

შინ მისულს დედამ ამბავი დამახვედრა: აღმასკომიდან იყენენ, ქუჩას მალე გაეიყვანთ და მზად იყავითო.

— სხვა კიდევ რა თქვეს?
 — მეტი არაფერი. ჩვენ, მგონი, არსად არ გადაეყავართ. ერთ ოთახს გვიტოვებენ.

— გვეყოფა. — ეთქვი გულგრილად. ახლა სახლ-კარის დარდი მქონდა?! დედაჩემი განაგრძობდა:

— საკუთარი რომ იყოს, ავინაზლურებდითო... ჩვენ კიდევ არაფერი... გამბრეელი შეცოდება.

პაპა გამბრეელი. ვინ იცის, რა გუნებაზეა. გადავალ, მოვიინახულე.
 სკოლის ეზო გადავჭერი და მწვანე მესერს მივადექი. მოხუცი ბაღში არ ჩანდა. შინ შევედი. ოთახში ტახტზე წვესო, მითხრა გამბრეელის მეფულემ.

პაპა გაუხდელად იწვა პირალმა. ხელები თავქვეშ ამოედო და ჭერს გაშტეობული შეჰყურებდა.

ფეხის ხმაზე მიცნო. ჩემსკენ არც გამოუხედავს, ისე გამოშელაპარაკა:

- უკვე იყენენ და გამახარეს.
- ჰო, ჩვენი გაგებარეს, — ეთქვი და მაგიდასთან ჩამოფეკეტი.
- არ მინდა მაგათი არაფერი! — ჩაიღრინა მოხუცმა.
- მაინც, რაო?
- ოროთახიანი ბინა და ფულიო. არ მინდა! — პაპას ჭერისთვის თვალი არ მოუშორებია. — მოდი აქ, ტახტზე დაჯექი, — მითხრა და ტახტზე აღვილი დამითმო.

როცა მის მახლობლად ჩამოფეკეტი, მაშინ შემომხედა.
 ერთ ხანს არც ის იღებდა ხმას, არც მე. ვინანე, რად მოვედი-მეთქი. იქაც ვერ ვნახე მყუდრო სავანე.

— თანახმა ვარ თუ არა, ქუჩას მაინც გასჭირან. საქვეყნო საქმეს წინ რა დაუღებია. ბევრი რომ ვიხტუნო, მაინც არაფერი გამომივია. აქ ცოტაოდენ მი-

წას მაინც დასტოვებენ და იმ მიწაზე მოვეცდები. სახლს იქით გადავიქცეო, ხეხილიც დამრჩება ცოტა.

— პაპა გაბრიელ, რომ იცოდეთ, რა კარგი რამ არის ახლა ჩემთვის, როდესაც ჩემს მინდობასთან ერთად თანამართლებს მემკვიდრეობის მინდობას, როგორც მომეხიბლა მოხუცი, დარდი შემემსუბუქებინა, მაგრამ ყურადღება მათხოვა.

— ჩემი ხეხილია შრიას რომ ვისმენ, თითქოს შვილები მელაპარაკებოდნენ... ერთი ხეც რომ დარჩეს, მაინც კარგია... სახლის გადაღვამაში ხომ მომეშველები?

— მოგეშველები, მაგას თქმა არ უნდა.

— შენ ახლა ჩინებულნი ოსტატი ხარ. თქვენ რაო... მარტო ერთ ოთახს ანგრევენ?

— ასე უთქვამთ.

— ძლივს რაღაც გამართვ და ისევ სივიწროვე გელით.

— ჯანმრთელობა იყოს, თორემ... ამდენ სახლებს ტყუილად ხომ არ ვაშენებთ. ჩვენც მოგვიწევს, პაპა გაბრიელ.

— სანამ ჯველი ხარ, ეცადე, შეილო... როგორ ვახარა ნიკომ! ოატომ არ იქნება გახარებული რა! ქობიდან სამოთახიანში გადაბრძანდება. დურგალს უწინ ვინ რას აღიარებდა! მაგრამ მე მაინც არ მინდა. მესამე სართულზე ხეხილს ვერ დაერგავ და... — ევლავ პერს მიაპყრო თვალი. — მე რომ აქ დავსახლდი, ქალაქი სად იყო. ახლა კი გზაზე წუ გვედობები.

არ ვიცო, როგორ მოვიქცეოდი, მის ადგილზე რომ ვყოფილიყავი. ჩემის აზრით კი ცდებოდა პაპა გაბრიელი. კარგი რამ არის თანამედროვე კეთილმოწყობილი ბინა. ვინ იცის რამდენი ამიგია ჩემის ხელით! ჩემი წვლილიც არის ახალმოსახლეთა ბედნიერებაში და ღამით არბეინად დამიძინია, დილით ასევე მსუბუქად წავსულვარ სამუშაოზე — ევლელთან ერთად ადამიანის ბედნიერებას ვაგებდი. შური არასოდეს გამკარგებია.

დურგალთან შევიარე. ნიკო ნასეამი დამხედა. დამაძალა და ორი ჭიქა ღვინო მეც დამალეინა. ამაჟიკიკია და მეც ავჟიკიკიკი. ბინა წინააწარ მიეულოცე და მერე მისი ღობის გადაღმა გადავიხედე, სადაც უკვე დაიბადა ქალაქის ახალი უბანი.

— ვაშენოთ, ვაშენოთ, ძია ნიკო. — დავიძახე და მინდვრისკენ ხელი გავიშვირე. მერე უცებ დავლონდი.

ღამე იყო და ნიკო რას წაიკითხავდა ჩემს თვალეზში. ხელი გადამხვია და სიმღერა დაიწყო. კარგი სიმღერა იყო. გულის ძარღვებში დამიარა და უარესად ამადულა.

თავი მეთხუთე

აღმასკომის საბინაო განყოფილებაში ზურგი შემაქციეს. რომელი კარიც შევალე, ყველა ცივად გამომიხურეს: არაფერი ვიცოთ, არც ქუჩა გვეკითხება და არც სახლ-კარიო. კბილები გავიღეს და განყოფილების გამგესთან გაგზანდინა. ანუ და ასე საქმე და თქვენ მაინც გამარკვევით-მეთქი.

დინჯი, საოცრად დინჯი კაცი ჩანდა გამგე. როცა შენ აპილპილებული ხარ, მოგკლავს სხვისი სიღინჯე, ნელი, ზანტი საუბარი. იმ დალოცვილს ძარღვიც არ შესტოკებია.

— ბიძიკო, რამდენი ხართ შინ? — მკითხა და თვალიც არ დაუხამხამებია. მიუხრებს და ვუყურებ.

„ბიძიკო“ რაღაც დამკინავად ჩამესმა.

— ორნი ვართ, ბიძია. — უკვე ვეღარ მოვითმინე და მკვებედ მივუგე.



— უკუჩრე ერთი ამას! — თქვა თავისთვის, მერე მე მომიბრუნდა:

— პაპინათ განყოფილებაში ყველაფერს გეტყობდნენ.

— ჩვენც აღამიანები ვართ! — წამოაცდა უცებ იმ აზრის ზოლო სიტყვები, რომლებიც მისი, რომელიც გონებაში დავაღაცე და ვერა ვთქვი.

მას ჩაეცინა. დღემდე ვერ მიემხვდარავარ, რა იყო ამ სიცილის მიზეზი.

მერე ელექტროლიდაკს თითი დაავიჩრა. მღვიანი ქალი მაშინვე მუშაობიან კარს აგრო. გააგემ ვიღაც გამოიძახა. ვიფიქრე, ჩემს საქმეზე ეძახის-მეთქი. მაგრამ როცა უცნობი კაცი შემოვიდა და სულ სხვა რამეზე დაუწყო ლაპარაკი, გულზე გავსკდი.

იაკ იმ უცნობს კვლავ დინჯად ებაახებოდა. ჩემსკენ არ იხედებოდა და თითქოა ლაპარაკიც კი ეხარებოდა.

თხამ იცის, თუ ფეხები გაფშოკა და არ მოინდომა წასვლა, ურტყი რამდენიც გინდა! დავღუქი და მოვიცადე. ვნახოთ ერთი, ჩემსკენ აღარ გამოიხედავს-მეთქი.

უცნობთან შოათავა საუბარი და მღვიანი კიდევ გამოიძახა.

ვადგუნი! ვნახოთ, ვინ ვის აჯობება.

ვიღაც შემოვიდა. კვლავ ზანტად ამოსცრა სიტყვები. მერე ტელეფონით დარეკა. პაპიროსი გააბოლა. ის ვიღაც გაისტუმრა. არ მომხედა. იქნებ დავა-ვიწყდი? იქნებ ვერ მხედავ? როგორ ვერ მხედავ! მხედავს და ყურადღებას განგებ არ მაქცევს, თითქოს მუშაობაზე მიფრენილი ბუზი ვიყო.

მე კი მოთმინების ფილა მევსება. მაქვს მიზეზი გავბრაზდე. მას არა აქვს მიზეზი. გინდ ჰქონდეს, არ შეიძინეს. ისეთია, რაღაც სხვანაირი... მე კი ცეცხლი თანდათან მუშადება და აქ უკვე ვიგრძენ ჩემი სისუატე, დამარცხება. მაჯობა. აშკარად მაჯობა. შეეტრიალდი და კარისაკენ წავედი. გავეღო კამინებიდან და კარი მთელი ძალით მივუჯახუნე.

— ფრთხილად, ყმაწვილო, ეს რასა ჰგავს! — შემომძახა მღვიანმა და სახე წამოერთო.

ზრავაბრუგით გავიარე მისაღები ოთახი.

ვდგევარ პატარა მოედანზე გაოგნებული და ვფიქრობ, როგორ არაჩად ვიქნე. როგორ დავპატარავდი და გავიქეღე. ასეთი გულგატეხილი არასოდეს არ ვყოფილვარ.

არ ვიცი რას მივაწერო: რაღა იმ დროს ჩამოიარა მაიამ. მოდიოდა და ალბათ ვერ მამჩნედა. ისიც მწარედ გავიფიქრე, რომ მომიახლოვდება, ერთ ცივ საღამს გადმომივდებს და ჩაივლის-მეთქი. მერედა, რად მოველი მისგან თბილსა და აღურსიან საღამს? მე შინდა და იმბრომ? მან ხომ არაფერი იცის. მომიახლოვდება, შეიძლება მაშინაც არ შემინინოს და ჩაიაროს.

შევემზადე ამ ცივი საღამის მისაღებად. ცივად მომესალმება, მეც ცივად ვუპასუხებ. თბილად მომესალმება და ვთხოვ ცოტა ხანს შეჩერდეს, ორიოდ სიტყვა მაინც ვუთხრა, რომ გულის დარდი ამოვიღო. გულის დარდი. რაზე? სახლ-კარზე ვუთხრა? შეეჩივლო, რომ წელან ერთმა დიდმა კაცმა კაცუნად მაქცია?

მაიამ დამინახა. დამინახა და ტუჩებში ღიმილი გაუერთა. მე ისე მომეჩვენა, რომ მას ძალიან, ძალიან გავხარდა ჩემი დანახვა და სასოებით ავიყა, გატეხილი გული გამიმთელდა და ისევ ის ლეო ვიყავი, მაღალი, ღონიერი, სულით ლალი.

კაცი კაცით ცხოვრობსო. რა მართალი და კარგი უთქვამთ.

მაია თბილად მომესალმა და განეჭრნებული გული ხალისით ამიღესო.



შეჩერდა და ხელი გამომიწოდა. ლოყაზე აღმური წამეკიდა. ქუჩა ხმაურობდა, ხალხი ირეოდა, მაგრამ იმ წუთას ისე მომეჩვენა, თითქოს ირგვლივ სიჩუმე იყო, საოცრად ღრმა და უძირო სიჩუმე. თუკი ჩემს მწვანე ბალახით მოფენილი მინდორი, სამყარო იყო სიყვარულს გავრცელებული ცისფერი, ნაზი და პაეროვანი. და შორს ცისფერი მთები მოჩანდნენ.

მაიას ხელი ჩამოვართვი და უნებურად აღარ ვაფუშე. მაგრამ მაია გაწყურა. იმ წყრომაშიც სითბო იყო, ალერსი და ნუგეში. მომიკითხა. მოვიკითხე. უხერხული პაუზაც იყო. ვეძებდი სათქმელს და ისიც ალბათ ეძებდა სიტყვას. ამ დროს ბევრის თქმა გინდა და ცოტასაც ვერ ამბობ. ამ დროს საზღაპრო ამბები გინდა ჩაიდინო, მაგრამ ვინმემ რომ შემოგხედოს, სასაცილო და საცოდავი ხარ.

მერე მაიამ მითხრა, რომ მე მოწყენილი ვიდექი. ისიც მითხრა, რომ მას თურმე არ უყვარა, როცა მამაკაცი ბევრს დარღობს. მამაკაცი მაინც მამაკაცია და ვაფუცურად შეუძლია აიტანოს და შეიშლუბუქოს დარღობა.

— არა, მე რა მაქვს სადარღებელი! ისე კი, ამ გუნებაზე, ერთ კაცს ვეცმდი.

— ვის? რას ამბობთ. თქვენ ძალიან გყვარებიათ ცემა-ტყევა. ჩხუბისთავე სომ არა ხართ?! — გაიციხა მაიამ.

— ჩხუბისთავე არა ვარ, მაგრამ თურმე საჭირო ყოფილა ზოგიერთის ცემა. რააკვირველია, არა მათი ჰკუთის სასწავლებლად, არამედ საკუთარი გულის მოსაოხებლად.

- ვინ ვაგაზრახათ?
- დრო გაქვთ? გიამბობთ. დასამალი არაფერია.
- არა, ახლა მეჩქარება... სხვა დროს მიიპბეთ. — ეს ისე მოულოდნელად მითხრა, ისე აჩქარდა, რომ დაეიბენი კიდეც. ცივი წყალი გადამასხა, გამომეშვიდობა და წავიდა.
- წავიდა და მეც წავიდი.

თავი მარტო

ბრიგადაში კარგი მეგობრობა გვქონდა. იმდენად კარგი, რომ ერთმანეთის ყველაფერი ვიცოდით, ვიცოდით ვის უღზინდა, ვის უჭირდა. ერთმანეთი გაგვქონდა და ხელს ვუმართავდით. ჩვენი ასეთი სიყვარულისა და შეკავშირების მიზეზი ალბათ ძია სანდრო იყო.

ჩვენი ბრიგადა თითქმის ახალგაზრდული იყო, ეს ჰარმაგი კაცი რომ არა გვეყოლოდა. ვინ იცის, მის მარჯვენას რამდენი სახლის კედელი აფეხანა. ამ ზოლო დროს კი მოღლილობას ვატყობდით.

ჩვენ რომ კედელს ვუტყვედით, აგვყავდა და აგვყავდა, ის ღრმად ამოისუნთქავდა, ხელებს ჩამოპყრიდა, ჩამოჯდებოდა ხოლმე, შემოგვექეროდა და ალბათ დანანებით იგონებდა თავის სიჭაბუკეს.

ძია სანდროს ძლიერ უყვარდა ფეხბურთი. ერთ თამაშს არ გააცდენდა, უჩვენოდ კი არ წავიდოდა. ბილეთებს წინასწარ ვიღებდით. უნდა გენახათ, ბრიგადის ოციოდე კაცი ერთად რომ ჩავმწყრივდებოდით გრძელ სკამზე, შუაში ძია სანდროს ჩავისვამდით. მართალია, სამუშაოთა მწარმოებელი უფრო დიდი კაცი იყო მშენებლობაზე, მაგრამ სად ძია სანდრო და სად ის ძია სანდროს გამოცდილება, ძია სანდროს ჰალარა, ძია სანდროს თბილი სიტყვა. ძია სანდრო გულის შალაშოდ გამოგადგებოდა.

დადგა თუ არა გაზაფხულ-ზაფხული, ჩვენც სტადიონის ხშირი სტუმრები გავხდით.

როცა ჩვენები წააგებდნენ, ძია სანდრო დამარებული მიაბიჯებდა ქუჩაში. ჩვენც ხმას არ ვიღებდით, უკან მივდევდით თავჩაქინდრულნი. დღესაც ხმას არ ვიღებდით ფეხბურთზე. მერე თანდათან მიწვდებოდა წყენა და გულსმოსვლა და ვლალატობლით დათქმულ სიტყვას — სტადიონზე აღაო წავიღეთო... ერთ-ერთი ჩვენთაგანი კვლავ იჭეკვებოდა საბილეთო სალაროსთან. აუცილებლად კარგი ადგილები უნდა ყოფილიყო, თორემ ძია სანდრო გაგვიჯავრებოდა.

— ჰო, — შეუბლი მოიფხანა ძია სანდრომ, — ხვალ ფეხბურთია.

— კარგი თამაში იქნება.

— მოვიგებთ, მამ! — თქვა ძია სანდრომ და მერე, თითქოს ფიქრიდან გამოერყვო, ბიჭებს მოგვმართა, — თუ მოვიგებთ, არსად დამეკარგოთ.

— თუ წაივავთ?

— წაწვლიანი ენა ნუ გაქვს! — შეუტია ძია სანდრომ შიოს. შიოს წაწვლიანი ენა სულაც არ ჰქონდა, მაგრამ ახლა წაგებაზე ლაპარაკმა გააგულისა ჩვენი ბრიგადირი.

— არა, ძია სანდრო, ლაპარაკი რად უნდა, რომ მოვიგებთ, მაგრამ შენ თვითონ თქვი, თუ მოვიგებთო... ესე იგი...

— მართლა ეგრე ეთქვი?

— ბავშვს გეფიცები! — დაიფიცა შიომ, უშვილძირო შიომ. შეხუბრებით ეცოდა ხოლმე ეს დაფიცება.

— კიდევ ექსკურსიაზე უნდა წავიღეთ, ძია სანდრო?

— მოთმინება იქონიე, ყმაწვილო, — თითი ასწია ძია სანდრომ, — ბილეთები ხომ რიგია?

— ისე იქაა, წინა თამაშზე რომ ვისხედით.

ხვალ ფეხბურთია. ჩემი ზეიშია, როცა ფეხბურთზე მივდივარ. მიყვარდა ფეხბურთი საყურებლად და არც სათამაშოდ ვზოგავდი ჯანს. სამუშაოს დამთავრების შემდეგ, ხშირად გავსულვართ მინდორში და გვიტამაშობია. საზღებს მინდორში ვაგებდით და ადგილი არ გვექნებოდა სათამაშო თუ რა! მაგრამ სულ სხვა იყო, სტადიონზე რომ გამოვიკვიმებოდით პიწკად ჩაცმული ეს მუშა ხალხი.

კვირა დღეს სტადიონზე შევიყარეთ თავი. თითქმის ყველანი ვიყავით. ნოდარ ჯიშარიანიც ჩვენთან იყო. ძია სანდრო იგვიანებდა. ეშხი და ლაზათი არ ჰქონდა არც შრომას, არც სტადიონზე ყოფნას, ძია სანდრო თუ არ იქნებოდა. სულ რაღაც რამდენიმე წუთი ვერ ვძლებდით მის გამოჩენამდე და აბანის წასვლას როგორ შეველეოდით, ბოლო დროს კი სულ იმას ჩიოდა, პენსიაზე უნდა გავიღეო.

აგერ ისიც. ზღვა ხალხში აღმოვაჩინეთ და ხელების ქნევით მოვიხვეთ. ძია სანდრო ძლივს მოარღვევდა კიბეზე ჩაჭვდილ ხალხს და ჩვენსკენ მოისწრაფოდა. დაოლილი და აქოშინებული მოვიდა. დაჯდა, ცხვირსახოციით ოფლი მოიწმინდა, სტადიონზე პირველად როდი მოუხნა ასეთი „ბრძოლის“ გადატანა. საათს დახედა და მერე გულზე მიიღო ხელი.

— ეპი, ლამის არის მილატონა!

ძია სანდრომ ჩვეული ხალისით უყურა იმდღევანდელ მატჩს. საბედნიეროდ თბილისელებმა მოიგეს. გადავიტანეთ სტადიონის ქუხილი. ზელისგუ-

ლები ლამის დაგვაკადა, ყელი ისე ჩაგვეხრინწა და გავვიშრა, რომ უკომანდოთ
ყვინჩლას ენაზე ველამარაკებოლით.

ძია სანდრო კარგ გუნებაზე იყო. სანამ ფეხბურთელები არ შემოსვნიდნენ,
ფეხზე ამდგარი უყარავდა ტაშს, ხოლო როცა ხალხი გასასვლელს მისწავს, წაიშვეს,
წეგვასენა, არავინ დამეკარგოსო.

— რას გვიპირებ, ძია სანდრო?

— ყველანი ერთად უნდა გადავაბათ და მტკვარში გადავყაროთ, — იხუმ-
რა მან.

შიომ ნოდარ ჯიშკარიანზე ანიშნა, ეაეცო?

— მაშ, მაშ! — უკან არ დაიხია ძია სანდრომ.

ჯიშკარიანიც ჩვეთთან ერთად მოდიოდა. საოცრად კარგ ხასიათზე ვიყა-
ვი და უცებ ყველაფერი ერთმა შემთხვევამ შემიცვალა.

ნოდარ ჯიშკარიანი წამით შეჩერდა და მის წინ დავინახე ის, საბინარ
განყოფილების გამგე. ელღენივით დამკრა რაღაცამ და თვალი მოვარიდე.
ჩვენ გზა განვაგრძეთ და ნოდარს სტალიონის კართან დაველოდეთ. მალე წა-
მოგვეწია.

— ბოღის ვიხდი... მეგობარი შემხვდა და...

— თქვენი მეგობარია? — ვკითხე.

— ჩემი მეგობარია და მერე როგორი! ღმერთივით ბიჭია ლევანი. რა
იყო, რამე საქმე ზომ არა გაქვს მაგასთან? ჩემთან ესეა აი! — ნოდარმა ორა-
ტოლი თითი ერთმანეთს მიატყუა.

— არა, რა საქმე უნდა მქონდეს! — გავიღრჩვე უგულოდ.

ნოდარი აღარ შემყვა საუბარში, ძია სანდროს ამოუდგა გვერდში და გა-
იხსენა წელანდელი თამაშის ყველაზე საინტერესო ეპიზოდი.

მე კი გუნება მომეწამლა რატომღაც, ჩუმაღ მიეპიჯებოდი.

მივადექით ნაძალადევში გადასასვლელ ხილს. აქ მივხვდით, სადაც მიე-
ყავდით ძია სანდროს.

— რა ეშმაკი კაცი ხარ! — შებედა ნოდარ ჯიშკარიანმა (ის სხვა ბევრ
რამესაც უბედავდა უფროს კაცს) და მხარზე ხელი დაარტყა. — ძველი ხარ,
ძველი, ჩემო სანდრო.

ხშირად გყოფილვართ ჩვენი ბრიგადირის ოჯახში. მერე რა გემრიელი
ბურშარული იყოდა! მოიღებნდა და მოგვალბენდა. სიმღერის ეშხით დაგვათ-
რობდა და ის სიამოვნება დიდხანს არ გვაიწყდებოდა.

ძია სანდროს მუშათა ძველ უბანში, ნაძალადევში ედგა საკუთარი სახლი.
სახლი ბალით ჰქონდა დამშვენებული, ნამდვილ სოფლურ ყაიდაზე.

ქიშკრიდანვე ვიგრძენით, რომ ძია სანდროს შინ სუფრა ჰქონდა გაშლი-
ლი. მისი გათხოვილი ქალიშვილიც მოსულყო მეუღლით და დედას მიხმარე-
ბოდა. ჩვენ გვიცდიდნენ. ბიჭებმა მხრები შეათამაშეს და წელში შესწორდნენ.
დასახლისებს ხალისიანად მივესალმეთ. ისინიც ხალისით დაგვიხვდნენ.

ცოტა ხნის შემდეგ სუფრას შემოვუსხვდით.

— ძია სანდრო, რომ წაგვეგო? — შეუძახა შიომ, — ეს პურმარილი?

— ვიცოდი, რომ მოიგებდნენ... აბა, ბიჭებო, კარგა დასხვდით, თავისუფ-
ლად. შენა, ჯო, ცოტა ჩაიწი. შენა, ბიჭო, ფაშასავით რომ გავიშლია მხრები,
აბა, ცოტა აქეთ გამოიწი. შენ რა ყურები ჩამოგიყრია?! — ახლა მე მომიბ-
რუნდა მასპინძელი. მერე სკამები მისწი-მოსწია, სუფრას სადაც რა აქლდა,
მიუმატა, იქით ქალებს რაღაც უბრძანა და თავისი სიძე მოიხმო სუფრის
თავში!

სიძე იყო მთასავით ვაჟკაცი, შავგვრემანი და როხროხა.

ძია სანდრომ თქვა, თამადაღ ეს იქნებაო ვიცოდით თედოს თამადობის

ემში და მარილი. შოფერი იყო თვღო. არ ვიცი, რომელი მანქანის კაბინაში
ვტეოდა.

წამოდგა თვღო და თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგა. ჯემსონს
ჩინმა, რომელიც თამადის მოადგილედ აირჩიეს, თავი გამოიღო, სანამ
დავდებ, თამადა სმაში ვერ მაჯობებსო.

თამადამ ღიღი ყანწი მოითხოვა.

— აბა, ის მოიტოო, — გასძახა თავის მეუღლეს და რომელიღაც კარადის
თავიდან ორი უშველებელი რქა გადმოიღეს.

არ მომწონს, სუფრაზე ღვინოში რომ ჩაიხრჩვებიან.

თამადამ ყანწი შემართა და თქვა, ეს დავლიოთ და მერე, როგორც გენე-
ბოთო. ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს.

— რა იყო? — გაიღმა თვღომ.

ჯიშკარიანს მეორე ყანწი ეკირა და თავმომწონედ გასცქეროდა თამადას,
თვალეებს აპარპალებდა, ღვინომოწყურებული იყო და უსიტყვოდ ამბობდა,
დალევ და დავლევო.

თამადამ ჩვენი კოლექტივი, მუშაკაცის მარჯვენა და ჩვენი საქმე დალოცა
და დალოცა.

ჯიშკარიანს ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა, თამადას ყველაფერში ვეთან-
ხმებო, ჩაიღმა, ულვაშზე ცალი ხელი გაისვა და ყანწი დაცალა. დაცალა და
ღვინოს ფრჩხილზე ისე დააკაჯუნა ყანწის სატუჩე, წვეთი ღვინო არ წამოსუ-
ლა. ჯიშკარიანს ლოყები აეწვა. თვღოსაც ასევე დაემართა.

სხვებმა რის ვაი-ვაგლახით დაცალეს ყანწი. შიოს გულზე ჩამოედგარა
ღვინო და რაღაც გაუგებარს ბურტყუნებდა.

ყანწზე უარი ვთქვი. თამადამ დინჯად გადმომხედა, ლალატი არ იყოსო.
ნოდარ ჯიშკარიანმა, აბა, უნდა დაცალოო.

— სავალდებულოა? — მოვუქერ მკვახედ. გუნებაზე ისედაც არ ვიყავი
და თანაც ჯიშკარიანი ლევანის მეგობარი გამოდგა.

— უნდა დალიო! — მომამახეს აქეთ-იქიდან ბიჭებმა.

— არ დავლევ!

— ლეო, შენ კარგად სვამდი...

— ახლა არ მინდა! — გავჯიუტდი.

— როგორ! ჩვენ მამ... მამ მე თამადა არ ვყოფილვარ!

— ნუ დაძალებ. როგორც გეაიამოვნოთ, ბიჭებო. — დაიძახა ძია სანდ-
რომ და მაშინვე მომეშენენ.

თამადამ მაინც ჩაიბურტყუნა:

— ესე არ ვარგა, თორემ, შენ იცი!

აბა ის იყო კარგი? სუფრიდან რომ ავიშაღეთ, ზოგი მწვარივით გამო-
ვიტანე ძია სანდროს კარმიდამოდან. თამადას რა უქირდა: მთა იყო და ღვი-
ნის პატარა ნაკადული რას დააკლებდა! ჯიშკარიანს კინწი მოსტყდა და ჩემი
სათრევი გახდა. გზაში მლოწნიდა და ძმობას მეფიცებოდა. ის მაინც არ და-
ვიწყებოდა, ლევანზე რომ ვკითხე, ორ ტყუბ თითს თვალებთან მიტრიალებდა
და მეუბნებოდა, ასე ვართ, აი, ასეო.

მარტო რომ დავრჩი და ჩვენი უბნის აღმართს შევყევი, მხოლოდ მაშინ
გამახსენდა აეტობუსი.

ამ ბოლო დროს მაინც სულ არ მივიჩქაროდი შინ.

ნასვამი ვიყავ, მაგრამ არც ნაბიჯი შემშლია, და არც ჩემს გონებას
აქლდა სინათლე.



მთელი ზაფხული არაად არ შემხვედრია მათ. ალბათ აგარაკზე იყო წასული. ან ზღვაზე ხატავდა ლამაზ სანახებს, ან მთის ლამაზი კალთებზე ვალეები გადაჰქონდა ტილოზე. მე არ ვიცოდი, სად იყო. ის იყო ჩემი გულში. თითქოს ეხედავდი მას ფუნჯით ხელში, ხატავდა ცისფერ მთებზე.

ძია სანდროს არაფერს ვეშალავდი, ყველაფერს გულწრფელად ვეუბნებოდი და ისიც მარტოებდა. იმ დღეს მე და შიო ლალიძის წყლებთან რომ შევესწართ, არც ის დაუშვალე. მაშინ კი შეფიქრებინა.

— მო, რა ვიცი... ცხოვრების ასავალ-დასავალი ისეა მოწყობილი... — თქვა ღრმამნიშვნელოვნად.

იმ უცხო ვაჟის გამოჩენამ არივ-დარია ჩემი ტკბილი ფიქრები და არ ვიცოდი, ჩემი სიყვარულის ამბავი რითი დასრულდებოდა.

უკვე ვიგრძენი, რომ ეს სიყვარული იყო. არც არავის აეხსნა, არც არვის ესწავლებინა ჩემთვის მისი საიდუმლო ანბანი. სიყვარული ადამიანის დაბადებასთან ერთად დაიბადა და გულიდან გულში გარდამავალი მაინც ხელახლა იბადება.

მეც ეს გრძნობა დამებადა თუ არა, უმაღლესი თავი უძილო ღამეებით, მათა ნახვის დაუმცხრალი წყურვილით...

სიყვარულმა ჩემს გულში სილამაზე შემოიტანა და ცოტა არ იყოს, დამადინჯა და ჩამათქვრა. ჩამათქვრა უმნიშვნელო წვრილმანებზედაც კი.

ამ დროს ქუჩა გაჰყავთ, ჩვენ ერთ ოთახში გვიპირებენ შესახლებას და იმედით გვესებენ, დროებითო; ამ დროს ის ვიღაც უცნობი ჩადგა ჩვენს შორის; ამ დროს ლევან ნიჟარაძემ გული მომიწამლა; ამ დროს სხვა წვრილმანი უსიამოვნებანი შემხვდა, მაგრამ ყველაფერი ჯანდაბას.

კვლავ მადვიძარა მადვიძებს დილით ტკბილად ჩათვლემილს. მთელი ღამე ფიქრმომალებულს განთიადისას ძილი მომერევა ხოლმე.

ლაბაური ძლიერ დამიმეგობრდა.

ერთხელ შეხვეწებისას მალალ ხარაჩოზე ჩამოვსხედით და ქალაქს გავხედეთ.

— კიდევ რამდენი რამ არის ასაშენებელი! — ვთქვი და ქალაქს მზერა მოვაკლე.

— შენ რა ვიჭირს, მალე ინიჟინერი იქნები და იქნებ აღარც გვიკადრო, — ღიმილით მითხრა შიომ, — მეც რო მესწავლა...

— მერედა რატომ ვერ ისწავლე?

— რა ვიცი... დედა ლოვინად ჩამივარდა. ოჯახი მე დამაწვა კისერზე და...

— არც ახლაა გვიან, შიო.

— რაღა არ არი გვიანი... ორი წელი გავიდა მას აქეთ, რაც სკოლას თავი დავანებე. აღარაფერი არ მახსოვს. ახლა შენგან აგურის დაწყობას ვისწავლი და ეგებ ეს ხელობა გამოვადგეს.

— დაცა, დაცა, შენი ლაპარაკი არ მომწონს. ხომ შეგიძლია მოზრდილთა საღამოს სკოლაში შეხვიდე?

— არაფერი მახსოვს-მეთქი, გეუბნები და არა გჯერა.

— გავიხსენოთ, შე კაი კაცო.

— რომელი ერთი უნდა გავიხსენო!

— ყველაფერი, რაც ვისწავლია. მეშვიდე კლასი ხომ დაამთავრე. მერ-

ვეში დაჯდები და საშუალოსაც დაამთავრებ. ამასობაში ისეთი ოსტატი დადგები! პირველ რიგში მიგიღებენ უმაღლესში. მერე ჩვენ ინჟინრები ვიქნებით და უფრო კარგ შენობებს ავაშენებთ.

- ენა ადვილად იტყვის.
- რაღა ვითხარ, გამიგონე. შენ წიგნები იშოვნე, საღამოობით დაეკადრე.

აუჯღუტო.

- შენცა?
- მეც. პო, რა იყო! დაგებმარები, თუ საწყენად არ დაგჩნება. ყველაფერი კარგად მახსოვს. მათემატიკასა და ფიზიკას ახლაც ვსწავლობ.
- დაიცა, შენ რაღაც, ისე... — შეწრიალდა შიო.
- გატყობ, გეზარება... პო, პო, ხანდახან აგურის მოწოდებაც კი გეზარება ხოლმე. თუ ჩემი მეგობრობა გინდა, ასე ვქნათ. ხვალ საღამოსვე დავიწყეთ.

- პი!
- რას იცინი?
- რა ვეცი, გულში რაღაცამ მომიღიტინა და გამეცინა. ისე არხეინად დავტოვე სკოლა, მე ვთქვი, აღარ მიეუბრუნდები-მეთქი.
- ნუ მიუბრუნდები. ხომ ხედავ რა ტექნიკა შემოდის მშენებლობაზე. აბა, უცოდინარს ვინ გაგაჩერებს აქ.
- როგორ რა, მუშები არ უნდათ? ხომ ვხედავ, რომ ჯერ უნდათ...
- მალე ყველაფერს მანქანები გააკეთებენ.
- გალესავენ კიდევ?
- მზამზარეულ ბინებს მოიტანენ ქარხნიდან... არა, მითხარ, ხვალიდან დავიწყეთ თუ არა მეცადინეობა?

თავი ჩაქინდრა, რა ვიციო, ზანტად თქვა და წამოდგა. მეორე დღეს გაზეთში შეხვეული რაღაც მოიტანა. თავის სუფთა ტანსაცმელთან ერთად დასდო. მეცადინეობაზე არაფერი ვუთხარი. ისიც აღარაფერს ამბობდა. მუშაობა რომ გავათავებთ და ტანსაცმელს ვიცვლიდით, ჩაიბურტყუნა:

- წამოვიდე?
- სად უნდა წამოხვიდე? — განგებ ვკითხე.
- შენთან. ხო მითხარი.
- ჩამეცინა. ახლა ის ამიხიარდა, რას იცინიო.
- გულში რაღაცამ მომიღიტინა და ჩამეცინა. ასე, ჩემო შიო. დღეს შინ გემრიელი სადილი მაქვს. ვისადილოთ და შევეუდგეთ.

და შევეუდგეთ.

იმ ღმერთგამწყურალს ყველაფერი დავიწყებოდა. მე რომ ანი და ბანი მეჯონა, იმისთვის უმაღლესი მათემატიკის ფორმულები იყო. „უნდა ისწავლოს უნდა ისწავლოს!“ — ვაჯერებდი და ვავუღიანებდი ჩემს თავს. თავიდანვე მოთმინებით და დინჯად შევეუდექი მისწავლებლობას.

იმ პაპანაქებაში კარგად ვაყოლებდი გულს. ქალაქი გაკრეფილი იყო აგარაკებზე. მე და შიო კი სამუშაოზე აგურის წყობით ვიღლებოდით და საღამოს წიგნებს ვაშრიანებდით. დედაჩემი სოფელში გავისტუმრე და ბურთა და მოედანი მე და შიოს დაგვჩა. ერთხელ პაპა გაბრეღმა თავის ბაღში მიგვიწვია, ელნათურა ჩამოგვიკიდა და მას უკან იქ ვმეცადინეობდით. ხეივანში მშვენიერი „საკლასო ოთახი“ გვქონდა მოწყობილი.

პირველად ვუთმენდი შიოს. მერე შიგადაშიგ გულიც მომდიოდა, როცა



ახსნილს ვერ იმეორებდა ანდა სულ მალე ავიწყდებოდა. ვატყობოდა, რომ მთელი დღე პაპანაქებაში აგურის მოწოდება ისე არ ღლიდა, როგორც პაპანაქების მადის საამურ სიგრილეში წიგნის კითხვა. სიმწრის ოტრანსეკტა რაედა. ეზარებოდა, მაგრამ ვერაფერს მიბედაედა. როცა მეტყველებდა, პოვრჩებოდით, ერთი ღრმად და თავისუფლად ამოისუნთქავდა და მაშინვე გა- მხიარულდებოდა.

ასე მიდიოდა მცხუნვარე დღეები და ცხელი ღამეები.

ჩვენს უბანში ჯერ კიდევ სიმშვიდე იყო. აღმასკომელები ალბათ აგარაკ- ზე იყენენ და ქუჩის გაყვანას არაფერს ფიქრობდა. რიხით დაიწყეს ლაპარაკი, მაგრამ ერთი მუშაეც არ გამოჩენილა.

ღერგალი ნიკო ლუდის მოსატანად მიდიოდა და ჩვენს კართან შემხვდა.

— წამო, ლუდს დაგალევივებ, — მითხრა მან.

— გმადლობ, ძია ნიკო. შინ ერთი წუთით შემოვირბინე, სხვაგან მიმეჩ- ქარება.

— ჯეელი კაცი ხარ და... — მითხრა ქარაგმულად, მინის ქურჭელს გა- ხედა, რომლითაც ლუდი მოქონდა ზოლმე, მერე სიტყვას გადაუხვია: — მიჩემდნენ პა?

— რა ვიცი. აღარაფერი ვამიგია.

— ლაპარაკად დარჩა! — ხელი ჩაიქნა ხეიბარმა. — რამდენჯერმე შეე- კარი ბარგი, რამდენჯერმე სიხარულით ზეცას ვეწიე...

— პაპა გაბრიელი დამშვიდდა. იმას არ უნდა ეს ახალი ქუჩა.

— მე მინდა ძმაო, მინდა. ჩემისთანა გაჭირვებული ბევრი მოითქვამს სულს, როცა ეს ქუჩა გაიჭრება, როცა აგერ იმ მინდორში სახლებს დად- გამენ. სულ სხვა ცხოვრება იქნება. მთავარი ბინაა.

— ალბათ მალე მოგეცემენ, ძია ნიკო.

— მე კი ჩემი დამემართა და. ამ ჩემ ქობახსს შეჩვეულ-შეგუებული ვიყავ. ამღერდეს და როგორღა მოვისვენებ, კარგ ცხოვრებას დამპირდნენ და გიყი ვარ, მოვისვენო? წამო, ლუდი დაელოთ.

— გმადლობ, მივდივარ-მეთქი.

— შენ იცი. ისე, კარგს კი იზამდი, წამოსულიყავ, — თქვა და ლუდის მოსატანად წაეიდა.

მე შიოსთან მიმეჩქარებოდა. ახალი მუუღრო იდგილი დავიგულეთ და საღამოობით იქ ვხედებოდით ერთმანეთს. მე უკვე გულში ვზეიმობდი. პირ- ველ სექტემბრიდან შიო კვლავ დაუბრუნდებოდა სკოლას.

თავი მათი

შაინე როგორ გაიჭიმა ის მწველი ზაფხული!

ახალი ხუთსართულიანი სახლი წამოვიწყეთ. ჩვენი ბრიგადა, თავის სა- მუშაოთა მწარმოებელით, უცვლელად დაადგა ახალ სამუშაოს. ჯიშკარიანმა ერთი-ორჯერ კიდევ გვაპურმარია რჩეული ბიჭები. არ ვიცი რატომ და ძალიან ხელგაშლილი იყო. ძია სანდროს არ მოსწონდა ჯიშკარიანი. ალბათ მიზეზი ის იყო, რომ მშენებლობაზე ხშირად გვაკლდებოდა მასალა. ამ დროს ჩვენი სამუშაოთა მწარმოებელი არხეინად ჩაივლიდა ხარაჩოზე. ძია სანდროს გული მოსდიოდა, იწყინერს ეღუდღუნებოდა, იწყინერი კი მხარზე ხელს დაარტყამდა, როგორც ტოლი ტოლს, და ღიმილით ეტყოდა:

— ძეელო, ნუ ეხარობ! ყველაფერი იქნება.

„ძეელი“ კი მართლა ვერ ურიგდებოდა ჩვენს მოცდენას.

ჩვენც ვღრინავდით, როცა ხელში მასალა შემოგველეოდა, როცა უკვე მიზნოდნენ საათები, როცა სადღაც ვიღაც იმედის თვალით შემოგვეურებდა, სადღაც ვიღაც უკვე ოცნებაში ხატავდა თავის ლამაზ, კეთილმოწყობილ ნას...

ჩქარა, ჩქარა, ჩქარა! — რეკავს ჩვენი საუკუნე.
ჩქარა, ჩქარა, ჩქარა! — რეკავს ყოველი წელი, თვე და კვირა, ყოველი დღე და ყოველი საათი. წუთები წყვეტენ დიდ საქმეებს.

აგერ ეზოში ტრიალებენ ამ სახლის მომავალი ბინადრები. მოდიან კენტად და წყვილად.

— მალე იქნება? — გვეკითხებიან ისინი.

— მალე, სულ მალე... როდისთვის დაგპირდნენ?

— იანვრისათვის.

— დეკემბერში სახლს ჩაგაბარებთ.

— მართლა?! — თვლებში სიხარულის სხივი უელავთ, ლამის გადაგეკონონ. მერე დგანან და გვიყურებენ. მე კი ცეცხლი მცვივა ხელიდან, აგურს სწრაფად ვაწყობ, ლამაური ხენების, ბუზღუნებს, მაგრამ შინც გამალებით ნამარაგებს აგურით.

ხან კი... ჩამოვსხდებით და ბუზებს ველაპავთ. ველით აგურს, ველით ცემენტს, ველით ხე-ტყეს... ჯიშკარიანი კი ხარაჩოზე სტვენით ჩაირბენს. ჰია სანდრო მკერდზე მიისე-მოსივამს ხელს და ღრინავს. მერე ჩვენც ვღრინავთ, მერე მობინადრენი აწუწუნდებიან, მხრებს უნდობლად იჩეჩენ, შინ დაღონებულნი ბრუნდებიან...

ბირობა გატეხილია, სახელი შერცხვენილი.

როცა ხელში აგური მავს და ამ აგურს აგურზე ვადებ, ვინ იცის, როგორ განვიციდი კედლის შენებას. მალღდება კედელი და მეც ვიზრდები. ამით ვიღაცის ბედნიერება იზრდება. ამით ჩემი ქალაქი და ჩემი ქვეყანა იზრდება.

— შიო, ჩქარა! — ვუყვირებ ლაბაურს.

ლაბაურს ოფლი წურწურით სდის, ხენების, და მოდის აგური...

— ჩქარა! — კვლავ ველარ ვითმენ.

მაგრამ, როცა აგური არ არის, ლაბაურს სახე ჩამოსტირის, კვლავ მებუზუნდება:

— ზოგი ეხლა თქვი, ჩქარა, ჩქარაო!

სექტემბრის ერთ კვირა დღეს ლაბაური მესტუმრა. უკვე საღამოს სკოლაში დადიოდა და ამიერიდან ხანდახან თუ წაეხმარდი ხელს. ამიტომ ჩემი იშვიათი სტუმარი ვახდა. ახლაც ვიფიქრე, რაღაც გასჭირებია-მეთქი. თურმე გზაში აჩქარებით ველო და ძლივს მითხრა, ვნახეო.

— ვინ ნახე, ბიჭო?

— შაია.

— სად შეგხვდა? — გული აჩოჩქოლდა, გულმა ველარ მოიხვეწა.

— გულში ფიქრის გორის აღმართზე ვნახე. იჯდა და მთებს ხატავდა. შენ რომ მოგწონს, ისეთ მთებს. ახლო ჩაუვარე და დავიწახე. მივესალმე და მომესალმა, მაგრამ არ გავჩერებულვარ.

— რა დროს იყო?

— ნაშუადღევს, მყუდრო ადგილი კი მოეძებნა. ეშმაკად ავეხეტე ვერის ხიდიდან და ემანდ არა ზის ჩვენი მხატვარი!

— ციხეგრ მთებს ხატავდა?

— ჰო, სულ ლურჯად და ცისფრად ჰქონდა მიხატულ-მოხატული.

თეატრი ლიტერატურაში * ცინსტარი მთავარი *

- ნეტავ ვის უხატავს ცისფერ მთებს?
- რა ვიცი.
- განა შენ გეკითხები, ბიჭო!
- მაშ ვისა?
- ?!

ამ დროს-ის ყმაწვილკაცი თვალთაგან არ მშორდებოდა, მაიასთან ერთად წყალს რომ სვამდა. როგორ ბედნიერებმა ჩაიარეს რუსთაველზე! ქალვას ერთმანეთი უყვართ. უყვართ კი? იქნებ კარგი მეგობრები ან ნათესავეები არიან? განა არ შეიძლება ნათესავეებმა მზიარულად ჩაიარონ რუსთაველზე?

ფიქრმა წამილო და ლამაური პირდაღებული მომაჩერდა.

— ასე ძალიან შეგიყვარდა? — არ მომეშეა და ფიქრიც გამიფანტა.

არაფერი ეუთხარი. თვალი მოვარიდებ და გარეთ გავიხედე.

ლამაური რომ წავიდა, დავკარ ფეხი და ფიქრის გორაზე გავჩნდი. მაია არსად არ ჩანდა. „მომატყუე, ლამაურო... მომატყუე?!“

ლამის ფორთხვით შემოვიარე ვარაზისხევის ფლატეები. მთლად მოვიბრუნე ფიქრისგორის პატარა ქუჩები.

მერე წავედი და ხევის პირას ჩამოვეკეი.

სექტემბერი საოცარი თვეა თბილისში. ტყილი სითბო ტრიალებს, ხეები შექრელებას იწყებენ. გაზაფხული გეყმაყ ნაკადულსა ჰგავს, შემოდგომა კი მღორე მდინარეს, უხვსა და ბარაქიანსა.

შორს მთები მოჩანდნენ. ჩემსა საოცნებო ცისფერი მთები, აგრერიგად რომ მიზიდავენ და მზიბლავენ ნაზი ფერადოვნებითა და სიდიადით.

მაია არა ჩანს.

წამოვდექი და გულდაწყვეტილი წავედი პატარა შუკით. მივდივარ ნელა.

— ლეო!

შევკრთი.

ჩემს წინ მაია იდგა. ნამდვილი, ცოცხალი მაია. მზეზე დამკრახული.

— გამარჯობა! — ვლულულუღებ სიხარულით ელღანაცემი. უხერხულად ვიმშუშნები, ვიღიმები, მაგრამ ვგრძნობ, რომ დაბნეულს სასაცილო შეხედულება მაქვს.

— გამარჯობათ, ლეო... გუშინ თქვენი ამხანაგი დავინახე აქ, ღღეს თქვენ...

— მან მითხრა. მითხრა, რომ თქვენ ცისფერ მთებს ხატავთ. პეიზაჟიც გყვარებით.

მაია გაბედულად და ჯიქურად მიყურებდა. არ ვიცი იმ წუთში რას ფიქრობდა, ასე დაფინებით რატომ შემომცქეროდა. თითქოს გავიგონე კიდევაც მისი პასუხი:

„მერე თქვენ რა, მე რომ ცისფერ მთებს უხატავ?“

„მერე თქვენ რა, მე რომ პეიზაჟი მიყვარს?“

„მერე თქვენ რა...“

— ძალიან გიყვართ მხატვრობა? — მკითხა მაიამ. მკითხა და ამ კითხვამ ვამომაცოცხლა.

— მიყვარს და მერე როგორ! ცისფერი მთები, შორეული მთები მე ჩემი მომავლის სურათად მაქვს წარმოდგენილი. მწერალი ან მხატვარი რომ ვიყო, უთუოდ სხვანაირად ვიტყოდი ამას. მაია, მპატიეთ... ჩემმა მეგობარმა მითხრა, ცისფერ მთებს ხატავსო და რალა მომასვენებდა. შეიძლება გიყუროთ, როგორ ხატავთ?

— მიყურეთ. სამ საათს ვიმუშავებ. თქვენ გაქვთ ამდენი დრო?



- მხატვარმა მარტქა. მოგწონს?
- ძალიან კარგი სურათია. ახლა შავას ჩარჩო უნდა.
- ჩარჩოს ხვალვე გავუყვებ. ხომ კარგი საჩუქარია?
- ეინ არის ის დალოცვილი, ასე რომ გავახარა.

დედას დავუმაღე.

მეორე დღეს კი ლაბაური ისევ მოვიყვანე შინ, სურათის თაობაზე ერთ-
სიტყვაც არ დამცდენია. როცა ოთახში შევედი და კედელზე «ცისფერი
ნოტი» დაინახა, პირი დააღო და გაოცებულმა შემომხედა.

- ლეო, საიდან?
- მარტქა.
- ყოჩაღ, ბიჭო! მომილოცავს!
- რას მილოცავ?
- ქორწილს მალე ექამთ.
- საიდან მოიგონე.
- როგორ თუ საიდან. მაშ ვერაფერი გამიგია ამ ქვეყნისა.
- შენ პირს შაქარი, რომ ასე იყოს, მაგრამ...
- არა, ეს კარგი სურათია. შენ გენაცვალე, რა ნიჭიერი ქალია. ღმერთ-
მანი, სულში უნდა ჩაისვა და მაგის გულისთვის... ოჰმე, შენს ადგილზე რომ
ვიყო, რას არ ვიზამდი!

თავი მეთერთმეტი

მაია შემხვდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის, უნივერსიტეტისა და სამ-
ხატრო აკადემიის სტუდენტთა საღამოზე.

და პირველად გავაცილე შინ.

გზაში ერთმანეთს ვუზიარებდით საღამოს შთაბეჭდილებებს და აგერ მი-
ვედით კიდევ ბარნოვის ქუჩაზე, სადაც მაია ცხოვრობდა.

გამომშვიდობებისას თავის დღეობაზე დამპატიყა, ოცდახუთ ოქტომბერს
არისო.

პირველად უნდა წაესულიყავი ქალიშვილის დღეობაზე. და მერე ვის
დღეობაზე! დღევებს ვითვლიდი, საათებს ვითვლიდი. ორი კვირით აღრე დამ-
პატიყა და მთელ წელიწადად მექცა ის ორი კვირა. ჩემად ვემზადებოდი. გუ-
ნებაში ვსახავდი გეგმებს, როგორ უნდა დამეჭირა თავი მაიას ოჯახში... მა-
ფიქრებდა ერთი გარემოება: მაიას დღეობაზე იქნებოდნენ ჩემთვის უცხო
ადამიანები. როგორ გავშინაურებოდი მათ, რომ უხერხულად არ ემჯდარიყა-
ვი სუფრაზე?

მაია უკადრისა და თავკერძა არ ჩანდა. მომწონდა მისი უბრალოება და
წარმოვიდგინე, რომ მეგობარ-ამხანაგებიც სწორედ ასეთები ეყოლებოდა.

დადგა ნანატრი დღე. ვიყიდე საჩუქარი და წავედი. მაია კართან შემეგება
და შემოყვანა ახალგაზრდებით საესე ოთახში. ეინ ნარდს თამაშობდა, ვინ
ქადრაკს.

აგერ ის ვმწეილი, იმ საღამოს რომ ენახე მაიასთან ერთად. ისიც აქ
არის. ნარდს ეთამაშება ვიღაცას. ხელი ცოვად ჩამომართვა, სახელიც მითხ-
რა, თეიმურაზი მქეიარ, ყურადღება აღარ მოუქცევია ჩემთვის, კამათლები
გულმოსულმა გააკარა. ვიფიქრე, ჩემზე ხომ არ არის აღრენილი-მეთქი. როცა
ნარდს თვალი გადავაკლე, მივხვდი, რომ აგებდა.

«თეიმურაზი და მაია, მაია და თეიმურაზი»... რად მომიყვანა მაიამ, ოუ-
ესეც აქ იქნებოდა?



საქართველოს
წიგნების
კავშირი

თბილისი ბოლოლაკი * ციხეში მთავარი

ამხანაგიაო, ასე გამაცნო მამამ. ჩემზე არ უთქვამს, ვინ ვიყავი მისი, ნორმი, ამხანაგი თუ მეგობარი.

ერთი ხელი ვეთამაშე მოგებულს. მოეუფე. ახლა სხვა დაჯდა. მოგვეგე. ვეთამაშობდი დინჯად და არავის არ ვუყურებდი, რადგან ნოღა იმდენი უცხო ხალხისა.

კიდევ ერთი ხელი მოვიგე და ნარდს ახლა თეიმურაზი მოუჯდა. ვაკყარე კამათელი, დუშაში დაჯდა.

— ეს ვინ ყოფილა, კაცო! — დაიძახა თეიმურაზმა.

— არ მოგეწონათ? — ეუთხარა რატომღაც ჩემად. შევატყე, რომ იქნეულად შემომხედა.

— ითამაშეთ. ვნახეთ.

ეთამაშეთ. ვნახეთ. ცუვად აღვა და ამ ღროს მამას ბრძანებაც გაისმა, სუფრაზე გვიხმობდა.

— სხვა ღროს გეთამაშებით, — მითხრა სუფრისკენ მიმავალმა თეიმურაზმა.

— როცა გენებოთ.

სხვა არაფერი გეთქვამს.

სანამ სუფრას შემოეუხსნებოდით, მამამ დედა, ბიძა და ძალუა გამაცნო. მამა ფრონტზე დაქარგვოდა ჩემსავით. ბიძა და ძალუა ყოველ წელს მორიოდნენ მამას დაბადების დღეზე. ობოლ მამას აღზრდაში ბიძას დიდი წვლილი ედო და თავის შვილებში არ არჩევდა.

სუფრას მივუსხედით.

ვილაც თამაში ვაყი თამაზობდა. ცოტას ამლაშებდა. გოგონები ფხუყუნით დასციროდნენ და იმხელა თვალებს მიბრიალებდნენ, სად წაესულიყავი, არ ვიცოდი.

თამაზამ ჩემი სადღეგრძელოც წარმოთქვა. ვის არ შემადარა, რა არ მიწოდა... აფრენილი არწივი თუ ვეფხვი... სიტყვაკაზმულად შემამყო. მეც ღიმილით გადავიფხრიწე ტუჩები, მაღლობა გადავუხადე, გულში კი ვამბობდი, ნეტა არ მიქარავდე-მეთქი.

ვიმღერეთ. ჩემი ბანიც ვაეუროე. მეორეს უფრო კარგს ვამბობ, მაგრამ უცხო სუფრაზე წამოიწყება არ ვინდა! სხვებმა წამოიწყეს და მეც მოვძახე. ბოლოს ვათამაშდი და სიმღერაც წამოვიწყე. ჩემი ქებაც ვავიგონე, რა კარგა მღერისო.

ჩვენს ბრიგადაში ყველანი ემღეროდით. შესვენებისას რომ დავნაყრდებოდით, ჩამოვსხდებოდით კედელზე და, ღმერთმანი, ისეთ სიმღერას ზეერი ვერ იტყოდა.

ღვინო რომ მომეკიდა, ასე მეგონა მამას სიყვარული კიდევ უფრო გამაგოებდა.

მამაც, რა კარგი იყო იმ საღამოს! ვარდისფერი, თხელი კაბა ეცვა. მზიარულად იყო და ჩვენი გელხენდა.

იმ ღვინვაც ჰქონდა ბოლო. დამთავრდა იმით, რომ ვაყები ბანცალითა და ქრიამულით წამოიშალნენ. ქალიშვილები იმას ჩიოდნენ, გვიანიაო. ვაყები დაფაცურდნენ — ვის ვინ ყავდა გასაცილებელი.

ჩემსკენ არავინ მოდიოდა. მამას და მისიანებს რომ გამოვეთხოვე და ქუნაში გამოველ. გვერდში თეიმურაზი ამომიდგა.

— ბოღინში, შეიძლება თქვენთან ერთად წამოვიდე?

ავხედ-დავხედე. წავიღეთ-მეთქი, ვუთხარი. შესახებავად არა უშავდა რა, ვუყავი კაცი იყო. არც ხმამი აქლდა რიბი. ერთ სუფრაზე ნამყოფნი ვიყავით და ერთად გვევლო, რა მოხდებოდა!



ორივეს ელექტროშუქი გვანათებდა. ჩვენს გარდა ქუჩაში არაფერი იყო — დიდი ხანია მაიას დღეობაზე დადიხარ? — ვკითხე ჯიქერს.
ამას არ მოელოდა, ოდნავ უკან დაიხია.

— შერე თქვენ რა?
— ის, რომ დღეის შემდეგ აღარ ივლი!
შეკრთა. სახე შესაბოალოსი გაუხდა და მაშინვე მიხვდით, რა ვაჟაკი იყო.

— მე მიყვარს მაია. სულს მირჩევნია. აქვე რომ მომკლა, მაინც მიყვარს, — მითხრა ათრთოლებული ხმით. მე კი გამარჯვებულის იერით, ქედმაღლურად ვუზმერდი. ღვინო საოცრად მათამამებდა. მას კი, ეტყობა, გონება დაუჩლუნვა და კუნთები მოუდუნა.

ზევწნა დამიწყო. ამ ბოლო დროს მაია ცივად მიყურებს. აი მიზეზი რა ყოფილაო.

ბიჭოს, ძალიან კარგი, თუ ასეა-მეთქი, ცივად ვუთხარი.

სულ არ ველოდი, ისე გამარტყა სილა. ღონიერად შემომკრა, მაგრამ ფეხი არ მომიცვლია.

გაფიციებით, ჩემთვის ერთი ლექსი არ იყო. თავის ქებაში არ ჩამომართვათ, საკმარისი იყო ხელი გამეშალა, რომ... მაგრამ ხელი ლოყაზე მოვისწვი და ვუთხარი, სხვა დროს გაგისწორდები-მეთქი. გულში შურისგების ცეცხლი ავირთე და ბოლმა ჩავიკალი. ის აღმათ ელოდა საპასუხო დარტყმას. უკან გახტა და კედელს აჯკრო.

— მცემე, მცემე, რაღას უყურებ! — დამიყვირა და შევატყვე, რომ ხმაში ცრემლი გამოერია.

რომელი ქალი შეიყვარებს ასეთ ლაჩარს! შეეტრიალდი და სწრაფი ნაბიჯით გავწიე შინისკენ.

მე მაინც კარგი გუნება მიმეცებოდა, იმიტომ, რომ მაიას დაბადების დღეზე ვიყავი.

ვინ იცის, რამდენი ოჯახის გაბედნიერების მოწმე გავხდი. ჩვენს აგებული ხუთსართულიან თუ ოთხსართულიან სახლებში, ვინ იცის, რა ჯურის ხალხი არ სახლდებოდა.

— ეპ, შვილო, ეს სიცოცხლე კი გათავდა და! — წუწუნებდნენ მოხუცები, რომელთაც მთელი თავიანი ცხოვრება ცუდ ბინაში დაეღამებინათ და ახლა, როცა იმ ქვეყნის გრძელ გზას უნდა დასდგომოდნენ, ეღირსათ ბინა, სანათლე და სიკეთე. ცხოვრება ახლა იწყებოდა, მათი სიცოცხლე კი ბეწვზე ეკიდა.

მაგრამ იყვნენ სხვები, რომელთაც ბედნიერების შუქით ავსებოდათ სული, გული და თვალები.

სახლს დავამთავრებდით, ჩავაბარებდით და რამდენიმე დღის შემდეგ შენობა დიდი სკასავით აზუზუნდებოდა.

ჩვენი კომპლექსური ბრიგადის ნახელავი ყველას მოსწონდა. არც ონკანი იყო ხელახლა გასამართი და არც ელექტროგაყვანილობას უშავდა რამე. კარფანჯარაც რიგიანად იყო მორგებულნი, კედელი საშველიშვილოდ კოხტად აგებული.

ძია სანდროს ბრიგადა თავს არ შეირტყვენდა.

ხეიბარ ნიკოს ერთ დღეს უთხრეს, უნდა აიბარგოო, და ხელში სამოთახიანი ბინის ორდერი შეაჩერეს.

საყოფაღეს ისე გავხარდა, ბინის სანახავად არც კი წასულა. საიდინლად მოიყვანა საბარგო მანქანა და მეზობლები გვიხმო.

როცა საბარგო მანქანა მის ქობს მიაღდა, მანქანის კაბინა უფრო მალალო გამოჩნდა, ვიდრე ნიკოს „ციხე-სიმაგრე“.

ბავშვები ტივილ-ხივილით უკანასკნელად აყრუებდნენ თავიანთ კარმდამოს. ხეივანის მეუღლეს სიხარულისაგან ორი ქილა ხელიდან გაუვარდა. რომელი ნივთი უწინ დაედო მანქანაზე, არ იცოდა. ნიკოს ლაპარაკისას ქვედა ყბა უთრთოდა.

მე ისე მიხაროდა მათი ბედნიერება, ისე განვიცდიდი, თითქოს ჯიბეში მეც სამოთახიანის ორდერი მედო. სხვისი სიხარული გავიზიარე და მეც ბედნიერი ვიყავი.

— აბა, პა!.. ძია ნიკო, ჯერ ეს კარადა შეეცდეთ, მერე ეს შავიდა.

— პო, გადაეყვირაოთ და ისე.

— არ იშლება?

— არ იშლება ეს ოხერი! დასაშლელს მერე გვაყვებენ. სულ ჩემი ხელით გვაყვებენ. აქ გული არ მქონდა... ვერ უყურებ, რა ხარახურა მიგვაქვს!

— მთავარი ბინაა, ძია ნიკო. რომელი სართულია?

— მეოთხე.

— კარგია, რა უჭირს. აბა, პა... — შევხტი მანქანაზე. ძველისძველი კარადა ფრთხილად შევატურეთ ძარაზე. დურგალ კაცს ასეთი მორყეული კარადა არ უნდა მქონოდა! მაინც რამსიმძიმე იყო! ოთხმა კაცმა ძლივს ავიწიეთ. გულს არ მქონდაო. როგორ ვამტყუნებ. არც გული მქონდა და არც ფული. იმდენ შოშიებს ჰქამა ხომ უნდოდათ?! ბარაქალა ნიკოს, მაინც კარგად უძღვებოდა ოჯახს. ახლა ხენწმის, ქვედა ყბა უთრთის და ხის ფეხის ქუსლს დააბაკუნებს.

კაბინაში ხეივანის ცოლი ჩაჯდა. ახალგაზრდა ქალი იყო მარო, მაგრამ მე მაინც დეიდას ვეძახდი. ძარაზე შეყრილ მარგზე წამოვსკუპდით მე, ძია ნიკო, ორიოდ მეზობელი და ნიკოს ბალები.

ბაბა გავბრეღემა გზა დაგვილოცა და წავედით.

კარგა ხნის ჯანჯლარის შემდეგ ღრმადღეღეში მივადექით ხუთსართულიან სახლს. სახლი ქალაქის განაპირას იყო, მაგრამ ნიკოს კრინტიკ არ დაუძრავს, ამ სიშორეზე რად გადმოიყვანეთო. ჯერ საბურთალოს ნაპირებს „სდარაჯობდა“, ახლა ღრმადღეღეს დაუყენეს „დარაჯად“.

კაცი ისე იყო გახარებული, ადგილს რას დაეძებდა!

მანქანა გაჩერდა და შენობის მეოთხე სართულზე ავეცივდით.

ჩინებული ბინა იყო. კარი ცოტა კარგად ვერ ჩამოგვიდნათ ხელოსნებს. მაგრამ ნიკომ და მისმა მეუღლემ თქვეს, ეს არაფერიაო. ონკანები რიგინად არ მუშაობდა, მაგრამ ესეც არაფერიაო... ფანჯრებთან გაჩორკნილი ფიცრები იყო, დურგალმა, ესეც არაფერიაო... აბაზანაში რაღაც-რაღაცეები გასამარათი იყო, მერე რა უშავსო.

მშვიდობაში, მშვიდობაში, ძია ნიკო!

მშვიდობაში, დეიდა მარო!

თქვესც მშვიდობაში, გოგოებო და ბიჭებო!

იციოცხლეთ და გმადლობთ! თქვესც გაიხარეთ!

დეიდა მარო ცრემლს იშწენდა და მღელვარება რომ დაეფარა, ხან ერთ ფანჯარას გაუსვამდა ხელის გულს, ხან მეორეს, თითქოს სულიერ ახლოებულს შეხვდო, ისე ეალერსებოდა, ისე ეფერებოდა...

ბარგი ავზიდეთ.



თქვენს გოგონას * ცინსური მთები

არ ვიცი, საიდან გაჩნდა: ძია ნიკომ მაგიდაზე ორი ბოთლი ღვინო ჩამოღ-
ვა, მარომ ჭიქები, მწილი და პური შემოვლავა.

— დავილოცოთ! — თქვა ძია ნიკომ და ჭიქები შეავსო. ერქონესული

— ღმერთო, კეთილი იყოს ჩვენი ფეხი ამ ბინაში! — დაიქცა ნიკომი. საქონესული

ჩვენმა მეზობელმა. — ამრავლე და ჯანმრთელად ამყოფე ნიკო თავისი ცოლ-
შვილით!

— აქა მშვიდობა და დღეგრძელობა!

ჭიქები ნახევარ-ნახევარი დავლიეთ, ნახევარიც ჭერს შევასხით.

ძია ნიკო დავლოცეთ, ჭერი ღვინით დავუსველეთ და კიბეზე დავეშვიტ.
ქვევით მანქანა გველოდა, მეორე გზობაზე კიდევ უნდა მოგვეტანა ხარახურა.

თავი ათორმეტი

პაპა გაბრიელს გული უკვდებოდა, მაგრამ კარგად იცოდა, რომ მოსახ-
დენი უნდა მომხდარიყო. გაბრიელმა ქალაქის აღმასკომში სიარულს უხშირა.
ხან აღრენილი მოვიდოდა შინ და ვილაცას ლანძღავდა, ხან დაიმეცებულ
შეაღებდა თავისი კარმიდამოს ტიშყარს და ცოტა უხასიათოდ, მაგრამ მაინც
იყო ხმის გამცემი.

ერთხელ თავისთან მიხმო. ძალზე მოღლილი და გულგატეხილი ჩანდა.
ლაპარაკის დროს ქვედა ყბა უთრთოდა. იმ წუთში ვერ მივხვდი, რა უნდა ყო-
ფილიყო მისი ახალი ტკივილის მიზეზი. მაგრამ თურმე ძველი ჭრილობა გახ-
სნოდა და ის აწუხებდა.

— სახლი უნდა გადავდგა... აი, გეგმა. როგორც იყო მომცეს, — თქვა და
კულდაგულ დახაზული თავისი ეზოს გეგმა მაჩვენა. დახვდევ და მაშინვე
ამოვიკითხე: ბალი შუაში იჭრებოდა...

ჭეჩა, რომელიც ჯერ არ არსებობდა, მაგრამ ხვალ აი, აქ უნდა გასუ-
ლიყო, ჩვენს ბინასაც აცლიდა ნაწილს. მეც გამეხსნა ძველი ჭრილობა. დედა
მეცოფებოდა, თორემ მე რა... მე რა? როგორ თუ რა! ხვალ-ზეგ შიას ვეტყ-
ვი, რომ... გული ამიჩქროლდა და სწრაფად გამოველაპარაკე ჩემს თავს გუ-
ნებაში: სად მივყავა მერე? ვაჟაკი კარო, რით გააკვირვებ? ეპ, ეინ იცის, რა
შორი გზაა ცისფერ მთებამდე, მე კი მივჭრი, მივჭრი და გზაზე ათასი წვრილ-
პანია მოსაგვარებელი.

— გცალია? — მესმის პაპა გაბრიელის ხმა.

— რაზე მეკითხები, პაპა გაბრიელ?

— რაზე და... სახლი უნდა გადავდგა. აი, როგორც გეგმაშია... თორემ
ერთ მშვენიერ დღეს მოვლენ და დამინგრევენ ამასაც. ოსტატი ხარ და...

— გიმველი! ისევე ასეთი უნდა დავდგათ?

— ეგეთი. მე და ჩემს ბებერს გვყოფნის, მეტი რად მინდა. ორიოდ ხე-
ხილი დამჩრება და ამ ხეხილის ძირში დავლევ სულს. მერე, მე როცა აღარ
ვიქნები... — გაჩუმა, ღრმად ამოიოხრა და ბაღში აქეთ-იქით მიმოიხედა.
აფსუსს ბაღი!

პაპა გაბრიელი როგორ გამემტყუნებინა, როცა მე თვითონ ძლიერ
მწუხებოდა გული. მიწის სიყვარული და სიტყბო მართლა ძლიერი რამ ყო-
ფილა. მოხუცი ბაღით სუნთქავდა და მისით საზრდობდა.

ახლა როგორ მოიქცევთან, მოსტრიან ამ ხეებს?

— მოსტრიით? — ვკითხე პაპა გაბრიელს.



თინათინ ბოგოვალაძე * ცისფერი მთები *

— არა, — თქვა მკვახედ, — ეგრევე წაიღებენ. სადმე ბაღში დარჩები. იმ ბაღში მეზაღედ დავდგები.

ცრემლი მოერია და უმალ მოიწმინდა. მერე მითხრა, გაერიგდები ტატოო. რა-მეთქი?! აღმაცერად გავხედე. ამ ერთიციქუნა სახლის რა ბედენაა!

— პაპა გაბრიელ, ეს საქმე მე მომანდე, შენი კირიმე... ფულზე არა მითხრა რა.

მამ არ მინდაო, გაჯიუტდა. ითაკილა, ეითომ რაო, განა არ შემიძლია გასამრჯელოს გადახდაო. მაგრამ მე აგური აგურზე როგორ უნდა დამედო, როცა ფულზე მომირიგდებოდა ჩემი ტუბილი მეზობელი. ვმუშაობ, სახლებს ვაშენებ, ფულს იქ მძალევენ. მეზობელს მივეშველო და მასაც ფული გამოვართვა? მამ რაღას დეაჩქვა სიკეთე? მამ რაღას დეაჩქვა კაცური კაცობა და გაჭირების ქაშს მხარში ამოდგომა.

კაცი კაცით ცხოვრობსო. პაპა გაბრიელს ჩემი იმედი აქვს და ამ დროს მე ფულზე ვევაკრო?

სახლს დავუდგამ, ისეთ ლამაზ კედლებს ამოვუყვან, ლაპარაკი არ უნდა. მაგრამ, საქმე ის არის, ფული არ უნდა გამოვართვა. მერე პაპა გაბრიელი ყველგან თავმოწმონედ დაიკვებნის: „ისეთი მეზობელი მყავს, ისეთი, რომ!“ და განა ეს ფულზე მეტი არ არი? განა ყველაფერს, რასაც გვაკეთებთ, ფული და ხარჯი უნდა.

— მილიონს მომცემ? — უცებ შევეხუმრე და მხარზე მოვხვიე ხელი. მასაც გაელიმა.

— ნაკლებ არ იქნება. — დავუმატე მაშინვე.

— მერე გავსწორდებით, — არ დაიხია პაპა გაბრიელმა.

— ვნახოთ. — მივუგე და გუნებაში სხვა აზრმა გამიელვა. ეს აზრი მეორე დღეს ერთ ჩვენს მუშას გავანდე.

მოკლილი ხარო, მითხრა იმ დედამკედარმა და მაშინვე ამომგლიჯა გული. გავშრი და ენა მუცელში ჩამიყარდა. შიოს დაეუნახივარ და მაშინვე ზემთან განჩნდა.

— რა იყო, ლეო?

— არაფერი.

— რაღაც გაწყენინა ბონდომ.

— არაფერი.

— რას მიმალავ! რა, ვერ გავიგებ?! — თქვა ლაბაურმა და ბონდოს გამოუდგა.

ცოტა ხნის შემდეგ წელი ნაბიჯით მომიახლოვდა.

— გავიგე. რას მიმალავ! ეგ ამბავი ჯერ ჩემთვის უნდა გეთქვა. პო, ჩემთვის.

— რას ყვირიხარ!

— მე პაპა გაბრიელს... მის ბაღში ვიჯექით, იქ ვმეცადინებოდი... მე მიმალავ?.. მოგიკვდეს შიო!

— პო, დაიცა, რა იყო, ბიჭო!

— მე და შენ არ ვეყოფით? ერთ ოთახს კი არა, სამს დავუდგამო, სამს! მე წამოვალ, წუნჯალი ბონდო რად გინდა. მუშა კი არა, მაგის...

— პო, კარგი, ნუ იგინები...

— მამ რა მეგობრები ვართ. მამ ერთმანეთი რით გავიტანოთ. ფულით? მამ სადღაა სიყვარული, მეგობრობა?

სიტყვა აღარ მითქვამს. დაე, ყველას გასაგონად ეყვირა, მთელი ხმით ეყვირა შიოს.

იმ დღეს ექვსი კაცი შევეგროვდით, ექვსი კარგი მეგობარი. ხოლო ერთი დილა რომ გათეხდა, პაპა გაბრიელს შივაღუქი ხუთი ლომის ამალით.

გაბრიელმა ცალკე გამიხმო და შემწოთებით მითხრა: ერკუნულნი

— შეილო, სადა მაქვს ამდენი ფული. — მერე ხელი ჩაიქნია და მტკიცედ თქვა: დადგენილნი

— მილიონი უნდა, პაპა გაბრიელ, მილიონი, — გავიციან და ბიჭებს გავძახე, — აბა შევეუღვით!

და შევეუღვიეთ.

ლომებივით დავბღღვევით იქაურობა და სულ სხვა ადგილზე ჩამდენიმე დღეში კობტა სახლი წამოვიქვიმეთ.

თავი მეთხუთსი

დღეაღმე მამდენიმე დღით სოფელში წავიდა. წავიდა და მარტოდ დარჩენილს შინ გული არ მიდგებოდა.

ერთხელ მაიას შევხვდი. თეიმურაზთან წაყინვალეებზე არაფერი უთქვამს. ეტყობა არც კი გავგია. გუნებაში გადაწყვეტე, რაც იქნება იქნება, მერტყვი ერთ სიტყვას. უბრალოდ, ერთ სიტყვას. კაცს ასე კარგი სიტყვა მოუძებნია მთელი დავიდიარაბისა და დღლილის გამოსახატავად: „მიყვარხარ!“ — უკეთესად რას იტყვი.

მაგრამ ვერ ვუთხარი. ვერ გავებდე. ლანარი გამოვდექი და ვერ ვუთხარი. უსიტყვოდ და ულაპარაკოდ შემაშინა ამ პატარა გოგომ და ვერ ვუთხარი. ათასი რამ ვილაპარაკეთ, ბევრი რამ ვთქვი. ის ერთი სიტყვა კი სათქმელად ვეღვალზე ძნელი გამოდგა.

როცა შინ მივაცილე, უკვე ბნელოდა. მაიას გამოვემშვიდობე, გამოვტრიალდი და ის იყო მთავარი ქუჩისაკენ უნდა ჩამომეხვია, რომ, კუთხეში თეიმურაზი დავინახე. იღგა და თვალს არ მაშორებდა. რაღაც მოხლება-მეთქი, გავიფიქრე. მართალია, მაიას სიყვარულში ვერ გამოვეტყდი, მაგრამ გული ბინც ბედნიერებით მქონდა საესე. სისხლში მიდღღდა დღევანდელი სიხარული, ამ ჩემს ბედნიერებას სათუთად მივაქანებდი შინისკენ და ამ დროს... თეიმურაზი!

შევედექი. გამარჯობაო, მითხრა. გავიმარჯოს-მეთქი, მეც ვუთხარი. ალბათ შემატყო, კარგ ფერსა და კარგ გუნებაზე ვიყავი და მითხრა:

— ზეიმობ?

— მაგას რად მეითხები? აქ ვის უცდი?

— შენ გელოდი, — თქვა და წამოვიდა. წაშს დადუმდა, რადგან ამ დროს უკარგი ქუჩაში ერთმა ქალმა გაიარა (ალბათ გულისხმეთქებით) და მალე შევიდა რომელიღაც სახლის სადარბაზო შესასვლელში.

შევატყე, რომ თეიმურაზი სამტროდ იყო ჩასაფრებული.

ვიღაც უცნობი ყმაწვილკაციც გამოჩნდა. ასე, ჩემი ბნის იქნებოდა, დაბალი, ჯშუხი და საყელოგადაღული. თთხუთხა ნიკაბი ჰქონდა, დიდი ტუჩები და მუშტიარდენა თვალები.

გულმა ბაგბუგი დამიწყო.

— შენ ამის გოგოსთან რა გინდა? — ავღვებით მეთხა უცნობმა და თან თეიმურაზზე მანიშნა.

თავში სისხლი ამივარდა. „რას ქვია „ამისი გოგო“ ვისი და რისი გოგო, თქვე ოხრებო!“

— რაო, რაო? — მეც ავღვებით ვუთხარი და დონჯი შემოვიყარე.



მოულოდნელად მაგრა შემომკრა. და აკი თეიმურაზმაც გამოიღო ხელი. ასე არ უნდა-მეთქი, დავატრიალე ჩემი ფუთიანი მუშტები. არის ხეწემა, და ვინება, ტანისამოსის ფხრაწანი, მუშტების ბათქაბუთქო. ქუჩის ხანსაჲს ზხარეს ვაწყდებით, ხან მეორეს. წამს თეიმურაზი გაჩნდა ჩემს წინ. გატყდა პული და გადაარეული იყო, ტუჩი გასკდომოდა და სისხლი თქრიალით სდიოდა, პერანგი ჩამოხეოდა და თმა გასჩეჩოდა. როგორ თავგამეტებით იბრძოდა! მერე არ ვიცი სად გაქრა. ერთიღა შემომჩრა ხელში. ახლა ამას ვეცი საყელოში და ის იყო გამარჯვება უნდა „მეზეიმა“ — ოთხმა მაგარმა მკლავმა შემბოჭა.

მივიხედ-მოვიხედე, მილიციელები იყვნენ.

— გამიშვით, არსად არ მივრბივარ, — ვთქვი გულამოხვდარმა და ახლა, როცა თავისუფლად ამოვისუნთქე და ტანისამოსი მივისწორ-მოვისწორე, ჩემს „მტრებს“ დახვდევ. ორივე ძირს ეგდო, ორივეს აყენებდნენ, ორივე რის ვაი-ვაგლახით დგებოდა ფეხზე.

მილიციელებმა ისევე მოამკიდეს ხელი, მუჯლუგუნი მკრეს და სამილიციო განყოფილებაში წამიყვანეს. ის ჩემი გაბერტყილებიც ჩემს გზაზე დააყენეს.

როცა სამორიგეოში შევედი, მილიციელებმა მორიგე ლეიტენანტს მოახსენეს, რაც მოხდა. ლეიტენანტმა, მალალმა, ლამაზმა კაცმა, მკაცრად გამომხედა, ასევე შეხედა თეიმურაზსა და მის მეგობარს; მერე მე მომიბრუნდა, რადგან ყველაზე ყოჩაღად გამოვიყურებოდი და ისეთი ხმით მკითხა, ნამდვილად მის გარეგნობას არ უხდებოდა:

- რაშია საქმე, ამხანაგო?
- საქმე იმაშია, რომ... მე ჩემთვის მივდიოდი და ესენი დამხვდნენ.
- დაგხვდნენ?
- დიახ, პატივცემულო ლეიტენანტო, ასე იყო.
- კარგა ხანია ისეთი ჩხუბი არ მინახავს, — სიტყვა „შემოგვაშველა“ ერთმა მილიციელმა. — ორსა სცემა!

— თუნდაც ოთხნი ყოფილიყვნენ...—წამოვიწყე, მაგრამ ლეიტენანტმა მუშტი ისე მაგრად დაქრა მაგიდას, სამელნე შეხტა. კიდევ ერთი მაგრად მიყვირა. მერე დაშოშმინდა და დაკითხვა დამიწყო. არაფერი დამიმალავს, სულ დაწერილებით ვუამბე, რაც მოხდა. არ დავმალე იმდამინდელი ამბავი, პირველად სილა რომ გამარტყა თეიმურაზმა, და არ დავმალე, თუ რა ზედნიერი მივდიოდი ამ საღამოს შინ...

ლეიტენანტი ჩუმიდ მისმენდა, შეფიქრიანებული მიყურებდა. მე უკვე დინჯად და დამშვიდებით ველაპარაკებოდი. შევატყე, რომ დამიჯერა, მაგრამ არაფერი მითხრა.

- მართალია? — შეხედა თეიმურაზს ლეიტენანტმა.
- ისინი შემკრთალნი იცქირებოდნენ. თეიმურაზი მაინც შემეცოდა. ასე ძალიან არ უნდა გამერტყა-მეთქი, — ვუთხარი ჩემს თავს.
- მართალია თუ არა? — კვლავ იკითხა მორიგემ, — თქვენ დახვდით? დუმდნენ.
- შენ გეკითხებიან, დახვდით თუ არა? — ლეიტენანტმა თვალი გაუსწორა თეიმურაზის ამხანაგს.
- დახვდით, — ამოიღულულუდა მან.

— უფრო მაგრად უნდა მოგხვედროდათ! — ლეიტენანტმა დამცინავი მხერა მოაშორა მათ და თავის აქნევით მითხრა, — თქვენ მიბრძანდით. თავისუფალი ხართ. ზვალისთვის ახსნა-განმარტებთი ბარათი უნდა დაგვიწეროთ.

ამაყად წამოვდექი, ტანისამოში ერთხელ კიდევ ჩავისწორე, მორიგეს და მილიციელებს გამოვემშვიდობე და გარეთ გამოვეღ. ახლა კი ვიგრძენი საოცარი



მოქანცულობა და გვერდების ტკივილი. მაგრად მომცხეს, მაგრამ მაგარიც გემოვნად მოვლექი.

ჩხუბისა და დავიღარაბის მიუხედავად მაინც კარგი გუნება მეშვევებოდა. შინ გამარჯვებას ვხეიშობდი და ეს ოხერი ხელისგული კიდევ მეშვევებოდა.

ეს კიდევ არაფერი. შინ ახალი ამბავი დამხვდა.

სახლს მიუთახლოვდი და გამიკვირდა. მთელი უბანი პროექტორებით განიარაღლენბინათ. ელექტრონის შუქზე კვამლი და მტვერი მოჩანდა.

როცა კარგად მიუთახლოვდი, უკვე დამხვდა პატარა, ნამდვილი ქუჩა. ჩემი კარმიდამო ველარ ვიცანი.

ასფალტს აგებდნენ. მანქანები ტკეპნიდნენ. თვითმცულეებს ასფალტის ცხელი მასა მოჰქონდა. გახურებული მუშაობა იყო. ისე ჩქარობდნენ, თითქმის იმ ღამეს რომ არ მოესწროთ, ქვეყანა დაინგრეოდა.

ჩვენი სახლი?

ჩვენი სახლი!

უცხო შეჩვენა. დედაჩემი შინ არ იყო. მთელი დღე მეც არ ვჩანდი. დღეს ნაინც 'ულ არ ველოდი, თორემ ფეხს როგორ მოვიცვლიდი შინიდან. შუაკარი აფიცირათ. გადარჩენილი ოთახის კართან პაპა გაბრიელი იჯდა. თურმე მე მელოდა.

— სადა ხარ, კაცო, აქამდე! — მისაყვედურა კიდევ. — აი, ხედავ?

— ეს რა ცეცხლი წაეკიდათ. დღეს ხომ კვირაა!

— გიყვებივით მოცუვდნენ და დასცხეს. ხედავ, რა შესძლებიათ! დამიძახეს, ეს სახლი უნდა დავანგრეოთო, მეზობელი ხარ და უპატრონეო. მე რა შესაქმება-მეთქი, დაუუცადოთ, ზიკი მოვა და მერე-მეთქი. არაო. იცოდა, რომ უნდა დაგვეგრია და განგებ გვემალეზაო. აქრნენ სახურავზე და ნგრევა დაიწყეს. ვეცი ბარგს და გამოვიტანე ამ ოთახში. მას აქეთ ვზივარ და გელოდები.

— გმადლობთ, პაპა გაბრიელ. შეხე, შეხე, რა ცეცხლი შენთებიათ! რაო, დილაზე მზად უნდა იყოსო?

— იპ! — ხელი ჩაიქნია პაპა გაბრიელმა, — მიხედე, მანდაურობა მისილაგებელია. — თქვა და ოთახში შემოიშვეა. ელექტროშუქი ავანთე და ელდა მეცა: ყველაფერი თავზე გვეყარა.

პაპა გაბრიელმა ჩალურჯებული თვალი და სისხლიანი პერანგი შემნიშნა.

— ეს რა მოგსელია? იჩხუბე?

— ვიჩხუბე და მერე როგორ!

— ვისა სცემე, ბიჭო?

— ორნი დამხვდნენ, მილიციაშიც ვიყავი... ეს არაფერი, შენ ისა სთქვი, ამ არეულ სახლს რა ვუყო. დედაჩემი მაინც იყოს აქ.

— შენ მიხედე, ცოლია ქალი... ასე ნუ დაახვედრებ. ეს კარიც ამოაშენე... რას იზამ... — თქვა და კედლის საათს შეხედა. — ერთი უყურე, რა დრო გასულა! დანგრეულ სახლს ხომ გაბარებ და... — ნალელიანად ჩაიციხა და წავიდა.

რა დამაძინებდა. მაშინვე შუაკარის ამოშენებას მივყავ ხელი. გარედან ხმაური შემოდოდა, ხმაურობდნენ მანქანები და ხალხი.

გათენებისას გამოუძინებელმა დაეკრტე სახლის კარი და სამუშაოზე წავედი. არაღისთვის არაფერი არ მიიტქვამს, ჩვეულებრივად/ვმუშაობდი და შიოს ვაქებდბდი, რომ საქმეში ცეცხლი არ განელეზბოდა.



ორი დღის შემდეგ საბინაო განყოფილების კაბინეტის კართან ავტორ-ლიაღლი.

- სხდომა, — ცივად მითხრა მდივანმა.
- დაეუცლი, — მეც ცივად მივუგე და სკამზე დაეჯექი.
- იცი რა... სულ ერთია არ მიგიღებს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ...
- რატომ? — კვლავ დინჯად ვეკითხები და მღელვარებას არ ვიშინებ.
- იმიტომ, რომ... კითხვა ხომ იცი?

— ვიცი. მერე რა! კითხვაც ვიცი და საქმეც. სახლებს ვაშენებ და ზინა არა მაქვს, იცით თუ არა!

— ჰოო, — გაგრძელებულად თქვა მდივანმა ქალმა, — ახლაც გამოგიწერენ ორდერს. დღეს მიღება არ არის და არ მიგიღებს.

— ამ კარიდან არ გამოვა?

— მერე, რას აპირებ?

— რას უნდა ვაპირებდე! ორიოდე სიტყვას ვეტყვი.

ზარი დაირეკა. განყოფილების გამგემ მდივანი ქალი მიიხმო. კარი რომ გაიღო, გრძელ მაგიდასთან დახრილი ათიოდე კაცი დაეინახე. ოთახი პაპიროსის კვამლით იყო გამოტენილი. ალბათ ისე ხშირად სწევდნენ, რომ ღია ფანჯრიდან გარეთ გასვლას ვერ ასწრებდა კვამლი.

მდივანი ისევ სწრაფად გამოვიდა კაბინეტიდან, ჩამიქროლა, საღდაც, რომელიც ოთახში გავარდა, იქიდან ვილაც წამოიყვანა, მერე ტელეფონით დარეკა, ახლა სხვას გამოუძახა.

ვზივარ და ვუცდი. მდივანი არც მელაპარაკება და არც მიყურებს. არც შევარ ლაპარაკის ხასიათზე. ნუ გამცემს ხმას. მირჩევნია კიდევ.

მისაღებ ოთახში რამდენიმე ქალი და მამაკაცი შემოვიდა. ისინი რიგრიგობით გამოჩნდნენ. ყოველი მათგანი ჯერ მდივანს გამოეცხადებოდა და მერე კედლის გასწვრივ სკამებზე სხდებოდნენ. ჩემს გვერდითაც შეიქნა ადგილება. ცხადი იყო, თავმჯდომარეს ელოდნენ. ქალები იყვნენ სხვადასხვა ასაკის, სხვადასხვა სიმაღლის, სხვადასხვა ჩაცმულობის. მამაკაცებიც ასევე. ზოგს მცირე ხელბარგი ჰქონდა, ერთი სანოვაგით იყო დატვირთული, ეტყობოდა ბაზარში გამოცელო და ახლა თავმჯდომარეს მოაკითხა.

დრო წელა მიაბიჯებს. რა ეჩქარება! მაშინ არ ეჩქარება, როცა შენ გეჩქარება. ხოლო როცა შენ არ ჩქარობ, იცოცხლე — გარბის!

ერთი მანდილოსანიც შემოგვემატა. ხელში მრგვალი, მაღალი ყუთი ეჭირა. ყუთს უცხოური მარკა ჰქონდა. ქალმა ნივთი მდივანი ქალის მაგიდაზე დასდო, მერე რაღაც პატარა ბარათი შეაგზავნა გამგესთან. ორი წუთიც არ გასულა, მდივანი ქალი გაფითრებული დამბრუნდა მისაღებში, ხოლო კაბინეტის კარი ღია დატოვა. დავინახე ლევანი, რომელიც სწრაფი ნაბიჯით მოდიოდა ჩვენსკენ. საღდა იყო მისი სიდინჯე! გააცეცხლებული უშვერი სიტყვებით მივარდა შაოსან ქალს, რომელმაც მაღალი ყუთი მოიტანა.

— პროვოკაციას მიწყობ?! ახლაც გაეთრიე აქედან!

მისაღებ ოთახში მყოფნი ფეხზე წამოდგნენ. უნებურად აედექი მეც. თვალს არ ვაშორებდი ქალს, რომელიც ფერდაკარგული და ენაჩაფარდნილი მისჩერებოდა ლევანს, ქვედა ყბა უთრთოდა და საცა იყო ჩაიკეცებოდა.

ლევანმა სახლს ჰერი ახადა ყვირილით. მივარდა მუყაოს კოლოფს და

თანამზამთროლოცამ * ცისფერი მთაბი *



იატაკზე დაანარცხა. ბროლის უხარმხარო ვაზა ნამსხვრევებად იქცა და ქალის/ გულშეღონებული წაიქცა.

იქ მყოფნი ქალს ვეცით, ლევანმა კი კარი მიიჯახუნა და კბინებდა. ერკუნული
კბინებდა.

ქალი მოვასულიერეთ. ვიღაცამ შენობიდან გაიყვანა.
— ახლა აღარ ღირს შესვლა, — თქვა ერთმა მამაკაცმა, რომელიც წელან ჩემს გვერდით იჯდა.

— მართალია, — დავუდასტურე მეც და კარს მივაშურე მასთან ერთად. ქუჩაში გამოვედი.

— საოცარი ამბები ხდება, — დაიწყო ჩემმა თანამგზავრმა, — რა ვაზა დაიხსებრა! ქრთამი, ბიძიკო, ქრთამი... ოქრო, ბროლი... ვითომ არ იღებს, მკისმა მზემ!

— ქრთამი?!

— ამხელა კაცი ხარ და ისე მიყურებ, თითქოს გუშინ დაიბადე ქვეყანაზე! — გული მოუვიდა ჩემს თანამოსაუბრეს. ალბათ ისეთი მეტისმეტი მიაბიტური გამომეტყველება მქონდა, ეპეიც შეეპარა ჩემს ჭკუადამჯდარობაში.

თავბრუ დამეხვა. „ოქრო, ქრთამი, ქრთამი, ოქრო...“

— ასეა ცხოვრება, — თქვა უცნობმა მრავალმნიშვნელოვნად და წავიდა. ხელის ჩაქნევით გამშორდა.

მივდიოდი ქუჩაში აჩქარებული ნაბიჯით და თვალთავან არ მშორდებოდა ბროლის დამსხვრეული ვაზა.

თავი მეთოთხმედი

ყელში სისხლი მაწვეებოდა, როცა მშენებლობაზე მასალა შემოგვაკლდე-ბოდა. მოდი და ავუზგუზებულ ცეცხლს საწვავი მოაკელი.

ერთხელ აგური შემოგვაკლდა.
ძია სანდრო იმ დროს შინ იწვა ავადმყოფი. მის მაგივრობას მე ვეწეო-

დი. ერთი დღე გავაცდინეთ. აგური მეორე დღესაც არ ჩანდა. რა ვქნათ-მეთქი, ვუთხარი ჯიშკარიანს. იქნებო, მითხრა, მერე მეგობრულად გადამხვია ხელი და საიდუმლოსავით გამანდო:

— შენი ჰირიშე, შენი მარჯვე ბიჭებით უნდა დამხმარო. დახმარება მთხოვოს ვინმემ და უარს როგორ ვეტყვი. ჯანი მაქვს და ჩემი ღონე სიკეთეში უნდა დაიხარჯოს.

— სახლი წამოვიწყე ეშმაკად და... აგერ, მაინც ვცდებით...
— მე მზადა ვარ.

— აქ გაცდენას არ ჩაგითვლით და ზედმეტსაც გაგაცთებინებთ...
— მე შეგონა, ინე გინდოდა... — ავიბუზე მაშინვე. იმ დღეს პაპა გაბრი-

ელმა და ახლა ნოდარ ჯიშკარიანმა მომიყარა პილპილი გუნებაზე. აღმაცერად გავხედე.

— პო, ჩაგითვლით... ვითომ აქ გიმუშავიათ.
— მაშინ მე არ წამოვალ! — მივუგე ცივად.

— ვინ გაიგებს, ბიჭო!
— მე გავიგებ. სხვისი გაგება რად მინდა! — ვიწყინე და ავიმრიზე.

ჯიშკარიანს გაეცინა. ნუ მეხუმრებო, მითხრა. მაგრამ, როცა შემატყო, რომ მართლა მეწყინა, თითქოს მცდისო, ისე მკითხა:

— მაშ ისე დამხმარებნი? სახლია ასაშენებელი, ბიჭო...

— სახლებს არ ვაშენებ, მა რა ეშმაკებს ვაყეთებ?! წამოვალ და დავბრუნდები, რა მოხდა!
ჯიშკარიანმა გაკვირვებით აზიდა მხრები და ჩაიბურტყუნა:
— მალარიჩი ჩემზე იყოს!

ის ჩემი ხუთეული წამოიყვია.
ქალაქგარეთ მიწის ნაკვეთი აეღო და სახლის საძირკველი ჩაეყარა ჯიშკარიანს. მშენებლობაზე რომ მივედით, პროექტი გვანახა. პირი დაეაღე და ენა მუცელში ჩამიყარდა. მთელი სასახლე იყო. ერთი სართული ექვსათახიანი, ექვსიქალაქი მალა. შუშბანდში ცხენი გაქენდებოდა... ეზოში ხეხილს დარგავენ, ბოსტანიც ექნება. ეზოს აგურის მალალ ღობეს შემოაყლუმს და რკინის ჭიშკარს დაატანა...

აგური?

აგური ბლომად ეწყობა ეზოში. სხვა სამშენებლო მასალაც ხვავიანად ეყარა. ნოდარი დატრიალდა სახელდახელოდ აგებულ ფიცრულში, სადაც ქალები კრძებდნენ ამზადებდნენ. ბიჭები მე შემომყურებდნენ და ჩუმად იყვნენ.

— რამხელა სახლს იღამს! — თქვა ერთმა.

— სოფელში სახლი გავყიდე და იმითაო... — დაძინა მეორემ.

საძირკველზე რომ ვტრიალებთ ბიჭები, ამ დროს გავხედე და ეზოში ჩვენი სამშენებლო კანტორის თვითმცლელი შემოგრიალდა. აგური მოიტანა და საძირკვლის მახლობლად ხრიალით დაუშვა.

ჯიშკარიანი ფიცრულიდან გამოვიდა და შოფერს მიუახლოვდა.

— კიდევ ორი გზა უნდა გააყეთო. მერე წადი და დააყენე მანქანა.

— მესმის, გიორგიჩ!

— ხვალ კი უთენია ამოდი.

— მესმის, გიორგიჩ!

დავიხარე და შოფერს აღმაცერად გავხედე. ცუცქნა ძალღივით ორ ფეხზე შემდგარი, პირში შეკურებდა ჯიშკარიანს. მზად იყო ყოველი მისი სიტყვა უყოყმანოდ შეესრულებინა. მანქანა დასძრა და ის იყო ჭიშკარიდან გასვლა აპირებდა, წამოვეწიე, საფეხურზე შევახტი და კაბინის კარი გამოვალე. შოფერს გვერდით მივუჯექი.

— მოდიხარ? — მკითხა და ღიმილით გადმომხედა.

— მოვდივარ! — კბილებში გამოვცარი და მერე შევეუღრინე, — საიდან მოგაქვს აგური?

დაიბნა. ფერიფერი ეცვალა.

— საიდან მოგაქვს აგური-მეთქი! — ახლა კი დავუყვირე და საქვს მივწვი. — გააჩერე!

გააჩერა.

— ჩემგან რა გინდა, ლეო?

— საიდან მოგაქვს აგური?

— აგურის ქარხნიდან... პურის მალაზიიდან ხომ არ წამოვიღებდი! — სცადა შეხუმრება და საცოდავად გაიღიმა. ახლა კი მართლა მინდოდა ჩემი ფუთიანი მეთხლიშა მისთვის.

— ვისი აგურია?

— იმას მკითხე. მე რა... — ახლა შეფიცხება სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა, რადგან სახეზე ცეცხლი მეკიდა და, ალბათ, თვალები მუშტებზე უფრო დიდრონები მქონდა.



— მშენებლობაზე ერთი აგური არ არი და შენ აქ ეზიდები? ვის გადაურჩები, ვის! ახლავე კანტორაში მიმიყვანე! ახლავე!

— დაეიღუპები, ლეო! ამას რას მიშვებები. ჭვეყანას შენ გაასწავლე, მისი მშენებლობა...

— რა დაგლუპავს, მითხარი, ყველაფერი მითხარი, თორემ აქვე გაგათხუნი! არ ვიცი, ჩემი შევშინდა თუ რა იყო, აკანკალდა და მართლა შემყრთალი თვალებით მომაჩერდა.

— რა შექნა... ეგ უფროსია. ფულს დამპირდა, აგურსაც მოგცემო.

გულში მღვღარე ჩამესხა, ენა მუცელში ჩამივარდა და არ ვიცოდი რა შექნა, ანგარიშმიუცემლად ამოვიბლავლე!

— ამას რად უნდა ამხელა სასახლე!

— მაგას ჰკითხე, მე რა შუაში ვარ.

— ბრიყვო! ვისი აგური მიგქონდა, ვისი? ყველაფერი გათავებულია, ბოლმა აქ არის მოსული! — თითი კისერში დანასავით გამოვისვი და ვუბრძანე, წაყვანა მანქანა.

ამ დროს აქოშინებული მოვარდა ნოდარ ჯიშკარიანი და მოცვიდნენ ბიჭებიც, გორაკის თავზე ხალხი გადმოდგა, გზაზედაც შეჩერდა ზოგიერთი ცნობისმოყვარე.

— რა ამბავია? — თავშეკავებით იკითხა ჯიშკარიანში. ალბათ, დამინახა, წელან აღმოდებული რომ მოვწყვდი ადგილს და შოფერს მანქანაში შეეუბტი. მიხვდა, აქ საქმე ცუდად დატრიალდებაო და აწრიალდა.

შოფერი გამშრალი იჯდა. თავი ჩაქინდრა და ვერც ჩემთვის შემოვხედა, ვერც იჩინერს უსწორებდა თვალს. კაბინიდან თავი გამოუყავი და ბიჭებს დავუძახე, ასულიყვენ ძარაზე. ისინი მაშინვე შეცვიდნენ შალა.

— უელს ნუ გამოშვრო! — ზედ ჩემს ყურთან გაისისინა ჯიშკარიანის ხმა.

ფერდაკარგული და საოცრად დამბული იყო. თავს იკავებდა, თორემ მზად იყო იქვე გავეთავებინე. მაგრამ მე გავეთავებოდი? ერთი რამ ვაგებედა, ზედაც შევასკდებოდი.

ჩქარა წაიყვანე-მეთქი, ვუყვირე შოფერს.

ჯიშკარიანი კაბინას ეცა. აქ მოხდა მოულოდნელი რამ. შოფერმა ჯიშკარიანს ხელი ჰკრა, სამსართულიანი შეუქურთხა და მანქანა დიდი სისწრაფით დასძრა.

იმავ საღამოს სასთუმალთან ვუჯგეკი ძია სანდროს და ყველაფერს დაწვრილებით ვუყვებოდი.

— სამმართველოში წარბი შემიკრეს, მაგრამ ჩემი ბიჭებით მაგრად დავდექი, — ვუბნებოდი აღელვებული.

— ყველა ბნელ საქმეს გრძელი კუდი აქვს... მერე, მერე?

— მერედა აგური მივზიდეთ მშენებლობაზე... რაიკომის მდივანი ჩაერია საქმეში და მგონი პროკურორს გადასცა ჯიშკარიანი. ალბათ შემუქრება. ყურებზე ხახვი არ დამპკრას... რაიკომში ახანა-განმარტებითი ბარათი დამაწერანეს... გრძელი კუდი აქვს, ჰა? ძალიან მაინტერესებს ეს კუდი. პროკურორი გამოათრევს.

— თუ თავი არ დაიძვრინეს, ხდება ხოლმე.

— თავი როგორ უნდა დაიძვრინოს! ყველაფერი დღის სინათლესავით ნათელია. ვინ მისცა აგური? ვინ დაუმტყიცა იმხელა სახლის გეგმა? ვინ გამოუყო ნაკვეთი? ვინ მისცა ხე-ტყე!.. — ეცხარობ, ერთ ადგილზე ვერ ვისკვენბ. ბინდა ცისფერი მთებისკენ მიმავალი გზა ცისფერი მთებივით სუფთა იყოს.



ზამთრის ერთ დღეს, როცა ძია სანდრომ მოიყვია და ფეხზე
პოელმა ჩვენმა ბრიგადამ სასამართლოს ერთ-ერთ სხდომაზე ვნახეთ
ჩიანის „კუდი“.

პროკურატურას კარგად ემუშავნა.

პროკურორი მოხუცნილი ახალგაზრდა იყო და ლამის სულში ჩაეისვი.
მამა ვაკებონე მისი და დედა, გულის ძარღვები დამიამა და დარდი შემისუ-
ბუქა.

შიოს გვერდი გამოეჩქმიტე.

დამსხვრეული ვაზა თვალთაგან არ მშორდებოდა. რას ვიფიქრებდი მაშინ,
რომ ის გამძვინვარებული ლომი ჯიშკარიანის კედლის ნაწილი იქნებოდა და
ოდესმე ფერდაკარგულსა და ნირწაშხდარს ვნახავდი. ვნახე. ვნახე და ვიზეიმე-
განაჩენი ნაადრევად უკვე გამოტანილი იყო:

ჩემი ზეიმი და მათი იავარქმნა. უკეთესს რას დაადგენდა სასამართლო!

ყველაფერი ბედნიერად დასრულდა...

ვითომ? მე დაესრულდი, რომ ჩემს ამბავს ბედნიერი დასასრული ჰქონ-
დეს?! ვინ იცის, წინ კიდევ რამდენი სიხარული და უსიამოვნება მელის, რად-
გან ცხოვრება დიდი შარაგზაა, ხან აღმა მიდის, ხან დაღმა ეშვება, ხან ისე შე-
ნოვხვევს, თავბრუს დაგახვევს, ხან ვაკებზე გაიჭიმება და ერთფეროვნებას ზო-
ლო არ უჩანს...

მაია!

ერთი ჰიტყვავ კი ვერ შევბედე, მიყვარხარ-მეთქი... ვინ იცის, როდის გა-
ეუბედავ და როდის ვეტყვი!..

დღეები გარბიან.

ცხოვრება კა საოცარია, უცნაური, მწარე და ტკბილი.



✱ მათხე ბიბიოთეკა ✱ ცენტრალური ✱ თბილისი ✱

ტაქსი

— ტაქსი!
ჰე, ტაქსი!
ხელს მალლა ვწევ და
მანქანებს ვზვერავ მე სათითაოდ,
მერე მოწყვეტით ვამბობ მე
— მცხეთა.
ახლა მცხეთისკენ წავიდეთ ძმაო.

გვერდით მიჯდება ჩემი ნიბლია
და სუსტი ფრთებით ფრთხილებს
გულთან,
— დიდხანს დარჩენა არ შემიძლია,
სულ მალე უკან გავბრუნდეთ უნდა.

— უკან დავბრუნდეთ ძმობილო მაშინ,
— აი, ამასაც საღამო ჰქვია!
და ვხედავ ჩემი გოგონას თვალში
ცრემლის თუ მთვარის სხივების კიაფს.

ვხედავ მის სახეს შექით მოფენილს,
უნდა ხელებით ბეჭებზე მომწვდეს,
და ხდება ყველა ტაქსის შოფერი
ჩემი ჩხუბის თუ ალერსის მოწმე.

— უკვე მოვედით,
ჩამოვალთ,
გმადლობთ,
აი, აქ, ცოტა კიდევაც გავცდით,
მშვიდობით! —
ჩემი ღიმილით ამბობს
და გვეთხოვება კეთილი კაცია...

— ტაქსი!
ჰე, ტაქსი! —
ხელს მალლა ვწევ და
მანქანებს ვუხმობ მე სათითაოდ,
მერე ვეწვევი
წყნეთსა თუ მცხეთას,
მერე ვიციანი, ვხუმრობ, თუ ვდაობ.

ჭადრაკის ჭრელი დაღის მსგავსები
აქ ათენებენ, აქ აღამებენ,
ქუჩებს სერავენ მარდი ტაქსები
და მწვანე თვალებს ახამხამებენ.



ახლა სახლში ვზივარ და შენ გელოდები
და თავს დამტრიალებს ერთი მელოდია.

სვედამ რომ შემოიპყროს,
გული რომ მეტკინოს
რადიოში ისე მღერის რობერტინო.

ეჰ, რა იცის ახლა იმ პატარა ბიჭმა,
ისეც დამატყვევეს დარდებმა და იჭვმა.
გარეთ ვარსკვლავები ისე ციმციმებენ.
ოთახში სითბოა, გულში სიცივეა.

— ჩემი ნატვრა ხარო, —
მღერის რობერტინო,
მიუწვდომი ხარო, მარად, ყოველთვისო.

ველარ მოვიცილე ერთი მელოდია,
ვიცი არ მოხვალ და
მაინც გელოდები.



მცხეთის ზარებო,
ოშკის ზარებო,
გელათისა და
გრემის ზარებო,
ზარებო —
ჭირთა თანამგზავრებო,
ზარებო —
ლხინთა თანამგზავრებო,
ზარებო —
მტერთა რისხვით მზარებო,
თითქოს ნანგრევებს ზმანება უვლის.
რაღაც უცნაურ გრჯოლვით გუგუნებს,—
დღეს თქვენთან ერთად
რეკს ჩემი გული
და ხმები ესმის
საუკუნეებს.



ბ
ე
ს
უ
ე
ე
ლ
ნ
მ
პ
ი
შ
ე
ე
რ
უ
ბ
რ
ა
დ
მ
ნ

გაიგორ აბაშიძე



რომანო

თავი პირველი

წარის წყალთან ბაღლები თამა-
შობდნენ. თხუთმეტოდე წლის ქაბუცი
ნაკადულზე დახრილიყო, ღარიდან გად-
მომდინარ წყალს ჰაწაწინა ბორბალს
უსწორებდა და მიწაში ჩარქობილ ორ-
კაპა ჯობებზე მართავდა. მერე უცებ
ხელი უშვა, ბორბალს წყალი მოხვდა
და თავბრუდამსხმელად დატრიალდა.
ბორბლის აბრუნება და ბავშვების
აეივლება ერთი იყო. ბრუნავდა ბორ-
ბალი და შხეფებს ჰყრიდა. კისკისებ-
დნენ გახარებული ბავშვები და დედის
ძებრზე მიხვეული ვოკებივით ერთი-
მეორეს არ აცლიდნენ „წისკვილთან“
ადგილის დაკერას.

ნაკადული ქაბუცის ლაჯებქვეშ მიე-
დინებოდა და კრიალა წყალში ბავშვე-
ბის გაცივებული სახეები ირეკლებოდა.
ვაეი ფიქრში წასულიყო, წყალს დაჩე-
რებოდა, მაგრამ, ეტყობოდა, იქ ვერა-
ფერს ხედავდა. არც ბავშვების გნიასი
წედებოდა მის სმენას, რადგან გულის-
ყური და გონების თვალი სხვაგან
ჰქონდა.

ამ თივილ-ხივილში რაღაც მაინც გაი-
გონა, თუ მოელანდა, ადგილს მოსწყდა
და ჰიშკრისაყენ გაეჭანა.

შარავზაზე სახეღარი მოჩაქჩაქებდა.
ზედ სიმსუქნით ნაადრევად დამძიმე-
ბული კაცი იჯდა, შეშუპებულ სახეზე

მართალი ფერი გადაჰკრავდა და სუნთქვა უძძინოდა. სახედარს ქვეითად მოუძლოდა ცამეტობედ წლის ქალიშვილი. ცალ ხელში აეშარა ეჭირა და ცალით დროდადრო წყებლას იქნევდა.

ვაჟი ჭიშკრიდან გამოვიდა. შარვალზე სველი ხელები შეიშშრალა და გზის პირას უხერხულად დადგა.

ქალიშვილმა შორიდანვე შეპლიმა, სახედარს გზისპირისკენ მოსწია და ნაბიჯი შეანელა.

— მიდიხარ? — ოდნავ გასაგონად იკითხა ვაჟმა და მხერა უშალ კაცზე გადაიტანა, თუმცა მისი კითხვა მხოლოდ ქალიშვილისთვის იყო ნათქვამი.

— ერთ წუთს დამიცადე, პავლია... ცაგო... ახლავე მოვალ! — შეეხვეწა ვაჟი ორთავეს, დასტურს აღარ დაელოდა და ეზოს სიღრმეში ჩაკარგული პატარა სახლისკენ გაიქცა.

— ნეტავ ვაჩეც მოდიოდეს! — ამოიხვრით თქვა ცაგომ.

— ბარემ კარგი იქნებოდა! გამიძნელდება უშავისოდ რუკების ხაზვა, — სინანულით დასძინა პავლიამ.

ცაგომ არაფერი თქვა. მხოლოდ ამოიხრა და სახე იბრუნა.

ქლოშინით მოიჭრა ვაჩე. აბრეშუმის ქსოვილში სათუთად ვახვეული რალაც გადასცა ცაგოს და მორცხვად უთხრა თავდახრილმა:

— შენი იყოს... მოვიწვარი...

ცაგომ საჩუქარს აბრეშუმში შემოაცაღა, უცხოდ მოხატულ წიგნს დახედა და აღტაცებით შესძახა:

— თორელის წიგნი!

სწრაფად გადაშალა, თითქოს სურდა დარწმუნებულყოფი, ხომ ნამდვილად ის არის ვაჩესაგან აგრე მუყაითობით, ფურცელ-ფურცელ მოხატული თორელის წიგნიო. სიამით სახეგამადრულმა წიგნი მაშინვე დახურა, ვაჩე თავისკენ მიიზიდა და ანგარიშმიუტეველად უცებ ლოყაზე აკოცა.

ვაჟი გაშრა, ერთიანად გაწითლდა. ქალი თითქოს გონს მოეგოო, უცებვე მოშორდა ცივად, სახედარს წყებლა გადაჰკრა და ჩქარი ნაბიჯით გზას გაუდგა.

დიდხანს იდგა ვაჩე სახელაღწილი და გაოგნებული. უხურდა ლოყა, ცეცხლი ეკიდა. ნაკოც ადგილზე ჩეჩქოვდა ზურგს იდებდა, მაგრამ სახე უფრო ენთებოდა, საფეთქლები ურობივით სცემდნენ და თვალში ბინდი ერეოდა. მუხლებში სისუსტე იგრძნო. არ წაეჭყეო, შეეშინდა, ღობეს ხელი შეაშველა და ქვაზე ჩამოჯდა.

ერთხანს ასე იყო რეტდასხმული. მერე ქვა და მიწა მოსინჯა, თავისივე ტან-ფეხს ხელით შეეხო. ყველაფერი ძველებურად იყო, თავის წესსა და ადგილას, მხოლოდ ახლა მთელ სხეულში რალაც სითბო ეღვრებოდა და თავით ფეხებამდე საამო ყრუანტელი უვლიდა.

იჯდა ასე. მანამდე განუცდელი ნეტარებით მთვრალი, ბურანში ჩაძირული, ქვეყნისაგან გამოთიშული და ვნების ფრთებით დარწმული, გაბრუნებული.

თავს ტოლები წამოადგნენ.

არც უკითხავეთ, ისე ჩამოსხდნენ მის ვეერდით.

— გაიგე, ვაჩე? ტახტის ბედი გადაწყვეტილა...

დაიწყო ერთმა.

ვაჩემ რომ მისი ნათქვამი არაფრად ჩაავდო და ხმაც არ გასცა, გაჯავრებულმა დასძინა:

— დარბაზს რუსუდანის გამეფება დაუდგენია...

— მერე ჩვენ რა?! ჩვენ რა გვეკითხება, მეფე ვინ იქნება?! — არხინად თქვა მეორემ, ვაჩეს მხარი წაჰკრა და დაუმატა. — ასე არ არის, ვაჩე?

ვაჩე არც შერბეულა.

— როგორ თუ ჩვენ არ გვეკითხებაო, გესმის, ვაჩე?! — გაწიწმატდა ამბის მთქმელი და მუხლზე ხელი დაიკრა. — მეფედ ქალი დასვან და ჩვენ არ გვეკითხება? ქალის მეფობით ჩვენ რა სიკეთე მოგვივა, ომს ვერ იქმს და ლაშქრად ვერ წაგვიძღვება!

— სახელი ჩვენ არ გვექნება და ნადელი! — დაურთო მესამემ.

ბიჭები ვაჩეს ტოლები იყენენ, საულ-

გრიგოლ აბაშიძე

დიდი ღამე



ვაშე უკვე შავად დაჩნეოდათ და გული სახელისა და ხმლისკენ მიუწევდათ.

— თამარიც ქალი იყო, მაგრამ მის დროს ქართველთა ხმალს არ მომიყვინია! — შენიშნა მეორე ჰაბუკმა.

— თამარი სხვა იყო! თამარი ერთი იყო და სხვა ვედარავეინ იქმს თამარობას, — მოსკრა ისევ პირველმა და სამეფოს ბედისაღმე ვაჩეს უნაღვლელობით გაბრაზებული ფეხზე წამოადგა. წაეიდეთო, ანიშნა ბიკებს და საყდრის გზას გაუყუენენ. ცოტა რომ გაიარეს, შეჩერდნენ, ერთმანეთს რაღაც უთხრეს და ვაჩეს გადმოსძახეს:

— საკიდაოდ არ წამოხვალ, ვაჩე?

ვაჩე ფეხზე წამოადგა, ტოლებს ზურგი აქცია, კლდის ქიმს გადაადგა და თბილისის გზას დაიკურდა.

დაბლა, ხეობაში მდინარის გასწვრივ, ფერდობ-ფერდობ მიიკლაკნებოდა თბილისის გზა. უკვე დიდი მანძილი გაველოთ, მაგრამ ჯერ კიდევ ჩანდნენ სახედარზე ამხედრებული და ქვეითად მიმავალი.

ვაჩეს უნდოდა დაეძახა და ხმა მიეწვდინა მათთვის, მაგრამ ტოლებისა თუ შერცხვა, ისევ დუმილი არჩია და უხმოდ ჩამოჯდა.

მიდიოდნენ მგზავრები, გზა იკეცებოდა და კვლავ იშლებოდა. ვაჩეს თვალის მათთან ერთად კეცავდა იმ გრძელ გზას და ფიქრი ფიქრს მისდევდა.

ვაჩეს მამა ადრე დაედუბა, ლაშქრად. ობლად, დედის ანაბარად დარჩენილი ბაღლი სანახევროდ ცაგოს სახლში იზრდებოდა.

ცაგოს მამა გააზნაურებული მოლაშქრე იყო და ერთ დროს მეფის კარზე ტრიალებდა. სხვა კარისკაცების მსგავსად, მასაც ჰქონდა აგარაკი მეფეთა საზაფხულო სადგომების ახლო ახალდაბაში.

კარგად ცხოვრობდნენ, მაგრამ ეშმაკს შეშურდა და ოჯახის უფროსს მარცხი შეამთხვია: უებრო რაინდი და უბადლო მოზურთალი მეფეთა გასართობად გამართულ ასპარეზობაში ცხენიდან გად-

მოვარდა, თავისავე ცხენმა დაეჭრა და მოედნიდან უსულოდ გაიტანეს.

ოჯახის ბედი ჩარხუკელმა დატრიალა და, მალე მეველეებმა წამოიყვეს. თუ და თითქმის ყველაფერი წაიღეს. დაქვრავებულმა სამი შეილის დედამ აგარაკილა შეინარჩუნა ხილის ბაღითა და მცირე სახანა-სათესით.

კიდევ კარგი, რომ უფროსი ვაგი მალე წამოეწრო და მხარში ამოუდგა დედას. მამუკამ მამის სიცოცხლეშივე მოასწრო სწავლის მიღება, ხელოვანის ნიჭი გამოიჩინა, ოქროს კვეთა ისწავლა და ახლა ქალაქში პირველ ოქრომკედლად ითვლებოდა.

სწორედ მამუკასთან მიდიოდნენ ახლა მისი უმცროსი და-ძმა, მასივე წვევითა და შემოხვეწვით. ძმას ორი წლის ასაკიდან ორივე ფეხის დამბლა ჰქონდა და კეტრი იყო. სოფელმა ეს ხინჯი მეორე სახელად უქცია და დიდი და პატარა „პავლია კეტს“ ეძახდა. თეთონიაც ისე შეეჩვია ამ ზედწოდებას, რომ არათუ დამამიტირებლად მიაჩნდა, მარტო სახელის დაძახებაზე კაცს აღარ აგონებდა, თუ ზედ „კეტსაც“ არ დააყოლებდნენ.

მთელი სიცოცხლე მარტოდენ ჯდომად და წოლად განწირული ხეიბარი თავიდანვე შეეგუა უძრავ ყოფას, სწავლას დაეწაფა და ცოდნითა და წიგნით ცდილობდა იმ დიდი სულიერი ტკივილის დაუხეებას, რომელსაც სხეულის გამოუსწორებელი ნაკლი აყენებდა.

ფეხები არ ემორჩილებოდა პავლია კეტს, თორემ სხვა მხრივ ძალუმი სხეული ჰქონდა. ხელით ცხენის ნალს ღუნავდა და სუფრაზე სამი ვაყაყის ოდენას სჭამდა.

უძრაობამ და ჭამაში მოუპირობამ ქონი მორია და სხეული ნაადრევად დაუძმია. სიმსუქნისაგან ცოტა სუნთქვა უჭირდა, მაგრამ მუშაობით დაღლა არ იცოდა. ღამეების ტეხვა წამბით შეეძლო და ქვეყანა რომ დაქვეუდიყო, დაწყებულ საქმეს დამთავრებამდე არ მოშორდებოდა.

ენებს საოცარი სისწრაფით ითვისებ-



და უცნობ ენას ორ-სამ თვეში სწავლობდა.

საქართველო საესე იყო ომებიდან წამოყვანილი ტყვეებითა და მონებით. სპარსელი და ბერძენი, თურქი და არაბი კარდაკარ დაწინააღმდეგებდნენ სამუშაოს საქმებრად და სამათხოვროდ.

პავლია კუტი შესაფერ შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებდა, უცხოელს მამინვე ქირაზე მოუთრეგებოდა და მერე ის უბედური მისი ნამდვილი ტყვე იყო: ისიც მის მაგიდასთან უნდა მიჯაჭვულიყო, ან მისი ბორბლებიანი სკამი ეგორებინა და ყოველი ფრინველისა თუ ცხოველის, ბალახისა თუ ყვავილის, საგნისა თუ საქმის სახელი გამუდმებით ემეორებინა ცოდნას და ხარბებული ხეიბრისათვის.

ორ-სამ თვეში გაძვალტყავებული გადამთიელი მოსულეობდებოდა და ხორცს შეიბამდა, მაგრამ უცნაური ბატონი მისი გულუბრყვილო გაკვეთილებით ველარ კმაყოფილდებოდა, რადგან მასწავლებლის ენა უკვე თვითონ მასზე უკეთ იცოდა და იმ ენაზე წიგნებს თავისუფლად კითხულობდა.

ხეიბრის ახირებასა და სურვილების შესრულებას შეჩვეული უცხოელი ცრემლით სტოვებდა მისთვის იოლ სამუშაოს და ხელახლა სოფელ-სოფელ წაწაღს იწყებდა ლუკმა პურის საქმებრად.

ლამაზი ხელი ჰქონდა პავლია კუტს. მისი გადაწერილი დავითნი და ოთხთავი ხელიდან ხელში გადადიოდა და კარგ ფასადაც იყიდებოდა. ამ საქმეში მისი განუყრელი თანამეგმვე ვაჩე იყო.

კუტმა ვაჩეს წერა-კითხვა და ცოტაოდენი ხატვაც ასწავლა: წიგნისა და ხატვის სიყვარული ჩაუნერგა გონიერ ბავშვს. ღარიბსა და ობოლს სხვა რა მადლის გადახდა შეეძლო, თავის მასწავლებელს წიგნების გადაწერასა და უდაში ჩასამაში შველოდა.

ბოლო დროს პავლია კუტი „საქართველოს სამეფოს“ აღწერას შეუდგა. უამრავი ჭართული და უცხოური წიგნი წინ დაიწყო, ნავალთა, მნახველთა და გამგონეთაგან ნაამბობს იწერდა, აღწე-

რილსა და გადმოცემულს ერთმეორეს ადარებდა და წერდა, დღედაღამ თავაულებლად წერდა იმ ქვეყნის ადგილებსა და მდებარეობაზე, პავსასა და მოსავესა და ხალხის ზნესა და ჩვეულებაზე, რომელიც აგრერიგად უყვარდა; წერდა იმ ქვეყნის ავსა და კარგს, რომელიც არა თუ ფეხდაფეხ არ მოველო, ერთი თვალის გადავლებითაც არ ენახა.

სკამ-ლოგინზე მიჯაჭვულს საქართველოს შემოვლის ნატვრაც არ შეეძლო. თავის საოცნებო სამშობლოს მხოლოდ ერთ უმცირეს ნაწილს ხედავდა დღემდამ თავისივე სახლის აივნიდან და ეზოდან, მაგრამ ჰოი, რა ლამაზი, რა წარმატაცი იყო ეს პატარა ნაკვეთი მშობელი ქვეყნისა! წინ ფერად-ფერად ხალიჩებად დაფენილი, ღობეებითა და ხეთა მწკრივებით დასერილი მინდვრები, დაბლა — მწვანით დაბურული ბნელი ხევი ღრანტევებით, ტყეისფერი მდინარით და პირდაღებული უფსკრულებით, მაღლა — ცად აზიდული ლურჯი მთები გაცრეცილი ნისლის ლეჩაქით, კალთებზე შეფენილი ცხვარ-ძროხით და შორს... უფრო შორს, ცის დასალიერზე, ღრუბლის თეთრ სვეტებად თუ ბროლის კოშკებად ამართული კავკასიონი.

წარმოდგენით პავლია კუტს თავისი კეთხის ამ საზღვრებში მოეჭვია მთელი დანარჩენი საქართველოს სურათი. ჩარჩო პატარა იყო, მაგრამ ოცნება დიდი და უნაპირო — სამშობლო მთლიანად ასე წარმატაცი და მიწმიდველი ეჩვენებოდა და თუმცა მისი ყოველი ნაწილის ხილვის ბედნიერებას მოკლებული იყო, წიგნებითა და ნაამბობით საქართველო თავისი ხუთი თითით იცოდა.

პავლია კუტის სწავლულობისა და მეცნიერობის ხმა შორს გავარდნილიყო. მის მიერ დიდის რუდუნებით გადაწერილ საღმრთო წიგნებს მონასტრებს გარდა დიდგვარიანთა ოჯახებისკენაც

კრიგოლ აბაშიძე
დიდი დამე

გაეკვლია გზა და ბოლოს მეფის კარ-ზეც შეეღწია.

გელათის აკადემიის წინამძღვარს უცნობი მწიგნობრის გადაწერილი „ბალავარიანი“ ჩავარდნოდა ხელთ, გადაწერის ხელს სწავლულის ყურადღება მაშინვე მიეპყრო, მაგრამ წინამძღვარი უფრო იმ შენიშვნებს დაეფიქრებინა, რომლებიც პავლია კუტს წიგნისთვის დაერთო. მსჯელობის სიღრმესა და აზრის, სითამამეს წინამძღვარი გაეოცებინა და უცნობი მწიგნობრის ხილვა მოესურვებინა.

აკადემიის წინამძღვარი სწორედ იმ ხანად თბილისში უნდა ყოფილიყო მეფის კურთხევაზე და მამუკა მასთან შესახვედრად იწვევდა თავის კუტ ძმას.

თვალი ძლივს წვდებოდა მიმავალთ. უკვე ცალკე-ცალკე აღარ ჩანან სახედარზე მჯდომი კუტი და ქვეითად მიმავალი ცაგო. ყველანი ერთ სხეულად შეკრულან იმ შორეთში და ლანდალდა ხედავს. ფიქრი კი, ვაჩეს ფიქრი, მაინც მათთან არის, მათთან ერთად აგრძელებს დიდ გზას.

მარტოოდენ წიგნის სიყვარული როდი იზიდავდა ვაჩეს პავლია კუტის ეზო-კარისაკენ. ცაგო მისი ტოლი იყო, ერთად იზრდებოდნენ. ჯერ ერთად თამაში, მერე ერთად ოცნება, და ბოლოს თვითონაც აღარ იცოდა, რა ეწეოდა მისკენ — გრძნობა თუ ჩვეულება. ეს კი იყო, რომ მასთან სიახლოვე მოთხოვნილებად გადაქცეოდა.

პავლია კუტის ყველა წიგნი ერთად ჰქონდათ გადაკითხული ცაგოს და ვაჩეს. ხატვის სიყვარულიც პირველად მათს ოჯახში გაეღვიძა ყრმას.

ათი წლისაც არ იყო ვაჩე, მათს სოფელში ბეთანიისკენ მიმავალი უცნობები რომ გამოჩნდნენ. ცნობისმოყვარე ბავშვები უკან აღედევნენ უცხოებს, რომელთაც ტაძრის ეზოში კარვები დადგეს. ახალშენებულ ტაძარში ხარაჩოები გამართეს და კედლების მოხატვას შეუდგნენ.

მხატვრებში მაშინვე შეინიშნეს ცნობისმოყვარე ბიჭი, მათ საქმიანობას გაფაციკებით რომ აღევნებდა, ცდილობდა დაუძახეს, მოეფერნენ, დაეხმებინათ. მცირე რამ. ბიჭუნა დაუზარალად, ხალისით ასრულებდა მხატვრების ყველა თხოვნას. ხან ცივი წყალი მოჰქონდა მათთვის, ხან ახლომახლო ეგზავნებოდა და ხანაც საღებავების გაზაფხაში შეელოდა.

გამპირიანი, მკვირცხლი ვაჩე თვალში მოუვიდა მხატვართუხუცესს დემეტრე იყალთოელს. ვინაობა გამოჰკითხა. როცა გაიგო, რომ მამუკას მეზობელი იყო, ესიაშოვნა.

— არ გინდა შენც მამუკასავით ხელოვახი გამოხვიდე? — შეეკითხა მოკრძალებულ ბიჭს იყალთოელი. — იქნებ მასაც აჯობო, ა? რას იტყვი?

შეუჩნდა ოსტატი და ბავშვმა რომ ხმის ამოღებაც ვერ მოახერხა, ხელით ანიშნა, ე. მანდ რომ ფუნჯია, აიღეო, ვაჩე ფუნჯს დასწვდა, ოსტატმა საღებავში ჩააწობინა და პირველი ხაზები გაავლებინა.

ასე, მოულაპარაკებლად, ყოველგვარი პირობის დაუდებლად დაემოწაფა იყალთოელს ვაჩე, თავთაც სანახევროდ ბეთანიაში დაიღო ბინა და ერთ წუთსაც არ შორდებოდა თავის მასწავლებელს.

ნელა, მაგრამ გულმოდგინედ მუშაობდა იყალთოელი. მისი ჯადოსნური ყალმის ქვეშ ნელ-ნელა ინაკეთებოდა დიდებული თამარის სახე. უკვირდა ყმაწვილს, რა შეუძნეველად ცოცხლდებოდა მის თვალწინ ფერი და ხაზი, რა თანდათანობით ისხამდა ხორცს მხატვრის ფიქრი და შთაგონება. არარაობიდან — ცარიელი კედლიდან დაიწყო იყალთოელმა. ორი წელიც არ იყო გასული, რომ ეს ცივი, მუნჯი კედელი გაცოცხლდა ამოძრავდა და ამტყვევდა.

სუნთქავდა სხეული და ეს მშვიდი სუნთქვა იმ მძიმე ტანსაცმლის ქვეშინავე მელანდებოდა, რომლითაც ასე თვალისმომპრეოდ შემოსა მხატვარმა ღეთაებრივი დედოფალი.

ისე მიიწურა სამეშაო, ისე თვალსა

და ხელს შუა გაიზბინა ორმა წელიწად-
მა, არც კი გაუვია ვაჩეს.

ბოლო დროს უცნაურობა დასწემდა
დემეტრე მხატვარს: მთელი დღეები
ხარაჩოდან არ ჩამოდიოდა, იღვა და კი
არა ხატავდა, ისე, გარინდებული უკე-
რეტდა თამარის სახეს. ფიქრსა თუ ოც-
ნებაში წასულს საკმლის ქამა ავიწყლე-
ბოდა. როდისროდის თვითონვე თუ
მოვიდოდა გონს, თორემ შეხსენებასა და
ხმის გაკეპას ვერავენ უბედავდა. ამ
დროს ტაძარში სულდგმული არავინ
იყო ხოლმე და თავის ქმნილებასთან
მარტო დარჩენილი მხატვარი ეძლეოდა
შთაგონების თავდავიწყებას. ღამ-ღამო-
ბით, სხვები რომ შუაძილში იყვნენ,
დემეტრე მხატვარი ჩუმად დგებოდა
ხოლმე, მთვარიანში მალა მთებისკენ
მიდიოდა, რაღაცას თავისთვის ღიღი-
ნებდა და მერე გვიანამდე, სადმე კლდის
ქიშზე ჩამომჯდარი, დაჯინებით უცქერ-
და ვარსკვლავებით მოჭედულ ცას.

ერთ ღამეს კარავში მძინარ ვაჩეს
ხმაური ჩაესმა. გამოვლვიდა. ტაძრიდან
სინათლე გამოდიოდა. ტაძრის კარი და-
კეტილი იყო. ცოტა არ იყოს, შეშინდა,
მაგრამ ცნობისმოყვარეობამ დასძლია,
სარკმელთან მივიდა და ტაძარში ჩაიხე-
და: ტაძარში დემეტრე იყო მარტო.
სინათლები აეთლი და თამარის სახეს
ხარაჩოვებს აშორებდა.

ვანე სარკმელზე აცოცდა, რომ უფრო
კარგად დაენახა: დემეტრემ უკანასკნე-
ლი ფიციარი კუთხეში დადო, მძიმედ
ამოისუნთქა და იმავე ფიცარზე ჩამოჯ-
და. ერთხანს ასე უყურა. სახეზე ღიმი
უთამაშებდა. მერე ნელა წამოდგა და
ადგილი მოინაცვლა. ტაძრის ხან ერთი,
ხან მეორე კუთხიდან უცქერდა დემეტ-
რე თამარის სახეს, უცქერდა და თან რა-
ღაცას ღიღინებდა თუ ბუტბუტებდა. ვა-
ჩეს უცებ მოეჩენა, რომ თამარიც
თვალს ადევნებდა მხატვრის მოძრაობას
კედლიდან, ისიც იქით იბრუნებდა პირს,
საითაც მხატვარი დგებოდა. ბოლოს
სკულ ახლო მივიდა დემეტრე თავის
ქმნილებასთან, ალბათ, ვაჩესავით მასაც
ცოცხლად ეჩენა თამარის სახე, ეგებ
შეეშინდა კიდევ მისი, მუხლებზე დაე-

ცა, ეთაყვანა და კალთაზე ემთხუა. მე-
რე, თითქო გონს მოვიდაო, უცებ წა-
მოდგა, სანთლებს ჩამოუარა, სანთლებს
ჩააქრო და ტაძრიდან სწრაფად წაიქცა.

მეორე დღეს, როცა ყველამ გაიღვი-
ძა, დემეტრე აღარსად ჩანდა. არავის
გააკვირებია, რადგან დილადრიან
იყო და დემეტრემ მუშაობის დაწყება.
საუბრე რომ გააწყვეს, ტაძარში შეიხედეს
ოსტატის მოსაპატიებლად. ტაძარი ცა-
რიელი იყო, ხარაჩოები დაშლილი და
მილაგებული. კუთხეში ფუნჯები და
საღებავები ეწყო შეკრულ-შეხვეული.

ტაძრის წინამძღვარი და სამუშაოთა
ზედამდგომელი გაოცდნენ, მხოლოდ
იყალთოელის მოწაფეები და თანამუშე-
მეები, მასთან ერთად დიდხანს ნამუ-
შევარი მხატვრები და თანამშრომელი
მიხვდნენ, რომ ოსტატს ხატვა დაესრუ-
ლებინა და ბეთანიიდან წასულიყო.

ასე იყო და თურმე იმ მარჯვენანაკურ-
თხმა: ხატვას რომ მორჩებოდა, ერთხანს
უნდა დაეარგულიყო, ნადირობასა და
ქვიფში უნდა დაევიწყებინა ის, რითაც
ასე დიდხანს ცხოვრობდა და ამას მარტო
რიტომ კი არ სწავლიოდა, რომ ახალი
თვლით შეეხედა თავისი ქმნილებისათ-
ვის. უფრო მეტად თურმე მნახველთა
და შემფასებელთა აზრის მოსმენა აღი-
ზიანებდა. სანამ მუშაობას არ დაასრუ-
ლებდა, გარეშეთაგან ტაძარში არავის
შეახედებდა, მაგრამ როგორც კი ხმა
დაირხეოდა, დემეტრე მხატვარმა ხატვა
დაამთავრაო, უამრავი მნახველი მოაწყ-
დებოდა. მოდიოდნენ დიდ-დიდი მთაე-
რები და დიდებულები, საერონი და
სამღვდელონი დემეტრეს ქმნილების სა-
ნახავად. რომ შემდეგ თვითონაც მიე-
წყიათ მხატვარი თავისი აბალანშენი
ტაძრებისა და პალატების მოსახატავად.

მოდიოდნენ თავად მეფენიც, მაგრამ
მოსულთა შორის ყველაზე მეტი მხატვ-
რები იყვნენ მუდამ. საიდან არ ეწვეო-
დნენ — იფხაზეთიდან თუ ჰერეთიდან,
ლეკეთიდან თუ ტრაპიზონიდან. ყველა
მოუთმენლად ელოდა იყალთოელის აბა-

გრიგოლ აბაშიძე

დიდი ღამე

ლი ქმნილების ნახვას. საათობით იდგნენ და უცქერდნენ ნახატს, ერთიმეორეს უხსნიდნენ და ეკამათებოდნენ. თავის ქნევითა და გოაცებით სტოვებდნენ იქაურობას, რომ შემდეგ დემეტრეს ხაზი თუ ფერი, ჩრდილი თუ შუქი გადაეტანათ და გაემეორებინათ სამცხისა თუ ლეკეთის, პერეთისა თუ ჯიქეთის, ტრაპიზონისა თუ სომხეთის ტარებასა და სისახლეებში.

ოსტატის წასვლის შემდეგ ვაჩეც აღარ ვაჩერებულა ბეთანიაში. დემეტრეს ნაჩუქარი საღებავები და ყალამ-ფუნჯები აბგაში ჩაილაგა და შინ დაბრუნდა. გაგარეგნებულმა ბიჭმა გული ველარ დაუდო სოფლის ყოველდღიურ საქმეს, ბაღისა და ვენახის მოვლას და, აღმათ, სახლიდან გაიქცეოდა ცაგო და პავლია კუტი ახლოს რომ არ ყოფილიყვნენ.

ხეობარმა თავისი ახალი შრომისათვის რუკების დახაზვა სთხოვა. ვაჩემ ჩინებულად დაუხაზა რუკები. ყმაწვილის გულმოდგინებითა და ნიჭიერებით წათამამებულმა პავლიამ მეტი მოინდომა, თავის „საქართველოს სამეფოს აღწერის“ წიგნში ჭვეყნის ღირსშესანიშნაობათა ჩაახატვა განიზარახა და ვაჩეც ამ საქმეს დიდი ხალისით შეუდგა.

პავლია კუტი და ვაჩე რომ ამ შრომაში იყვნენ, ცაგოს გული შინ არ უდგებოდა, მთელი დღე გარეთ იყო გოგობიჭებში მყავლისა თუ შინდის საკრეფად დადიოდა, ჭაჯივით დარბოდა ტყეებსა და მინდვრებში და შინ მხოლოდ საქმლისათვის თუ შეიხედავდა.

პირველად აგდებულად უყურებდა ვაჩეს ნაადრევ სიღინჯეს, უყვირდა, მასაც გული მინდვრისაკენ რომ არ მიუწევდა ტოლებივით, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, როცა მისი მოხატული წიგნი ნახა, არც თავის თვალს დაუჯერა, არც ყმაწვილის შრომით აღტაცებულ ძმას და არც თვითონ თავმდაბლად გაღიმებულ ვაჩეს. წიგნს ხელი დაავლო, ჯერ დედას მიუბრუნინა, მერე შარახე გაეარდა და ტოლებს გადაუშალა.

გოაცებული ბავშვები წიგნს ეტანებოდნენ, მაგრამ ცაგო ხელს არავის აკიდებინებდა, ნელა ფურცლებს უყურებდა, თავის აღფრთოვანებას ბავშვებს უჩვენებდა.

იმ დღიდან ტოლებმა ხომ სხვა თვალთ დაუწყეს ყურება ვაჩეს, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ თავად ცაგომაც უნე იცვალა. კუტი ძმის ოთახში რომ არ შეიხედა, ველარ ძლებდა. ჯერ ძმისა და ტოლის მუშაობას აკვირდებოდა. მერე თვითონაც მოუნდა შრომა, დედას აბრეშუმის ქსოვილი გამოართვა და ხელსაქმეს შეუდგა.

ქარგვა რომ მოწყინდებოდა, ცაგო ჩონგურს დაავლებდა ხელს, სიმებს ჩამოჰკრავდა და ტბილად დასძახებდა:

სამ კოშკშია სამი ქალი,

სამივე ჭვეყნის თვალთაო...

მაშინ ვაჩეც თავაულებლად აყვებოდა:

ერთი მთვარის ასულია,

მეორე მზის სძალიაო...

უცნაურად გამოცოცხლებული ცაგოს ხეობარი ძმაც ღერინს დააბუბუნებდა:

მესამესა, ჩემსა მკვლელსა,

ყელს გიშერი ავლიაო...

მღეროდნენ და მუშაობას ეშვი და ხალისი ემატებოდა.

მაგრამ ცაგო დიდხანს ვერც სიმღერას უღებდა გულს, საკრავსაც მალე ტოვებდა და კვლავ ეზოსკენ, მზისა და მინდვრისკენ გარბოდა.

ერთხელ ნაქარგი გვერდზე გადასდო, მომწყინდა სულ პეპლებისა და ყვავილების, ჩიტებისა და ქურციკების ქარგვით, ჩაილაპარაკა და წავიდა.

ნათქვამი გულში ჩარჩა ვაჩეს. დედას თეთრი მანდილი გამოართვა და ჩემად შეუდგა ხატვას.

ის იყო მოათავა კიდევ, რომ ჭიშკარს ცხენოსანი კაცი მოადგა. უცხო კაცს დედამ გახედა. ცხენოსანმა ვაჩე იკითხა და დედამ სტუმარი შინ შეიწვია.

საკმლიდან უყურებდა ვაჩე და თვალს არ უჯერებდა: ცხენიდან დემეტრე იყალთოელი ჩამოხდა, დედას მიე-



სალმა, ცხენი აღვირით ჭიშკრის ბოძთან გამოაბა და სახლისკენ წამოვიდა.

ცას ეწია სიხარულით ვაჩე: დემეტრე ოსტატი გულდარების სასახლის მოსახბატავდ მიდიოდა და ვაჩეს დედას სთხოვდა, შეილა შეგირდად გაეყოლებინა.

დედა ხედავდა, როგორ გაიხარა შეილა ოსტატის ნახვით, იმასაც კარგად გრძნობდა, რომ ვაჩეს გული შინ არ უდგებოდა, ამ უცხო კაცისკენ, ხატვისა და შემოქმედებისაკენ მიუწევდა. ბევრი აღარ უყოყმანია, გულდარები არც ისე შორს იყო. მხატვარს თანხმობის პირი მისცა და საგზლის სამზადისს შეუდგა.

დილით, ვიდრე სტუმარი აღგებოდა, ვაჩემ ცაგოსას გადაიბრინა. პავლია კუტის ოთახის სარკმელი ღია იყო. კუტი მაგიდას უჯდა და წერდა. ცაგოს მეორე ოთახში ეძინა. ხმადაბლა, სხაპასხუპით უამბო ვაჩემ უფროს მეგობარსა და მასწავლებელს თავისი გამგზავრების ამბავი, გადაეხვია, ვადაკოცნა და წასვლისას ხელმანდილი გადასცა, ცაგოს მიეცო.

ვაჩე სიბრბილით გაშორდა იქაურობას. პავლია კუტმა ერთხანს თვალი გააყოლა, მერე დაკეცილი მანდილი გახსნა და ზედ ამოსაქარგავად მკრთალად გამოყვანილ ნახატს დააკვირდა: ცაგოს სახე დაეხატა, გაღიმებული, ბედნიერი გოგონას სახე; თავს მინდვრის ყვაილებს გვირგვინი დაედგა. მინდვრის ყვაილები ეყარა მხრებსა და მთელს ტანზე ცაგოს და ხელები რატომღაც მარცხნივ ჰქონდა აპყრობილი.

მიხვდა პავლია და გაელშია: ვაჩეს ბეთანიის კედლის ის მხატვრობა ვადმოეტანა მანდილზე, რომელზედაც ასე გატაცებით უამბობდა ხოლმე კუტს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ დიდი თამარის ნაცვლად პატარა ცაგოს სახე დაეხატა და ძვირფასი სამკაულების მაგივრად მინდვრის ყვაილებით შეემკო.

თბილისის გზა ეიწროებში შედის. მგზავრები ბუზის ტოლად ჩანან. მიღიან და თან ვაჩეს ფიქრი მიჰყვებათ,

იმ გზასავით გაგრძელებული და ჩახლართული ფიქრი...

ორი წლის თავზე დაბრუნდა გულდარებიდან ვაჩე. იყალთოელს სასახლის მოხატვა დაესრულებინა და ახლა ხლათის მელქის, აშრაფის მიწვევით ვანის ტბის პირა ქვეყანაში უნდა გამგზავრებულიყო ხლათელთა სათაყვანებელი ქართველი დედოფლის თამთას ეკლესიის მოსახბატავად. ამ ორ წელიწადში ვაჩეს შეჩვეოდა, ნიჭიერი ქაბუჯი მისი უახლოესი თანაშემწე გამზდარიყო და გულით უნდოდა ხლათშიც თან წაეყვანა. დედამ შორს დაიჭირა, ერთადერთ, დამმარხველ შეილს ცხრამთას იქით როგორ დაეკარგავო.

იყალთოელმა ერთი კვირის ვადა დაუდო დედა-შვილს, კარგად მოიფიქრეთ, მე თქვენი სიყვითე მინდა და კარზე მომდგარ ბედს ხელს ნუ ჰკრავთო.

ვაჩეს თავის გულში პასუხი გადაწყვეტილი ჰქონდა. იყალთოელს ხლათში კი არა, ჯანდაბასა და ღოზანაში გაჰყვებოდა, ოღონდ მისი მუშაობისთვის ეცქირა, მისი რჩევა და შეგონება ესმინა და მისივე დახმარებით თავდაც ამალგებულებო, როგორც მხატვარი და შემოქმედი.

იყალთოელის გასტუმრებისთანავე ვაჩე ცაგოსას გადავიდა.

ეზოში არავინ იყო და პირდაპირ პავლიას ოთახს მიამურა. კუტი საწერს უჯდა და მისი შესვლა არც გაუგია. ვაჩემ ფეხი წინ წასდგა და მისი ჩრდილი ეტრატს დაეცა. მხოლოდ მაშინ ასწია თავი საპყარმა. გოცებული უუურებდა ხეიბარი გაღიმებულ ვაჩეს. მერე, რომ იცნო, სკამზე ბურთივით შეხტა იმისიძიმე კაცი და აღტაცებით აღმოხდა:

— ვაჩე! ჩემო ვაჩე! რამოდენა გაზრდილხარ, როგორ დაეაყვაცებულხარ. ულვამებიც დაგიშვეენებია. — ბუბუნებდა კუტი და გულში იყრავდა მის სკამთან ჩაჩოქილ ვაჩეს.

გრიგოლ აბაშიძე
დიდი ღამე

ხვევნას რომ მორჩინენ, ვაჩემ თავი აიღო. კედელზე მისეული ხელმანდილი იცნო, მისივე ნახატით ამოქარგული. ნახატის გულუბრუნვილობაზე გაეღიმა, ხოლო მარცხნივ წმიდანით გაშვერილი ცაგოს ხელების დანახვაზე გაწითლდა, შერცხვა უკვე დაოსტატების გზაზე შემდგარ მხატვარს.

ხმაურზე ცაგო გამოვიდა. კარის ზღურბლზე გაჩერდა და გოცებით მიაჩერდა იქ მყოფთ. ვაჩე წამოდგა, მიგებება გაიფიქრა, მაგრამ ფეხი წინ ვერ დასძრა: კართან ცაგო იყო, მაგრამ ის ძველი ცაგო კი არა, ტანაყრილი, მკერდგაღვიძებული. ქალიშვილიც, ალბათ, ასევე ფიქრობდა შედგარებულ ქაბუტზე, რომელიც ვაჩეს ქაგადა, მაგრამ წინანდელი ვაჩე აღარ იყო.

რატომღაც ორივე გაწითლდა, ორივეს შერცხვა, მაგრამ რისა და რატომ, არც ერთს არ ესმოდა.

— ცაგო! ვაჩე დაბრუნდა... ნუთუ ვერ იცანი! — შესძახა ხეიბარმა, ცაგო თავისივე მისწია და თითქმის ძალით ჩამოართმევინა ქალ-ვაჯს ხელი.

იმ დამეს ვაჩეს არ ეძინა. თვალწინ სულ ცაგო ედგა, დამშვეწებული და თითქმის ქალობაში შესული, მაგრამ ჯერ კიდევ ბავშვი და წმინდა.

მეორე დღეს დილიდან ისევ ცაგოსას დაიკარგა და ვაჩეს დედა მიხვდა, რომ მისი შვილი შორს აღარსად წავიდოდა.

ცაგო მალე კვლავ შეეჩვია ვაჩეს — თავის ტოლსწორთან ძველებურად უშუალოდ ექირა თავი და ბუნებრივი, ბავშვური მიაშიტობით ისევ ისე თავისუფლად და ძალდაუტანებლად იქცოდა მასთან, როგორც წინათ, ვაჩეს გულდარეში წასვლამდე, თითქმის იმ ორ წელს, რომელსაც მათი განშორების შემდეგ გაევლო, არც პასაკი მოეტანოს მათთვის, არც ბაგეებზე პირველი უღვაში აეშალოს, არც მკერდი შეემალღებინოს ოდნავ და არც ახალ, მანამდის უცნობ ზმანებებში ეტარებინოს სინწიფის ზღურბლზე მისული ქალ-ვაჯი.

ერთი ცელილება შენიშნა ვაჩემ: ცაგო ძველებურად ანცი და დაუდგარ-მელი, კისკისა და უნაღვლო აღარ იყო.

რაღაც სევდა შეჰპარვოდა, სადაღვო, აუხსნელი და გაუგებარი სევდა, რომელიც მის ღამაზე თვალებს ახელდა, რომელიც შუქს აძლევდა და კიდევ უფრო, სანდომიანს ხდიდა.

განუყრელად თან დაჰქონდა პატარა წიგნი ცაგოს. დრო და დრო ფიქრში წასული ამ წიგნს შლიდა და ლექსებს ბუტბუტებდა. ცოტა რომ შეეჩვია ვაჩეს, ცაგომ წამდერებით ერთი ლექსი წაუკითხა. ვაჩე გამტერდა. უცებ მოეჩვენა, რომ ეს ლექსი მისი იყო, მისი გამოუთქმელი სათქმელი, რომელიც სხვას მისანით ამოკითხა მის გულში და უმისოდ გამოეთქვა.

ვაჩის ყურადღებით წახალისებულმა ცაგომ კიდევ ერთი ლექსი წაიმღერა და რომ დაამთავრა, შეკავებული ოხერა ჩაესმა. ვაჩეს მოხვდა: ქაბუტი ერთიანად წამოწითლებულიყო.

— საიდან იცოდა?! — წაიდუღუნა ვაჩმა და გაკვირვებით მოშტერებულ ცაგოს თვალი აარიდა.

— რათ, რა საიდან იცოდაო? — იკითხა ცაგომ.

— ჩემი გულისთქმა, ჩემი სათქმელი საიდან იცოდა მაგის გამოთქმელმა. — ოდნავ გასაგონად თქვა ვაჩმა და ისევ თავი ჩაჰკიდა.

გოგონას კისკისი აუეარდა. უყურებდა გოცებულსა და გოგნებულ ვაჩეს და იცინოდა, იცინოდა, სიცილით კედებოდა.

ვაჩმა არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, შეურაცხყოფად და დაცინვად მიეღო ქალიშვილის სიცილი და გაბრაზებულიყო, თუ თავადაც შუბლი გაეხსნა, ცაგოს აპუოლოდა და მასავით უმიზეზოდ ეცინა, ეხარხარა.

ვაჩმა მეტი ველარაფერი მოიფიქრა, წიგნი ხელიდან გამოსტაცა და ხარბად დააჩერდა.

ქალმა არ იწყინა. ახლო მივიდა და გვერდით ჩამოუჯდა.

— იცი ვისი სათქვამია? — ხმადაბლა ჰკითხა.

— აბა საიდან მეცოდინება! — მხრე-



ბის აჩეჩით უპასუხა ვაჟმა და წიგნი გადაფურცლა.

— თორელის ლექსებია, მეფის კარის მგოსნის, თურმან თორელის, — წარმოთქვა ქალმა, გადაშლილ ფურცელზე ლექსის სათაურს დახედა და ისევ ზეპირად, წამღერებით დაიწყო ლექსის კითხვა.

ვაჟმა წიგნი დახურა და მოჯადოებელი მიაჩერდა.

— რა კარგად უთქვამს! — აღმოხდა ქაბუკს, როგორც კი ქალმა დაასრულა.

— თორელის ლექსები გამიგონია, — დასძინა ვაჟმა, მერე ისევ ცაგოს ასეღი და ჰკითხა: — თამთას ლექსია?

— არა! — თავის გაქნევით უპასუხა ცაგომ.

— მაშ რუსუდანიისა იქნება! — დაჯერებულად თქვა ვაჟმა.

ქალმა ისევ თავი გაქნია და წამოწითლდა. ეტყობოდა, ეწყინა ვაჟის მიუხედარელობა, რადგან თავის გულში რატომღაც ამ ლექსებს მისდამა მიძღვნილად, მისი სიყვარულით დაწერილად თვლიდა, თუმცა მათ დამწერს იგი თვალითაც არსად ენახა და, აღბათ, მისი ასრებობაც არ იცოდა.

— სულ ზეპირად იცი? — ჰკითხა ვაჟმა.

— სულ, თავიდან ბოლომდე. — დაუღასტურა ქალმა.

— ნეტავ მეც ვიცოდე! — ინატრა ვაჟმა და გაუბედავად დაუმატა: — მომეცი ეს წიგნი.

ქალმა წარბი შეიკრა.

— არა, სულ კი არა, — დაამშვიდა ვაჟმა. — ცოტა ხნით მომეცი, გადავწერ და დაეასურათებ.

— დაასურათებ?

— ჰო, რასაც ამ ლექსებში დავინახავ, ყველაფერს იქვე დავხატავ, თვითველ ლექსთან.

— მართლს ამბობ? გულით დაზატავ?

— გულით... სულით და გულით დავხატავ... — უთხრა ვაჟმა და წიგნი სათუთად დაეკვა.

წაიღო ვაჟმა წიგნი და ცოტა ხანში ის ლექსები მანაც ზეპირად ისწავლა.

თავიდანვე რომ თავის ნათქვამად მოეჩვენა თორელის ლექსები, შემდეგ რაც უფრო ჩაუფიქრდა თავისი და ამ ლექსებით თქმულს, მისი განუმტკიცდა რწმენა, რომ მგოსანს მისი სათქმელი გამოეთქვა.

თავად ძისტვის ლექსად გამოთქმის ნიჭი არ მოემაღლებინა ღმერთს. რამდენი კარგი ლექსი წაუეთხავეს და მოუსმენია, მაგრამ მანამდე მგოსნების არ შეხარბებია, არც ლექსად თქმის ნიჭი უნატრია. ახლა კი თორელის ამ ლექსების კითხვისას, გრძნობდა, რომ მგოსანი მის გულისთქმას ამბობდა და შურდა, რომ მისი სათქმელი სხვას გამოეთქვა.

დემეტრე იყალთოელი ლექსების დიდი მოყვარული იყო, ბევრი წიგნი უჩვენებია ოსტატს მოწაფისათვის — არაბული თუ ირანული, ბერძნული თუ სომხური. ზოგი უჩუქებია კიდევ მისთვის, ბევრი მათგანი ღამაზ ყდაში იყო ჩასმული და შიგნით უცხოლ მოხატული: სარკვეში მზირალი ფართო ხალიჩა ხათუნებით, დაკოდილი შელის ნურებებით, მოზიდული მშვილდ-ისრებებით, დაკრული გულეებითა და გონწასული მიჯნურებით.

ვაჟმ ზოგი სხვისი გაიხსენა, ზოგი თავისი მოიგონა და შეუდგა წიგნის ხატვას.

პატარ-პატარა სატრფიალო ლექსებს ეტრატის თითო გვერდს უთმობდა. სათაურები და დასაწყისი ასოები ფრინველებისა და ცხოველების მიმსგავსებით გამოჰყავდა და ეტრატის თავსა და ბოლოში ლექსის გმირებს აცოცხლებდა. მაგრამ გასაოცარი ის იყო, რომ ყველა ლექსის მისამართი და მთავარი გმირი ერთადერთი სახით, ცაგოს სახით ეცხადებოდა და არც კი დაფიქრებულა თუ რატომ, წიგნის ყველა გვერდზე მარტო ის ჩნდებოდა საზთან თუ ნამორთან, ისთან თუ კარდთან, ზეზე გასულ ვაზის მტევანთან თუ წყლის დასალევად წყაროზე ჩაჩოქებულ შელის

გრიგოლ აბაშიძე

დიდი ღამე



ნუკრთან. თვითონაც არ იცოდა, როგორ გაჩნდა მისი ყალმის ქვეშ ეს სახე, გონების რომელი კუნძულიდან ამოტივტივდა მის დაუკითხავად და როგორ გაიკოცხლა ხაზსა და ფერში.

ვანე მეტს აღარაფერს აცეთებდა, თორელის წიგნს უჯდა და გარეთ აღარ გამოდიოდა. ცაგოს საუფარგელი წიგნის მოხატვა გმობობისა და სახელის საქმედ მაჩნდა და მთელ თავის არსებას, ფიქრსა და შთაგონებას, სულსა და გულს ატანდა ამ საქმეს.

ცაგო მოუთმენლად ელოდა, ვანეს ნამუშევრის ნახვისათვის სული მისდიოდა, მაგრამ თავს იკავებდა, მხატვარს არ აცითხავდა, რომ ხელი არ შეეშალა.

ბოლოს ვანემ თვითონ მიიწვია. მთავარი უკვე დაესრულებინა და დასაბარავი ცოტალა დარჩენოდა.

წიგნის ვადაშლა და ცაგოს წამოწითლება ერთი იყო. თავის თავს თუ ეგრე წარმტაცად და ნაირფერად დახატულს ნახავდა, არ ელოდა. ბავეს ბოლოსთან სადღაც ღიმი აუთამაშდა და თვალში უცხო ნაპერწყალმა გაუელვა. უყურებდა ვანე სახელეწილსა და სუნთქვანქარებულ ცაგოს და ვერ გავიგო, ეს სიწითლე და შეკავებული ღიმილი სიამაყისა იყო თუ მოკრძალებისა.

ცაგომ თავის თავზე არაფერი თქვა, მაგრამ მხატვრობით აღტაცება არ დაფარა:

— მსგავსი ჯერ არაფერი მინახავს, ვანე! — თავაუღებლად, წიგნის ფურცვლით თქვა ცაგომ და ვანე სიხარულით ცას მისწვდა.

ამაზე მეტი ჯილდო, ალბათ, არც ერთ მხატვარს არ უნატრია — მისი ნამუშევარი მოსწონდა იმ უმაღლეს მსაჯულს, რომლის შთაგონებითაც ესოდენ დაშვრა ჰაბუყი.

— ასეთი წიგნი მეფეებსაც არ ექნებათ!

თავმომწონედ თქვა სახეგაბრწყინებულმა ცაგომ და თავის ფიქრში წასულმა დაუმატა:

— ალბათ, არც თორელს ექნება ასეთი წიგნი!

ვანე არაფერს ამბობდა, თავი აიღებდა და უხერხულად ეღიმიებდა.

— მაღე დაასრულებ, ვანე!

— მაღე, რალა დამრჩა! სულ სამიოდღე დღის სამუშაოა...

— კარგი იქნება, ჩემს წასვლამდე მოასწრებდე.

ვანე შეერთა, გოცებულმა ახედა.

— თბილისში მივდივარ, ჩემი ძმა მამუცა მეფის კურთხევაზე გვიწვევს.

მოულოდნელი ამბის გაგონებამ თითქოს მეხი დასცა ვანეს. შეტორტმანდა და სკამის ზურგს წაატანა ხელი.

— იქნებ მეფის კარზეც მოვხვდე... ეგებ, იქ თორელიც ენახო... — თავისთავთან მარტო დარჩენილივით ლაპარაკობდა ოცნებაში წასული ცაგო.

— თბილისში დიდხანს დარჩები? — შეშინებულვით ძლივს ამოიდგა ენა ვანემ.

— ვინ იცის, ეგ ბედზეა, ვანე! იქნებ სულაც იქ დავრჩე! — აღტაცებით თქვა ქალიშვილმა.

ვანეს ფერი ეცვალა, შუბლი შეეკრა და სახე დაეღრუბლა.

— სწორედ სამ დღეში მივდივარ, ვანე, ეგებ მოასწრო დამთავრება, — შეეხვეწა ცაგო და მკლავში ხელი ჩასქიდა.

— ვეცდები... უთუოდ მოვასწრებ! — უხალისოდ, მძიმედ უთხრა ვაჟმა და წიგნი იქით მისწია.

— შენ იცი, ვანე, თუ თან გამატან, იქნებ ეგ წიგნი თორელსაც ჩაუვარდეს ხელთ, — ოცნებაში წასულმა ქალმა გულზე მიიღო ხელი, თითქოს აჩქარებული სუნთქვის შეჩერება სურდა. მერე უცებ გამოერკვა და ცივად მოსქრა, — წაეალ, აღარ გაგაცდენ... თავადაც ბევრი საქმე მაქვს, სამგზავროდ უნდა მოვეშხადო...

ქალი სირბილით გავიდა. ვანე მხრებჩამოყრილი დაეშვა სკამზე.

იმ სამმა დღემ სწრაფად გაირბინა. ცაგო წასვლის სამზადისში იყო და ვანესთან შესავლელად აღარ ეცალა.

ვანე წიგნს უჯდა და ხატავდა, თუმცა ძველი გულით ველარ მუშაობდა.

სულაც თავს მიაწვებდა, მაგრამ ცაგოსათვის მიცემული სიტყვა სამუშაოზე აბამდა. ცაგოს წასვლის ამბავმა მთლად ააფორიაქა ქაბუჯი. ისე ეჩვენებოდა, თითქოს ცაგოს წასვლით მარტო მისი ცხოვრების ჩვეულებრივი მდინარეება და ახალდაბის პატარა აგარაკის მყუდროება კი არ ირღვეოდა, არამედ მთელი სამყაროს წესი და რიგი იშლებოდა, თავდაყირა დგებოდა და ცხოვრება მოულოდნელობითა და გაურკვევლობით ივსებოდა.

ასე რატომ მოუხაროდა თბილისისკენ ცაგოს, რატომ ასე გატაცებით ოცნებობდა იქ დარჩენასა და ცხოვრებაზე?

ამ კითხვას თავი ადვილად გაართვა: თბილისში ცხოვრება და, მით უფრო, სამეფო კარზე მოხვედრა ყველასათვის სანატრელი იყო და უმშვენიერეს ცაგოს რატომ არ უნდა ეოცნება ფუფუნებითა და სანიმუშო რაინდობით საქვეყნოდ განთქმულ ბაგრატიანთან კარზე.

საწყენი და გულის დასაწყვეტი ის იყო, რომ ცაგო უკან არ იხედებოდა, დატოვება არაფრისა ენანებოდა და განშორება არაეისი ეძინებოდა.

მაგრამ იქნებ არც არაეინ იყო ასეთი, იქნებ...

იქნებ ვერც ხედავდა ცაგო, თუ რა ძვირფასი იყო ვაჩესათვის მისი სიახლოვე! განა ცაგოსთან განშორების შიშით არ უთხრა უარი ვაჩემ თავის უსაყვარლეს მასწავლებელს ხლათში წასვლაზე? განა მცირე იყო ეს მსხვერპლი იმ ახალგაზრდა მხატვრისათვის, რომელიც სიცოცხლის აზრსა და თავის მომავალს დემეტრე ივლითის გვერდით ხატვასა და ცხოვრებაში ხედავდა?!

რატომ ვერ გრძნობდა ცაგო, რაოდენ ერთგული, რაოდენ მალმერთებელი ჰყავდა ასე ახლო, სულ ახლო, კარის მეზობლად, როგორ თავლის სანთელივით წმინდად იწვოდა მის ხატთან ამ ქვეყნიური ბიწისაგან ჯერ კიდევ შორს მდგარი უწვერული ქაბუჯი.

იქნებ იმიტომ არ ესმოდა ცაგოს ვაჩეს გაუმხელელი გულისთქმა, რომ

ისიც ბავშვი იყო, მასავით გამოუცდილი და მიუხვედრელი?

მაგრამ რატომ ამბობდა ასე ვაჩემ ბოთა და გატაცებით თორღულს უხელებს... და განა მარტო ლექსებს... თავით მგოსნის სახელს... ასეთი სასოებით მხოლოდ ღმერთის სახელს წარმოსთქვამენ ხოლმე.

რატომ ნატრობს ცაგო თორღლის ნახვას, მასთან შეხვედრას ასეთი დაეინებით, ასეთი თავდავიწყებით?

ნუთუ?..

მაგრამ საიდან, ცაგოს თვალითაც არ უნახავს თორღლი.

დასრულდა წიგნის ხატვა. ძველებურად აღარ ახარებდა, თითქოს სძულდა კიდევ ვაჩეს ეს საოცარი წიგნი, რომელსაც ასეთი შთაგონებით ხატავდა და რომელმაც ასე აუხსნელად დაუქარგა სიმშვიდე.

აბრეშუმის ქსოვილში შეახვია სათუთად წიგნი მხატვარმა და უცებ საშინელმა ფიქრმა გაჰკრა: ვაითუ მზითვად ვატან ცაგოს ამ წიგნს თბილისშიო.

გული და გონება მოეწამლა, წიგნს უწმინდურებასავით უშვა ხელი და უცებ მოშორდა.

მაინც გულმა არ უქნა. წელან ქალაქისაკენ მიმავალი ცაგო რომ დაინახა, წიგნი მაინც გამოუტანა და გადასცა. მერე ის უცნაური კოცნა და უცნაური განშორება...

სიშორეში ჩავარგულან, წაშლილან და გათქვეფილან თვალის დასალოერში მიმავალი მგზავრები. ლანდადაც, წერტილის ოდენაც აღარ ჩანან.

ვაჩე წამოდგა, სოფლისკენ მობრუნდა და შარას დაუყვა.

ეკლესიის ეზოში ბიჭები ჭიდაობდნენ, ერთი აურზაური ჰქონდათ. ვაჩე დაინახეს და დაუძახეს. ქაბუჯს არც გაუგონია, გზა განაგრძო. გზაზე ვილაყები ხეღებოდნენ, ალბათ, მეზობლები და ნაცნობები იყვნენ, საღამს ეუბნებოდ-

გრიგოლ აბაშიძე
დიდი ღამე

ნენ და ულიმოდნენ, მაგრამ მათგან ვერავის ცნობდა და არც არავისი ესმუდა. სოფელი საესე იყო, დიდა და პატარა ყანასა და ბაღში, ეზოსა და გზაზე გამოსულიყო, მაგრამ ვაჩეს ყველაფერი დაცარიელებული, უკაცური ეჩვენებოდა — ეზოებიც და სახლებიც, ბაღებიცა და მინდვრებიც.

რალა გაძლებს, რალა აცხოვრებს ამ აყლამასავით გაციეებულსა და გამოცარიელებულ სოფელში ვაჩეს!

შინ მობრუნდა. წყალთან ბავშვები აღარ იდგნენ, დედაც აღარსად ჩანდა. სახლი მიიარ-მოიარა. მკვდრული სიჩუმე იყო ყველგან და იქაურობაც გამოცარიელებული ეჩვენა.

კედელზე იყალთოელისეული აბგა ეკიდა, მაგადაზე ყალმები და ფუნჯები ეყარა.

თითქოს მათმა დანახვამ გამოარკვიო, ვაჟი უცებ გამოიოცხლდა. აბგა ჩაიხსნა, საღებავები, ფუნჯები და ყალმები შიგ უწესრიგოდ ჩაყარა, განჯინიდან შოთი პური გამოიღო, იმასაც აბგაში უკრა თავი, ზურგზე მოიგდო და სახლიდან გაეიდა.

თავი მორა

ქალაქი საზეიმოდ იყო მოკაზმული. აივნებზე ფერადი ხალები გადმოეფინათ, ქულბაქები დაეკეტნათ და ბანებზე ხალხი გამოსულიყო.

პურისა და ღვინის საეპკროები, ფუნდუეები ღია იყო.

გამყელ-გამომყელეული პურსა და ღვინოს ყველგან უფასოდ მიირთმევდა. ზურნა-დოლის ხმასა და შემფორაღეთა ყაყანს ყურთასმენა მიჰქონდა.

პირველსავე ფუნდუეთან გავლისას ხელი სტაცეს ვაჩეს. შეზარხოშებულეები ქალაქის ხელოსნები იყვნენ. ვაჩე დიდ რუმბთან მიაგდეს.

— ქალაქში ისე შესვლა არ შეიძლება, მეფე თუ არ გვიდღეგრძელებ!

— რუსუდან დედოფლის ტახტზე ასვლა დალოცე!

მიამხებს აქეთ-იქიდან და რამდენიმე დაყოყრილმა ხელმა ერთად გამოუწოდა ვეება სასმისები.

ვაჩემ ერთი დასცალა, დედოფლის კურთხევა დალოცა და მეორე სასმისზე უარი თქვა, მაგრამ არაფერი ვერცხდა. — ახლა ღვთიფგვირგვინს ვეცხვით, ხელსა ცხონებელი თამარი გვიდღეგრძელებ, რუსუდან მეფეს მის კვალზე სიარული უსურვე.

მიეძალენ ვაჩეს და დიდი თამარის სადღეგრძელოც დააღვიენეს.

წასვლა დააპირა, მაგრამ ღმერთი სამეზობით არისო, შესძახეს აქეთ-იქიდან, ჩვენც ხალხნი ვართ, მეფე და მთავარი ჩვენით არის, ჩვენი მარჯვენაც დალოცე, საქართველო და მისი ხალხი აღდღეგრძელებო.

ესეც დალია ვაჩემ და ფუნდუქიდან უკვე ლოყებშევიარდისფერებული გამოვიდა.

გულიდან დარდი გადაეყარა, თვალში შუქი მოემატა და მუხლში ძალა. აბგამოკიდებული მოდიოდა შუა ქუჩაზე, ღლინებდა, ცა ქუდად არ მიანდა და დედამიწა ქალამნად.

ქალაქის მოედანზე უამრავი ხალხი ირეოდა. ზედ მოედნის შუაგულში ორი ხე აღეშართათ: ერთი მთლიანად ოქროსი და მეორე — ვერცხლისა. ამ ხეებზე ოქროსა და ვერცხლის ჩიტები ისხდნენ და ტოტებიდან წითელი და თეთრი ღვინის შადრევნები სდიოდა.

ხალხი გაოცებული უყურებდა ქვეყნის სიმდიდრისა და ხელოვნების ამ სასწაულს. გარს უვლიდნენ, ავირდებოდნენ, ტოტებიდან გადმოფრქვეულ ღვინოს აჰაშნიკებდნენ და ქართველი ოქრომჭედლების ოსტატობის გამო აღტაცებას გამოსთქვამდნენ.

— რამდენი ოქროა დახარჯული ამ შადრევნებზე, მერე სულ ბაჯილო, წმინდა ოქრო!

— ვინ იცის, რამდენ ხანს სქედნენ ოქროსა და ვერცხლს, რომ ასეთი საზღაპრო შადრევნები გაეკეთებინათ!

ესმოდა გაოცებული მნახველების ლაპარაკი ვაჩეს და თავათაც განციფრებული უვლიდა იმ სამოთხის ხეებს.

— ამბობენ, მამუკა ოქრომჭედლის გაკეთებულა, საკეთარი ხელითო.

— ჰო, ხელობა მამუკასია, გეგმა და



ცაგოს მოხედა: ცაგო ისევ ფეხის წვერებზე იდგა და თუმცა მეფის ამაღლა უკვე კარგა შორს იყო წასული, უცნობი ცხენოსნის დანახვას ცდილობდა.

პავლია კუტთან ვიღაც მიიჭრა და გადაეხვია. მზარზე კაცის მოხვეუელი ხელი რომ იგრძნო, მაშინლა გამოერკვა საპყარი და კისერზე ჩამოეკიდა. ვაჩემ იცნო ცაგოს უფროსი ძმა მამუჯა.

მამუჯამ პატარა ბავშვივით აიყვანა პავლია კუტი და ხელში ატატებული სახელოსნოსკენ წაიყვანა. დარაბები გახსნა და კარზე დაარახუნა. კარი მაშინვე გაუღეს და დარაბაც მიხურეს.

ცაგო ისევ ძველ ადგილას იდგა, ისევ წინ იუფრებოდა და ამაოდ ცდილობდა უკვე შორს წასული უცნობის დანახვას.

სახელოსნოს კარში ისევ მამუჯა გამოჩნდა, ცაგოს დაუძახა და ქალი გამოფიხლდა. უხალისოდ, ნაძალადევად გაღიმებული მიბრუნდა, სახელოსნოში შევიდა და დარაბაც მიიხურა.

ბანი უკვე დაკარიღლებულიყო, ხალხი მეფის ამაღლას გაჰყოლოდა. ვაჩე წასვლას აპირებდა, მაგრამ წასასვლელი არსად ჰქონდა და იმას ფიქრობდა, მარჯვნივ დადგომოდა გზას თუ მარცხნივ, ზემოთ თუ ქვემოთ.

ფიქრიდან ცხენის ფეხის ხმამ გამოიყვანა. ცხენს ის უცნობი მოაქუნებდა, წელან რომ მეფის ამაღლას ჩამორჩა და ცაგოს თვალში თვალს უყრიდა.

ხელდად და სმენად იქცა ვაჩე, გულმა გამალებით უწყო ცემა.

უცნობმა ცხენი იქ გააჩერა, სადაც პავლია კუტის სახედარი იდგა, ცხენიდან გადმოხტა და ახლა უფრო მოხდენილი და ტანადი ეჩვენა იგი ვაჩეს. ცხენი სახედრის გვერდით გამოაბა, დარაბა გამოაღო და სახელოსნოს კარზე დააკაუნა.

კარი გაუღეს და დარაბა ისევ მიიხურა.

მამუჯას სახელოსნოში რომ შევიდა, ცაგოს არც პირის დაბანასა და თმის დეარცხნაზე უფიქრია, არც საკმელსა და სასმელზე. ძმას დედისა და ნათესავ-

მეზობლების ამბავს კითხვა არ აცდია, თორეღის წიგნი ამოიღო და წინ გადაუწია უშალა.

მამუჯას თვალი მოსტაცა ულაშაზესი ხელით ნაწერმა და გასაოცარია მიატერობამ. გაოცებული დააკქერდა და ნელა ფურცლავდა პატარა წიგნს.

— რა მშვენიერი მხატვრობაა! — აღმოხდა მამუჯას და რომელიღაც ნახატს დაეინებით ჩააკქერდა.

— ვისია? — ისევ თავაუღებელივ იკითხა მამუჯამ.

— ჩემია! ვისი იქნება?! — უბასუხა ცაგომ.

— სად იშოვე, ან ვისი ნახელავია? — გაკვირვებით შეხედა მამუჯამ ცაგოს.

— სად ვიშოვიდი, ჩვენი ვახეს მოხატულია!

— ვაჩესი? გძელიაანთ ვაჩესი?

— ჰო, გძელიშვილის ობლისა, ვაჩესი. იყალითოელის მოწაფისა.

— თურმე ტყუილად როდი მიქებდა დემეტრე მხატვარი გძელიშვილის ობოლს... ასეთი მაინც არ მეგონა! — გაოცებით გაქენია თავი მამუჯამ და ისევ წიგნს დააკქერდა.

— მართლა კარგია, მამუჯა? ნამდევლად მოგწონს?

— მომწონს რომელია? ამ ნაქუშევარს ფასს ვერავეინ დასდებს.

— თუ ვერგა, ოქროთი მომიქედუ და მეფის კარზე როცა წარმადგენ, რუსუდან დედოფალს მიეართმეგა.

— მართლაც კარგი ძღვენი იქნება! მაგრამ დღეს მეფის კურთხევის დღეა, აველა უქმობს და მეც ოსტატები დავითხოვე.

— შენ თვითონ მოქედე, მამუჯა, შენსავით ვინ გააკეთებს! — შეეხეწა ცაგო.

— კარგი, მე თვითონ გავაქუთებ. მაგრამ შემდეგ იყოს, ახლა დაეისვენოთ და საუზმეს შევექცეთ, — ღომილით მოხვია დას ხელი მამუჯამ. უარდა ესწია და ცაგოს სახელოსნოზე მობმული ოთახისკენ წაუძღვია.

პავლია კუტი რბილ ტატზე წამოწოლილიყო, წყალი მოერთმიათ, ხელ-

პირი დაებანა და ახლა საუზმის მოლოდინში ლოცვას ბუტბუტებდა.

— ახლავე, პავლია! აბა, ცაგო, შენც მიშველე! — შესძახა მამუკამ და ის იყო ტაბლის გასაწყობად უნდა დატრიალებულიყო, რომ კარზე კაკუნი გაისმა.

— მათე, კარი გააღე, ვილაც აკაკუნებს!

გასძახა მსახურ ბიჭს და ცოტა ხნის უკან დაადგინა:

— მე თუ ვინმემ მიკითხოს, უთხარ- შინ არ არის-თქო.

ბიჭი ისევ ჩქარა მობრუნდა.

— ვილაც დიდი დიდებულაა. ძალიან საჩქარო საქმე მაქვსო.

— მერე მე როგორ დაგარიგე!

— ვუთხარი, ოსტატი შინ არ არის-მეთქი და არ დამიჯერა. კარი არ მიმახურენია, შინ ძალით შემოვიდა.

— დამიცადოს.

ცივით უთხრა მამუკამ და ბიჭი სახელოსნოში გავიდა.

— დიდ დიდებულს ახლა აქ რა უნდა? — გაიკვირვა მამუკამ, ცნობის სურვილმა დასძლია და ფარდის კუთხე ოდნავ ასწია. ფარდა მაშინვე დაუშვა, და-ამისღინ მობრუნდა და ხმადაბლა წარმოთქვა:

— თურმან იორელია, მეფის კარის მგოსანი!

დაფაცურდა და სწრაფად გავიდა მამუკა.

სტუმარს მდაბლად მიესალმა და სავარძელი შესთავაზა. თორელს უკვე შეინიშნა მაგიდაზე გაშლილი წიგნი, ყურადღებით დაჩერებოდა და მოწონების ნიშნად თავს აქნევდა.

ცაგო ფეხაყრფით მივიდა ფარდასთან, ოდნავ ასწია და სულგანაბული მიაჩერდა. წელან, სულ რამდენიმე წუთის წინ, მეფის ამაღაში მიმავალმა ცხენოსანმა რომ თვალი თვალში გაუყარა და გული და გონება მოსტაცა-თურმე თორელი ყოფილა, მისი საოცნებო თორელი! როცა მის ლექსებს იქ, ახალდაბის მინდვრებსა და ტყეებში ზეპირობდა, მომზიბლავ ვაჟაკად ჰყავ-

და თურმან თორელი წარმოდგენილი მაგრამ რა იცოდა, თუ ესოდენ საქმეში მიმზიდველი და თვალტანად ვინმე ვინმე...

— შენთან ერთი სათხოვარი მაქვს, მამუკა! — მიმართა თორელმა ოქრო-მკვედელს და წიგნს თავი ანება.

— მუდამ მზადა ვარ თქვენისთანა სახელოვან დიდებულს ვეშასხურო! — თავდახრით უთხრა ოქრომკვედელმა.

— რუსუდან მეფეს ტახტზე ასვლა მინდა მივეულოცო.

— აცი მიულოცე, თურმან ბატონო! მთელი საქართველო თქვენს მიერ თქმულ რუსუდანის ქებას მღერის.

— ეგ ლექსად, ჩემო მამუკა. მაგრამ სხვა სახსოვარიც მინდოდა მეძღვნა, ხელოვნების რაიმე ნიმუში, პატიოსანი თვლებით შემკული ოქროს რაიმე ნივთი.

— ვწუხვარ, რომ დაიგვიანე. ამ დღისათვის ყველა ადრე დატრიალდა, თუ რამ დედოფლისა და თქვენისთანა დიდებულის საკადრისი მქონდა, ადრევე დაიტაცეს. თქვენი ღირსი აღარა მამაღია რა.

— მე არც ისე ძვირფასს ვეძებ, მამუკა. მოგეხსენება, სიმღიდრესა და შეძღვებაზე თავს არა ვღებ, ერთი კარის მგოსანი ვარ და ჩემი ჭონება ლექსია მხოლოდ. ჩემგან უბრალო ძღვენსაც მითვლიდა დიდებული რუსუდანი, მაგალითად ჩემი ლექსების წიგნს, ოღონდ ოსტატის ხელით გადაწერილსა და ხელოვანი მხატვრის სურათებით შემკულს... თუნდაც ასეთს...

ფრთხილად შეაპარა თურმანმა და მაგიდაზე გაშლილი, ვაჩნეს მიერ მოხატული წიგნი უჩვენა.

მამუკა გაშრა. თხოვნა რომ დამასწროს, უარი როგორ შეიბედოო, გაიფიქრა და სცადა გზა მოეჭრა:

— ეგ წიგნი ჩემი ახალდაბელი მეზობლის, ახალგაზრდა მხატვრისაა. თავისი ხელით გადაუწერია და თვითონვე მოუხატავს.

გრიგოლ აბაშიძე
დიდი ღამე

— დიდი ხელოვანი ყოფილა შენი მეზობელი, მამუკა. ჩემი წიგნი კი არა, რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“ არ მინახავს ასე ოსტატურად მოხატული... ამ ნახატებმა ჩემი ლექსები სულ სხვაგვარად დამანახა და წარმომიდგინა... კარგ ფულს მიეცემდი ამის პატრონს, რომ დამითმობდეს.

ფარდის იქით მდგარ ცაგოს სუნთქვა შეეკრა. უნდოდა გასულიყო, მუხლზე დაეარდნილიყო, წიგნი მიერთმია და ვედრებით ეთქვა: ეს წიგნი შენია, შენზე ნაოცნებარი, შენთვის გამზადებული და შენვე გეკუთვნისო, მაგრამ რაღაც ძალა აჩერებდა, ფარდის გადაწვევასა და გამოჩენას ვერ ბედავდა.

თორელი გამომცდელად უყურებდა მამუკას და ოსტატი დაიბნა.

— სამწუხაროდ, ეგ წიგნი პატრონს აღარ ეკუთვნის, ჩემს დას უძღვნა. ნაჩუქარის გაცემა კი, მოგვხსენებთ, წესი არ არის, — თავდახრით უთხრა ოსტატმა.

— სამწუხაროა, მაგრამ რა გაეწყობა! — დანანებით თქვა თურმანმა. წიგნი დასდო და მამუკას ვითომ სხვათაშორის ჰკითხა: — დავა გყავს, მამუკა?

— დიას, ერთადერთი დღი მყავს. სწორედ დღეს მეწვია მეფის კურთხევის სანახავად.

— ის ხომ არ არის შენი დღი, წელიწადი რომ აქ იდგა, შენი სახელოსნოს წინ, სახედარზე მჯდომი კაცის გვერდით, თეთრკაბიანი გოგონა.

— სწორედ ის არის. იმ სახედრით ჩემი საპყარი ძმა ჩამოიყვანა... ჩემი ძმა სწავლულია, მწიგნობარი და მეცნიერი. გელათის აკადემიის წინამძღვარმა ისურვა მისი გაცნობა და, აღბათ, ამ დღეებში ინებებს აქ მობრძანებას.

— გამახარე, მამუკა, ძმა ჩემი ხელობისა გყოლია. მეც სიამოვნებით გავეცნობოდი და ვესაუბრებოდი... რამდენ ხანს დარჩებიან შენი სტუმრები?

— არ ვიცი... ერთხანს აქ იქნებიან.

— მაშ. შევხვდებით! ახლა კი წავალ, სასახლეში მიგვიანდება, — უთხრა თორელმა, ერთი თვალი გააპარა ფარდის-

კენ და მენიშნა: ფარდის კუთხე ოღონდ შეირხა და ლანდმა გაირბინა. გარედან ცხენის ჰიზვინი, მარცხენა რელმა ხელი გაუწოდა მამუკას, ოსტატი დაემშვიდობა და კარამდე მიაცილა.

უცხო სახლის ბანიდან თვალი არ მოუშორებია ვაჩეს იმ კარისათვის, სადაც ჯერ ცაგო და მისი კუტი ძმა, ხოლო შემდეგ უცნობი დიდებული გაუჩინარდნენ.

ვაჩე გრძნობდა, რაღაც არაჩვეულებრივი, მისთვის დიდად მნიშვნელოვანი ხდებოდა მიხურულ დარბაზებს იქით, მამუკას სახელოსნოს კარს თვალს არ აცილებდა და ადგილიდან არ იძროდა.

კოტა ხანი საუკუნედ ეჩვენა, აწრო-აღდა. ვერც ვერსად მიდიოდა და აღარც იქ დარჩენა შეეძლო. ბედად, გვერდით გამობმულმა ცხენმა სახედრის მეზობლობა იუყადრისა, გელურსა და საგებნად მიიწია. სახედარმა ყელში მოასწრო ჯიშინან ჭურანს და ცხენი განწირულად აჭივინდა.

ვაჩეს მამუკას კართან მისელის საბაზი მიეცა, დააბირა კიდევ ცხენისა და სახედრის გასაშველელად გადასვლა, რომ სახელოსნოდან უცნობი დიდებული გამოვიდა ოქრომჭედლის თანხლებით. მამუკა სახედართან მიიჭრა, ცხენს მოაშორა და იქით გაავლო. მერე დიდებულს ცხენი მიჰგვარა, აღვირი გადაუგდო და უზანგი დაუჭირა.

დიდებული უარზე დადგა, მაგრამ მამუკა არ დაეხსნა, ვიდრე სტუმარი ცხენზე არ შეჯდა. უცნობი დიდის ამბით გამოემშვიდობა და ცხენს აღვირი მიუშვა.

მიტრიალდა თუ არა ცხენოსანი, ცაგო გარეთ გამოვიდა და დიდხანს, დიდხანს უყურა ჰენებით მიმავალ სტუმარს.

ცხენოსანი უკვე აღარ ჩანდა, ცაგო კი ისევ მის გზას გააყურებდა.

პირდაპირ, სახლის ღია ბანზე იდგა ვაჩე. ერთი რომ მოეხედა ცაგოს, შაშინვე დაინახავდა. მერე როგორ ნატრობდა იმ ერთ მოხედვას!

მამუკა კართან მოდგა და ცაგო იხმო.

ცაგომ ერთი ამოიხრა და თორელის გზიდან თვალმოუშორებლად შევიდა მამუკას სახლში.

ვაჩე ერთხანს იდგა, გაბრაზებული ცაგოზეც, იმ უცნობ ცხენოსანზეც და თავის თავზეც. მისი იქ ყოფნა არავის აღარდებდა, იმ დარაბებმხურულ სახელსონოსა თუ სახლში ის არავის ახსოვდა.

იგი ისევ ობოლი იყო ამ დიდ ქვეყანაზე, დედა შორს ჰყავდა და ამოდენა ქალაქში გამკითხავი ან გულშემატკივარი ერთი არავინ ეგულებოდა.

ღარიბი და უნათესავო ვაჩე ამაყი და თავმოყვარე იყო, მოწყალეებს არავისგან ითხოვდა და შინაგანად სჯეროდა, რომ მარტოდ მარტოც, სხვათა დაუხმარებლადაც გაიკვლევდა ცხოვრების გზას.

პირი იბრუნა და ჩქარი ნაბიჯით გაყვა ქუჩას.

იმ ღამეს არც მამუკას დაუძინია, არც ცაგოს ეძინა.

მეორე დღეს დედოფალს უნდა ხლეობოდა მამუკა და ცაგო უნდა წარედგინა. დრო არ ითმენდა, ახლის გაკეთების ველარ მოასწრებდა და ისევ გამზადებული ამჯობინა: რომელიღაც დიდებულიის მიერ შეკვეთილი „ვისრამიანის“ ყდა ჰქონდა მოქედილი. ოქროზე ამოკვეთილი მხატვრობის სასიყვარულო შინაარსი თორელის სატრფიალო წიგნისათვის შესაღვრისად მიიჩნია, ზომას მიუყენა და წიგნი ყდაში ისე ოსტატურად ჩასვა, თითქოს საგანგებოდ საამისოდ ჰქონოდა გამზადებული.

ცაგო დიდხანს არ დაწვა. მამუკას მუშაობას ადევნებდა თვალს და მას სოფლის ავ-კარგის მოყოლით ართობდა. ნაშუალამეგს მიწვა ლოკინზე, მაგრამ თვალს ძილი არ მიეკარა. იწვა ბნელში თვალდაპყვებილი და საკუთარი გულის აჩქარებული ცემა არ აძინებდა. რაღაც დიდისა და არაჩვეულებრივის მოლოდინში იყო ცაგო. მეორე დღეს მეფის კარზე უნდა წამდგარიყო, დედოფალს უნდა ხლებოდა. ვინ იცის, როგორი

თვალით შეხედავდა რუსუდან დედოფალი, ან სეფე ქალები როგორ შეხედებოდნენ?! ამაზე ადრეც უფიქრე, მამუკა! რამ ახლა ეს იმდენად აღარ ადარდებდა იქნებოდა თუ არა თორელი ხვალ მეფის კარზე, ნახავდა თუ არა ცაგო პირისპირ იმ რაინდს, რომელზედაც ასე დიდხანს უოცნებია?

იმ ღამეს არც თორელს სძინებია.

მეფის კურთხევას ბევრი უცხო სტუმარი დაესწრო: ბიზანტიელი და ტრაპიზონელი, იკონიელი და არზრუმელი, შამელი და ხლაიელი, ადარბადაგანელი და შირვანელი; იმპერატორების, სულთნების, მეფეებისა, ათაბაგებისა და მელიქების მემკვიდრეები და უფლისწულები საგანგებო ძღვენითა და აღკაზმულობით ეახლნენ ტახტზე ასულ უმშვენიერეს დედოფალს, რათა საქართველოს სამეფოსთან მეგობრობისა და ერთგულების მზად ყოფნა გაეცხადებინათ.

უცხო უფლისწულებსა და მთავრებს რჩეული მობურთაღნი, საბაობნი და მგოსანნი ახლდნენ თან.

თორელს იმ დღეს მეტიც მოუვიდა. ჯერ იყო და მეფეთა საცქერლად გამართულ მობურთაღთა შეჯიბრებაში მოზიბლა ყველა სიმკვირცხლითა და სიკისკასით, მერე ლხინის დროს შირვანელ და ადარბადაგანელ მგოსნებს გაეჯიბრა და აქ უყვე სიტყვისა და გონების ბრწყინვალეობით მოაჯადოვა მსმენელნი.

ბურთშიაც და შაირობაშიაც უჩვეულო თავგამოდება და მგზნებარება გამოიჩინა. უცხოებს არ გააკვირვებიათ, რადგან კარის მგოსნის და რჩეული რაინდის აღტყინებას ქართველთა დედოფლის ეშხითა და სილამაზის შთაგონებით ხსნიდნენ.

ახლობლები გაოცებულნი დარჩნენ: ლამის სიკედილის შემდეგ თორელი ხეირიანად გაიცინებული აღარ ენახათ

გრიგოლ აბაშიძე
დიდი ღამე

და უფროდით მისი გუნების ეგრე უფიქარი შეცვლა.

ლხინში ლეინო ჩქარა მოეკიდა საერთოდ ამტან თორელს. ნაშუაღამევს შეფეებმა სუფრა დასტოვეს და თურმანი თავის სახელოვან ბიძაშვილსა და მეგობარს შალვა ახალციხელს შეუწინდა, შერთან საღაპარაკო მაქესო. დაიყოლია, ლხინი დათმობინა და ცხენებით გაჰყენენ უკვე დაწყნარებულ, უჟაცრეულ ქუჩებზე.

ციხა და ბარის ამბები თქვეს, მაგრამ ფხიხელმა ახალციხელმა შეატყო, რომ თორელი ერთსა ფიჭობდა და სულ სხვას კი ლაპარაკობდა.

საუბარში მამუკას სახელოსნოს წინ აღმოჩნდნენ. თორელმა ცხენი შეაყენა. მიხურული დარაბიდან შექი გამოდიოდა.

— ოქრომქედელთან ხომ არ შევიდეთ? — თვალთ ანიშნა თორელმა.

— რა დროს, ოქრომქედელია?! ხვალ ნახე, დღისით, თუ ოქრო გაწუხებს! — გაეხუმრა ცოტა არ იყოს გაკვირვებულ შალვა და გზა განაგრძო.

მტკერის პირს დაჰყენენ და ორთაქალის ბაღებს შემოუარეს. შემობრუნებულნი როგორღაც ისევ მამუკას სახელოსნოს წინ გაჩნდნენ და თორელმა ისევ შეაჩერა ცხენი. მესამედ რომ აწვე მოსწია ცხენს სადავე, ახალციხელმა გვეით შეხედა თორელს.

— ისე უტრიალებ ამ ოქროს სამქედლოს, რაღაც დიდი განძი უნდა გქონდეს მიბარებული! — ღიმილით უთხრა შალვამ, გადმოიხარა და თვალეში ჩახედა თურმანს.

— დიდი! ძალიან დიდი! — ამოხვრით თქვა თორელმა, მაგრამ ზედმეტის გამხელისა შეეშინდა და უმაღლვე სიტყვა ბანზე აავლო.

— ყარგი ლამეები იციან თბილისმა, დილაშდრ რომ ასე ვიარო, არ მომწყინდება.

— ექვ! შენ თაერუზი და ყაზვინი არ გინახავს! აი, იქ იციან ლამეები!

— მაგრამ, იქ იარალით დაჰყრობილ

უცხო ქალაქებში, ასე არხეინად ვიღვილი.

— ასე, რა თქმა უნდა, ვერა, შენვე წილ ციხეებსა და ბრძოლით ქალაქებში ასე არავინ გაგიშვებს.

შალვა ცოტა ხნით ოცნებამ წაიღო, მერე ისევ ახლო მივიდა თორელთან, ცხენი შეაჩერა და ხმადაბლა უთხრა:

— ამ დღეებში აღარაბადაგანზე უნდა ვილაშქროთ. გინდა, წამოდი...

— ვერა, შალვა, ვერ წამოვალ! — ამოთხვრითა თქვა თორელმა, — სწორედ ამ დღეებში ერთი დიდი საქმე მაქვს და სანამ ის არ გადაწყდება, ვერსად ვერ წავალ.

ახალციხელმა ისევ გაკვირვებით შეხედა, თორელმა მერე აღარაფერი თქვა და შალვამაც აღარ ჩაჰკითხა.

— შენ იცი, როგორც გინდოდეს! — მხრების აჩეჩვით უთხრა და გზა განაგრძო.

შინ მისული თორელი ამოდ ტრიალებდა ლოგინში, ძილი არ მოსდიოდა და ფიქრი არ ეხსენებოდა.

ნუთუ მართლა ასე ლამაზია მამუკას და? სულ ერთი წუთით დაინახა და იქნებ მოეჩვენა, კაცი ხან რა თვალთ შეხედავს ქალს და ხან რა თვალთ! ეგებ არც ისე დამაბრმავებელია იმ გოგონას სიტურფე, თვალეები რომ ეშმაკურად უციმციმებდა და უღამაზესი ქალების ცქერას მიჩვეული თორელი კინაღამ რეტდასხმული გადმოავლო ცხენიდან.

არც ისე ლამაზია? მაშ საიდან დახატა უცნობმა მხატვარმა ესოდენ წარმტაცი და მომხიბვლელი, წიგნის ყველა გვერდიდან ხომ მისი უშვენიერესი სახე უცქერდა ოდნავ გაზიდული თვალეებით, ბოლოებგატყორცილი წარბებითა და ბაგეებთან მოთამაშე ეშმაკური ღიმილით.

რალა ეს წიგნი, თორელის ლექსების წიგნი გახდა მისი მშვენიერი სახის ჩარჩო და სახატე!

განგება სწორედ განგება ურევია ამ საქმეში!



ამ ლექსებს თორელი უმისამართოდ წერდა, როგორც ზოგჯერ არა ერთ დიდ მგოსანს დაუწერია. სასიყვარულო ლექსების ეს წიგნი ისე შექმნა, რომ არავინ ჰყვარებია. ვინ ვის მიაწერდა ამ ლექსებს, ზოგი ვის სთვლიდა მგოსნის საგონებლად და ზოგი ვის!

თორელს კი ბუნდოვანადაც არავინ ჰყავდა ხორცშესხმულად წარმოდგენილი.

და ახლა პირველად იპოვა იგი, ვისთვისაც ეს ლექსები უწერია, ვისზედაც უნახავად, შორიდან უოცნებია!

გაოცბლდა, ხორცი შეეხსა მის ოცნებას და მისმა ლექსებმაც განგებინა საგან დათქმული მისამართი იპოვეს.

იპოვა თორელმა ის, ვინც ისე ჰყვარებია, რომ არ სცნობია, ვისი ოცნებაცთაც ლამეები უთევია. იპოვა, მაგრამ ეგებ სჯობდა, რომ არ ეპოვა. ახლა უკვე მისი დამატრონება უნდოდა, და ვინ იცის, წინ რა დაბრკოლება გადაეღობებოდა.

არ ეძინა თორელს თეთრკაბიანი გოგონას დარდით.

არც იმ გოგონას ეძინა თორელზე ფიქრით.

გაოგნებული გაშორდა ეაჩე მამუკას სახელოსნოს. თავში ათასი ფიქრი უტრიალებდა, დაუწყობელი და გაურკვეველი. მიდიოდა, მაგრამ თავათაც არ გაეგებოდა — საით. ფეხები მის უნებურად მოძრაობდნენ. ისე მიაბიჯებდნენ და მიჰყავდათ წინ, რომ ეაჩემ არ იცოდა, სად შეჩერდებოდა ან სადამდე ივლიდა.

სიონთან შედგა. ტაძრის კარი ღია იყო. ჰაბუკი ზღურბლზე შეჩერდა და შიგ შეიხედა: ტაძარში უამრავი სანთელი ენთო და გაჩაღებული კანკელებიდან თვალისმომჭრელი შუქი იფრქვეოდა.

კედლები, კამარები, სვეტები და გუმბათი მთლად მოხატული იყო. ეაჩემ ისე გადადგა ფეხი, ძირს არც დაუხედია. თავი აიღო და კისერმოქცეული დაჰყვა კიბეს. ხან იჩით აცეცებდა

თვალს და ხან აქეთ, აღარ იცოდა ვისთვის ეცქირა, რომელ ნახატზე უნდა წერებინა თვალი და რომლიდან უნდა წაიქცა. საფეხურები ისე ჩამოეთავებინა, ვერც კი გაეგო. ძირს დაიხედა და კიდევ უფრო გაოცდა: ფერადი მოზაიკა გაფენილიყო მის ფეხქვეშ და მთელი იატაკი წითელ-ყვითლად ჰყვავოდა.

ფეხის დადგმა მოერიდა, მუხლზე ფრთხილად ჩაიჩოქა და სულგანაბული დაამტერდა იატაკს: დახეთქილი ბროწეულები მიჯრით მიწყობილი სისხლისფერი კბილებით უცინოდნენ, ფარშავანგების გაშლილი ბოლოები ცისარტყელებივით იშლებოდნენ და მწვეან ტოტებში შეუძუთელი მტრედები ცალცალი თვალით უცქერდნენ.

ეაჩემ ხელი დაადო მოზაიკას, ფრთხილად და სათუთად. თითქოს სურდა დარწმუნებულყო, მართლა ცოცხალი იყვნენ თუ არა ის მტრედები და ფარშავანგები. ხელისგულმა ქეის სიცივე იგრძნო. ვაჟი ოდნავ წამოიწია და თვალი ბოლომდე გააყოლა იატაკს: მწვანედ და ყვითლად, ლურჯად და წითლად ჰყვავოდა იატაკი და ჰაბუკს უცბათ მოეჩვენა, რომ ეს იატაკი კი არა, ზღაპრული წალკოტი, ფერად-ფერადი ყვავილებით დაფარული სამოთხის მინდორი იყო და თვითონ — ამ ყვავილების საკრეფად შემოსული ბავშვი.

მავედრებელივით ჩოქვით მიჰყვა იატაკს, მაგრამ მისი სახე მლოცველის სასოებას როდი გამოხატავდა. საკვირველებისა თუ სასწაულის ხილვით გაბრწყინებული თვალები იატაკის ერთი კუთხიდან მეორისკენ მიუბრბოდა. ერთიმეორეზე მიჯრილი ნაირფერი კენჭებით, უთვალავი პაწაწინა კენჭებით მოხატულ იატაკს ხან სულ ახლოს დაამტერდებოდა, ხან, უკან დაწეული, შორიდან მიაჩერდებოდა და ცქერით ველარ ძღებოდა.

გრიგოლ აბაშიძე
დიდი ღამე

ბოლოს, ალბათ, დაიღალა დაბლა ცქერით და წამით თავი ასწია. ასწია და ახლა მალა გაეცქა თვალი: გუმბათის თაღი მოზაიკით იყო მოხატული და მთელ ჰერს ცისფერი, მწვანე და ყვითელი კენჭების ნაზი ზოლები მიჰყვებოდა.

კისერი ეტკინა მალა ცქერით. კედლებზე მოხატულ ძველი და ახალი აღთქმის ამბებს დააყოლა თვალი და უცებ მზერა მათელოს ბუნჩებთან ლოცვად დაცემულ, ხელაყრობილ წმინდა ნინოსაყენ გაეცქა.

რატომღაც დედა მოაგონდა, თავისი ტყბილი დედა, ახალგაზრდობაშივე დაქვრივებული, ერთადერთი შვილის — ვაჩეს გაზრდისა და ბედნიერებისათვის მზრუნველი და მარად მლოცველი.

შეებრალა დედა, ახლა მისგან უპატრონოდ მიტოვებული. გული ამოუჯდა, და რომ ცრემლი არ წასკდომოდა, თვალი სხვა ნახატზე გადაიტანა.

ჭაბუკმა მხარზე ხელის დადება იგრძნო. მოიხედა, თავს ბერი დადგომოდა.

— ტაძარში შენს მეტი კაცი აღარ არის. უკვე დაღამდა, — უთხრა ბერმა. ვაჩე გამოერკვა, მიტრიალდა და უსიტყვოდ გაემართა კარისკენ.

დიდი დრო გასულიყო. გარეთ უკვე ბნელოდა. ტაძარშიც ნელ-ნელა აქრობდნენ სანთლებს.

დაღლილმა შიმშილი იგრძნო და ხელი თავისთავად წავიდა აბგისაკენ.

კიბეზე რომ ამოდიოდა, ერთხელ კიდევ მოიხედა უკან და პირდაპირ, სვეტზე დახატულ ქრისტეს შეხედა: სახედარზე შემჯდარი შემოდიოდა მაიხოვარი იერუსალიმში.

სახედარის დანახვაზე ისევ ცაგო და პავლია კუბი გაახსენდა, შებრუნდა და ჩქარი ნახიჯით გაპყვა დამეულ ქუჩას.

ქალაქში მამუკას მერს არავის იცნობდა. მის კარზე მიდგომა კი სიყვედილივით არ უნდოდა.

ქულბაქები, სახელოსნოები და სავაჭროები დაეკრილი იყო, სინათლე არსაიდან გამოდიოდა და ქუჩაში კაცის ჭაბუნება აღარსად იყო.

ქალაქის განაპირას მიაღწია. მოსახ-

ვეთახ ურო-გრდემლის ხმა მოესმა და სინათლესაც მოჰკრა თვალი.

ახლო მივიდა. სამკედლო კედლებზე იყო. კარის ღრიტოში შეიხედა. თან დამკლავული მკედლები დაინახა, გაეარავრებულ რკინას სცემდნენ, ნალებს სკედდნენ და ხმლებს პირავდნენ.

ვილაცამ კარი გამოაღო, გამოვიდა და ისევ სწრაფად მიხურა. უცნობი ბიჭი აათვალი-ჩაათვალიერა.

— აქ რას აკეთებ? — ჰკითხა და თან დოქით წყალი მოიყუდა.

ვაჩემ არაფერი უპასუხა. მკედელმა წყალი მოსვა, სული მოითქვა და ისევ უცნობ ბიჭს დააცქერდა. ეტყობოდა, მისი მხარბეჭი და განიერი მკერდი თვალში მოუვიდა.

— სამუშაოს ეძებ?

ვაჩემ თავი დაუქნია დასტურის ნიშნად.

— შემოდი! — უთხრა მკედელმა და შინ შეუშვა.

სამკედლოში უროსა და ჩაქურჩის ცემისაგან აღარაფერი ისმოდა. ვაჩეს შემომყვანი მოვიზგიზე ქურასთან მდგარ ოსტატს მიუახლოვდა და რაღაც უთხრა. ოსტატმა ხმლის გამოპირვას თავი ანება და ვაჩესკენ წამოვიდა.

— იმუშავებ? — ჰკითხა გამაყრუებელ გუგუნში.

ვაჩემ ისევ უხმოდ დაუქნია თავი.

პირობებზე ბევრი არ ულპარაყნიათ. ოსტატმა ურო მისცა და ვაჩეც მხარში ამოუდგა დამკლავულ, ოფლად გახვითქულ მკედლებს.

რომელიღაც თავის ტოლი მკედლისაგან საიდუმლო გაიგო ვაჩემ: იმ დღეებში ჭართველები სამხრეთით დამქრობისათვის ემზადებოდნენ თურმა. ქალაქი საესე იყო უცხო სტუმრებითა და მხუერკავეებით და ამიტომ მუშაობდნენ ღამით კარდახშულში მთელი ქალაქის სამკედლოები.

მეორე დღეს ცაგო და მამუკა სასახლეში მივიდნენ.

იქ მისვლამდე ცაგოს გული უფანცქალებდა და ფარული ღელვისაგან ფერი მისდიოდა. მაგრამ საოცრება



მობდა: როგორც კი სასახლის კიბე აიარეს და ცაგო დიდ, ნათელ დარბაზში შეკრებილთა შორის გაერია, ეს მღელვარება უმალ გაქრა. თავი ისე გჭირა, გეგონებოდა, მეფის კარზე იყო გაზრდილი. არაფერს უტხოობდა და არაფერი უკვირდა. ყოველშემთხვევაში, გარეგნულად არ ამქლავებდა ვაოცებას, თუმცა სასახლეში პირველად მისული გოგონასთვის უტხოვ ბევრი რამ იყო და ვასაკვირიც.

ერთი შენიშნა შესვლისთანავე: ყველა იქ მყოფმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია, ერთიმეორეს რაღაცას უჩურჩულებდნენ და მისკენ თვალთ ანიშნებდნენ. გულისცემამ უმატა, ოდნავ გაწითლდა, მაგრამ არ შეიმჩნია და არ დაიბნა. თავი ისე დაიჭირა, თითქოს ასეც უნდა ყოფილიყო, ასე ალტაცებით უნდა ეცქირათ მისი სიტურფით მოხიბლულებსა და გონწართმეულებს.

რუსუდან მეფე ტახტზე იჯდა. ტახტის გვერდით და უკან ვაზირები და დიდებულები იდგნენ კარის წესისა და რიგის მიხედვით.

მამუკამ ხელი ჩაქცია დას და მეფის მიმლოცველთა რიგს მიჰყვა. უცებ ცაგომ თორელს მოკრა თვალი და დაიბნა. გულმა გამალეებით დაუწყო ცემა და საფეთქლების სიმხურვალით იგრძნო, რომ სახე წამოენთო.

თორელმა ოდნავ შესამჩნევად დახარა თავი, თითქოს ესალმებო. მერე ცაგომა: რომ თავი დახარა და თვალი მოაშორა, თურმანმა გზა გაიკვლია, დედოფლის უკან მდგარ შალვა ახალციხელთან მივიდა, ყურში რაღაც უჩურჩულა და თვალთ ანიშნა მეფის სათაყვანებლად მიმავალ დამძაზე. ახალციხელი ოქრომჭედლის დას დააკვირდა, შეეტყო, რომ მოეწონა და თორელს პრავალმნიშვნელოვნად გადახედა.

მამუკა მუხლზე დაგარდა და ცაგომა ც მშინევე ჩაიჩოქა.

დედოფალი თავისი ტოლი გოგონას დანახვისთანავე გამოცოცხლდა. პირველად სახეზე ვაოცება გამოეხატა, ალბათ, ცაგოს სიტურფის გამო, მაგრამ

წონასწორობა ისევე მალე დაიბრუნა და მის ფერხთა წინაშე დაცემულ დამძას მოწყალე თვალთ დახედა.

ოქრომჭედელმა თავი აიღო, ითხოვა მცირე ძღვენისათვის და ცაგომ თორელის წიგნი გაუწოდა კრძალვით დედოფალს.

დედოფალმა წიგნი ჩამოართვა და უბრძანა ფეხზე წამომდგარიყენენ.

მამუკა არც წამოწეულა. ცაგო კი ნელა წამოდგა და თავდახრილი, გაკრძალულ და დღე დედოფლისა და დიდებულების წინაშე. იგი გრძნობდა — ათასი თვალი იმ წუთს მისკენ იყო მიპყრობილი, ზოგი ალტაცებითა და ზოგი ვაოცებით. თავად დედოფალი ყველაზე მეტად აკვარდებოდა და ჩხრეკდა მის ყოველ ნაკვთს.

ცაგოს არც დედოფლის დაქინებული მზერა შეაკრთობდა, არც ათასი უცხოელი და ქართველი დიდებულის თვალის მოშტერება, იმ თვალთა შორის თორელისაც რომ არ ყოფილიყო. იგი შინაგანად გრძნობდა, მგოსანი თვალმოუცილებლად უცქერდა და რატომღაც ფიქრობდა, რომ ისიც ღელავდა.

— კარგი დაი გყოლია, ოსტატო. ბრძანა მამუკას გასაგონად დედოფალმა და ცაგოს გაუღიმა.

ცაგომ კიდევ უფრო დაღუნა თავი და წელშიც მეტად მოიხარა.

რუსუდანმა ამდენ ხალხში ძლივს ტოლი მონახა, მასთან განმარტოება და გართობა მოუნდა, ისე. როგორც უსაკლებს შეკფერით, მაგრამ სხვა ვერაფერი მოიფიქრა, ცაგოს ხელი გაუწოდა და ამხანაგვით უთხრა:

— აგერ ჩამოჯექ, ჩემს ფერხითთ. სეფე ქალებმა მიიწ-მოიწიეს და ტახტის ახლოს, დედოფლის ფერხითთ დაუთმეს ადგილი უცხო გოგონას.

ცაგო დედოფალს ეთაყვანა და რუსუდანის ახლოს ჩაიჩოქა.

— სახელად რას უბმობენ შენს დას, მამუკა? — იკითხა დედოფალმა.

— ცაგოს ვეძახით, თქვენი ფეხის

გრიგოლ აბაშიძე
დიდი დამე

მტერიმც გვქნა, დედოფალო! — მიუ-
გო ოქრომპედელმა.

— ცაგო თუ გათხოვილი არ არის
და ქმარ-შვილი არა ჰყავს. ჩემთან იყოს.
ჩემს შიმუნეარად დაეიტოვება.

— ღირს არ ვართ, დედოფალო, ეგო-
დენ დიდი პატივისა — აღმოხდა გაბა-
რებულ მამუქას და დაძმა შუბლით ერ-
თად შეეხო მოფარდაგულ იატაკს.

ახლად დახედა რუსუდანმა მირთ-
შეულ წიგნს და თვალი ველარ მოაშორა.
ჯერ ოქროთი შექედილ ყდას სინჯავდა
მუშტრის თვალით, მერე წიგნი გადაშა-
ლა და სუნთქვაშეკრული დააკერდა.
ნელ-ნელა, ლექსის უხმოდ კითხვით და
ნახატების გულდაგულ სინჯვით მიჰყვა
რუსუდანი წიგნის ფურცელას. მერე
უცებ რაღაც გაახსენდა, თავი აიღო და
იქ მყოფნი მოათვალიერა.

— თორელი სად არის, ჩვენი მგო-
სანი?

იკითხა და ვიდრე ვინმე პასუხს მო-
ასწრებდა, თორელმა ტახტის წინ
ჩაიჩოქა.

— აქ გახლავართ, დიდებულო ხელ-
მწიფე! — ეთაყვანა კარის მგოსანი.

— შენი ლექსების წიგნია, თურმან.
ნახე, რა ხელოვნებით შემეკლია! —
უთხრა დედოფალმა, წიგნი კი ვერ
შესთავაზა, ისევ თავად განაგრძო ფურ-
ცვა.

— ვისი ნაოსტატარია? — კვლავ თა-
ვაუღებლად იკითხა დედოფალმა.

— ყდა ჩემი ძმის, მამუქას შექედო-
ლია, დედოფალო, ხოლო თავად წიგნი
ჩემი მეზობლის ხელითაა გადაწერილი
და მოხატული, — მოახსენა ცაგომ.

რუსუდანმა თავის ტოლს მოხედა,
ცოტა არ იყოს ეუცხოვა მისი სითამამე.

— სულ შენ ღუხუხატხარ იმ შენს
მეზობელს წიგნის ყოველ გვერდზე, —
სიტყლით უთხრა რუსუდანმა.

ცაგო გაწითლდა და თავი უფრო
დახარა.

— ნიჭიერი ხელოვანი ყოფილა. ღირ-
სია ჩვენს კარზე ყოფნისა. — ბრძანა
რუსუდანმა და ისევ ნახატებს ჩაუკ-
ვირდა.

მხოლოდ ახლა მოაგონდა ცაგოს
თავისი სიყრმის მეგობარი, განუწყვეტ-
ლო ტოლი და კარის მეზობელი, რომელიც
იქ, მშვენიერ ახალდაბაში დასტოვა
თავის ბავშვობასთან, ყოველივე იმას-
თან ერთად, რაც ესოდენ უყვარდა და
რასთანაც ასე შეჩვეული და შემტკბარი
იყო.

გახარებულნი, ფრთაშესხმულნი დაბ-
რუნდნენ შინ ცაგო და მამუქა. რუსუ-
დან დედოფალმა მოწყალე თვალით
შეხედა დაძმას, ძღვენი მოიწონა და
ცაგოს უდიდესი პატივი მიანიჭა, ამიე-
რიდან იგი დედოფლის ამაღაში ითვლუ-
ბოდა და მეფის კარზე უნდა გადასუ-
ლიყო საცხოვრებლად.

პავლია კეტმა უზომოდ გაიხარა.

— რაკი შენი საქმე ასე ბედნიერად
წარიმართა, ჩანს, კარგი ფეხით ჩამოვ-
სულვართ თბილისში. იქნებ მეც ბედმა
გამილიმოს და გელათის წინამძღვარს
შეეხედე. — უთხრა გახარებულმა საპ-
ყარმა დას, მოეხვია და თვალეზი დაუ-
კონა.

ათასნაირ გეგმას აწყობდნენ მომავ-
ლისათვის, ღმერთს მადლობას სწირა-
დნენ და გულმოწყალე დედოფალს აღი-
ღებდნენ.

ის იყო, საღილს მიუხსდნენ, რომ
მსახურმა მოახსენა: ვილაც დიდი დიდ-
ებული მობრძანდა ამალით და ოქრო-
მპედელს კითხულობსო. მამუქა წამო-
დგა და დიდებულის მისაგებებლად გა-
ვიდა.

სახელოსნოში შალვა ახალციხელი
შემოვიდა. ოქრომპედელი დაიბნა სამე-
ფოს უძლიერესა დიდებულისა და მი-
უთხრობელი გმირის დანახავზე.

შალვა ახალციხელი ჯარისკაცის
წესსა და რიგს იცავდა პირად ცხოვ-
რებაში, სხვებივით ფუფუნებას არ
დაგიდევდა და ოქრომპედლებს შეკვე-
თებით არ ანებივრებდა. მით უფრო
მნიშვნელოვნად ეჩვენა მამუქას მეფის
ვაზირისა და სწორუპოვარი სარდლის
სტუმრობა.



სალამსა და ურთიერთ მოკითხვას რომ მორჩინენ, ახალციხელმა გადაკრულად დაიწყო:

— ერთი ძვირფასი თვლის პატრონი ყოფილხარ, ოსტატო, და იმის სათხოვნელად ვარ მოსული.

— რომელ თვალზე ბრძანებს დიდი ვაზირი? — იკითხა დაბნეულმა და ცოტა არ იყოს შემკრთალმა მამუკამ.

— სამეფოს უძვირფასეს თვალზე მოვახსენებ... შენი დის მთხოვნელი ვარ.

მამუკა გაშრა რაღაც საშინელისა და გაურკვეველის მოლოდინში. შალვა ახალციხელი დიდხანია ცოლშერთული იყო და უკვე მოსწრებული ვაჟიც ჰყავდა, როგორ შეიძლებოდა სამეფოს უპირველესი მოღვაწე და ესოდენ დარბაისელი დიდებული მისი დის მთხოვნელი ყოფილიყო?!

— რძალად მთხოვნელი ვარ შენი დისა, მამუკა. ხომ მხედავ, სიბერეში მაჭანკლობა დაეწყო, — ღმილით დასძინა ახალციხელმა და მამუკას ცოტა გულზე მოეშვა.

— გუშინ თავად იყო ამ საქმეზე შენთან ჩემი სახლოყაცი, თურმან თორელი, მაგრამ თვითონ ვერ გაგიმღაენა გულისწადილი და ახლა მე ვარ მოციქული: თურმანს გადაწვევტილი აქვს შენი დის შერთვა. ჩემი ბიძაშვილი დასაწუნი არ არის და თუ ქალისა და შენი თანხმობაც იქნება, ამ დღეებში დაწვეროთ ჯვარი.

მამუკა ენაჩავარდნილი იდგა, არ იცოდა, აღტაცება გამოეთქვა ესოდენ გასახარელი ამბის გამო, თუ თავი შეეკავებინა, კარგად აეწონ-დაეწონა და პასუხი სხვა დროს მიეცა.

— რა საგონებელში ჩავარდი, ოსტატო, ბედი კარს მოგდგომია და რაღას ფიქრობ, საქმე ჩქარა გავათავოთ.

— საჩქარო რა არის, დიდო ვაზირო! ჯერ ქალს უნდა მოველაპარაკო, მერე დედა გყავს, მისი დასტურიც თუ არ გვექნა...

— სასიძო ჩქარობს, მამუკა. მაგრამ სასიძოზე მეტად მე მეჩქარება. ამ დღეებში შორს მივემგზავრები, თურმანს

ჩემზე ახლობელი არაინა ჰყავს და მინდა მისი მყარი ვიყო.

— თანახმაც რომ ვიყოთ, ორდღისმდე რას მოვასწრებთ, ბატონო. უნდა ხალხნი ვართ, ჩვენც მომზადება გვინდა.

— ეგ საქმეს არ დააბრკოლებს, მამუკა. შენს დას მოელაპარაკე და პასუხი მაეცნობე, — უთხრა საქმის ბედნიერად დაბოლოებაში წინასწარ დარწმუნებულმა ახალციხელმა, გამომეშვიდობა და წავიდა.

მამუკა და-ძმასთან შებრუნდა, ცაგოს გადაეხვია და სანატრელი ბედის კარზე მოსვლა მიულოცა. სიტყვა-სიტყვით გადასცა ვაზირის ნალაპარაკევი. ქალი გაწითლდა და გაიტრუნა, რეტდასხმულივით ჩაშტრებოდა იატაკს და ტანში კრტუნტელი უვლიდა. იდგა ენაჩავარდნილი, გოგნებული ცაგო და არ იცოდა, ეტირნა თუ გაეღიშნა.

დის ბედნიერებით აღტაცებული კუტი ფრთაშესხმულივით მალლა მიიწვედა, მაგრამ დავრდომილი სხეული არ მიპყვებოდა და ადგილზევე ცმუტავდა, ხელებს შლიდა და ტანს უკრავდა.

მამუკას დამთავრებული არ ჰქონდა მოყოლა, რომ კარი ისევ მსახურმა ბიჭმა შემოაღო და შეშინებულმა მოახსენა:

— მეფის შებოსნები გეახლნენ, ოსტატის ნახვას ითხოვენ.

კიდევ ახალი მოულოდნელობით შემფოთებულმა მამუკამ იქ მყოფთ თვალი მოაელო, პირჯვარი გადაიწერა და მეფის მცველების შესახვედრად გავიდა.

— მეფის ბრძანებით, ახალდაბამი უნდა წამოგვეყვ, ოსტატო, — უთხრა ათისთაემა, — თქვენი მეზობელი მხატვარი უნდა მოვძებნოთ და დედოფალს ვაახლოთ.

მამუკამ კინალამ იკითხა, რომელი მხატვარიო, მაგრამ უმალვე გონს მოეგო და ამ მოულოდნელი დავალებითაც გაიხარა. ახალდაბას ისვლა და მოლაპარაკება გადაუდებლად საჭირო იყო და რაკი შესაფერისი შემთხვევაც მიეცა,

გრიგოლ აბაშიძე
დიდი ღამე



ბევრი აღარ უფიქრია, დაძმას დაემშვიდობა და შეუბოსნებს გაჰყვა.

იმ დღეს კიდევ ერთმა საპატიო სტუმარმა შეიღო მამუკას სახლის კარი — გელათის აკადემიის წინამძღვარმა.

ცაგო სუფრის გასაწყობად დატრიალდა, მაგრამ სწავლულმა შორს დაიჭირა, მაგდენი დრო არა მაქვსო.

— შენი წიგნი დაკვირვებით წაგიკითხე, — გაუბა საუბარი პავლია კუტს წინამძღვარმა, — კარგად შეგისწავლია ჩვენი სამეფოს ყოველი კუთხე, ბევრი ახალი და საგულისხმო აზრი გამოგითქვამს, მაგრამ მთავარი მაინც წიგნის ის ნაწილია, სადაც ჩვენი ერის მომავლისათვის წერ. ახლა ჩვენი აკადემიაც ყველა ქართველი მეცნიერი, ფილოსოფოსი და რიტორი ერთსა ქადაგებს: საქართველო არის ახალი რომი, მან უნდა ღირსეულად დაიჭიროს დაბერებული და დაუძღვრებული ბიზანტიის ადგილი; თავის დროშის ქვეშ უნდა გააერთიანოს სრულიად აღმოსავლეთი და დასავლეთი და ქრისტეს ჯვრის წამძღვარებით დათრგუნოს ურჯულონი. ეს აზრი შენს წიგნშიაც მკაფიოდ ჩანს. ისიც მოსაწონია, რომ ქართველთა ნათესავის გამრავლებას ქადაგებ.

ჩვენ მარტონი ვართ ამ ქვეყნად. ყველა ტომსა და ერს ჰყავს სისხლით ნათესავი, მსგავს ენაზე მოლაპარაკე ტომი და ხალხი. მხოლოდ ჩვენა ვართ მარტონი და უნათესაონი. საქართველოს გარდა ჩვენს ენაზე კაცი არსად ლაპარაკობს. ამბობენ, ესპანეთის იბერიაში გვეყვანან თვისტომნიო, მაგრამ ჯერ იქ ქართველთაგან არავინ ჩასულა, რომ ამ ამბის სიმართლე დაედასტურებინა და არც აქ მოვეუქითხავართ არავის ჩვენი მონათესავე იბერებისაგან. ამიტომ ქართველთათვის გამრავლებაზე ზრუნვა უპირველესი და უმნიშვნელოვანესი საქმე უნდა იყოს. სხვანაირად ჩვენ ვერ ვძლევთ და წინ ვერ აღვუდგებით ირგვლივ მოწოლილ თურქთა და სპარსთა აურაცხელ სიმრავლეს. ერთს ვერ შევიწყნარებ შენს მოსაზრებათაგან: შენ ზრუნავ იმისათვის, რათა საქართველოს

სამეფომ მომავალში მიაღწიოს ისეთსავე ბუნებრივ საზღვრებს აღმოსავლეთითა და სამხრეთით, როგორც ეგვიპტისა და სირიისა და დასავლეთით აქვს საქართველოსა და კასიონის ქედი და შავი ზღვა. შენ გინდა ასეთ საზღვრად აღმოსავლეთით კასპიის ზღვა იყოს, ხოლო სამხრეთით ისეთივე ზღუდე მთებისა, როგორიც კავკასიონია. თუ საქართველო მომავალში ამ გზას დაადგება, იგი ამით შეზღუდავს თავის განვითარებას. კეისარი და ალექსანდრე მაკედონელი თავიანთი ქვეყნის შემოზღუდვაზე როდი ზრუნავდნენ, თვითონ ლაშქრადნენ მეზობლებს, იპყრობდნენ ახალ ქვეყნებსა და იმორჩილებდნენ უცხო ტომებს.

— მართალსა ბრძანებთ, წინამძღვარო, მაგრამ ყველა ერის გაძლიერებასა და მომავალს თავისი პირობები აქვს. ჩვენ, როგორც ბრძანეთ, მარტონი ვართ, და უმციერესნი, გარშემორტყმულნი ურიცხვ ურწმუნოთაგან. აღმოსავლეთითა და სამხრეთით ბოროტი მამკაღის აღმსარებელნი გვახვევიან. აგერ თითქმის საუკუნეზე მეტი იქნება მათი კრთებისაგან დაისვენეს საქართველომ. სანამ მათ ერთურთთან ქიშპი და ომი აქვთ, ჩვენ ადვილად ვძლევთ; როგორც კი გამოუჩნდებათ ძლიერი და გონიერი მეთაური, რომელიც მათ ერთი მიზნითა და რწმენით გააერთიანებს, ჩვენ ვეღარ შევძლებთ მათი სიმრავლის წინააღმდეგობას.

— განუწყვეტელი რბევითა და თავდასხმით არ უნდა მივცეთ მათ ღონე გაერთიანებისა და გაძლიერებისა.

— საისლამო დიდია და ჯერ თავად უნდა მოვლონიერდეთ, რომ მათ ვძლიოთ. მარტო ხმალი ვერ დაიპყრობს და ვერც შემოიმტკიცებს აგარიანთა სიმრავლეს. ქრისტეს სჯულის ქადაგებით უნდა დავიახლოვოთ და დავინათესაოთ ჩვენი ურჯულო მეზობლები. ლეკნი, ჯიქნი ალანნი და უმრავლესნი ტომნი სთიილთა უკვე ქრისტეს აღმსარებელნი და ჩვენი თანამდგომელნი არიან. ვიდრე ასევე ჩვენს რჯულზე არ მოვაქცივით შირვანელთ, მტკიცე არ იქნება ჩვენი მეგობრობა ჩვენს ამ კარის მეზობელ-

თან, ასევე ჩვენი და სომხების მეგობრობა მაშინ იქნება საბოლოოდ დაურღვეველი, როცა მარტო მიწა-წყალი და ხელისუფლება კი არა, აღსარებაც საერთო გვექნება. საბედნიეროდ, ჩვენი ურთიერთობა აქეთკენ მიდის და ყოველმხრივ ხელი უნდა შევეწყუთ ამ სულიერი ერთობის დაჩქარებას. როცა კავკასია შავი ზღვიდან კასპიამდე ერთი რწმენითა და ერთი გვირგვინით იქნება გაერთიანებული, მაშინ ჩვენი ერის ძლიერებაც მტკიცე იქნება და შეურყეველი.

— ძველი რომაელები ისე იპყრობდნენ ხალხებს, რომ არა თუ მათ მოქცევაზე ზრუნავდნენ, არამედ თავათ მიჰქონდათ ხოლმე დამორჩილებულ ხალხთა კერაები, და რომში დგამდნენ თავიანთი ღმერთების გვერდით.

— ძველ რომს დიდი ძალა ჰქონდა და ნათესაივ ბევრი ჰყავდა. ჩვენ უთვისტომონი ვართ ამ ქვეყნად და ჯერ არც რომის ძალა შეგვეწევს. როცა ჩვენი ხმალი რომაელთა ძლევაგოსილებას მიაღწევს, მაშინ შინაგანი ძალაც მეტი გვექნება და სხვათა ურწმუნოება ჩვენთვის საფრთხე აღარ იქნება. ვიდრე რომი აღზევდებოდა და ქვეყნის მპყრობელი გახდებოდა, მანამ ბევრი პატარა ერი ჩაყლაპა და მოინელა. სანამ ერი შინაგანად არ არის მთლიანი და ძლიერი, გარეთ ძალის გამოჩენა ნაადრევი და მოსაჩვენარი.

— საგულისხმოდ უბნობ, მაგრამ სჯობს, ჩვენი საუბარი გელათში განვაგრძოთ, — უთხრა წინამძღვარმა.

პავლია კუტს სიხარულისაგან გულის ცემა აუჩქარდა და ქლოშანი აუვარდა.

— ოღონდ ერთი მინდოდა შემეტყო, — დაუმატა უკვე წასასვლელად წამომდგარმა წინამძღვარმა, — კიდევ რა წიგნის დაწერას ამირებ, შვილო?

— ეამთა აღწერას მინდა მივეუო ხელი, ვითარცა ბერძენთა აქვთ ზრონოლრაფი და ქართველთაც მრავალი წიგნი საისტორიონი.

— კეთილად განგიზრახავს, შვილო, ყოველი ღონით შემწე ვიქნები ამ საქ-

მის. სამ-ოთხ დღეში გელათს წავალ და მზად იყავ ჩემთან ერთად გასამგზავრებლად.

მამუკა მეფის შუბოსნების თანხლებით მიადგა გძელიშვილების სახლს. ვაჩეს დედას შუბოსნების დანახვაზე ელდა ეცა, უმალ ის გაიფიქრა, ჩემს შვილს რაიმე უბედურება ხომ არ შეემთხვაო და შეშინებულმა ფეხი ველარ გადგა კიშკრის გასაღებად.

მამუკა ცხენიდან გადმოხტა, ეზოში შევიდა და გადაეხვია. ქვრივი გონს მოვიდა, დიდი ხნის უნახავი მეზობელი მოკითხა და შინ შეიპატოცა.

— მოსალოცი საქმეა, ძალო! ვაჩეს წასაყვანად მოვედით, მეფის კარზე იბარებენ, — უთხრა მამუკამ და შუბოსნებზე ხელით ანიშნა.

— მეფის კარზე ვაჩესთან რა ესაქმებათ?! — იკითხა ისევ შემკრთალმა დედამ.

— მისი დახატული წიგნი მიართვა ცაგომ რუსუდან მეფეს. ხელმწიფეს ნახატები მოეწონა და მხატვრის ხლება ბრძანა.

— ეგ კარგი დაგემართოს, შვილო, მაგრამ განა ვაჩე ცაგოსთან ერთად არ არი?

— ცაგოსთან?.. არა. ცაგოსთან რად უნდა იყოს? — გაიკვირა მამუკამ.

— გუშინწინდელს აქვთ აღარ ჩანს ვაჩე, შინიდან ისე გასულა, არ გამოვიდა. მეზობლის ბიჭებმა თქვეს, ცაგოს და პავლია კუტს გაყვავო, ერთად მიდიოდნენ თბილისის გზაზეო...

— არა მგონია მართალი იყოს, ცაგო და პავლია მარტონი ჩამოვიდნენ, ვაჩე იმათ არ ხლებიათ, არც მათ უთქვამთ რაიმე. აგერ, ცაგომ წერილიც კი მოსწერა, რომ სარჩაოდ წამოსულიყო.

— მაშ სად წავიდოდა? რა ვიფიქრო მე უბედურმა?! — აწრიალდა შემფოთებული დედა.

— არა უშავს რა, სადმე იქნება. შენ

გრიგოლ აბაშიძე
დიდი დამე

დაწყნარდი და ჩვენ მოვძებნით. —
ანუგემა მამუკამ, ცხენზე შეჯდა და
შუბოსნებს წაუძღვა.

ახალდაბაში რომ ამოდ ეძებდნენ,
ვანე ამ დროს დედაქალაქის ტაძრებსა
და სასახლეებს ათვლიერებდა. სადაც
შესვლა შეიძლებოდა, საათობით იდგა
და აკვირდებოდა მხატვრობისა და
ხელოვნობის შესანიშნავ ძეგ-
ლებს. პურის ჭამა ავიწყდებოდა, დაღ-
ლას ვერ იგებდა და გარეთ მხოლოდ
ხუცების ან გუშაგების მრავალგზის
გაფრთხილების შემდეგ გამოდიოდა.

სალამოს სამკედურში იყო და დილა-
მდე საბერეულსა და გრდემლს უტრია-
ლებდა. დილას, დიბანდა თუ არა,
სამკედელს შესვამდა და ძილად მივარდ-
ებოდა.

ქალაქში აქა-იქ ნაცნობები გაიჩინა.
იყალბოვლის ამბავი გაიქითხა. ხლათში
თამთა დედოფლის ეკლესიას ხატავსო,
უთხრეს, და მაშინ ხლათის გზის ამბავი
გამოიძია, რამდენი დღის სავალაია, ან
როგორ შეიძლება წასვლაო. ქარავნები
ხშირად დადიანო, გაიგო და ახლა იმის
ფიქრი დაიწყო, თუ ფული როგორ
მოეგროვებინა და ხლათის გრძელ გზას
როდის დადგომოდა.

ერთგან ყური მოჰკრა, ახალგაზრდა
დიდებულები ლაბარაკობდნენ, მეფის
კარზე ახალი სეფე ქალი გამოჩნდა,
სიტურფით რუსუდან დედოფალსაც
აღემატებოა.

რალაც ენიშნა ვანეს, მაგრამ უცნო-
ბების საუბრიდან მეტი ველარა გაიგო
რა.

გარეუბანში, სამკედურის გვერდით
ათევდა ლამეს ვანე.

იმ დღეს რატომღაც უგუნებოდ გა-
მოვიდა. ლამენათევი ქუჩებს გაჰყვა,
ისნის პალატებისაყენ აპირებდა წასე-
ლას. სიონიდან ჯერ კიდევ შორს იყო,
რომ ძელის ცემის ხმა გაიგონა.

ვილაც ჯვარს იწერსო, ყური მოჰკრა,
მაგრამ არაფრად ჩააგდო. გზადაგზა
შეამჩნია, ხალხი სახლებიდან გამობრ-
და და სიონისკენ მიეშურებოდა. მოსა-
ხვევთან მყარული მოესმა.

ბავშვები გამოჩნდნენ, უცნობნი
ლით უსწრებდნენ მაყრიონს.

სეირის მაყურებლებს შორის
და ქუჩის პირას ვანე.

— ამბობენ, კარგი ქალი შეურთავს
თორელსო, — თქვა ერთმა.

— სიტურფით ცალი არა ჰყავს
მთელს სამეფოშიო, — დაუდასტურა
მეორემ.

— რომელ თორელზე ამბობთ? —
გაუბედავად ჰკითხა ვანემ უცნობს.

— მეფის კარის მგოსანზე. თურმან
თორელმა სამეფოს უღამახესი ქალი
შეირთო და ახლა აგერ ჯვარდაწერი-
ლი სიონიდან მოდის. — მოუგო უცნობ-
მა და თავი რაც შეეძლო მაღლა ას-
წია, რომ მოახლოებული მაყრიონი კარ-
გად დაენახა.

ვანეს გულში რალაცამ გაკენწლა.
მაგრამ ფიქრის დრო აღარ იყო, მაყრი-
ონი მოსახვევიდან გამოვიდა.

— შალვა ახალციხელი!

— შალვა და ივანე ახალციხელები!

— ბიძაშვილებად ეკუთვნიან თურმან
თორელს!

გაისმა აქა-იქ.

— აგერ, მეფე-დედოფალი!

— უი, რა ლამაზია!

ჩაესმა ვანეს და შერე აღარც არაფე-
რი გაუგონია, აღარც არა დაუნახავს
რა. მოჰკრა თუ არა თვალი თორელის
გვერდით საქორწინოდ გამოწყობილ
ცაგოს, ჰაბუქს გონი წაერთვა, თვალთ
დაუბნელდა, მუხლებმა უსუსტეს და
უხმოდ ჩაიკეცა.

გონს რომ მოეგო, ქულბაქში აღმოჩ-
ნდა. თავს დახლის ბიჭები ადგნენ.
წყალს აკურებდნენ და რალაც წამალს
ასუნთქებდნენ.

— მგონი, მობრუნდა! — სიბრალე-
ლით თქვა ერთმა.

— აღბათ, შიმშილისაგან მოუვიდა,
ხომ ხედავ, როგორი გამხდარია ამოდენა
ვაკაცო. გაჭირვებული იქნება. — ჩაეს-
მა მეორის ნათქვამი.

— საქმელსა და ლეინოს მოვეტან, —
თქვა ისევ პირველმა და ქულბაქიდან
გავიდა.



ნელ-ნელა მოიკრიბა ვაჩემ ღონე. ტახტზე წამოჯდა. წინ გაწყობილი ტაბლა დაუდგეს. ზედაც არ დახედა საკმელ-სასმელს.

— არ მინდა, რად წუხდებით! — ხელის ჩაქნევით წაილაპარაკა, ტაბლა მისწია და ფეხზე წამოდგა.

— ცოტა კიდეე დაგესვენა, — უთხრა ერთმა.

— სახლამდე გაგყვებით, — შესთავაზა მეორემ საშასხური.

ვაჩემ თავი გაიქნია უარის ნიშნად, მადლობა წაილულღულა და უცნობებს გაშორდა.

გეზი არ აუღია, მაგრამ რატომღაც მტკვრისკენ კი წავიდა. ნაპირს რომ მიუახლოვდა, მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ ახლო იყო მდინარეც და ცხოვრების ბოლოც.

ხიღზე იდგა ვაჩემ. მის ფეხქვეშ მიედინებოდა ვიწროში შემდორებელი ნტკვარი. დაპყრებდა ტყვიისფერად მიმდინარე წყალს, თავბრუ ესხმოდა და თვალი უჭრელდებოდა. ტალღა ტალღას მისდევდა და ფიქრი — ფიქრს.

რატომ მოექცა ასე უგულოდ ცავო. ნუთუ რამდენიმე დღის განშორება იყო საკმაო, რომ იგი, მისი სიყრმის განუყრელი მეგობარი, დავეიწყებინა და სხვას, უცხოსა და შეუჩვეველ კაცს გააყოლოდა. ნუთუ ვერ ატყობდა და არ იცოდა ცავომ, როგორი ძვირფასი იყო იგი ვაჩესათვის. განა მისი სიახლოვისათვის არ უთხრა უარი დემეტრე იყალთოელს ხლათში გაყოლაზე და ამით ზურგი არ შეაქცია თავის საოცნებო მომავალს, სახელსა და პატივს? განა დღედაღამ ცავოს გარდა სხვა საფიქრალი ჰქონდა ვაჩეს? განა მის გარდა სხვა რამეს ან ვინმეს ხატავდა კიდეე მას შემდეგ, რაც მისდამი ეს გაურკვეველი მიზიდულობა თუ აღტაცებული სწრაფვა იგრძნო?! ერთხელ მაინც რად არ იეითხა ცავომ, თუ რატომ აირჩია თორელის სატრფიალო ლექსების გმირად, სასოწარკვეთილი მიჯნურის უღმობელი სატრფოს სახის გამოსახატაად.

თორელის წიგნი! დაწყველილი თორელის წიგნი! აჰი გული ეუბნებოდა რომ რაღაცას ცუდს, გამოუსწორებელს ცუდს აკეთებდა, როცა იმ წიგნის მონატვას ამთავრებდა. ერთხელ იმ ფიქრ-მაც კი გაუღევა, ვაი თუ მზითვად ვუმზადებ ცავოს ამ წიგნსო და ასეც მოხდა. ცავოს ქმარი, ალბათ, სასთუმალთან დაიდებს თავის ლექსების იმ წიგნს, გადაფურცლავს და თავმოწონედ წაუკითხავს ლექსებს ბედნიერებით გაბრუნებულს, ალერსში გატრუნულ ცავოს, მის საოცნებოსა და სათაყვანებელ ცავოს; ცავო ნეტარებისაგან თვალს მიხუჭავს და ზედაც არ შეხედავს მის ნახატებს, ერთხელაც არ გაიხსენებს მისი სიყვარულის უსახელო რაინდს, რომელიც შთაგონების ფრთების ყველაზე მძლავრად გაშლისასაც ვერ იცუნებებდა თორელის ასეთ ბედზე. ან კი როგორ უნდა ეოცნება! რა მოეპოვებოდა მას, სახელი თუ სიმდიდრე, ქონება თუ ღირსება! ერთი უბირი ბიჭი იყო, თბლობასა და გაჭირვებაში წვალებით გამოზრდილი, და ცავოზე უკეთ ეს ვინ იცოდა. თავად ცავოც გაჭირვებაში იყო გაზრდილი. ღარიბი აზნაურის თბოლი გოგონა უკეთეს ცხოვრებაზე, სიმდიდრესა და ფუფუნებაზე ოცნებობდა და ამ ოცნების ხორცის შემსხმელად, ალბათ, თავის სწორსა და მეზობელს, მასვეთ ღარიბსა და ხელმოკლეს, ვერასოდეს ვერ წარმოიდგენდა.

მაშ რაღა აზრი აქვს ვაჩეს ცხოვრებას, თუკი იგი ვერასოდეს ვერ დადგება ცავოს ოცნების სიმადლეზე; რისთვისღა ათევს ღამეებს სამკვედურში გრდემლთან. რატომღა შეპყრებს დღისით ტაძრებსა და სასახლეებში მხატვართა ხელოვნებას, ვისთვისღა უნდა ისწავლოს და იწველოს მთელი სიცოცხლე, ვისკენღა უნდა გაიკაფოს გზა, როდემდის უნდა ებრძოდოს ცხოვრების ტალღების მოწოლას, თუკი ოდესმე ნაპირზე გასულს მისი საოცნებო ცავო იქ არ დახედება!?

გრიგოლ აბაშიძე
დიდი ღამე



ვაჩემ თვალი დახუჭა. ხელები ხიდის მოაჯირს მოაველო და ის იყო ფეხის წვერებზე აიწია გადასახტომად, რომ ყურში სასოწარკვეთილი ყვირილი ჩაგსმა:

— მი-შვე-ლე-ვეთ!

თვალი უმაღლე გაახილა: მდინარეს ყმწვეილი მოქონდა. განწირული ბაღლი ხელებს მადლა იქნევდა, ტალღები მორვეისკენ ეწეოდნენ, ხან ზედ გადაუვლიდნენ და ქვეშ მოიქცევდნენ, ხანაც მადლა ამოგდებდნენ და ერთხანს ნაფოტივით მოატივტივებდნენ.

მდინარის ნაპირს ქალები და ბავშვები მოსდევდნენ ზრიალითა და გულსწამლები კივილით.

ისინი მშველელს უხმობდნენ.

ვაჩე არც დაფიქრებულა, ხიდის მოაჯირს გადაველო და გაუხდელად წყალში გადაეშვა. მორევმა ერთი კი შეატრიალა, მაგრამ ჰაბუქმა ღონივრად მოუსვა მხარული და მდინარეს აღმა შექაჯა. ღინების წინააღმდეგ ქრიადა და მაღლა წელა მიიწეოდა, მაგრამ შორს წასვლაც არ დასჭირდა, მტკვარს თავით მოქონდა მისკენ უკვე გონდაკარგული ბავშვის მოშვებელი, უღონო სხეული.

მოახლოებისთანავე ერთი მაგრად უბიძგა ნაპირისკენ, მერე ცალი ხელი ქორხორში ჩაჰკიდა და ცალითაც ღონივრად მოუსვა.

ნაპირთან მისვლისას ქალებისა და ბავშვების ზრიალმა იმატა, ისე მოეჩვენა, თითქოს მთელი ქალაქი იქ მოსულიყოს, ტირილდნენ, კიოდნენ და წიოკობდნენ.

თმაგაწეწილმა ქალმა მუხლამდე წყალში შემოტომა და ბავშვს მივარდა. სხეებიც მაშინვე მიჰყვნენ ღედას და ნაპირზე ციმციმ გამოიყვანეს ყმაწვილი. ჯერ თავდაღმა დაჰკიდეს, მერე სახე და ტანი დაუსრისეს და როგორც იყო, ბავშვს გონი მოუბრუნეს.

საიდანღაც ბიჭის მამაც გაჩნდა. ბავშვი რომ გონს მოსული ნახა, ვაჩეს ფეხქვეშ ჩაუვარდა და მოეხვია. ვაჩემ ფეხები ძლივს წაართვა და წამოაყენა. ახლა მხრებზე მოეხვია გახარებული

მამა, მკერდში თავი ჩაუდო და ცრემლით უღტობდა უბეს.

გადარჩენილი ბავშვის მამა მისკენ წაიწია და შიო აღმოჩნდა, მეფის სიძის მსგავსი ლოებელი, სამეფოს უმდიდრესი კაცი. მუდამ მოქარავენსა და განუწყვეტლად სხვა ქვეყნებში მოგზაურ შიოს ცოლი გვიან შეერთო. ეს ერთადერთი ვაჟი გასჩენოდა და მზე და მთვარე მასზე ამოსდიოდა.

შიო შინ არ ყოფილიყო, მისი ბიჭი ტოლებს გაჰყოლოდა მტკვარზე, წყალში ღრმად შესულიყო და ტალღას მოეტაკნა. ახლა, როცა თავისი ერთადერთი მეგობარე და იმედი ბეწვზე გადარჩენილი ნახა, გულით უნდოდა მისი მხსნელისთვის რითიმე გადაეხადა. ყველა იქ მყოფთან ერთად შინ წაიყვანა, სუფრა გაუშალა და დიდი პატივი სცა.

სუფრაზე მოწყვნილი იჯდა ვაჩე, პირი არ გაუხსნია, საქმელს არ მოქარებია, სამაგიეროდ ღვინოს დაეძალა და ყველა გაოცა, იმდენი სვა.

დიდუჭარი მხიარულად იყო, არ იყოლა, რითი ეამებინა შვილის მხსნელისათვის.

— სამეფოს ყველა დიდებულსა და ეაზირსაც დაგიპატრებდი და გაგაცნობდი, მაგრამ დღეს მეფის კარის მგოსნის ქორწილია და ყველანი იქ არიან, — მოაბოდიშა შიომ და ვერ მიხვდა, როგორ ატყინა გული ვაჩეს, რომელიც თავისი დარღის ჩახშობას ღვინოში ცდილობდა.

შიოს ნათქვამმა ცოტახნით მივიწყებული სადარდელი ისევ აუშალა ვაჩეს, სუფრაზე ველარ გაძლო, ზოდიში მოიხადა და ფეხზე წამოდგა. მასპინძელი სტუმარს მიჰყვა, მერე წინ წაუძღვა და საიღუმლო კართ საღაროში შეიყვანა.

ოქრო-ვერცხლისა და პატიოსანი თვლების ხევემა დააბრმავა ვაჩე.

— წაიღე, რამდენიც გინდოდეს. ოქრო-ვერცხლი უანგარიშო მაქვს, შვილი კი ერთადერთი მყავს და მისი სოცობლე შენგან მაქვს ნაჩუქარი, — უთხრა შიომ.

ვაჩე ოქროს ზედაც არ უყურებდა. მთელი ქვეყნის სიმდიდრე ჩაღადაც არ უღირდა ახლა, რადგანაც თავად სიცოცხლე აღარაფრად უნდოდა. ქაბუქმა ხელი ჩაიქნია და უანგარიშო სიმდიდრისაგან პირი იბრუნა.

შიოს, ცოტა არ იყოს, უცნაურად ეჩვენა ქაბუქის ქვევა. მკლავი დაუჭირა და თვალეში ჩააცქერდა.

— მთელი ჩემი ქონება კი არა, სიცოცხლაც ცოტაა შენი მადლის გადასახდელად, მათხარი, რას ითხოვ და ისეთი რა უნდა იყოს, რომ ვერ ავისრულო, — შეეხვეწა შეწუხებული შიო.

ვაჩე გულგრილად უყურებდა დიდვაქარის თავისგამოდებას და არაფერს ამბობდა.

— ყმად დაგიდგები, რითაც გსურდეს, მიშასხურე! — ისევე შესთხოვა შიომ.

— ერთადერთი სათხოვარი მაქვს და მგონია, შენ არ უნდა გაგიძნელდეს ამის შესრულება, — მყირებნის ყოყმანის შემდეგ თქვა ვაჩემ, — ხლათს წასვლა მინდა და ეგებ იქით მიშავალი ქარავენი გეგულეზოდეს, რომ თან გამოყოლოს.

— თავად ახლახან დაებრუნდი ხლათიდან. ჩემი მექარავენები წაუღენ ამ ორ დღეში და იმათზე უკეთესს ვის გაკვეები ისე ჩაგოყვანენ, კე ჩავს არ მოგაკარებენ. ხლათში გავლენიანი ნაცნობებიცა მყავს, თვით თამთა დედოფალთან მიგიწერ წიგნს, მის კარზე ჩემი ხათრით არაფერს გაგიკრივებენ, — დიდვაქარმა მხარზე დაქრა ხელი ვაჩეს, თვალეში ჩააცქერდა და გამომცდელად ჰკითხა: — ეგრე შორს გამგზავრება რად გადაგიწყვეტია?

— ხლათში ჩემი მასწავლებელი მხატვარი მიპარებს, დემეტრე იყალთოელი, მისი შეგირდი ვარ და სამუშაოდ მიწვევს.

— იყალთოელს კარგად ვიცნობ, კარგი ოსტატია და თამთას კარზეც დიდი სახელი აქვს. ახლაც ვნახე, იქ ყოფნისას. ქართველი დედოფლის ეკლესიას ხატავს. ურჯულოები ბოღმით უყურებენ მაშადიანი მელიქის სასახლისა და მიზგიტის გვერდით აშართულ ქრისტიანულ ეკლესიას, მაგრამ ერთის მხრივ

თამთასა და აშრაფის რადიკალიზაციის სიყვარულით, მეორეს მხრივ — ქართველთა შიშით ვერაფერს ამბობენ.

ორი დღის შემდეგ დიდვაქარმა შიომ, მისმა ოჯახმა და ნათესაობამ ხლათის გზაზე გაისტუმრა მათი მხსნელი და გადამრჩენელი.

დიდვაქარმა წერილები გაატანა თამთა დედოფალსა და თავის გავლენიან ნაცნობებთან, თან საგზლითა და ქონებით დატვირთული ჯორ-აქლემები გააყოლა.

თურმან თორელი უბედნიერესი კაცი იყო.

ტრფობის სიამით ტყობა გამოუფხიზლებლად გრძელდებოდა. მტკვრის ნაპირას პატარა ბაღიანი სახლი იყიდა კარის მგოსანმა. სახლი სანახევროდ მდინარეზე იდგა, აივნის ქვეშ მტკვარი მიედინებოდა და პედნიერი წყვილი ხომალდზე გაწოლილი მოგზაურებივით მიჰყავდა ოცნებას სიყვარულის დაუსრულებელ ზღაპარში, უცხო სიამეთა მიუცვლეველ ქვეყნებში.

სამეფოში დიდი ამბები ხდებოდა. რუსუდან დედოფალმა დარბაზის დასტურითა და საყუთარი არჩევანით არზრუმის სულტნის ტოლრილმას შეილი მოლასედინი შეირთო. უშვენიერესი დედოფლის ტრფობით გონდაკარგულმა მოლასედინმა საქართველოს დარბაზის პირობა უყოყმანოდ მიიღო, მაშადის სჯული უარყო და ქრისტიანულად მოინათლა.

შალვა და ივანე ახალციხელები სამხრეთის ქვეყნებში ლაშქრობდნენ.

სამეფო ახალი არზებითა და გზატყეცილებით იქსელდებოდა, ახალი ტაძრები და სასახლეები, სასწეულოები და ხანაგები შენდებოდა.

გელათსა და თბილისში, მცხეთასა და ანისში ბიზანტიელ, სომეხ და ქართველ ფილოსოფოსთა პაექრობა გრძელდებოდა, ახალი წიგნები იწერებოდა და ითარგმნებოდა.

გრიგოლ აბაშიძე
დიდი ღამე

და ყველაფერი ეს, თითქოს სადაც, თორღისაგან ძლიერ შორს ხდებოდა. გარე სამყაროსაგან სანახევროდ მოწყვეტილი თორელი თავის ღამაზე ცოლთან ერთად უკაცურ კუნძულზე დასახლებულს ჰგავდა, ერთიმეორეს გარდა აღარც არავინ იცოდნენ, აღარც ვინმე ახსოვდათ.

ერთხანს მოგზაურობით გაერთვნენ: თავის საყვარელ თორში წაიყვანა პატარაძალი თურმანში, მერე მცირე ხანი ახალდაბაში დაჰყვეს ცაგოს დედასთან და შემდეგ ისევ თბილისს დაუბრუნდნენ, მტკვარზე გადამდგარ კობტა სახლსა და პატარა ბაღს.

ცაგო მთელი დღე სასიყვარულოდ ეტრინებოდა თორელს, იგი ჰასაკითაც უმცროსი იყო, თურმანთან შედარებით თითქმის ბავშვი, და თორელს მასთან ყოფნისას ყველაფერი ავიწყებოდა — განვლილი ცხოვრების აუკარგავ, მომავალზე ფიქრისა და თავისი ვალიც ქვეყნისა და ხალხის წინაშე. ხანდახან გამოფხიზლდებოდა და შეეშინებოდა: ვაითუ ამოდენა ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელდეს და უბედურება რამ შემოხვებეს!

რუსუდან მეფე სანახევროდ თბილისში არ იყო, ჰაბუჯ თანამეცხედრესთან ერთად სამყოფელს ხშირად იცვლიდა და თავის სეფე ქალსა და კარის მგოსანს იშვიათად აწუხებდა სასახლეში მიხმობით, მაგრამ როგორც კი გვირგვინონები დედაქალაქში გამოჩნდებოდნენ, მისი ახალი სეფე ქალიცა და კარის მგოსანიც მაშინვე ეახლებოდნენ.

ცაგოს განსაკუთრებით იზიდავდა მეფის ბრწყინვალე კარი, სადაც მუდამდღე ტრიალებდნენ სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული მეფეები თუ უფლისწულები, მთავრები თუ დიდებულები, ვაზირები და უებრო რაინდები, სამეფოს საუფიფესო მოყმეები, სწავლულები, ფილოსოფოსები და რიტორები.

რუსუდანის უღამაზესი სეფე ქალის გამოჩენა შუქს მატებდა ტურფა ქალეობით სავსე სასახლესა და დედოფლის ამაღას და რაგო ყოველთვის გრძნობდა მისკენ გამორჩეულ მზერას. უამრავი

თვალი აღტაცებით შეჰყურებდა მის კენარი ტანის ნატიფ მიწრა-მოწრას და ცაგოც ცდილობდა უფრო შეეტყუა ღამაში და მომხიბლავი გამოსახულებით.

ხლათში ჩასული ვაჩე პირველი დღიდანვე ჩაითრია ცხოვრების ახალმა დინებაში. ჯერ კიდევ გრძელი გზის შთაბეჭდილებით გაბრუებული და დაღლილი იყო, რომ ხლათის მელოქის კარის ბრწყინვალეობამ დააბრმავა.

შიოს ქარაუგან-ბაშმა პირდაპირ თამთა დედოფალს წარუდგინა ვაჩე.

იჯდა ოქროს მაღალ ტახტზე ქართველი დედოფალი, თვალწარმტაცი და თავდაჯერებული. მის ერთ გამოხედვაზე ან წარბის შერბევაზე ოთხად იყეცებოდნენ ხლათის კეთილშობილი დიდებულები და მისი ბრძანების შესრულებას ერთმანეთს ასწრებდნენ დედოფლის წყალობისა და ყურადღების დამსახურების მოსწრაფენი.

თავათ ხლათის მელაქი ამრადი, ჭეიფსა და ნადირობას გადაყოლილი თამთას ყოფილი მამალი და აწ თანამეცხედრე, სასახლეში არ ჩანდა და ვაჩე მიხვდა, რომ საქართველოს ამ ყმადნაფიცო სამეფოს ნამდვილი ბატონი პატრონი ივანე მხარგრძელის ასული, ქართველი დედოფალი თამთა იყო.

წლებს ოდნავ დაეჩნია კვალი ქართველი დედოფლის სწორუბოვარი სილამაზისათვის, მაგრამ იმდენად კი ვერა, რომ მის პირველად მნახველს შეეტყუა. ოცდაათ წელს მიახლოებული დედოფალი კიდევ ბევრს დაუკარგავდა გონებას და მისი სიტურფითა და ბრწყინვალეობით მოხიბლული ჰაბუჯი შეკრთა. ძალიან მაღლა და ძალიან ახლო იგრძნო თავი დიდ ნათელთან, თვალი ველარ გაუსწორა. თავი დახარა და შეშინებულმა ოდნავ უკან დაიხია.

დედოფალმა დაუყვავა, დედაშვილურად მივალურსა, ტყბილი სიტყვით წათამამა, ახლო მიიხმო და საქართველოს ამბები გამოკითხა. კიდევ (ორტა ხანიც და ვაჩეს წელანდელი გაუბედობისა



აღარაფერი დარჩა, შიში თუ კრთომა სადღაც ვაიფანტა და დაიკარგა.

და ვაჩე გუმანით მიხვდა, რომ თამთა დედოფლის გულითადობასა და გონიერებასაც იგივე ძალა ჰქონდა, რაც მის სიტურფეს.

დემეტრე იყალთოელმა დიდად გაიხარა ვაჩეს მისვლით.

— ვიცოდი, რომ ბოლოს მაინც მომძებნიდი, უძღვები შეილივით ბოლოს მაინც მე უნდა დამბრუნებოდი, რადგან მას შემდეგ, რაც მუხებთან ღამე გათვინე, მე შენი მეორე მამა ვარ, — უთხრა დემეტრემ და გადაეხვია.

თამთა დედოფლის კარის ეკლესია აჩვენა დემეტრემ ვაჩეს. ახალნაშენი, მცხეთის ჯვრის მსგავსი მომცრო საყდარი პატიოსანი თვალივით ბრწყინავდა ფერადი ქვებით შემკულ, ნოხებივით აჭრულებულ მიხვითებს შორის. წითური ქვის პერანგში ქართული ჩუქურთმები დალაქავებით ჩახვეულიყვნენ და ოთხივე კედელზე ჯვრის სახედ შეკრულიყვნენ.

ეკლესიაში ხარამოები იდგა, დემეტრეს თანაშემწეები მუშაობდნენ; კედლების მოხატვა ახალი დაწყებული ჩანდა.

იყალთოელმა საყდარი შემოატარა ვაჩეს, დაწერილებით აუხსნა სად, რის დახატვას ფიქრობდა, თავისი გეგმა გააცნო. ბოლოს ეკლესიის ერთი კედელი ჩააბარა და მისი მოხატვა მთლიანად მას მიანდო.

მოწყურებულივით დაეწაფა სამუშაოს ვაჩე. თავებდმოძლებულს ქვეყნად სხვა აღარაფერი იზიდავდა, თავდავიწყებას მხოლოდ ხატვაში პოულობდა და გამოუფხიზლებელი ლოთივით სხვა აღარაფერზე ფიქრობდა. შთაგონებით გაბრუნებული, ოცნებადქეული ვაჩე იშვიათი აღმაფრენითა და გაქანებით ხატავდა. იყალთოელი და მისი ოსტატები გაოცებულნი შეპყურებდნენ ჰაბუქს, იგი მათ თვალწინ იზრდებოდა და ვაქცაცდებოდა, მათთვის მიუწვდომელი სიმაღლეებისაკენ მიიწევდა.

დემეტრე გახარებული იყო მოწოდების წარმატებით.

ხალისიანი, ცხოვრების თვის მოყვარული ოსტატი, თვის მოყვარეც იყო. ფული თავზე საყრელად ჰქონდა, პატრივი და ყურადღება არ აკლდა. იყალთოელმა დაუღალავად იცოდა მუშაობა. როცა შთაგონების ასეთი დღეები ჰქონდა, ეკლესიიდან არც თავად გამოდიოდა, არც თანაშემწეებს იშორებდა. მაგრამ, როგორც კი აღმაფრენის ოდნავ შესუსტებას იგრძნობდა, ხატვას მიატოვებდა და აიწყვეტდა.

მაშინ ღამეები უძილოდ გარბოდნენ სპარსელ და თურქ ხათუნებთან ლხინში, აუღებელ სუფრასა და მეგობრებთან ქეიფში.

ვაჩე აქაც განუარეულად გვერდით ჰყავდა დემეტრეს, მისი ლხინის სული და გული იყო.

რამდენ უტურფეს ქალს გადაეყარა ვაჩე. ღვინისაგან გაბრუნებულს ბევრჯერ ეგონა, რომ გულისსწორი იპოვა, მაგრამ გამოუფხიზლებულს უმალ თვალი ეხილებოდა, გუშინდელ კერპზე გული უციცდებოდა და თავისი თავიც ეზარებოდა.

ასეთ წუთებში თვალწინ ისევ ცაგო ედგა, თავი უბედურ აღამიანად მიანდა და კვლავ თავდავიწყებას ამაოდ ეძებდა მუშაობასა და სმამში.

დარდიმანდს, ქეიფისა და დროსტარების მოყვარულ დემეტრესაც მალე ყირჭდებოდა გაბმული ლხინი და ღამეების თვეა. დაღლილი ოსტატი საოცრად მოიწყენდა ხოლმე. ვაჩესთან განაპირდებოდა და საქართველოს ამბებით, საკუთარი სახლისა და ოჯახის მოგონებით იქარებდა დარდს. დემეტრეს თბილისში ერთადერთი ასული ჰყავდა და შეილს მონატრული მამა ერთთავად სულ მის ქებაში იყო. ვატოცებით უყვებოდა ჰაბუქს თავისი შვილის სიტურფისა და სიციქასის ამბავს,

გრიგოლ აბაშიძე
დიდი ღამე

ერთხელ მოთხოვნილს მრავალჯერ უბრუნდებოდა და ვაჩემ უკვე ზეპირად იცოდა ოსტატის სათქმელი. თუმცა თვალთ ჯერ არ ენახა დემეტრეს ქალი, ოსტატის ნაამბობით მისი გარეგნობა, კეთილი ზნე და ნატიფი ქცევა კარგად ჰქონდა წარმოდგენილი. დემეტრეს ნაამბობით შეეჩვია თვალთ უნახავ ლელას; რაკი მამას ენახე სულ მისი სახელი ეყრა, ვაჩემაც ახლობელივით წარმოიდგინა ოსტატის ესოდენ ტურფა და მიწიღველი ასული და მისი ამბების თხრობა მასაც მოთხოვნილებად ექცა.

თამაშს ეკლესიის კარის მოხატვა თავდებოდა. ზღათის დედოფალმა თავისი სახის დახატვა ინება საყდრის მარჯვენა კედელზე. ეს საქმე დემეტრემ თამაშს არჩევანივით ვაჩეს მიანდო.

საქვეყნო საქმისაგან მოცალეების ჟამს ზღათის დედოფალი თავის ახალ ეკლესიაში მიბრძანდებოდა ზოლმე და ჰაბუკო მხატვარი გატაცებით ხატავდა მის მშვენიერ სახეს.

მტკვრის პირას, მეტეხის კლდეზე, ნელ-ნელა წამოიშართა მთელ ქალაქში ყველაზე მაღალი შენობა. ვიდრე შენობა ჩვეულებრივ სიმაღლეს არ ამორდებოდა, მნახველები ვერ ამჩნევდნენ რაიმე განსაკუთრებულს, მაგრამ როცა ხარაოები თანდათან მაღლა-მაღლა ავიდნენ და შენობას რამდენიმე სათულზე სვეტებით დამშვენებული ბანები შემოეველო, გამველ - გამომელენი თვალს ვეღარ აცალგბდნენ ამ უცხოსა და ლამაზ ნაგებობას. ბოლოს ოქროსფერი ქვის პერანგით შემოსეს ჯერ კიდევ დაუმთავრებელი შენობა. დამშვენდა, დამაბრმავებლად გაბრწყინდა სხვა შენობებს შორის. უთვალავი ეკლესიის გუმბათებზე მაღლა აღმართული, ქალაქის ყოველ კუთხიდან მოჩანდა მეტეხის ტინზე მკვიდრად დაშენებული ახალი სასახლე რუსუდან მეფისა.

რუსუდანის გამეფების დღეს ჩაუყარეს საფუძველი ამ ახალ პალატებს. პატივმოყვარე რუსუდანს სურდა, მისი სასახლე უღამაზესი ყოფილიყო არა

მარტო საქართველოში, არამედ მთელს წინა აზიაში. კარის ხუროთმოძღვარი გიჩი მუხასძე საგანგებოცხრ/წყნს/სქს/ კონსტანტინეპოლსა და სპაჰს/სქს/სქს/ იტაური სასახლეები ერთხელ კიდევ მოეხილა და თბილისში მათი მჯობი პალატები აეგო.

ბიზანტიაში ნასწავლმა და ნამუშევარმა მუხასძემ აღმოსავლეთისა და დასავლეთის საუკეთესო სრა-სასახლეების გეგმები წინ დაიდო, ქართული ეროვნული ხუროთმოძღვრების მიღწევები სახელმძღვანელოდ გაითვალისწინა და სასახლის ბრწყინვალე გეგმა შექმნა.

ზაგრატიონთა სახლს თავისი შოდგმა ბიბლიური დავითისა და სოლომონისაგან გამოჰყავდა და საქართველოს ახალ რომად გადაქცევის მქადგებლებმა მუხასძეს ისიც მოსთხოვეს, რუსუდანის პალატები სოლომონის ზღამრული ტაძრისთვისაც მიემსგავსებინა, იმ ტაძარზე დიდი, უკეთ შემკული და უფრო ბრწყინვალე აეშენებინა.

მუხასძე ძველი აღთქმის მეფეთა წიგნსაც ჩაუჯდა და ზოგი რამ მართლაც საგანგებოდ გადმოიღო სოლომონის ტაძრიდან, რათა ქართველი გვირგვინოსნის დავითიან-სოლომონიანი წარმომავლობა მეფის ახალი სასახლის ყველა მნახველისათვის ნათელი გაეხადა.

ათასობით მონა დაახვიეს სასახლის მშენებლობას. ასობით ქარაენები წამოვიდა ქვეყნის ყველა კუთხიდან. განუწყვეტელ ნაკადად მოედინებოდა თბილისისაკენ სომხეთის ფერად-ფერადი ქვა, აფხაზეთის ხე-ტყის ძვირფასი, გამძლე ჯიშები; კირი და კრამიტი, მარმარილო და შინა საგანგებოდ მზადდებოდა რუსუდანის სასახლისათვის და ურიცხვი ურმითა და ჯორკიდებულთ მოდიოდა ქვეყნის ყოველი მხრიდან.

საქართველოს ყველა ხუროთმოძღვარი, მხატვარი თუ მეცნიერი და ფილოსოფოსი რუსუდანის ამ ახალ სასახლეს საქართველოს სახელმწიფოს უდიდესი ძლიერებისა და აყვავების ძეგლად თვლიდა, ყველას უნდოდა ეს ძეგლი სამარადისო ყოფილიყო და ყველას

თავის შემოქმედების წვლილი შექპონდა მის შენებაში.

ხუროთმოძღვრები და სწავლულები რომ სასახლის გარეგნულ სილამაზესა და მარადიულ აზრზე ფიქრობდნენ, ქართველი მთავრები ერთიმეორეს ეჯობებოდნენ რჩეული მასალის მოზიდვაში, ხოლო საქართველოს ყმადნაფიცები — ტრაპიზონის იმპერატორი და არზრუმის სულტახი, ადარაბადაგანეული ათაბაგები და თურქმანი სულტენები უჩვეულო თავგამოდებას იჩენდნენ, რუსუდანის სასახლის მშენებლობას ოქრო-ვერცხლსა და იშვიათ შესამკობელ მასალას უანგარიშოდ სწირავდნენ.

შენობა სახურავამდე ავიდა და მუხასძემ სასახლის შიგნითა მოხატვაზე დაიწყო ზრუნვა. სამეფოს ყველა მხატვარს კარგად იცნობდა, მუზონბელი ქვეყნების მხატვრების ოსტატობაზე შესწავლილი ჰქონდა და მათგან ყველაზე განთქმულ ხელოვანთა გამოირჩევას ფიქრობდა.

დროს სწრაფად გაერბინა, ორი წელი გასულიყო. ქართველ მხატვრებს ხლათის კარის ეკლესიის მოხატვა დაესრულებინათ. ეკლესიის მხატვრობისა და განსაკუთრებით მარჯვენა კედელზე გამოხატული თამთა დედოფლის სახის სანახავად განუწყვეტლად მოდიოდნენ. ის მუსულმანებიც კი, რომლებიც ქრისტიანთა სალოცავს უწმინდურებასავით უვლიდნენ ხოლმე გვერდს და მისგან ზურგშექცეულნი გარბოდნენ, ახლა ქრისტეს საყდარში ქურდულად შეპარულნი მიცხოვრისა და ლეთისშობლის ხატებს თვალს არიდებდნენ და საათობით უცქერდნენ. თავიანთი საამაყო დედოფლის სახეს.

მთელს ქვეყანაზე გაითქვა სახელი იმ პატარა ეკლესიის მხატვრობამ და გოში მუხასძემ საგანგებოდ ჩამოვიდა თბილისიდან თავისი თანაშემწეებით, რათა ადგილზე ენახა მხატვრობა, რომელიც ასე საარაკო გამხდარიყო. ეკლესიის მხატვრობამ და განსაკუთრებით თამთას სახემ ბეურის მნახველი ხუროთმოძღვარიც კი განაცვიფრა.

თბილისში დაბრუნებისთანავე კარის ხუროთმოძღვარმა მეფეს გადაჭრით მოახსენა: ყველას ნიჭი და ოსტატობა აწონ-დაეწონე, მეფის პალატაში რეგნობის ღირსად სასახლის დარბაზების მოხატვას მხოლოდ დემეტრე იყალთოელი და მისი თანაშემწე ვაჩე შესძლებენო.

რუსუდანმა მიღმსრობები აფრინა ხლათისაკენ.

თამთა დედოფალმა ქართველი მხატვრები უხვად დააჯილდოვა და საქართველოსკენ გამოისტუმრა.

რალაც გაურკვეველი გრძობით შეპყრობილი მოპყვებოდა გრძელ გზას ვაჩე. სამშობლოში დაბრუნება ახარებდა და თან აშინებდა. ვინ იცის, რა მოხდა ამ ორი წლის განმავლობაში, რამდენი რამ შეიცვალა მისი ახლობლების ცხოვრებაში!

თავად ვაჩეს ცხოვრებაში კი თითქოს არაფერი მომხდარა ღირსსახსოვარი. ორი წელი რა არის, ამ ორ წელს ისე გაურბენია, რომ მის პირად ბელზე თითქმის არავითარი კვალი არ დაუტოვებია, მაგრამ თავად გამოცვლილა ვაჩე. ხასიათი შეცვლია, გუნება დამძიმებია და ცხოვრებას სხვა თვალთ უყურებს...

ხუთიოდე ცხენოსანი თბილისში შემოვიდა. სამშობლოს დანატრებული, გრძელი გზით დაღლილი მგზავრები დედაქალაქის ხილვამ გამოაცოცხლა. ხმამაღლა აღაპარაკდნენ, ხელებს იშვერდნენ და ერთიმეორეს ანიშნებდნენ ნაცნობსა თუ უცნობ შენობებსა და უბნებზე, ძველსა თუ ახალზე.

გაუთავებელი გზით მოქანცულ, დამტვრიანებულ მგზავრთაგან ვაჩე სადღესასწაულოდ გამოწყობილივით გამოირჩეოდა. ისე არხეინად მოპყვებოდა მტკერის ნაპირს, თითქოს ორი წლის წინ სწორედ ამ მტკვარში თავის დაბრ-

გრიგოლ აბაშიძე
დიდი ღამე

ჩობა არც ეფიქროს — ყველაფერ ახარებდა და იტაცებდა, ლურჯი ცაც და მწვანე დაფარული მთებიც, წელა მოდულუნე მტკვარიც და ფუტურის სკა-სავით ახმაურებული ქალაქი.

მტკვრის პირას მებტების კლდეზე დაშენებულმა, ცადატყორცნილმა ახალ-მა შენობამ მიიპყრო მგზავრების ყურადღება. ცხენები შეაყენეს და მიამტერდნენ. კლდეზე ამოსულივით, თავათ ამ კლდის ნაწილივით იღგა ღრუბლებში ატყორცნილი უცხო ნაგებობა.

— აი, ეს არის რუსუდანის ახალი პალატები! — წარმოსთქვა დემეტრემ და სასახლეს აღტაცებით მიჩაერდა.

— რა ლამაზია! რა მსუბუქი და პაე-როვანი! — აღმოხდა ვაჩემ.

— გოჩი მუხასძის აგებულია, მისი ნაშენი ყველა ასე ლამაზია და ხელთუქმნელსა ჰგავს.

— სარკმლებს შეხედეთ, სარკმლებს, რამსიმაღლიდან დაჰყურებენ მტკვარს! — წამოიძახა რომელიღაცამ.

— მოცურავე ის იქნება, ვინც მაგ სარკმილიდან გადახტება მტკვარში! — დასძინა მეორემ.

— რას ამბობ, მტკვარამდე სული არ დაჰყვება! — შეიცხადა მესამემ.

— როგორი ზომიერებით არის ყველა-ფერი განაწილებული, სიმაღლე და სიღრმე, სვეტები და ჩუქურთმები!..

— ღირს, განა, მაგ სასახლის მოხატ-ვა, ვაჩემ?

— ღირს, მაგრამ ძნელიცაა! — ჩაფიქ-რდა ვაჩემ, — თუმცა რაც ძნელია, მიმ-ზიდველიც სწორედ ის არის!

— გოჩი მუხასძეს უნდა ვაჯობოთ, ვაჩემ, შიგნით ისე უნდა მოვხატოთ მე-ფის ახალი პალატები, მისი გარეგნობა უნდა დაეფიქროთ მნახველს.

— აი, ეგ კი მართლა ძნელი იქნება! — თავი გადააქნია ვაჩემ და ცხენი წელა დასძრა.

გზადაგზა ემშვიდობებოდადნენ და ტო-ვებდნენ თანამგზავრები ვაჩემსა და დე-მეტრეს, ზოგი სად უხვევდა და ზოგი სად რჩებოდა.

მარტონი რომ დარჩნენ, ვაჩემ კონს მოსულივით წამოიძახა:

— მე სადღა მივდივარ, ^{დასაბრუნებელი} როგორ შემყოლოა!

— სად უნდა მიდიოდე, ჩემო, ^{მტკვარში} ხვალ! — მტკიცედ უთხრა ^{მტკვარში}

— დედასთან წავიდოდი, ^{სოფლად} აქედან შორს არ არის, — გაიწია ვაჩემ.

— ჯერ ჩემსას დავისვენოთ, ნამგ-ზავრები ვართ, აბანოში წავიდეთ. დედის ნახვას მერეც მოასწრებ, ხვალაც შე-გაიც... თუ გუნებაზე ვიქნენი, მეც თან წამოგყვები.

— მაგას რაღა აჯობებს! — გაიხარა ვაჩემ და მორჩილად მიჰყვა ოსტატს.

კობტა აიენიან პატარა სახლთან შე-ჩერდნენ. კიშკარი გაიღო და წინსაფ-რიანი ქალიშვილი გამოეგებათ. მამო, ერთი შესძახა და დემეტრესკენ გაქან-და. უნაგირიდან გადმოსვლა არ აცალა მამას. ცხენიდან გადმოხრილს მოეხეია. ცრემლმორეული, გულანწყებული დე-მეტრე მკერდში იხუტებდა ამღენი ხნის უნახავ ერთადერთ ქალიშვილს. ჰკოცნიდა და ეფერებოდა.

ვაჩემ ღიმილით შეჰყურებდა მამა-შვილის აღერსს.

როგორც იყო, გული იჯერეს ერთ-მანეთის ხვევნივით, დემეტრე ცხენიდან გადმოხდა, ვაჩემაც დაიქვეითა.

— ჩემი ქალიშვილია, ლელა, — მი-მართა ვაჩემს, ქალიშვილს მკლავში ხელი გამოსდო და ვაჩემსკენ წაიყვანა.

ქალს სახე ერთიანად გაბრწყინებოდა, თვალუბში სიხარულის შუქი ჩადგომო-და. მოდიოდა ვაჩემსკენ ხელის ჩამო-სართმევად, გული უჩვეულოდ უცემდა და მუხლიც უცნაურად უკანკალებდა.

— რამოდენა ქალი ყოფილა და მე კი არ ვიცილობდი! — ღიმილით თქვა ვაჩემ და ლელა თავით ფეხამდე აათვალ-ჩაათვალეოდა.

— მე კი თქვენი ყოველივე დაწვრი-ლებით ვიციოდი, მამაჩემი ხშირად მიამბობდა და წერილებშიც მწერდა.

— პოო?! — გაიკვირვა ვაჩემ და ისევე ალაღად გაეღიმა.

ნ ბუნების წარმატე წილში.

დედოფალი ძნელს, მაგრამ საგულის-ხმო ამოცანას უყენებდა მხატვრებს. ვაჩემ მრავლისმთქმელი თვლით შეხე-და დემეტრეს და გულისყური მიუპყრო დედოფალს.

— ასეთი ძნელი სამუშაოს მონდობა მხოლოდ შენთვის შეგვეძლო, დემეტრე. ბეთანია და გუდარეხი შენი ყალ-ნით ცოცხლობენ, ეს ახალი სასახლეც შენმა ნიჭმა და შთაგონებამ უნდა გაანათოს. სასახლე დამთავრებულია, მოხატვალა აკლია და ამიტომ გიბმე სასწრაფოდ ხლათიდან. მხოლოდ ერთი გახსოვდეს, ბეთანია უფლის ტაძარია, ჩვენი პალატები კი მოყვადეთა საპყოფელი იქნება. იქ ზეცოვრზე ფიჭვი იყო მთავარი, აქ კი მიწიერზე ზრუნვა იქნება უმთავრესი.

— იმედი გქონდეთ, დედოფალო, ჩემი და ამ ჩემი ოსტატის გულმოდგო-ნებისა და თავდადებისა. — დემეტრემ ხელით აჩვენა და ვაჩემ წელში მოიხარა. რუსუდანი ყურადღებით აკვირდებოდა უცხო ვაჟს. მერე რალაე გაახ-სენდა და დემეტრეს მიუბრუნდა:

— ეს, ალბათ, ის ოსტატია, ხლათში რომ გახლდა.

— დიახ! სწორედ ის გახლავთ, — დიდდასტურა თავის დაყვრით დემეტრემ.

— დიდად მიჭებდა თავის უსტარებში ჩვენი, დისაგან უახლოესი, დედოფალი თამთა შენი ოსტატის ხელოვნებას. ფრიად მსიამოვნებს, რომ თავის ხელოვნებას ახლა ჩვენს კარზე გამოაჩენს. მხოლოდ ერთი ასსოვდეს ახალ ოსტატსაც: ჩვენი სასახლე ხლათის ეკლესია როდია, აქ ასპარეზიც მეტი ექნება და ნიქსაც დიდს მიიღებს ჩვენგან.

— მუხასტე ნახეთ, გეგმას გაეცანით და საქმეს სწრაფად შეუდგეთ. — ბრძანა დედოფალმა და ფეხზე წამოდგა. ეს იმას ნიშნავდა, რომ დედოფლის მშვენიერი პირის ჰერტიკის ბედნიერება გათავებული იყო და მხატვრებს მეფის დარბაზი უნდა დაეტოვებინათ.

ორთავ მხატვარი მოფარდა გულს კამბორა, წამოდგენ და დარბაზიდან გავიდნენ.

ერქონესული
სიხსენიქონესი

ხუროთმოძღვარმა სასახლის მოხატვის გეგმა გააცნო მხატვრებს. დედოფლის ბრძანებით, დიდი დარბაზის კედლებზე მისი მეფედ კურთხევა და ტახტზე ასვლა უნდა დაეხატათ.

დემეტრემ ეს საქმე, როგორც ყველაზე ძნელი და პასუხსაგები, ვაჩეს მიანდო. დანარჩენის მოხატვა თავად იყისრა.

დამშვეულივით მიადგა სამუშაოს ვაჩე. სამი კედლის გეგმა მოხაზა: ერთზე ღეთისშობლის წინაშე დახოქილ რუსუდანს ხელთ ქრისტეს კვართი ეპყრა, ცრემლით ალტობდა და გულში იკრავდა; მარჯვნივ ბავრატოვანთა გვარის ღეთაბრივი წინაპარი დავეითი ღრუბლებიდან იმ შურდულს უწვდიდა, რომლითაც გოლითი დაამარცხა ქაბუკმა მეფემ; მარცხნივ — მეფეთა შორის უგონიერესი, სოლომონ ბრძენი იმ სასწორს თავაზობდა, რომელმაც მის სამართალს საუყუნო სახელი დაუმკვიდრა.

დიდი თამარი ადგამდა რუსუდანს თავზე გვირგვინს, ხოლო ახალგაზრდა დედოფლის ფერბოქვემ თეინიერად და უწყინრად გაწოლილიყო ის ორი მრისხანე ლომი, რომლებიც ქართველთა დროშებსა და სამეფო ნიშნებზე ყალყზე ამდგარიყვენ და შიშით ზარავდნენ მნახველებს.

მეორე კედელზე ტახტზე დამბრძანებული, თავგვირგვინოსანი და ხელსკიბტოსანი რუსუდანი მოეხაზა ვაჩეს. დედოფლის უკან მისი დიდი მხედართმთავრები, ვაზირები და დიდებულები იდგნენ საზეიმოდ გაჩინდულნი, ხოლო ტახტის წინ გათხმულიყვენ საქართველოს უძლეველი მეფის სათაყვანებლად და მისთვის მორჩილების გამოსაცხადებლად მოსული თურქთა და სპარსთა, ბიზანტიელთა და ერაყელთა, ადარ-

ბადაგანელთა და ზვარასნელთა ელჩები. რუსუდანს მოწყალე ხელი გაეშვირა და თავის მფარველობის ქვეშ შეევრდომებინა ქრისტეს სჯულისა და საქართველოს ტახტის უზენაესობის აღმსარებელნი.

მესამე კედელი სამეფოს იმ ბრწყინვალე მომავალზე მოუთხრობდა, რომლისთვისაც უნდა მიეღწია საქართველოს რუსუდანის მეფობის ვამს: ცალი ხელით რუსუდანს ვაზის ჯვარი აღეპრო, ხოლო მეორით დოვლათის კალთა დაებერტყა და ღვარად მოდიოდა ოქრო და ვერცხლი, ყურძნის მტევანი და ხორბლის ხეავი; ყვავილოვან წალკოტებს არხები ქსელავდნენ, უღანოებში მონასტრების გუმბათები მღვდლებდნენ და გრძელ გზებზე აქლემების ქარავნები მიიზღაზნებოდნენ; ხოლო იქ, სადაც რუსუდანის ხელს ვაზის ჯვარი აღეშართა, თხა და მგელი ერთად სძოვდა.

მეოთხე კედელზე ვაჩეს განზრახული ჰქონდა, რუსუდანის გამეფების გამო თბილისში გამართული სახალხო ზეიმი ეჩვენებინა. მხატვრის წარმოსახვით ეს უნდა ყოფილიყო ბერიკებისა და ოროკოების, ალებისა და ჰინკების ნიღბებით მოზეიმე მოქალაქეთა დიდი საყოველთაო დღესასწაული.

ღარბაზის მოხატვის გეგმა რომ მოუწონეს და დაუდასტურეს, ვაჩემ ბინა ახალ პალატებში დაიდო, სამი ოსტატი თანამეშვედ აიყვანა და მათთან ერთად შეუდგა ჩანაფიქრის სორცემსხმას.

პირველი სამი კედელი თავის თანაშემწეებს დაუნაწილა. ოსტატები მისი მუდმივი თავსდგომითა და ხელმძღვანელობით მუშაობდნენ, ყოველი წვრილმანი ვაჩეს უშუალო მონაწილეობითა და დასტურით ისატებოდა; მხოლოდ მეოთხე კედელს, ერთიანსა და ყველაზე დიდს, ვაჩე არავის აკრებდა. იგი ნელა, მაგრამ ბეჯითად ემზადებოდა ამ კედლის მოსახატავად.

ბევრმა უძილო ღამემ გაირბინა ფიქრსა და ძიებაში, სანამ უზარმაზარი კედლის მხატვრობას მთლიანობაში ჩამოაყალიბებდა. ადამიანებისა და ცხენების

სურათის ყოველი წვრილმანის უფელავე მონახაზს აყეთებდა. ერთს იწუნებდა და მეორეს იწვებდა, ვიღაც მის წარმოდგენაში კედლის ყოველმხარეში, კულმა გარკვეული სახე და ფერი, თავისი ადგილი არ მიიღო: თეთრ კეიჭე ამხედრებული რუსუდან დედოფალი ბრწყინვალე ამალის თანხლებით მეფედ საეკრთებლად მიბრძანდებოდა; ქუჩა გაქედილი იყო ხალხით, ხელოსნებითა და ვაჭრებით, კაცითა და ქალით, სეირის საყურებლად დიდი და პატარა გამოსულიყო; სახელოსნოს მიხურულ დარაბებთან, იქ, სადაც ბრწყინვალე მეფის ამალის კუდი იყო და კარისკაცების რიგი თავდებოდა, მოზღვავებულ ხალხს სახედარზე მჯდარი საპყარი მიეჭყლიტა. მოწოლილი ხალხისაგან საპყარს მკერდით იცავდა თეთრკანიანი ჯოჯონა. ქალიშვილს ცალ ხელში აღვირი ეჭირა, მეორეთი ხალხს აყავებდა; გოგონას თავისა და სახის ნაკეთები მხატვარს არ მოეხაზა, ოღონდ ამკარად ჩანდა, რომ მისი სახე და მზერა წინ წასული მეფის ამალისკენ იყო მიმართული; მეფის ამალას რომელიღაც ცხენოსანი ჩამორჩენოდა, უნაგირზე სანახევროდ შემობრუნებულიყო და დაეინებინათ იხედებოდა იქით, სადაც საპყარის კვერდით მდგარი გოგონას სახე იყო ნაგველისხმევი.

ყველაფერი, საზეიმოდ მორთული მუნაქ, მეფის ამალაც და ზღვად მომდგარი ხალხიც, კუთხის სახლის პატარა ბანიდან იყო დანახული; ამ ბანზე ტევა აღარ იყო, ყველანი წინ მიმავალ მეფესა და მის დიდებულებს უკეპრდნენ. ერთიმეორეს აწვებოდნენ და უკეთ დანახვას ცდილობდნენ. მხოლოდ ერთი ჰაბუკ მობრუნებულიყო სანახევროდ, მწარედ ჩაფიქრებული. მისი სახის გამომეტყველება რაღაც უძვირფასესის დაკარგვის მოლოდინსა და თავისი უღონობით სასოწარკვეთას გამოხატავდა. ●

ნელ-ნელა, თითქოს ნაზამთრალ მინდორზე გაზაფხული მკვიდრდებოდა,

გრიგოლ აბაშიძე
დიდი ღამე



ახალ-ახალი ფერებით იფარებოდა ცოცხლდებოდა და სუნთქვას იწყებდა მანამდე მკვდარი და ცივი კედელი.

იყოლოელი ხშირად შემოდის ვაჩეს დარბაზში. საათობით იდგა ხოლმე მოჯადოებული მისი ნახატის წინაშე. ოსტატი ხედავდა, რომ აქ, ამ დარბაზში დიდი შემოქმედის აფორიაქებული სული ტრიალებდა, რაღაც უჩვეულოს, მარადიულსა და საუკუნოს ქმნიდა. და ბედნიერი იყო მასწავლებელი — ერთ დროს უბირი ქაბუჯი და აწ უკვე დიდ-ოსტატი ვაჩე მხატვარს თავის ქმნილებად მიიჩნდა და თავის თავს მისი ამ ამალღებული შემოქმედების ზიარად თვლიდა.

ვაჩე გრძელ სკამზე იჯდა და ხატავდა. დარბაზში დემეტრე შემოვიდა. სხვა დროს შორიდან გაუცინებდა ქაბუჯს, ვაჩე უმრებოდა და რაიმე სასიხარუნოს ეტყოდა. ახლა ხმაამოუღებლად, მთვრალივით მომბარბაცებდა დემეტრე და კედელ-კედელ მოდიოდა, რომ არ დაეცემულიყო.

— აღრე მოგსვლია, ოსტატო! — შორიდან გაუღიმა ვაჩემ და ხატვას თავი ანება.

დემეტრეს ხმა არ გაუცია, კედელთან შეჩერდა და ხელით ანიშნა, მოდიო. ვაჩემ ფუნჯი გააგდო და ოსტატთან მიიჭრა.

სიცხისაგან გათარანებულ დემეტრეს სახეზე აღმური ასდიოდა, მუხლს ძლივს იმაგრებდა და ალბათ წაიქცეოდა, ვაჩე რომ დროზე არ მიშველებოდა.

— ავადა ვარ, შინ წამიყვანე! — ძლივს ამოსთქვა დემეტრემ და ვაჩეს მხარზე ჩამოეკიდა. ვაჩემ თავისი თანაშემწეები მოიხსო, ავადმყოფი ბავშვივით აიყვანეს და შინისკენ გააქანეს.

დემეტრეს სადღაც, უცხოეთში შეტენილმა ციებ-ცხელებამ გაუხსენა. ვაჩემ თავს ეჭიშვინა დაახვია, მაგრამ ვერაფერს გახდნენ, სნეულებას წამალი არ შეელოდა და ავადმყოფი დღითიდღე უარესობისკენ მიდიოდა.

დემეტრე ატყობდა, საამქვეყნო პირი აღარ ჰქონდა. გამობრუნების იმედი

რომ დაჰქარგა, ერთ საღამოს ვაჩე მოიხსო. ლოგინთან სკამზე დასჯდებოდა.

— შენ ჩემთვის შეილზე მეტად საყვარელი იყავი, რაც შემიძლო, ამაგი არ დამრუხებია. ახლა სახელგანთქმული ოსტატი ხარ და უჩემოდაც გზა ხსნილი გაქვს. შე დიდი დღე აღარ დამრჩენია და ერთადერთი თხოვნით მოვმართავ სიკვდილის წინ. თუ სათნოდ გგჩვენოს ჩემი თხოვნა, ამისრულე, თუ არა და უარიც გულწრფელად მითხარი, არც ეს მეწყინება.

ვაჩეს თვალს ცრემლი მოადგა.
— ბრძანე, ოსტატო, რა უნდა მთხოვო, რომ არ აგისრულო! — ჩასძახა გაფითრებულმა ვაჩემ და სკამი უფრო ახლო მისწია.

სნეულმა სული მოითქვა და ვაჩეს მავედრებელი თვალი მიაპყრო.

— ჩემს ერთადერთ ქალს და მთელ ჩემს ქონებას შენ ვიტოვებ, შენს მეტი იმედად არაფერს მრჩება. ჩემი ქალი არ-თვალი არ არი და ოჯახის საქმის უწყეარი, თუ შენც გული სხვას არ გითქვამს, შენ ქმარი და ის — ცოლი. შეირთე ჩემი შვილი და იყავით ბედნიერნი.

დემეტრე გაჩუმდა, თავი ვაჩეზე გასწია და ვაჩეს მიაჩერდა.

— შენს ნებაზე იყოს, ოსტატო! ამოსთქვა ვაჩემ, ცრემლი წასვდა და გულამომგდარი დემეტრეს ხელს დააკვდა.

— თუ გულით არა გსურს, ნუ იქმ, შვილო. ჩემი ხათრით ცხოვრებას ნუ გაიმწარებ.

— არა, მამა! გულით მსურს შენი შვილობა... შენი სიძეობა, — სლუკუნით ამბობდა ვაჩე და თან ხელით მომაკვდავის ხელს ეალერსებოდა.

— მაშ ლელა მიხმე, — შესძახა მოცოცხლებულმა დემეტრემ და ლოგინზე წამოიწია.

ვაჩე გავიდა და ისევ მალე შემობრუნდა ლელასთან ერთად.

— ლელა, შვილო! — მიმართა ქალი-შვილს.



ლელა დაბნეული უყურებდა მამასა და ვაჩეს და ვერაფერს მიმხედარიყო.

— მიეცით ხელი ერთიმეორეს! — უბრძანა დემეტრემ.

ვაჩემ და ლელამ ხელიხელს მისცეს.

— დღეიდან შენ ცოლი და შენ — ქმარი! დამილოცინიხართ, შეიღებო, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე...

დემეტრემ პირჯვარი გადასწერა და ლოკინში უღონოდ დაეცა.

ქორწილი მეორე დღესვე გადაიხადეს.

ვაჩეს დედა სოფლიდან ჩამოიყვანეს, ზოგი ნათესავი და ახლობელიც მოვიდა.

შინ მომაკვდავი ჰყავდათ და თუნც მასპინძელი სიმღერასა და მზიარულეობას აძალეზდა, ლხინი მაინც არ გამოვიდა.

ორი დღის შემდეგ დემეტრე მიიცვალა.

გრიგოლ აბაშიძე
დიდი ლამე

გაგრძელება იქნება



მე ვარ ოცი წლის

მე ვარ ოცი წლის.
 მხრები ჩემი ჯერ არ დაღლილა
 ომში დაქრილი მეგობრის თრევით...
 და მშვიდი თვლემით.
 მეძინა მაშინ,
 როდესაც ზეცა შეიფერა ნახშირის ფერით.

მე აღარ მახსოვს
 და მაინც ვხედავ.
 სახლები როგორ ელოდნენ წერილს.
 წერილს ელოდა
 რამდენი დედა...
 ვინ იყის, ახლაც
 რამდენი ელის.


მე ვარ ოცი წლის
 ოვალი ჩემი არ დანისღვლა
 ომში მოკლული მეგობრის ცქერით...
 და მშვიდი თვლემით
 მეძინა მაშინ.
 როდესაც ზეცა შეიფერა ნახშირის ფერით.



მტკიცე ნაბიჯით გამოდის მწკრივი
 ფეხაწყობილი გამოდის მწკრივი.
 და ჩემს ყურებში გასროლილი ტყვიები წივის.
 ოცი წლის წინათ გასროლილი ტყვიები წივის.

და ამ მწკრივს მიღმა
 დგება სხვა მწკრივი.
 ფეხარეული. შავი კაბებით
 და ვეღარ ფარავს ცრემლსა და ტკივილს
 ხმა საყვირების და დაუდაფების.

ფეხაწყობილი გამოდის მწკრივი,
 ისე ვით წინათ,
 ან უფრო კარგად...
 და ჩემს ყურებში გასროლილი ტყვიები წივის
 და ყველა მხედება — თითქოს ვდგევარ სამიზნე ფართან.





ჭაჩისკეები ლეკუნო

თავი მორბა

არეული ფეხის ხმა მიწყდა. მიმავალს ქვა დაუგორდა, მაგრამ მალე ისევ უკვლავი მიუჩნდა.

ტრაქტორისტი-ჭიშკართან იდგა. ეზოში უნდა ჩასულიყო ტრაქტორისტი, მაგრამ იდგა. რა ღმერთი გაუწყრა ამ საღამოს ტრაქტორს, ძველია ის ოხრად დასარჩენი, ახლებს ელიან...

თითქოს სხვაგან იყო წასასვლელი ტრაქტორისტი.

ჭიშკარი შეაღო. სახლში სინათლე ენთო. ჭიშკართან უშველებელი შორი ეგდო. წყალდიდობაზე მდინარიდან ამოათრია ტრაქტორით, სახლამდეც ტრაქტორით მიიტანა. შორთან შეჩერდა, მერე ზედ ჩამოჯდა. ბავშვს ალბათ ეძინა.

მონათობა

ბავშვი ამდენ ხანს უძინარი ვერ გაძლებდა.

ფანჯარას ქალის ჩრდილი დაეცა შიგნიდან. სტუმარი ზომ არაეინაა, თუ...

დესმას ჩრდილი ვერ იცნო ერთი შეხედვით. დესმა მისი ცოლია.

შორს ძალი უყუფდა მგზავრს. საოცარია ეს ძაღლები, რას ერჩიან მგზავრს, შიდის კაცი თავისთვის ორღობეში, მისი გასაჭირი ეყოფა, ამ ბნელში ძლივს არჩევს გზას.

აქ არა ჰყავთ ძაღლი. ვერ იშოვა ერთი ხეირიანი ნაგაზის ლეკვი. „იმისეული“ ბებერი ნაგაზი კი ამ ზაფხულს წაევიდა სადღაც და აღარ გამოჩენილა. მოკვდა ალბათ სადმე. ბებერი იყო. კარგი ლეკვი უნდა იშოვოს სადმე ამბერკიმ. უძაღლო ოჯახი არ შეიძლება, ვინ შოვა, ვინ წაეა. ძალი ერთგულია. ამბერკი რომ ომიდან დაბრუნდა, როგორ წარმოიდგენდა, ძაღლს თუ ემასოვრებოდა.

შორს, შორს ისევ უყუფდა ძალი მარტოხელა მგზავრს.

უძაღლო ოჯახი ოჯახი არაა.

ხვალ დილით აღიონწე წასასვლელი უნაში. თანაშემწე სად ჯანდაბას გადაიკარგა. არა, ვერ ნახავდა საწყობის კამგეს. ისე რად უნდოდა თანაშემწე!



სად წავიდა ის კაცი...

იმაზე არ უნდოდა ეფიქრა ამბერკის, სად მიდიოდა ის კაცი.

აღგა. პაპიროსის მოწვევა არ გახსენებია ამდენ ხანს. ნაჩქარევად მოუვიდა და სახლისაკენ წავიდა. გზად მამავალმა მორს მოუხსედა. ძირზე, მოგლეჯილი წიფელი ქიშკართან ახლოს იყო. გვერდზე უნდა მოეგორებინა მაშინვე. მერე დარჩა, დარჩა და ახლა ბნელშია ცი თვალს ეხამემა, ზედმეტი იყო. ამ დღეებში თუ მოიცალა, გვერდზე უნდა გააგოროს, ცოტა რომ გადასწიოს, ქიშკარიდან მომავალ კაცს თვალში აღარ ეცემა...

ის კაცი ახლა სოფელს გაცილებული იქნება. ეტყობა, კარგი ამბისთვის არ იყო მოსული. მაგრამ ამბერკის არ უნდოდა იმაზე ეფიქრა, თორემ იფიქრებდა, ვინას მიდიოდა... სულ არაა საჭირო...

ამბერკიმ ხის დაბალ კიბეზე აპირჯა. ბნელში კარგად ჩანდა თეთრა სახელური. კიბის მესამე საფეხური ქრი-ალებს ყოველთვის და დღისით არასოდეს არ ახსენდება, რომ ლურსმანი დაუმატოს. თუმცა იჭრიალოს რა, ისე მაგრადაა, ჩავარდნით არ ჩავარდება. მერე კი სულ გამოსაცვლელია, კიბე ქვის უნდა იყოს. კიდეც კარგი, მუხის ყოფილა, თორემ აქამდე არ მოაღწევდა.

ის კაცი საყანეებს იქნება ახლა გასული.

აკვანს ზეწარი ჰქონდა გადაფარებული. დესმა ბავშვის თეთრეულს აეთოვებდა, კარისკენ ცერად გამოიხედა და თქვა:

— მოდი?!

ამბერკიმ შიშველ შემოადგა დეს-ოთახში და კარი ფრთხილად მიხურა.

— ძინავს? — იკითხა ამბერკი.

— აბა ამდენ ხანს...

რა კითხვა უნდოდა, რომ ძინავს. ოთახში ფეხაკრეფით გაიარა.

დესმამ უთო ზედსაღვარზე შედგა და თეთრეული მაგიდის აქეთა მხარეს ვაღ-მოსწია.

ამბერკი უკანა კარში გავიდა, ხელ-დაიბანა და შემობრუნდა.

— ჰო, — თქვა და სკამზე დაჯდომისას თითქოს რაღაცა ჰქონდა სათქმელი, რა და... არაფერი... — ლობიო კიდეც გვაქვს? — ცოტა, გუშინდელი. ღვინო არ ამომიღია.

— უნდა ამოგელო.

— დალილი ხარ?

დალილია? ამბერკი ჩაფიქრდა.

— დალილი ვარ, უნდა ამოგელო... ვინმე რომ მომყოლოდა...

— ვინ უნდა მოგყოლოდა?..

— არაფერ, — უცებ მოუჭრა ამბერ-კიმ, მერე უფრო წყნარად დაუმატა: ვინ უნდა მომყოლოდა, მაგრამ ხომ შეიძლე-ბოდა...

— ახლავე წავალ...

— არა, არა. მაშინ მე ამოვიღებდი. ახლა არ მინდა, იყოს...

მქალი ვატეხა.

— არა, ერთი დოქი ღვინო უნდა იდგეს ოჯახში...

— ამოვიღებ, — თქვა ქალმა.

— არა, რატომ მე აგერ არა ვარ?

ჭრაქი გამოიტანა, გარეთ ქარი უბე-რავდა. ჭრაქი წინ, მუცელთან დაიჭირა. ტალავრის ქვეშ ჩაყრილ ქვევერებს გა-დააბიჯა, განაკიდში პატარა ამოარჩია თვალთ, იქ უკეთესი ეგულებოდა, სა-ხარჯო ღვინის ქვევერი იქვე, შემოსასე-ლულში დატოვა.

ორად გამობილი კოდის ნახევარი დააყუდა და ჭრაქი მოაფარა.

პირველი ხრიკა ხელში გააჩერა ერთ-ხანს, მერე პირთან მიიტანა და თქვა:

— შეუნდოს!..

ღვინო რომ ამოიღო, ქვევრს საგანგე-ბოდ მოტენა თავი, მერე ფხეიერი მიწა დააყარა, თოხი მიაყუდა და წამოსვლა დააპირა, მაგრამ ისევ თოხს მიწედა და ქვევრის თავზე დაყრილი მიწა ისევ შეასწორა. კოდის ნახევარი გადადგა იქეთ მიაყუდა, ბეოლის ძირას.

ჭრაქს ისევ მიეძალა ქარი და ჩაუჭრო.

დესმას პრასის მწინილი ამოელო და მაგიდაზე ღვინის ჰიჭა დაედგა.

— დიდი ჰიჭა მოგეტანა...



დღესმად წყლის ჭიქა გადმოდგა.
ამბერკიმ აავსო და სინათლეზე გახე-
და.

— ოთხფუთიანი მოვხადე.
— მართლა ელი ვინმეს?
— არა, მარა იყოს.
უცეროდ ჭამას მიჩვეული იყო და არ
უჭირდა.

ნავახშმევს გარეთ გავიდა. ეზოში
გაიარ-გამოიარა. ერთი კარგი ძაღლი...
არ ვარგა უმისოდ ოჯახი. შემობრუნდა,
მალე დაწვა. კედლისაკენ გადაბრუნდა
და თვალები დახუჭა.

„ის“ კაცი კი... არა, სინათლე რომ არ
ენტოს, დაეძინებოდა, სინათლე უშლის.
თვალებს კი დახუჭავ. მაგრამ სინათლე
მაინც გიშლის, არც კედლისაკენ გადაბ-
რუნება გშველის. აგერ დღესმა მორჩება
ჭურჭლის რეცხვას და ჩააქრობს, მერე
მაშინვე დაეძინება, მაგრამ დღესმას რა
ეჩქარება, რეცხოს...

— დღესმა! — თავი წამოჰყო ამბერკიმ.
— ახლავე ჩააქრობ.
— არა, მაგი კი არ მინდოდა შეთქვა,
ისა... ბოვშის რშის ბოთლი გარეცხე?
— რომელი რძის ბოთლი!
— საწოვარის.
— რძე უსხია შიგ ბოვშს.
— რძე უსხია? მარა ხომ იცი, ხშირად
უნდა რეცხვა, რძეს აქრის.
— ახლა სიცხე აღარაა.
— არა, მარა მაინც გარეცხე, სიმინდი
ჩაყარე შიგ კარვად გახეხავს.
— ახლა ვერ გავცლი, საესე მაჭკს
რძით.

— არა, ახლა იყოს...
დღესმად ჭურჭელი შეაღავა...
— დღესმა, ის შარვალი გარეცხე?
— რომელი?
— რომელი და წინ რომ ჯიბეები
აგვრია.
— გავრეცხე.
— არ შეაუთოვებ? ცოტას ისე... ტრაქ-
ტორზე რა უშავს, მაგრამ ცოტა მაინც...
— გაცივდა უთო, ვერ მითხარი?!— არ გამახსენდა, გზაში სულ მავაზე
ვფიქრობდი და გადამიყვა გულს.
— ჩაიცვი, რომელიც გეცვა, ან რო-
დის აუთოვბდი სამუშაო შარვალს!

— იყოს აბა...
დღესმად სინათლე ჩააქრო.
ერთხანს მარტო კაბის შრეალო ქსელში
მოდა ბნელში.
— ბოვშს ხომ არ უჭინწყულია დღეს?
დღესმა არ მოელოდა ამ კითხვას და
მოკლედ უპასუხა:
— არა...

ერთხანს ხმა არც ერთს არ გაუღია.
მერე დღესმად გვერდი იცვალა.

— ჰო, ახლა გამახსენდა, ძროხას
წყლისამ არ გაუარა? ისევე არ გაწვე-
ლიებს?

— ამ დილას ჰქონდა და სადამომდე
გაუვლიდა?

— ვიცი და იმიტომ გკითხე, მაგი
უცადმა ძროხამ იცის და ჩვენსას რატომ
დაემართა!

— რა ვიცი.

— ექიმი უნდა მოვიყვანოთ ისევე, ან
ამბობენ, შინაური წამალი ჯობიაო.
ედუის ცოდნია, ხომ იცი ელექტი,
მონანგარიშის ბებია, ტყის ზღარბს დაწ-
ვავს თურმე და ჯიქანს შეუბოლავს.

დღესმად არაფერი არ უპასუხა.

— რამდენი წლის იქნება ჩვენი
ძროხა?

— რა ვიცი ახლა ძროხა რამდენი
წლის იქნება!

— ასე, ათი-თორმეტის?...

— იქნება...

— ჰო, ბებერია უნდა გამოგვეცვალა...
ის კაცი ახლა რკინიგზაზე იქნება გო-
სული...

თავი მესამე

რკინიგზის შპალები ნაბიჯისათვის
მოკლე აღარ იყო.

დიდი გზა გაიარა, ამოდენა გზა ერთ-
კაცისათვის ბევრია.

— ბევრია, — თქვა საჩინომ. მაგრამ
თავისი ხმა აღარ გაუგონია

ფეხებს დასვენება ჰქირდებოდა. ფეხებს-
ხელებს, ყურებს. ყურები დაიღალა
ყურებში იმდენი რამ მოისმინეს, ახლა
აღარ ესმით...

ოტია იოსელიანი
ჯარისკაცი დაბრუნდა

დაეღალა ყურები.

ყურებს შეუძლიათ მოისმინონ ტასოს კვილი, როცა ეკალმა კალოში გაატანა და ტერფში გაიარა. ყურებს შეუძლიათ მოისმინონ დედის სიკვდილი, როცა მამა რა ხანია აღარა გყავს. ყურები ისმენენ ომის დაწყებას, ყურები უსმენენ სიკვდილს და კაცზე დაგეშულ გერმანულ ქოფაკს. ყურები თვალბევიით არა სტირიან და უსმენენ ომის დამთავრებას და ბრალდების განაჩენს. მაგრამ არც ყურებს შეუძლიათ მოისმინონ ყველაფერი — რომ არა გაქვს სახლი, არა გყავს ცოლი და არ შეგიძლია დაღლილი მუხლები დაუარო ლოგინზე.

ყურებსაც არ შეუძლიათ ყველაფრის მოსმენა.

დაეღალა ყურები.

როცა რკინიგზის ლიანდაგს მიჰყვები, გზა არაა საძებარი. გზა ერთია. რკინიგზით შეიძლება წახვიდე შორს და შეიძლება არ წახვიდე. რკინიგზით შეიძლება მიხვიდე ყველგან. რკინიგზით შეუძლია ნახოს ყველაფერი იმან, ვისაც არ უნახავს. ვინც იმაზე მეტი ნახა, რამდენიც უნდოდან შეუძლია დასაყენოს ყურები და მუხლები.

რკინიგზაზე ორი ლიანდაგია და თუ ისე დაიღალე, რომ აღარ შეგიძლია ლიანდაგს გადააბიჯო, და თუ ყურებს აღარ ესმით მატარებლის თვლების გრილი, სხვა გზა აღარაა საძებარი.

რკინიგზაზე შეგიძლია იარო და შეგიძლია დაისვენო.

დასვენება ჭირდება ძვლებს, ძვლებმა უნდა დაისვენონ, თუ ლოგინი არა აქვთ.

როცა ამდენს ივლი, ივლი, და როცა მეტი აღარ შეგიძლია და მაინც ივლი, უნდა დაისვენო.

ადამიანები ივლიან. ივლიან და ისვენებენ. ზოგი დაღალმდეც ისვენებს. შენ თუ გინდა დასვენება, უნდა დაისვენო.

რკინიგზაზე ორი ლიანდაგია — მარჯვნივ და მარცხნივ. გზა არ აგერევა ლიანდაგზე. თუ სიარული არ შეგიძლია და დასვენება გინდა ლიანდაგზე დაისვენებ, და თუ ყურებს აღარ ესმით ვაგონების თვლების გრილი, მით უმეტეს უფრო მშვიდად დაისვენებ.

ადამიანები, როცა უზომოდ იღლებიან, ისვენებენ. თუ ჩამოსაჯდომი არა გაქვს, ლიანდაგზე დაისვენებ. მაშინვე მამამისის გაჯორჯნილ საფეხებს ვერ უსმენ, რომელი კაცი ვერ ჩამოისვენებს. სულ ერთი ციდა განი აქვს ჯორჯოს. და სამად სამი ფეხი. ერთ ციდა სამფეხა ჯორჯოზე ორი კაცი ვერ დაეტევა. ჯორჯოს საზურგეც არა აქვს, რომ მიეყრდნო. ჯორჯოზე თუ ზიხარ ფეხს ფეხზე ვერ გადაიდებ. რომ წონასწორობა არ დაქარგო. ესაა რომ მუხლს მოღუნავ, ან ფეხს განზე გაჭიმავ და მყარად თუთუნს გააბოლებ. ჯორჯოზე ერთი კაციც ვერ ისვენებს. ესაა, რომ იქნებ ჩატებით არ ჩაგიტყდეს და არ გიღალატოს, რადგან მუხისაა და კრილი ვერ გაეკარება, თუ არა სხვაგვარიც ქვასავეთ შიმე და მაგარია.

ლიანდაგიც ცივია. მაგრამ ესეც მაგარია. ლიანდაგი გრძელია ისე გრძელი, რომ შეგიძლია ზედ გაწვე და რამდენზეც გინდა იმდენზე გაჭიმო ხელ-ფეხი.

ლიანდაგი ისე გრძელია, მთელ ქვეყანას წვდება.

თუ დედა გეძახის. ეს იმას არ ნიშნავს, რომ შენ არ გესმის...

თუ დედა გეძახის. შენ გესმის...

ჯორჯოზე ყველა დაღლილს შეუძლია ჩამოჯდეს, რომ მუხლი მოღუნოს.

დაღლილ კაცს მხრებზე სიმძიმე აწევს და წელში ხრის. დაღლილ კაცს თავი ცივი ტყვიით აქვს საესე და ვერ ხედავს ვარსკვლავებს. ვერც მთვარეს. მთვარე მისთვის არ ანათებს. როცა ლიანდაგზე მიდიხარ. გზა არაა საძებარი.

სინათლე, თუ გზას ეძებ, საჭიროა. თუ ადამიანზე დაგეშული ქოფაკი მოგდევს, ლიანდაგით ვერ ივლი.

თუ დედა გეძახის — გაიგონებ. დედის ძახილი ძალიან, ძალიან შორიდანაც ისმის; სულ რომ არაფერი გესმოდეს, დედის ძახილს მაინც გაიგონებ. სულ ერთია რასაც გეძახის დედა.

ლიანდაგის ზედაპირი პრილიებს ორ გრძელ ვიწრო ხაზად და გზა არ შეგუშლება და შეგიძლია იარო. ვინც ძალიან

დაიღალა და საწოლი არა აქვს, შეუძლია
ლიანდაგზე დაისვენოს.

ადამიანები, რაც თავი ახსოვთ. დადი-
ან, მაგრამ გზადაგზა ისვენებენ სამფეხა
ჯორჯოებზე და ისე მალე არ იღლებიან.

შპალებს შორის ზღვის ხრეშს ყრიან
ჩკინიგზელები. ფეხქვეშ ხრეშში არ ხრა-
შენობს დედა კი გეძახის. ბევრს რომ
იელი და დაიღლები, დედას მოენატ-
რები.

დარაჯმა გაფანჩულ ჟღალ წარბებზე
მოისყა ხელის ზურგი, მერე ხელისავე
ზურგით შუბლი მოისრისა. დარაჯს
შუბლზე ნაოქები მარტო წარბების გას-
წერივ არ ჰქონდა. წარბების შესაყარ-
თან ეწყებოდა და მალა მიდიოდა
შუბლი უჯრედებდა ჰქონდა დაუფი-
ლი. თავზე ყურებიანი ბეწვგაყლილი
ქული დაიღო და ფიკრული საწოლიდან
წინდანი ფეხები ჩამოკარა. დარაჯი
დროს კედელზე მიკიდებული ქანქარა
საათის ისრებით არ ზომავდა. ძეწკვზე
ჩამოკონწიალებული გირავით იყოდა,
რა დრო იყო და რამდენი უკლდა მატა-
რებლის ჩამოვლას.

დარაჯი ფეხით ჩექმას ეძებს და მერე
უყურებს გირავს. ის არასდროს არ და-
უწინაურებიათ. მთელი ცხოვრება ერთ
თანამდებობაზე მუშაობს და იცის, რო-
დის გამოივლის მატარებელი. დროის
შესამოწმებლად კი არ უყურებს ის-
რებს, არც გირავს. გირავს უყუ-
რებს იმიტომ, რომ უნდა შეხე-
ლოს, — აბა რას უნდა შეხედო. ეს მუ-
შები აქ ახლა არიან. სანამ გზის რემონ-
ტი, თორემ... დამთავრდება რემონტი
და დარჩება კედელზე მიღუსმული
ქანქარა საათი. სხვა სულიერო მით
უმეტეს როცა შუადამისას მატარებელ-
მა უნდა გამოიაროს, ამ დროს არავინაა.

დარაჯმა მარტოობის დროს ბევრი
იფიქრა, იფიქრა და გადაეჩვია ფიქრს.
თუ მაინც და მაინც არ მოეშვებოდა
აბეზარი შემოდგომის ბუზივით, ხელს
იქნევდა დაწვებოდა გულამა, უსმენ-
და საათს.

წიგნებს არ კითხულობს დარაჯი,
მაგრამ საათის ენა კარგად იცის. საათს

შეუძლია ყველაფერზე ლაპარაკი... ძალ-
ლებს შეუძლიათ მუხი ერთგულდება
და ყმული. ძალები ყმულით, გრძელ-
ბენ უბედურებას, მაგრამ ამბავს
ყვებიან.

დარაჯი გულამა წეება, თუ ფიქრებ-
მა მაინც და მაინც მისთვის მოიცალეს,
და უსმენს საათს.

საათის ენა ყველამ არ იცის. მატარე-
ბელი როდის გამოივლის, ეს დარაჯმა
უსაათოდაც იცის, საათი დროისთვის არ
ჰირდება. საათმა იცის მისი ვაიშვილის
ამბავი და ყვება. რომ ჰკითხო, ახლაც
მოყვება, მაგრამ ამ დროს იგი მატარებ-
ლის ამბავს ყვება, წითელი ფარნის
ამბავს, თან ლიანდაგზე ვაგონის თვლე-
ბის დარტყმას ანგარიშობს.

მარჯვენა ფეხის წინდა ცერთან გახე-
ულიყო. წინ დაქაჩა, გადაეცა და თით-
ვით დაიჭირა, მაგრამ სანამ ფეხი ჩექმის
ძირამდე ჩავიდოდა, გაეჭყა თითებიდან.
საათი მატარებლის ამბავს ყვებოდა და
ხელახლა გაძრობისა და ჩაცმის დრო
ალარ იყო. ფარანი სქელი ფიკრის მაგი-
დაზე იდგა. საათი მოჰყვა მის ამბავსაც.

უმიზო ფანჯრის ჩარჩოში თავგაყო-
ფილ თუნუქის ღუმელში ორი ნაპერი
მსხვილი შეშა შეაგდო და ფარანი
აიღო. ძველი კედლის გასწვრივ გაჭი-
მულ საწოლზე მძინარე გაფხვილ, შავ
მაზარებში თავშემალულ მუშებს ფარა-
ნი მიანათა და კარი გამოაღო. ფრთხი-
ლად არ გამოუღია — ჩკინიგზის მუ-
შებს კარის ჰრიალზე არ ეღვიძებოთ,
არც მატარებლის წივილ-კვილი უფრთ-
ხობთ ძილს, არც ძაღლის ყეფა.

გარეთ ქარი უბერავდა და ცივი
ნახევარი მთვარე ეკიდა აღმოსავლეთით.

შავი, თავგასიებული ნაგაზი გამოძერა
მეორე ოთახიდან და დარაჯის ფეხებთან
გაიზმორა, ბეწვი შეიბერტყა. შიშველი
ხეების ძირში ქარი ამრიალებდა ჩამო-
ნაყარ ფოთლებს. ძაღლი წინ გაიქცა და
ლიანდაგზე გავიდა. აქ გზა ეშოვა ქარს
და უფრო ცივი იყო.

ოტია იოსელიანი
ჯარისკაცი დაბრუნდა

ძალმა შიორბინ-შიორბინა, მერე ფარ-
ნის წინ გაუყვა გზას.

ძალეებს შეუძლიათ ერთგულება,
მაგრამ ამბებს ვერ ყვებიან ძალეუბი-
ვერ ყვებიან იმასაც რაც თავისი თვა-
ლით ნახეს.

შარავნის გადაკვეთამდე ამ მიმე ნა-
ბიჯითაც ჩაასწრებდა დარაჯი, დამით
სადარაჯოს არ უნდა შემოვლა სოფლე-
ბმ შორსაა ერთი კვირითაც რომ და-
კარგოს პირუტყვი, ამ უსიერ ტყეში
ასე ღრმად არ წამოვა. ახლა მანქანაც
იშვიათად გაივლის შარავზე.

ძალი წინ გაიქცა მაგრამ შეჩერდა
და პატრონს დაელოდა. როცა დარაჯი
დაეწია ცხვირი წინ გაიწვდინა და ისევ
გაიქცა. დარაჯი მიხვდა, ქარს შორიდან
იაღაცეს სუნი მოჰქონდა. იქნებ რა-ღე
ნადირის სუნიც იყო. ყურადღება არ
მიუქცევია მაგრამ როცა ძალი ძალიან
დამორდა ხმა მიაწვდინა:

— ბახულა!

ძალი შეჩერდა, მაგრამ უკან არ
მობრუნებულა პატრონის ძახილზე. და-
რაჯმა ისე ზედმიწევნით არ იცოდა
თავისი ძალის ბუნება რომ ეს გაკვირ-
ვებოდა.

— ბახულა! — თქვა უკვე თავისთვის
დარაჯმა. ეს ხმა გაბზარული ქვევრიდან
ამომხებულს უფრო ჰგავდა ვიდრე
რამე საალერსო ხმას, მაგრამ ძალმა
იცოდა პატრონი და ამ მოფრებებზე
კულის ჭიკინით ახედავდა. ახლა კულ
კი შეაქნია მოკლედ მაგრამ მისკენ არ
მოუხედავს.

ბახულა არ ჰყავდა გაწვრთნილი და-
რაჯს. მაგრამ ძალი გაუწვრთნელადაც
ძალისა. ძალეებმა იციან, რომ უნდა
იყონ პატრონის ერთგული, მეტის არა-
ვის — არც ძალის. არც ღმერთის.

ძალი გაიქცა და თვალს მიეღარა.

„შარავზე აღბათ მანქანა დგას. — გა-
ფიქრა დარაჯმა. — თუ მანქანას რაიზე
არ გაუფიქრდა აქ არ დადგებიან. ეს
იშვიათია და ძალი არაა მიჩვეული“.

ძალი მობრუნდა, მერე ისევ წინ
წაივდა და გზის გადაკვეთას გასცილდა.

— ბახულა! — დაუძახა დარაჯმა.

ძალმა მოკლედ შეჰყვებოდა მაგრამ არ

მობრუნებულა. დარაჯმა ზედმიწევნით
არ იცოდა თავისი ძალის ბუნება და
დაუღრინა:

— ეშმაკს ნუ დასდევ შე უჯილავო
დარაჯი შარავნის გადაკვეთამდე მი-
ვიდა და ჯიხურთან შეჩერდა. მან იყო-
და, რომ ძალი მიჩვეული იყო ტურებს
და მათ წივილ-კივილზე ყურსაც არ
იბერტყავდა; მგლები რკინიგზის პირს
არ ეკარებოდნენ მაგრამ თუ ზოგჯერ
თოვლში იშვიათად გამოჩნდებოდნენ
ძალმა იცოდა თავისი მუხლის ძალა
და ფარნის სინათლეს არ გასცილდე-
ბოდა

— ეპი! — დაიყვირა დარაჯმა.

პასუხად ძალი გაეხმიანა შორიდან.
დარაჯმა ნაბიჯი გადადგა წინ.

ძალმა შორიდანვე იგრძნო, რომ პატ-
რონი გზის გადაკვეთას გაცდა და ისევ
გაეხმიანა.

— ჰეუ, შენი ჯიში გაწყდა..

ძალი მობრუნდა, მაგრამ პატრონა-
მდე არ მოსულა მოაყვება და წინ წაი-
ვდა. ახლა შორიდან შეყვებოდა, მაგრამ
როცა შეჩერდა აღარ დაუყვებოდა.

ლიანდაგზე ვიღაც მოდიოდა.

ამ დროს მგზავრი არ ასოსეს ამ გზა-
ზე დარაჯს. უთუოდ ძალსაც ეს
უყვრიდა. მაგრამ ახლოს მისული ძალი
არ უყვებოდა მომავალს, არც საკებნად
იწვედა.

— ვინ ოხერი ხარ?! — იქუხა დარაჯმა.

პასუხი არავინ გასცა. ძალი გამო-
ბრუნდა, მოვიდა პატრონთან და წინ
აღარ წასულა.

— ენა ჩავარდნია — თავისთვის თქვა
დარაჯმა, მერე მოახლოებულს დააკვირ-
და და დაუმატა: — გაბეჭვილა უღმერ-
თოდ!

სად უნდა დაეღია. სოფელში რომ
ესვა, აქამდე ასე მთვრალი ვერ მოაღ-
წევდა; რომ მოედწია გზაში გამოუნელ-
დებოდა. ჯიბეში ეღო ბოთლი და გზა-
ში უმატებდა?! რა დარჩენია აქეთ, უახ-
ლოეს გაჩერებამდე ხვალ შეუადრემდე
ვერ მიადწევს. ან ამ გზაზე ფეხით ვინ
დადის!

ოციოდე ნაბიჯზე ძალი უცნობს

ისევ მიუახლოვდა და უკან გამობრუნდა. მას ძალი არ დაუნახავს.

დაყრუვდა — დაყრუვდა, მაგრამ თვალის ჩინი რამ წაართვა! ძალი ალღოთი გრძნობდა ამას და ახლოს მისულს არ ერჩოდა.

— ჰეუ, რომელი ხარ? — ჰკითხა დარაჯმა და შეწერდა, ფარანი ასწია ოდნავ მაღლა. — არ გეუფრება?

მომავალს არ ესმოდა. დარაჯმა უფრო მაღლა ასწია ფარანი და დაუცადა მას ასე მაღლა აწეული ხელით. მგზავრს არც სინათლე დაუნახავს. დარაჯმა ვერაფერზე ვერ შეატყო. რომ დინახა.

— ვინ ხარ, რა სულიერი ხარ! — ძალმა გზა მისცა მგზავრს.

დარაჯი მიხვდა რომ სხვა შემთხვევაში არ მისცემდა მგზავრს გზას. მგზავრმა ჩაიარა. დარაჯმა ფარანი დაუშვა და თავისთვის განმარტა:

— შარაზე გადაუხვევს და გადაშავდება აქედან, — მაგრამ ეს დარაჯს უნდოდა, რომ ასე მოქცეულიყო მგზავრი.

ერთხანს ადგილზე შეწერდა, მერე ვიღაცას გაუწყრა თითქოს:

— აბა, სად მამაჩემის მამასთან წავა...

მგზავრი მიდიოდა მაგრამ მგზავრები, რომელთაც წინ გზა უღვეთ, ასე არ მიდიან. ეს ძალმა იცოდა და პატრონს უკან მისდევდა. მგზავრმა არ იცოდა, ფარანიანი კაცი და ძალი უკან რომ მოჰყვებოდნენ. მგზავრმა არც ის იცოდა, სად მიდიოდა. მგზავრებმა კი საერთოდ იციან, სად მიდიან.

— შარაზე გადაუხვევს, — ძალს უთხრა დარაჯმა მაგრამ ძალმა მაინც არ დაუყვება მგზავრს. არც წინ წამოვიდა.

— აბა სად ჯოჯოხეთამდე ივლის!..

მგზავრი გზაჯვარედინს უახლოვდებოდა.

— გადაუხვევს, — ისევ თქვა პატრონმა. მაგრამ ძალმა ისევ არ გაიღო ხმა. პატრონმა ძალს მოხედა. ძალმა თავი აიღო. მაგრამ წინ არ წამოსულა.

— დაბერდა, — თქვა დარაჯმა.

მგზავრი გზაჯვარედინზე გავიდა.

— გადაუხვევს. შენი ჯილაგი გაწყდა! — თქვა ხმამაღლა დარაჯმა. მაგრამ მგზავრს არ შეუნიშნავს შარაჯის ხმა.

— ვინ ოხერი ხარ? — თქვა ისევ დარაჯმა, ფარანი მარცხენა ხელში გადაიჭანა და წინ გაიშვარა.

ძალი გვერდზე გადაა დარაჯის ხელს მიაჩერდა. დარაჯი ბამბიანი ჯუბის საყვლოში სწედა. მოსწია.

— გახეთქილხარ და არ იცი...

დარაჯმა იცოდა, მგზავრი ნასვამი არ იყო. შორს მატარებლის ყრუ გუგუნი მოისმოდა.

თავი მეოთხე

იქვე, სადაც მისი საწოლი იყო მიდგმული, ქილუქს ხერხავდა ვიღაც. ამბერკიმ ხმა არ გასცა, რადგან არ იცოდა ვინ ხერხავდა სახლის ქილუქს. „ხერხოს რა მოსწყინდება და დაანებებს თავს“, — ფიქრობდა იგი.

ვიღაცას გამბული სისო ხერხი ეჭირა და ხერხავდა და ხერხავდა მაინცაღამაინც ქილუქს.

ამბერკიმ მაინც არაფერი არ უთხრა.

— დესმა! — დამახა მან.

დესმამ მოიბრინა და სიცილი აუტყუდა. ამბერკის გული მოუვიდა:

— რა გაციენებს?

— ვიცანი.

— ვინ?

— ვიცანი! — გაიმეორა ისევ დესმამ და უბადან დიდი ბირდაბირი ამოიღო, აყვა ქილუქს. ავიდა ზევით, გადმოჯდა მაღლა და ბირდაბირის თავი მიაწოდა „ვიღაცას“. „ვიღაცას“ ვერ ხედავდა ამბერკი. დესმა კი იცინოდა და ხერხავდნენ და ხერხავდნენ ქილუქს.

— რას შერები- დესმა, ქილუქის ხერხვა სად გაგონილა! — იძახის ამბერკი და გარშემო ურბენს სახლს: — მეზობლებო, გამოდით. გამოდით. სახლის ქილუქს მიხერხვენ.

მეზობლებს არ ესმოთ. დგანან მეზობლები თავიანთი სახლის აივნებზე.

ოტია იოსელიანი
ჯარისკაცი დაბრუნდა

მეგრამ არაფერი არ ესმით. მერე ლობესთანაც მოვიდნენ, მაგრამ ხმას არ იღებენ.

— ვისია სახლი? — იკითხა ვილაძემ. ვინ იყო, ამბერკიმ ეს ვერ გაარჩია.

— ჩემია! — დაიყვირა ამბერკიმ.

— რაა შენი?

— ჩემია, ჩემი სახლია! ჩამოდით ძირს, აგერ ეს მორი დახერხეთ, მაინც დასახერხია.

— მორი შენ დახერხე.

— მარტო მე?

— მარტო შენ.

— ჩემი ხერხი მომეციო!

— ხერხი კი გაქვს შენ?

— არა, სადა მაქვს მე ხერხი!

მაგრამ ამბერკი ტყუის, აქვს ხერხი, როგორ არა აქვს!

იმ მორს თუნდა ფიცრებად დახერხავს.

— ჰა, წაილე!

ამბერკის არ უნდა გამოართვას.

— შენი ხერხია!

— შენია! — იძახის დესმა ხერხის სახელურს ხელს ავლებს და ხერხს ქვევით უშვებს.

— ჩემია! — ყვირის ამბერკი, მაგრამ უკვირს, როდის ჰქონდა ცერის ხერხი ამბერკის: — ჩემია! — იმეორებს ამბერკი, გამოიქცა, ხერხის ქვედა სახელურს ორივე ხელით ეცა, მაგრამ არ დაანებებს და ამბერკიმ იყვირა:

— მომეციო!

— გასწიე! — ჩამოსძახეს ზევიდან. ამბერკიმ ჩამოსწია, მაგრამ როცა ხერხი ბოლომდე ჩამოვიდა ზევიდან ისევ ასწიეს.

— რას შევბით! — იყვირა ამბერკიმ.

— წაილე! — დაიძახეს ზევიდან.

ამბერკიმ მთელი ძალით ჩამოსწია ისევ, მაგრამ როგორც კი ბოლომდე დავიდა, ხერხი ისევ აიტაცეს მაღლა.

— ვაიმე! — დაიძახა ამბერკიმ და მაღლა აიხედა. სახლი გვერდზე გადმობრუნებულიყო, ზევით იდგნენ „ის“ და დესმა, ხერხს მაღლა ეზიდებოდნენ ქვევით იდგა ამბერკი და ახლა სამივე ხერხავდა ჭილუქს.

ამბერკიმ თვალი გაახილა. დანჯარაში გარეგნაეის მკრთალი სურათი მოდიოდა.

— სიზმარი ყოფილა! — ჩაილაპარაკა და ცოტა გულს მოეშვა, მაგრამ ჭილუქის კუთხეს მაინც შიშით ახედა.

— სიზმარი იყო, — თქვა უკვე ისეთი ხმით რომ თვითონ გაეგონა, ცოლს ეძინა.

— რა აცინებდა! — თითქოს გული მოუვიდა ცოლზე: — რა იყო სასაცილო!

თავი წამოსწია და დანჯარაში გაიხედა. აღმოსავლეთით ცისკრის ვარსკვლავი მოძებნა და გულს მოეშვა, მერე მორი გაარჩია კიშკართან.

ის ხე კიშკართან არ უნდა დაეგდო, ან მერე გადაეგორებინა. ერთი კაცისთვის ძნელია, მაგრამ ვინმესთვის დაეძახა. დაეძახა ილიკოსთვის, მაგას დაამადლიდა?! ილიკოს საკარმიდამო ნაკვეთი მოუხნა წელს ამბერკიმ. კაი კაცია ილიკო, აღრე არაფერში არ ეტყობოდა, მაგრამ ამბერკის მაინც ეგონა, რომ კარგი თვალთ არ უყურებდა. მერე ყანა ტრაქტორით მოუხნა. ილიკოს არც უთქვამს, ამბერკიმ მოუხნა თვითონ. მერე, საღამოს, წაიქეფეს და ილიკომ ღვინოში თქვა:

— რა გქნა, ერთად გაზრდილები ვიყავით... მიყვარდა, ძმას მერჩია.

მერე ხელი ჩაიქნია: — რას იზამ, არც შენი ბრალია არც ჩემი, არც...

ამბერკი მიხედა, „დესმას“ თქმა უნდოდა, მაგრამ არ თქვა.

ამბერკის ეს უფრო მოეწონა, თუმცა რაღაც ეწყინა კიდევ, მაგრამ რომ არ გახსენებოდა, არ ივარგებდა, ილიკოს მხრივ არ ივარგებდა...

მერე ილიკომ მაგრად ჩამოართვა ხელი და დაემშვიდობა. ხელის ჩამოართმევა რაღაც შერიგება თუ ყაბული იყო.

ილიკო არ დაამადლიდა მოხმარებას. ქათმები გადმოფრინდნენ ხეებიდან. ამბერკიმ ცოლის საწოლს გადახედა. დესმას მშვიდად ეძინა.

ამბერკის უცებ მოუნდა გაეღვიძებინა

ცოლი, ეთქვა: რა დროს ასეთი სიმშვიდეაო, მაგრამ თვითონვე გააკვირვა ამ აზრმა — რატომ არ უნდა ყოფილიყო მშვიდად ღესმა.

სიზმრის ბრალია, ის ხე რომ არ გდებულიყო ჭიშკართან, არ დაესიზმრებოდა, ან ის კიბის მესამე საფეხური რომ ჩაქვედა. აგერ რამდენი ხანია უსიამოდ ჭრიალებს, ნაწეიმარზე ერთხანს წყლით იელინთება და არა უშავს, მაგრამ მერე შრება და ისევ...

კაცს შემურდებოდა ღესმის მშვიდი ძილი.

«გავაღვიძებ», — გაიფიქრა ამბერკიმ, მაგრამ მერე რომ ეკითხა, რა გინდოდაო, რა ეთქვა: ასე მშვიდად რა გაიძინებსო?

ამბერკი ფრთხილად, ქურდულად ადგა საწოლიდან და კარიც ისე გამოაღო, თითქოს შიგ მყოფთ კი არა, გარეთ ქვეყანას ებარებოდა. აივნიდან ეზოში მიიხედ-მოიხედა, თითქოს იქ ვიღაც ეგულებოდა.

ცუდი სიზმარი ასევე გაუვლის. კიბის მეოთხე საფეხურიდან პირდაპირ მეორეზე ჩააბიჯა და ეზოში გაიბარა.

ქარი აღარ უბერავდა, მაგრამ ეზოში მაინც ციოდა და ამბერკი გამოცოცხლდა. ჭიშკრისავე გაიბარა, მერე სახლს შემოუარა. ხიდან ჩამოფრენილი ქათამი ლაფაროში სილას ქექავდა და ამბერკიმ კინლამ ფეხი მოარტყა. ქათამი უეცრად ატყარცალდა და სახლის ქვეშ შევარდა. შიგნიდან მამალი გამოექომაგა.

ამბერკის გაახსენდა სამი-ოთხი დღის წინ — თუ ერთი კვირაც იქნება — რა თავდასისხლიანებული იყო მამალი, ბიბილო გახეოდა და ხერხის ერთი ქიმი მთლად წაეგლიჯა მეზობლის მამალს. ამბერკის მაშინ გაეცინა, ისე ამაყად დადიოდა დედლებში ბიბილოდაშავებული მამალი.

— ამბერკი! — მოესმა ჭიშკრიდან და ამბერკი უცებ სამხედრო წესით ქუსლზე შემოტრიალდა, ხელები მალა ისროლა და მოიხედა. თანაშემწე ეძახდა. ჭიშკრისაკენ წავიდა. ალაგესთან მო-

შორებით იდგა გამხდარი, ძარღვიანი ბიჭი.

— გივი ხარ? გამაჯობა! ბიჭი არ მოელოდა ასეთ შეხვედრას და თვალები აუციმციმდა.

— გავიმარჯოს! — მერე იქვე დაუმატა: — არ დავიძახებდი, მაგრამ დაგინახე...

— ჰო, აღრე ავდექი, — თავის გამართლებასავით თქვა ამბერკიმ და იქვე დაგორებულ მორს დახედა. «ჰო, ეს ხე უნდა მიეგარო», — გაიფიქრა თავისთვის. მართლა, გივის მოიხმარს. გივი ხმელი ბიჭია, მაგრამ ჯანიანი.

— ემტევესში მივდივარ, — მოესმა ამ დროს გზიდან. — გუშინ...

— წადი, წადი, — გააწყვეტინა და მობრუნდა, გუშინდელი ამბავი არ უნდოდა ტრაქტორისტს.

თანაშემწე ამანაც გააკვირვა: ამბერკიმ არ გამოიკითხა, სად ეგდო გუშინ წითელი ტურა.

ღესმა ამდგარიყო და ქათმებს უხმობდა ნამძინარევი ხმით. ამ ხმაში თითქოს რაღაც სამდურავი მოესმა ქმარს. ცოლისთვის არაფერი უთქვამს, ისე ჩაუარა.

ღესმამ კაბის კალთა ჩაიფერთხა და სამზადში შევიდა. ალბათ, ქოთნის გასარეცხად.

ამბერკის რაღაც ჰქონდა გასაყეთებული.

ფეხის ხმა მოისმა. ორღობეში ვიღაც მოინქაროდა. საკავებელში დატანებულ ხეებსა და სარებზე აყოლილ მავალს იქით ვერ შეიციო მგზავრი. სახლისაკენ წავიდა, იქიდან მოუარა და წინ გაიხედა.

ფუ, ვინ უნდა ყოფილიყო, ბრიგადირი მიიჩქაროდა კანტორისაკენ.

ჭიშკართან გადმოიხედა ბრიგადირმა, მაგრამ ამბერკი არ დაუნახავს.

რას დარბიან ეს ბრიგადირები ასე უთენია, ახლა მაინც არაა ენა სათოხარი და ჩაი საკრეფი, მარა მაჩვეული

ოტია იოსელიანი
ჯარისკაცი დაბრუნდა

არიან აღარ ადგომას და ვერ ისვენებენ. თუმცა საკმეს რა გამოლევს კოლექტივში, ჩაი არაა საკრეფი — საბარავე იქნება, ყანა არაა სათონი — სიმინდი იქნება საფშვენი, ტყე საპრელი და რაც გინდა...

ამბერკის რალაც ჰქონდა გასაკეთებელი.

ჰო, კიბე მოხვდა თვალში და იმან გაახსენა. ლურსმანი უნდა ჩააქედოს.

დესმა ძროხას წველიდა, როცა ამბერკიმ ჩაქუჩი და ორი ღერი ლურსმანი გამოიტანა.

იციოდა, მუხის ფიცარში ძნელად გადის ლურსმანი, გვერდიდან მიუღება ვიწრო, საცალღებო კიბეს, საფეხურს ირიბად დაუკავა ლურსმანი. ორიოდჯერ შემოკრა მსუბუქად, ამოაძრო, წვერი დაუსველა და მერე ძლიერად დახკრა. შუამდე არ მისულა, ფიცარში რომ წული გაედრიკა. გასწორება უნდოდა, მაგრამ წელშეშინებული ლურსმანი მუხის ამისიქე ფიცარში არ გავიდოდა. ხელით გადალუნა ძირზე და ტრიალი დაუწყო ამოსაძროხად. მერე ისევ დაასველა და ნალურსმანში გაუშვა.

— ამბერკი!

მოისპა ახლა ორლობიდან. ამბერკიმ ჯერ ჰიშკრისაყენ გაიხედა. „რავა ვერ მრეაგორე ის მორი“, — გაუელვა და ჩაქუჩი ხელიდან ისე გააგდო, თითქოს კოყას ამტვრევდა და ზედ წაასწრესო.

— ამბერკი, მეზობელო!

ლობეს მომდგარი ილიკო იმახდა ორლობიდან.

„მეზობელო!“ რაა ეს „მეზობელო“, ან რა უნდა ასე გათენებად ილიკოს, რა დასკირდა ამ დილაადრიან, ხარი არა ჰყავს მისი შებმული და ძროხა ზიარი, ფული ისე არ უჭირს ილიკოს, ძველი გლეხია. მუთაქაში შესანახი ვისა აქვს, მაგრამ ილიკოს არც სასესხებლად აქვს საკმე. თუ... არაა იქნებ კარგი კაცი...

რაა ეს „მეზობელო“, რა უნდა ამით რომ თქვას.

— ხელი შევიშალე! — თქვა ილიკომ, როცა ლობეს შიგნიდან მიაღდა ამბერკი.

„რა ხელი შემიშალა, რა ხელის შესა-

შლელადაა მოსული“, გაიფიქრა ისევ და ხმაშალდა თქვა:

— რას ვაკეთებდი... ერქონესული

— არ მკითხავ ახლა, რაზე მსუბუქად მსუბუქად

„რა უნდა თქვას ამისთანა, ამბერკის ტუვიის არ შეშინებია და... საერთოდ, თუ სიმართლე უნდა იცოდეს, ილიკო იქნება თუ სხვა ვიღაცა, ამბერკის არავისთვის არაფერი არ წაურთმევია“.

— რა და, ხომ გეუბნებოდი...

„რას ეუბნებოდა, ძმას მერჩიაო“, მერე...

— არ მიიღეს და მე, შენც იცი, ერთი გლეხი კაცი ვარ, სადა მაქვს, მარა, — ილიკომ ხმას აუწია, — რომ მქონდეს, კრთამის მიმცემი ვარ?

აჰა, ვეფიშვილზე ეუბნებოდა ილიკო, ინსტიტუტში რომ არ მიიღეს. უსაქმურს ვერ გაგანერებო.

— ვიცი, ვიცი, — გააწყვეტინა ამბერკიმ.

— ჰოდა, ის სატრაქტორო კურსებია თუ რალაცა, იქ ისწავლოს, უმაღლესში მერეც თუ შევა, ეს არ აწყენს.

— აგერ ახალიწლიდან გაიგზავნებთან.

— მერე და იმ თქვენს დირექტორს შენ ეტყვი თუ...

— შე ვეტყვი, რა დიდი ამბავია, მაგრამ მე მგონი კოლმეურნეობის წარდგენა ეყოფა.

— თავმჯდომარეს ქე ვუთხარი...

— ჰოდა, მეტი არ იქნება საჭირო. მარა გაგივებ...

— მაგისტრის დავიძახე, რალაცას რომ ქედავდი, ხმა მომესმა და იმაზე გამახსენდა! რავა ხარ ისე...

„რატომ კითხულობ?“ ამბერკის გაახსენდა, ბავშვი რომ არ შეუნიშნავს ამ დილით და არც მაშინ მოგონებია, კიბეს რომ ჰქედავდა; კიდევ კარგი, არ გააღვიძა.

ამბერკისაც ჰქონდა საკმე ილიკოსთან, იმ ხის მივორებაზე უნდოდა მოხმარებოდა, მაგრამ არ უთხრა: რალა ახლა მოაგონდა მისი მივორება, ზაფხულს აქეთ იქ აგდია და ეგდოს, სადაც აგდია, საქმელს არ თხოვს და სასქელს, გავლას არ უწლის და გამოვლას.



— რა ჰქენი, ის ხე არ დახერხე? — იყოთა ილიკომ.

— რა ხე? — შეცბა ამბერკი:— პო, ვერ დახერხე...

„რას კითხულობს დახერხე თუ დავა-ზე, რავე, მაგასაც თვალში ხედება? არა, უნდა ადგილზე კი ავლია, უნდა მიმეგორებინა იქით. წელან გივი რომ იყო, რატომ გაუეშვი!“

— დახერხე და დააბე, შეშად თუ გამოდგება, თუ არა წყალში ნადებია და ფიქრად რომ დახერხო კრდეც, რა სამასალე ხეა წიფელი.

— მასალად არ გამოდგება, — თქვა ამბერკიმაყ, მერე ისევ ილიკოს ამბავს დაუბრუნდა: — ემტეესში გავალ ამ დღეებში და გავიგებ იმ ამბავს.

— გამოგე, გამოგე, ტრაქტორისტობის ამბავი დაიჯერო, მაგათ არ ეკითხება?!

— გავიგებ, — თქვა ამბერკიმ და ბრაზი მოუყვიდა. „რა უნდა, ზომ ვუთხარი, წავიდეს ახლა, — დღეს არ მეც-ლება! სანამ მშრალაა, იმ ქალებში საწრეტი არხები უნდა გავჭრა“.

— გუშინ ნაშუადღევს ტრაქტორი გაფუჭებულა.

„საიდან იცის?“ — ამბერკიმ თვალბში ჩახედდა მეზობელს — თქვას, თუ რაიმეს თქმა უნდა.

— ბრიგადირი ამბობდა, თუ ამ დარებზე არ მოვასწარიოთ — ამას რა ბრიგადირი უნდა — თუ ერთი გაწვიმდა, მერე თოვლსაც მოაყოლებს.

— პო, სანამ ამინდია...

— დაგაგვიანე ახლა, მერე გნახავ, — თქვა ილიკომ და გაბრუნდა.



ქიშკრიდან რომ გადმოვიდა, სტვენა წამოიწყო ხელა, მაგრამ ღობის კუთხეში რომ მივიდა, მაინც გაახსენდა: „აქედან გაბრუნდა“, და თავს თუ ვიღაცას ჰკითხა:

— სად გაბრუნდა, თუ ისევ... — მაგრამ აღარ დაასრულა აზრი და უკან შემოტრიალდა, იმ გზით აღარ უნდოდა წასვლა, საიდანაც წუხელ მოვიდნენ.

რატომ უნდა წავიდეს სხვა გზით, როცა ყველაზე მოკლე გზა ესაა.

მეზობლის ეზოში გადაიხედა მალე-ლად და გზას გააყუცა.

სოფელში ეცადა ზომიერი ნაჭიერე, ევლო, მაგრამ როცა სოფელს გავიდა, ფეხს აუჩქარა. დაღმართი რომ ჩაათავა, შორიდანვე შენიშნა ტრაქტორი. ის წითელი ტურა ახლა მაინც თუ მოვიდა დროზე?! თუმცა დილით ყოველთვის აქაა; ნაშუადღევსაა, ხელს რომ ვერ მოიკიდებ.

გვიანი შემოდგომის მზე ამოვიდა, მაგრამ მის უნიათო სხივებს სითბო არ ჰქონდა.

იქით გაიხედა, საიდანაც თანამემწე უნდა გამოჩენილიყო.

ბაქანი გაარჩია. შორს, რკინიგზის სწორ ხაზზე, კოლოფივით ჩანდა. იქ ჩამოვიდა ის კაცი გუშინ საღამოს, მატარებელზე.

გუშინ უნდოდა დაღამებამდე წასულიყო შინ, რაღაც ეშმაკად ტრაქტორი გაუფუჭდა — ეშმაკად თუ იღბლად, — ჯერ ეგონა გააკეთებდა და თანამემწე არ გაუშვია ემტეესში. მერე საშველი რომ არ დაადგა. გაუშვა. გაუშვა იმიტომ, რომ რაღაც ხომ უნდა ელონა, თორემ კარგად იცოდა, იქ აღარავინ დახედებოდა. მერე მაინც უნდა წასულიყო შინ, მაგრამ რაღაც ვერ მოეშვა საქმეს. ორივე თვალთ ხედავდა, არაფერი არ გამოდიოდა; როგორც მკედარს ვერ გააკოცხლებ, ისე არაფერი არ გამოვიდოდა, თუ ახალი ნაწილი არ ექნებოდა, მაგრამ ვერ იქნა და ვერ მოეშვა, თითქოს რაღაცას ელოდა. შინისკენ გული არ უწყევდა. უნდოდა წასვლა და არ მიდიოდა, მაგრამ ეს გუშინ არ შეუნიშნავს, — ახლა ხედავდა, რომ გუშინ ასე იყო.

რომ წასულიყო!..

აწი კი უნდა გამოჩენილიყო თანამემწე. ლიანდავის სწორ ხაზზე კოლოფივით ჩანდა ბაქანი. არა, ადრე რომ წასულიყო, ის შინ მოვიდოდა. კარგი და მართლაც მოსულიყო!

— მადლობა ღმერთს! — შესძახა

ოტია იოსელიანი
ჯარისკაცი დაბრუნდა

ხმამალა ამბერკიმ, და რატომღაც ტრაქტორის მუხლუხაზე ავიდა, ვითომ უკეთ რომ დაენახა, თუმცა რაღა დანახვა უნდოდა, თანაშემწე მოდიოდა.

— უნახავს, — თქვა ისევ თავისთვის, — რომ არ ენახა, ძეზნას დაუწყებდა, დაელოდებოდა. რას იზამ, უნახავს ის წითელი ტურა!

ამბერკიმ შეარქვა ეს სახელი ემტვერის საწყობის გამგეს, წითურ სილიბისტროს: სათადარიგო ნაწილებს ისე უპერს ხელს, გეგონება მამამისმა ანდერძით დაუტოვა და შთამომავლობას უნახავსო. იცის ამბერკიმ, რა მუცლის გერემაც ჭირს სილიბისტროს, მაგრამ ამბერკის ვერ უბედავს, გამოუგზავნიდა უსათუოდ.

კაბინის კარი გააღო და რკინის ყუთიდან ხელსაწყოები ამოყარა.

თანაშემწე ისევ შორს იყო. მანქანას აღარ შეხედა და ტრაქტორის უკან ორფრთიან, უშველებელ გუთანს გადახედა.

გუთანს ნახევარი კაცის სიმაღლეზე გაერღვია მიწა, აქეთ-იქით გადაეყარა, უკან მოეტოვებინა და სწორ, ღრმა არხს გრძელი კლდი გამოება. ამას ხედავდა ამბერკი, მიჩვეული ჰქონდა თვალი, მაგრამ მაინც ხედავდა. პირველად აკეთებდნენ წელს კოლმეურნეობაში წყალსაწრეტებს. ჰალა-ადგილებს არ უყვარს ზედმეტი სინესტე და ერთი კვირაც რომ ზედიზედ წვიმიანი ამინდი წადგეს, სომინდს აყვითლებს. რაღა შორს წავიდეს, წელს, იენისში...

არა, არა. ამაზე არ ფიქრობდა ამბერკი. ეს ყველაფერი რა ხანია იცოდა, ზედმეტი წვიმა ან გვალვა რომ მავნებელია, ამაზე შეიძლება სხვას ელაპარაკო, მაგრამ საკუთარ თავს... ისიც ამბერკიმ!

გუშინ დილით არ უფიქრია ამაზე, არც გუშინწინ...

„ის კაცი გუშინ რომ პირდაპირ ჩა-

სულიყო სოფელში და აქ არ გამოგვლო, კარგ ამბავს არ მიიტანდა...“
ლაკამ უთხრა ამბერკის.
ვინ იყო?

არაინ. არაის არ უთქვამს, ეს თვითონ ამბერკიმ გაიფიქრა. სულერთია, ამას ემაღებოდა ამბერკი მთელი ღამე, მაგრამ ეს უნდა ეთქვა, ამაზე უნდა ეფიქრა; უფრო სწორად — ის იყო საფიქრალი, რომ დაღუპვის ამბავი არ იყო ისე საშიში. როგორ მოქცეულიყო ამბერკი ასეთ შემთხვევაში: ჭირისუფალი ყოფილიყო ასე თუ ისე მაინც მეტოქის, თუ სამძიმარი ეთქვა ცოლისთვის? და რა ეთქვა, ვინ დაგელუპაო...

— ქმარი! — კიდევ თქვა ვილაკამ.

არაისაც არ უთქვამს.

სწორედ რომ „ქმარი“, და სამძიმარი ეთქვა ცოლისთვის, რომ ქმარი მოუყვდა?

მაშინ თვითონ ამბერკი ვინაა?

ამბერკი ჩაფიქრდა. ახლა არ უნდოდა ამ ფიქრს გაქცეოდა და იქით გაიხედა, საიდანაც გუშინ საღამოს „ის“ კაცი მოვიდა.

— ასეთი ხალხი შინ ბრუნდება. მერე, კარგა ხნის მერე აგონდებათ, რომ მეგობარი დაეღუპათ...

არაის არ უთქვამს, ეს ამბერკიმ თქვა.

გზადაც რომ იყოს დაღუპული მეგობრის ოჯახი, ასეთ ღროს არ გაუვლიან. არ გაუვლიან იმიტომ კი არა, რომ დაეზარებათ ან დააგვიანდებათ, უბრალოდ, არ ახსოვთ, ეს მერე ახსენდებათ.

— ენახე! — თქვა ვილაკამ.

არა. ეს ამბერკის არ უთქვამს.

თანაშემწე გაკვირვებული უუარებდა ტრაქტორისტს.

— ენახე და ჯერ არაო, მერე...

— ვინ, ვინ ნახე... — მაგრამ ამბერკი მალე მიხვდა... შეიძლებოდა „ისიც“ ენახათ, მაგრამ თანაშემწე საწყობის წითურ გამგეზე ამბობდა...

გაგრძელება იქნება





ბუკამ გვიარსობი

არჩილ სუღაკაშვილის მოთხრობები

ამ ბოლო ხანებში ერთგვარად შეიმჩნევა პოეტების განსაკუთრებით კი ახალგაზრდა პოეტების დაინტერესება პროზით. ახალგაზრდებში ჩვენ იმ დამწყებ ავტორებს კი არ ვგულისხმობთ, რომელთა ნაწარმოებებშიც ჟანრობრივი მონაცვლეობა მხოლოდ თავისი მოწოდების მიგნების სურვილით შეიძლება აიხსნას, არამედ მათ, ვისი პოეტური მაღალნიჭიერებაცა და დიდი შესაძლებლობაც ყველასათვის თვალნათლივია. არჩილ სულაკაურის, თამაზ ჭილაძისა და სხვების დაინტერესება პროზით სრულებითაც არ ნიშნავს მათი პოეტური გზნების განულებას. თუმცა, უნდა ითქვას, არჩილ სულაკაური უკანასკნელი ორი-სამი წლის მანძილზე ინტენსიურად შეშაობს პროზაში და მისმა ზედიზედ გამოქვეყნებულმა ახალ-ახალმა მოთხრობებმა შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ მწერლის შემოქმედებითი ინტერესი აქეთ იხრება.

თანამედროვე ქართველი (და არა მარტო ქართველი) ახალგაზრდა პროზაიკოსების შემოქმედება დიდ ინტერესს იწვევს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ინტერესი უფრო მითქმა-მოთქმაში ვლინდება და არა ჩაკვირებულ, ღრმა, საფუძვლიან ლიტერატურულ ანალიზში. ბევრს ლაპარაკობენ უცხოური ლიტერატურით ახალგაზრდა მწერლების დაინტერესებაზე (რაც, ჩვენი აზრით, საფუძველს არაა მოკლებული და არც ცუდია), ეროვნული ლიტერატურის ტრადიციები-

სადმი გულცივობაზე და მათ ერთგვარ უგულვებელყოფაზე (ამის მტკიცება საფუძველს მოკლებულია), უფროსი და უმცროსი თაობების დაპირისპირებაზე და, წარმოიდგინეთ, ლიტერატურულ ბრძოლაზეც კი (რაც ძირითადად გაუგებრობაზეა დამყარებული).

საჭიროა ერთმანეთისაგან განვასხვაოთ ახალგაზრდა მწერლები და ის ახალგაზრდები, რომლებიც თითო-ორთა და მცირე ფორმის ნაწარმოების ავტორები არიან. პირველნი მწერლის სახელითა და რეპუტაციით სარგებლობენ, რაც თავიანთი შემოქმედებით დაუმსახურებიათ და ახალი თაობის მიზანსწრაფვას, ინტერესებს, შემოქმედებით კრელოს სწორედ ისინი გამოხატავენ. ხშირად ამ დიდ განსხვავებას ახალგაზრდა მწერლებსა და მწერლობის სურვილგაღვიძებულ ახალგაზრდობას შორის არა ხედავენ და მათ ყველას უმცროსი თაობის ცნებით აერთიანებენ. ჩვენის აზრით, გაუგებრობა სწორედ აქედან იწყება. ბევრი ახალგაზრდა შეცდომით კიდეც კალამს ხელს. მას სათქმელი არაფერი აქვს და, ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში ეპიგონობას ვერ ასცდება. ასეთი „ხელოვნური თანამგზავრები“ ყოველი ეპოქის ლიტერატურას ყავდა, მაგრამ მათ არ განუსაზღვრავთ მწერლობის სახე.

ახალგაზრდა პროზაიკოსებს მიეკუთვნებიან არჩილ სულაკაური, ოტია იოსე-



ლიანი, ნოდარ დუმბაძე, ედიშერ ყიფიანი, რევაზ ინანიშვილი, მერაბ ელიოზიშვილი, თამაზ ნატროშვილი, რეზო ქვიშვილი და სხვები. სწორედ მათ მოიპოვეს მკითხველი საზოგადოებისა და სალიტერატურო კრიტიკის აღიარება, ესენი განსაზღვრებენ ახალი თაობის პროზაიკოსების შემოქმედებით სახეს და ვის მოუვა აზრად რომელიმე მათგანს დასწამოს მოდური გატაცება, თანამედროვე დასავლური მწერლობის ეპიკონობა, ან ქართული მწერლობის ტრადიციების უგულვებელყოფა, ან რაღაც პრინციპული დაფა და ბრძოლა უფროს თაობასთან. ყველა აქ ჩამოთვლილი მწერლის შემოქმედებას უპირველესად ეროვნულ ნიადაგში გაულგანს ფესვი და იქიდან ღებულაბს სასიცოცხლო ძალას. იხინი პირველ რიგში ჩვენი ეროვნული მწერლობის ტრადიციებზე არიან აღზრდილნი და დაფაკაცებულნი. ახალგაზრდა მწერლობის შემოქმედების კავშირს ქართული ლიტერატურის კლასიკოსებთან ღრმა ძიება სჭირდება, რადგან აქ ზერეულე, მარტივ მსჯავსებასთან კი არა ვგაქვს საქმე (ეს ეპიკონობა იქნებოდა), ახამედ ორგანულ კავშირთან, დიდი ტრადიციების განვითარების ცდასთან.

რაც შეეხება „რემარკიზმს“, რომლის შესახებაც ამდენს ლაპარაკობენ, ამასაც დაზუსტება სჭირდება. სამწუხაროდ, პემინგლისა და რემარკის სახელი ჩვენში ზოგიერთთათვის ერთგვარად დაბალი ლიტერატურული გემოვნების სინონიმად იქცა და ამაში ახალგაზრდობის ნაწილთან ერთად ცალკეულ კრიტიკოსებსაც მიუძღვის „დამსახურება“. ეს იმის შედეგია, რომ ზოგიერთი ახალგაზრდა თავისი მოხერხებებისათვის სიახლის იერის მიცემას დასავლური ლიტერატურის წაბაძვით ცდილობს, იმას კი არ უწევს ანკარიშს, რომ ეპიკონობას ვერ არავისათვის მოუტანია წარმატება. ამასთანავე, მათ არ შესწევთ უნარი ჩასწვდენ პემინგლის, რემარკისა თუ სხვა დასავლეთელი პროგრესული მწერლების შემოქმედების ღრმა პუმანაზმს, გაერკვნენ მათი შემოქმედების ძლიერსა და სუსტ მხარეებში, ამიტომაც ეს წაბაძვა მხოლოდ

ზერეულე შობაქმედლებებს ემყარება, პროგრესითი ჩვენი კრიტიკოსი, რეკრუტება ქართველი ახალგაზრდა მოთქმელებსა და ქარბებულ დილოგებს შეამჩნევს, მაგარი სასმელების სახელს გაიკონებს, ავტორს რემარკის მიმდევრად აცხადებს და ამით არა მარტო აყალბებს ამ გამოჩენილი მწერლის შემოქმედებას, არამედ დათვურ სამსახურს უწევს დამწვევ ავტორსაც. მაგრამ ყველაფერი ის, რის გამოც ჩვენში ვაყალბებული რემარკიზმის ცნება დამკვიდრდა, სინამდვილეში მწერლობის გარეთ დგას და მისი გამოცხადება ლიტერატურულ ტენდენციად, ჩვენის აზრით, ღრმა შეცდომაა.

ჩვენ განზრახ ვაუესვით ხაზი ახალგაზრდა ქართველი პროზაიკოსების შემოქმედების ორგანულ კავშირს ეროვნული ლიტერატურის ტრადიციებთან, აღვნიშნეთ, რომ ეპიკონობა და მოდური გატაცებები არ არის დამახასიათებელი ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდა მწერლებისათვის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ჩვენ ლიტერატურის განვითარების რთული პროცესის გაუმბარლოებას ვისახედდეთ მიზნად, ან არ ვერძნობდეთ ახალგაზრდა თაობის მიერ მოტიანილ სიახლეს. ნიჭიერი ქართველი პროზაიკოსების შემოქმედება საყურადღებოა არა მარტო თავისი ორგანული კავშირით ეროვნულ ლიტერატურასთან, არამედ იმ სიახლითაც, რაც მას ახასიათებს. ამ სიახლის ძიებაში კი, მხატვრული გამოცხახელობის თვალსაზრისით, მათ საკმაოდ ბევრს ეზმარება იგივე დასავლეთელი გამოჩენილი მწერლების შემოქმედებაც და აქ არაფერია არც დასაძრახისი და არც, მითუმეტეს, საგანგაშო.

ლაპარაკი აარსებულ ლიტერატურულ ბრძოლაზე ჩვენ ზედმეტად მიგვამნია, რადგან როგორც უფროს თაობას, ასევე უმცროს თაობასაც ერთნაირი შემოქმედებითი მეთოდი აქვს მომარჯვებული, მათი მსოფლგაგებაც არ არის განსხვავებული, და ამდენად პრინციპულ, ძირეულ საკითხებში მათ არ შეიძლება სადავო, მით უმეტეს საბრძოლველი ჰქონ-



დეთ რაიმე. პირიქით. ჩვენი ახალგაზრდა მწერლები ავრძელებენ საბჭოთა ლიტერატურის იმ საუკეთესო ტრადიციებს, რომლებსაც საფუძველი სწორედ უფროსი თაობის გამოჩენილმა მწერლებმა ჩაუყარეს.

ჩვენმა ახალგაზრდა მწერლებმა, ისევე როგორც თავის დროზე უფროსი თაობის მწერლებმა, თან მოიტანეს ახალი ინტერესები, ახალი თემები და წერის ახალი მანერა. ეს მოვლენა საერთოდაა დამახასიათებელი მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურისათვის.

არჩილ სულაკაური ერთერთი ახალგაზრდა მწერალია, რომლის შემოქმედებაშიც თვალნათლივ ჩანს თანამედროვე პროზის დამახასიათებელი თვისებები. აქვე უნდა განვმარტოთ, რომ როცა ახალგაზრდა და უფროსი თაობების შემოქმედებას ვაღიარებთ, საერთო დამახასიათებელ ნიშნებს ვვულისხმობთ, თორემ არც ის არის გამორიცხვად, რომ ხშირად უფროსი თაობის ზოგიერთი მწერლის შემოქმედებაში სწორედ ეს ახალი ტენდენცია შეიმჩნეოდეს და პირიქით.

საერთოდ, მხატვრული პროზის განვითარების თანამედროვე ეტაპზე აშკარად შეიმჩნევა სწრაფვა ლაკონურობისაკენ. რალა თქმა უნდა, ეს ტენდენცია თვალნათლად სწორედ ახალგაზრდა მწერლების შემოქმედებაში მკვლავდება. ამ მხრივ გამონაკლისს არც არჩილ სულაკაურის მოთხრობები წარმოადგენს. მწერალს ბევრი აქვს სათქმელი, არც ცდილობს თავი შეიზღუდოს, მაგრამ ახერხებს ყოველივე ამის მოკლედ და მრავლისმეტყველად თქმას. ავტორი ამას სადა, ღრმავაროვანი და მაქსიმალურად დატვირთული დიალოგებით აღწევს. დიალოგების წყალობით კი მოქმედება დინამურად ვითარდება. მწერალი თითქმის არსად არ ცდილობს ეს დინამურობა დაარღვიოს, აღწერებს, დახასიათებას, ან მსჯელობას მიმართოს და ამით შეიმსუბუქოს მდგომარეობა. ამ ერთი შეხედვით ჩვეულებრივ სასაუბრო მეტყველებაში ავტორმა ჩვენ გმირების ხასიათიც უნდა გაგვიხსნას, მათი მხატვ-

რული პორტრეტებიც გამოკვეთოს. სინამდვილის სურათების წარმოდგენის საშუალებაც უნდა მოგვცეს, ცხატრებულში ძირითად ტენდენციებზეც და დამახასიათებელ მოვლენებზეც უნდა მიგვანიშნოს. მოვყვანთ ერთ ნაწივეტს ასეთი დიალოგიდან. მოთხრობაში „მტრულები“ კუბუცი და ქალიშვილი ომის დღეებში სახლის სახურავზე მორიგეობენ:

- დილიდან წვიმს, — თქვა ნანამ.
- ჰო, წვიმს... ახლა დაიწყება წვიმიანი დღეები.
- აცივდა კიდევ... პალტო გატეხს?
- შეტეხს... დამიპატარაედა, მაგრამ არა უშავს რა, ამ ზამთარს როგორმე გავატარებ.
- შე ძველი პალტო გადაეაბრუნე.
- როდის ისწავლე ქერვა?
- დიდი ხანი არ არის... მაჩვენე შენი პალტო, იქნებ გამოსაშვები ტონდეს.
- შეიძლება პალტოს ჩაცმა არ დამქირდეს.
- რატომ, თბილი ზამთარი იქნება?
- არა.
- მაშ?
- რა ვიცი, ისე ვთქვი, სხვათა შორის”.

არადფერი უჩვეულო ან ხელოვნური ამ დიალოგში, როგორც ვხედავთ, არ არის. თითქოს სიტყვა-სიტყვითაა ჩაწერილი ერთი უბრალო საუბარი, რომელიც ომის წლებში ყოველ სახლში შეიძლებოდა მოგვესმინა. მაგრამ მკითხველს იგი საკმაოდ ბევრს ეუბნება, ვგრძნობთ, თუ როგორ სურს ნანას საუბარში შეიყოლიოს სიტყვაძუნწი ლევანი, ეს სურვილი კი ახალგაზრდა ქალის გულის კარნახია, იმასაც ვიკვებთ, რომ ახალგაზრდა ქალ-ვაჟს გასჭირვებია. ლევანს უყვირს თუ როდის ისწავლა ამ თავნება ნანამ ჭრა-ქერვა. ძნელი არ არის მიხედვრა, რომ ომის მძიმე წლების გაჭირვებამ ასწავლა ეს ნანას. დაბოლოს ლევანის მოჩვენებითმა გულგრილმა პასუხმა „შეიძლება პალტოს ჩაცმა არც დამქირდეს“ თითქოს უნდა გააგვიხსნოს ნანასაც

ღურამ გუერდწითელი
 არჩილ სულაკაურის მოთხრობები

და მასთან ერთად მკითხველსაც, რომ იგი შეიძლება ჯარში გაიწვიონ. ეს ფარული აზრი ლევანის სიტყვებისა რომ არ გამორჩეს მკითხველს, ავტორი ყურადღებას ამახვილებს მასზე: ნანა ვერ გაიგებს ნათქვამს და მიზეზი თბილი ზამთრის მოლოდინი ჰგონია, მაგრამ ლევანის გაურკვეველი პასუხი „რა ვიცი, ისე ვთქვი, სხვათა შორის“ სწორედაც რომ ბევრს არკვევს ჩვენთვის, ახლა კი აღარ გვაქვებებს, თუ რატომ არ დასჭირდება ლევანს პალტო, ამის ნაცვლად მას ჯარისკაცის მაზარა ელის, მაგრამ არ სურს ეს გაამხილოს, რადგან მოთხრობის გმირიც და მასთან ერთად მკითხველიც გრძნობს, რომ ნანა არ არის გულგრილი ლევანისადმი. ამ პატარა დიალოგში მარტო ომის წლების მძიმე ცხოვრება კი არ გამოხატვის, ქალ-კაცის ურთიერთდამოკიდებულება და განწყობილებაც იგრძნობა.

გაეხსენით ლევანისა და ნანას კიდევ უფრო მოკლე და მეტყველი დიალოგი:

— რა სიჩუმეა... მე არ მეგონა, თუ აქ ასეთი სიჩუმე იქნებოდა“.

— ჰო, სიმშვიდეა.

— სიმშვიდე არა... სიმშვიდე სხვაა... აქ სიჩუმეა“...

ამ ორიოდე მოკლე ფრაზით ამოსწურავენ ნანა და ლევანი ამ საკითხის განსჯას. მაგრამ იმით, თუ რა დაბეჯითებით შეუსწორებს საერთოდ სიტყვაძენში ლევანი ნანას პასუხს, ვგრძნობთ, რომ ფონტს დაცლებულ ამ ქალაქშიც დიდი სხვაობაა სიჩუმესა და სიმშვიდეს შორის. ამ ორ მარტივ ფრაზაში რთული განწყობილებაა გადმოცემული, გმირის სულგრილი მდღეგრება, საერთოდ ომის წლების დაძაბული ცხოვრება იგრძნობა, რომელმაც ახალგაზრდა ქაბუეს სიჩუმისა და სიმშვიდის მკვეთრი გამოიჯენა და გარჩევა ასწავლა.

არჩილ სულაკაურის მოთხრობების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ძირითადად დიალოგებზეა აგებული, თუმცა ეს თავისებურება ახლა ბევრი მწერლის შემოქმედებას ახასიათებს. ფრაზათა მაღალფარდოვანება, გმირების სიტყვამრავალი აღსარებები, გრძელი

ავტორისეული ტექსტები, პირდაპირი დახასიათებები, რაც მოძალბებული თუ ამ ათი წლის წინ მთელი რიგი მწერლების შემოქმედებაში, დღევანდელ ქვეყნისათვის ზედმეტი გამხდარა. მოქმედება და დიალოგი, აქა-იქ ჩართული ავტორისეული რემარკებით — აი ძირითადი სახე თანამედროვე ახალგაზრდა მწერლების მოთხრობებისა და რომანებისაც კი. ეს ახალი პროზაული სტილი აშკარად ჩანს არჩილ სულაკაურის მოთხრობებშიც. თუ ჩვენ ამ თვალსაზრისით შევადარებთ სულაკაურის პირველსა და ბოლო ხანს გამოქვეყნებულ მოთხრობებს, დავინახავთ, თუ როგორი გულმოდგინებით ცდილობს ავტორი ამ სტილის სრულყოფას. არჩილ სულაკაურის პირველივე მოთხრობა „ტალღები ნაპირისაკენ მიისწრაფვიან“ თავისი ემოციური და აზრობრივი სიძლიერით, ვფიქრობთ, ერთერთი საუკეთესოა მწერლის შემოქმედებაში, მაგრამ იქ ჯერ კიდევ იგრძნობა ერთგვარი დაუხვეწელობა სტილისა, გვხვდება ხორკლიანი ადგილები.

სულაკაური ამ მოთხრობაში ერთგან წერს:

„ზღვიდან მსუსხავმა ქარმა დაუბერა. სიცივე ძვალსა და რბილში ატანდა.

როდესაც ჯარისკაცი ფარაჯას იხდიდა, წინდაწინვე იცოდა, რომ დიდი სიცივის გადატანა მოუხდებოდა, მაგრამ არ უნდოდა ეს საცოდავი ქალი ცის ანაბარა მიეტოვებინა. ფარაჯა გაიხადა და სულარასავით გადააფარა. ეგონა, მიცვალბულის წინაშე უკანასკნელი ვალი მოეხიხადო“. თუკი მსუსხავი ქარი უბერავდა და სიცივე ძვალსა და რბილში ატანდა, რაღა თქმა უნდა, ჯარისკაცს უფარაჯოდ შესცივდებოდა, მაგრამ იგი მაინც მიცვალბულს გადააფარებს ფარაჯას და ამით გამოხატავს თავის ადამიანურ წუხილსა და გულისტკივილს. ეს ყველაფერი ისედაც გასაგები იქნებოდა, მწერალს რომ მხოლოდ მოქმედება გადმოეცა და ამდენად ავტორისეული განმარტება, „როდესაც ჯარისკაცი ფარაჯას იხდიდა, წინდაწინვე იცოდა...“, სრუ-



ლიად ზედმეტია. ასეთი ზედმეტი ფრაზები მწერლის ბოლოხანს გამოქვეყნებულ მოთხრობებში თითქმის აღარ გვხვდება. ეს ჩვენ საფუძველს გვაძლევს განვახადოთ, რომ არჩილ სულაკაური გულმოდგინედ ეუფლებოდა ახალ სტილს — ლაკონურობას, მოქმედების მძაფრ განვითარებაში ვადმოცემას. მისი მოთხრობები ძალდაუტანებლად, ინტერესითა და ხალისით, შეიძლება ითქვას, მსუბუქად იკითხება და ამასთანავე მწერლის გულისნადები, მისი სათქმელი ტექსტისათუ ქვეტექსტის საშუალებით მკითხველისათვის მთლიანად გასაგებია.

მეორე თავისებურება, რომლითაც თანამედროვე ახალგაზრდა მწერლების შემოქმედება ხასიათდება, ესაა სწრაფვა იმისაკენ, რომ ადამიანის სულის სიღამაზე გვიჩვენონ უპირატესად მისი შინაგანი ანალიზით და არა ცხოვრებისეული მოვლენების განვითარებაში უშუალო მონაწილეობით. ეს თავისებურებაც აშკარად შეიმჩნევა არჩილ სულაკაურის მოთხრობებში. საბჭოთა ლიტერატურისათვის მისი განვითარების მანძილზე დახასიათებული იყო ჩვენი ცხოვრების დიდი მოვლენების მთელი გრანდიოზულობით წარმოსახვა და გმირების ხასიათების გახსნა ამ მოვლენებთან უშუალო კავშირში. საბჭოთა ლიტერატურის ასეთი სახის ბევრი მაღალმხატვრული ნაწარმოები გააჩნია, რომელთაც სამართლიანად დამსახურეს მკითხველთა მოწონება. ამ ნაწარმოებებში გმირების ხასიათის ძლიერი და სუსტი მხარეები დიდ ცხოვრებისეულ ძვრებთან დაკავშირებით მკვლევნობოდა, იქნებოდა ეს კოლექტივიზაცია, ინდუსტრიალიზაცია, კულტურული რევოლუცია თუ სხვა ეპოქალური მოვლენები. ეს ტენდენცია პიროვნების კულტის ზრდის პირობებში ზოგიერთი მწერლის შემოქმედებაში პირდაპირ მახინჯ ფორმებში გადაიზარდა. მთელ რიგ შემთხვევებში ცხოვრებისეულმა მოვლენებმა (ხშირად გაზვიადებულმა) თავისთავადი მნიშვნელობა მიიღეს, პროზაული ნაწარმოები მათი ილუსტრაციის საშუალებად იქცა და მან ადამიანის შინაგანი, სამყაროს მხატვრუ-

ლი გახსნის ძირითადი ფუნქცია ერთგვარად დაკარგა. თანამედროვე პირობებში, როდესაც დაძლეულია პიროვნების კულტურით წარმოშობილი მავნე ტენდენციები, საერთოდ, კერძოდ კი ლიტერატურასა და ხელოვნებაში, იმ მძიმე წლების საწინააღმდეგოდ მიმართულ ლოგიკურ რეაქციად მიგვაჩნია ჩვენ ასეთი უპირატესი ყურადღება ადამიანის შინაგანი სამყაროსადმი, პროზაიკოსთა სწრაფვა ლიტერატურაში პრიმატი მიანიჭონ არა ემპირიულ წარმოსახვას, არამედ ფსიქოლოგიურ ანალიზს. რასაკვირველია ზოგ შემთხვევაში ამ ტენდენციას მეორე უიოდურესობამდე მიყვავართ და ცალკეულ ნაწარმოებებში ფსიქოლოგიზმიც თვითმიზნობამდე მიდის, რის შედეგადაც იქმნალება ტიპური გარემო. ვმირი ცალკე, ცხოვრებისაგან ერთგვარად იზოლირებულიად არის წარმოდგენილი და ამდენად თვითონ სახეც კარგავს რეალისტურ ძალას. მაგრამ ამ ცალკეულ უკიდურესობათა გამო როდი უნდა დავიწყოთ საერთოდ ახალგაზრდა პროზაიკოსების სწრაფვა გმირების მოქმედებისა და განცდების ღრმა ფსიქოლოგიური მოტივირებისაკენ. ახალგაზრდა მწერლების, საერთოდ, და არჩილ სულაკაურის, კერძოდ, შემოქმედებაში ჩვენი თანამედროვეობის მაჯისცემა მკაფიოდ ისმის და ამ მხრივ მათ საყვედური არ ეთქმით. ერთი სიტყვით თანამედროვე პროზის თავისებურება, უპირველეს ყოვლისა, იმაში გამოიხატება, რომ თუ უფროსი თაობის მწერლები გმირის ხასიათის გამოკვეთისა და გახსნის საშუალებებს მის გარესამყაროსთან, მოვლენებთან კავშირში ხედავდნენ, ახალგაზრდები გმირის შინაგანი სამყაროს ჩაძიებულ ანალიზს უთმობენ უპირატეს ყურადღებას. მიზანი კი ყველას საერთო აქვს, ესაა საბჭოთა ადამიანის ბუნების, მისი სულიერი სიღამაზის მაქსიმალური სიმკვეთრითა და მხატვრული დამაჯერებლობით წარმოსახვა, საქმე მხოლოდ იმაშია, თუ რამდენად მაღალმხატვრულად, დიდი გემო-

გურამ გვერდწითელი
არჩილ სულაკაურის მოთხრობები

ნებითა და ტაქტიკითა განხორციელებული ეს მიზანი.

ნიშანდობლივი და საინტერესოა ამ თვალსაზრისით ნიჟერი რუსი პროზაიკოსის იური კაზაკოვის მოთხრობები, რომლებიც აშკარად ატარებენ ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნული თავისებურების ღრმა კვალს. ერთერთი მოთხრობა კი, „მოხუცები“ პირდაპირ ამის ნიმუშად გამოდგება. ამ ნაწარმოებში მწერალი მოგვითხრობს ძველი, ქალაქის მყუდრო ცხოვრებაზე. ქალაქის ახლოს ერთ მხარეს დიდი მშენებლობაა გაშლილი, მეორე მხარეს კი მოწინავე კოლმეურნეობაა. მწერალი არც მშენებლობას იჩივებს და არც საკოლმეურნეო ცხოვრებას, იგი თითქოს განზრახ რჩება ამ მყუდრო, პროვინციულ ქალაქში, რომ იქაურ ერთფეროვან ყოფას ადევნოს თვალი. მაგრამ აქაც მწერალი ბერს ამჩნევს, იგი უმხელს მკითხველს თუ რა დიდი, ადამიანური გული აქვთ ამ ერთი შეხედვით უმნიშვნელო ქალაქის მცხოვრებლებს, გვიჩვენებს ამ უბრალო ადამიანების დიდ გრძობებსა და განცდებს, სიხარულსაც და სევდასაც, იმასაც თვალნათლივ მიგვანიშნებს, თუ როგორ იცვლება და ვითარდება მათი შვილები, ყოფა, მთელი მათი ცხოვრება. ასეთი მიდგომა სინამდვილისადმი, როდესაც ყოფით ამბებში დიდი ადამიანური განცდები წაიკითხება, როდესაც უბრალო ადამიანების ერთი შეხედვით ძნელად შესამჩნევი, მაგრამ სინამდვილეში დიდი სულიერი სიღამაზე იხსნება, საერთოდ დამახასიათებელია ახალაზრდა მწერლების დიდი ნაწილისათვის.

არჩულ სულაკაურის შემოქმედებაში შეიმჩნევა ეგრეთწოდებული „უბრალო გმირების“ განსახიერებისაკენ სწრაფვა. მისი მოთხრობების გმირები არიან ახალგაზრდები, სტუდენტები, ჯარისკაცები, კალატოზები, მეწისქვილეები, მვისრეები და მემანქანეები, მაგრამ ყველა ისინი დიდი ადამიანები არიან. თითქოს ავტორს მხოლოდ მათი კერძო „ბედი და ისტორია აინტერესებს, მაგრამ ოსტატურად ჩართული დეტალები, ფრაზები, ზოგჯერ ცალკეული რეპლიკები, ამასთანა-

ნავე ძვეტექსტოვ გვიჩვენებს იმ გარემოს, რომელშიც გმირები ცხოვრობენ. სულაკაურის მოთხრობებში მწერალი ვერც ეს გარემოც და გმირებს განაწილებს საწყაროც სუფთა და ღამაზია. აშკარად იგრძნობა, რომ მწერალს მთელი ვატაცებით უყვარს ცხოვრებაცა და ადამიანებიც. ამიტომაც მას არ უჭირს დანიანოს ის კეთილი საწყისები, რომლებიც განსაზღვრავენ ჩვენი ცხოვრების არსს, შენიშნოს დიდბუნოვნება ადამიანისა, მაგრამ სულაკაურს მთელი თავისი შემოქმედების მიზნად ცხოვრების კიდევ უფრო გამშვენიერებისათვის ბრძოლა დაუვსაბავს და ამიტომაც იგი ხშირად გავრძნობინებს და გვიჩვენებს, თუ რა გავლენა აქვს ირგვლივ მყოფ ადამიანებზე ჩვენს ნებსითსა და უნებლიე უყურადღებობას, გულცივობას, ინდიფერენტულობას.

არჩულ სულაკაურის შემოქმედებაში თვალნათლივ შეიმჩნევა მწერლის ფართო ინტერესი, მისი მისწრაფება ღრმად ჩასწვდეს ცხოვრების მრავალფეროვან მოვლენებს, სადაც შეიძლება ყველაზე გამოკვეთილად იხატებოდეს ადამიანის სულის სიღამაზე თუ სიმბინჯე, მისი ხასიათის ძლიერი თუ სუსტი მხარეები. სულაკაურს აინტერესებს და აღუღებს ადამიანის ღრმა განცდები, მისი მძიებელი თვალის ისეთი მოვლენებისაკენაა მიმართული, სადაც ეს განცდები მღვლებად და, მამასადამე, შეუფერავად, თვალნათლივ ვლინდება. სულაკაურისათვის ცხოვრებისეული მოვლენა მხოლოდ საშუალებაა ადამიანის სულის შესაცნობად და ამიტომაც იგი თავის მოთხრობებში არა იმდენად მოვლენას გვიხსნის, რამდენადაც ადამიანის ბუნებას, მის სულიერ სამყაროს, რასაც არ უნდა ეხებოდეს მწერალი. იჭნება ეს სამამულო ომი, თუ ომის წინანდელი მძიმე ტრაგიზმით სავსე წლები, ან კიდევ ჩვენი დღევანდელი ცხოვრება, მწერალს იმდენად თვით მოვლენების განვიითარება არ აინტერესებს, რამდენადაც ადამიანის სულის მძრობა და სიმტკიცე, მისი ხასიათის მონოლითურობა თუ მერყეობა, მისი მთლიანი ზნეობრივი სახე.



სამამულო ომის თემაზე ქართულ პროზაში ზევრი ნაწარმოები დაიწერა და ალბათ კიდევ მეტი დაიწერება. ძნელი არ არის ომის შემსწავლა, თუ როგორ იცვლება და ღრმადდება მწერალთა ინტერესები ამ თემაზე დაწერილ ნაწარმოებში. სამამულო ომის პერიოდში და მის მომდევნო პირველ წლებში ქართველი მწერლები თავიანთ ნაწარმოებებში უპირატესად წარმოგვისახედნენ უშუალოდ ბრძოლის ეპიზოდებს, რომლებიც თავისთავად მეტყველებენ საბჭოთა ადამიანების თავგანწირვასა და გამირობაზე. შემდეგ, როდესაც შესაძლებელი შეიქნა ამ უდიდესი მოვლენის დადინჯებული გააზრება, მწერლებს ფრონტული ცხოვრება გამირობის არა უბრალოდ მოქმედების გამოსახატავად, არამედ მათი ხასიათის გასახსნელად იზიდავდა და მართლაც შეიქმნა მთელი რიგი საინტერესო ნაწარმოებები, სადაც საბჭოთა ადამიანის მაღალი პატრიოტული სული, ნებისყოფის სიმტკიცე და ხასიათის სიძლიერე მხატვრული დამაჯერებლობითა გახსნილი. არჩილ სულაკაურის მოთხრობაში "ტალღები ნაპირისაკენ მიისწრაფვიან", რომელიც ასევე სამამულო ომის თემაზეა დაწერილი, სულ სხვა ინტერესებია წამოწეული წინა პლანზე. მწერალი ნაკლებ ყურადღებას აქცევს საბრძოლო ეპიზოდებს და ძირითადად გამირობის სულიერი მდგომარეობის გარკვევასა და ფსიქოლოგიურ ანალიზს უნდობა. მწერალი ჩვენ იმდენად არ გვიჩვენებს გამირობის მოქმედებას ბრძოლის პირობებში, რამდენადაც გვიხსნის მის დამოკიდებულებას ამ ბრძოლასთან, რაც გამირობის განცდების საშუალებით ხდება ჩვენთვის თვალნათლივი. ამ ფსიქოლოგიური ანალიზით წვდება ავტორი იმ საფუძველს, რომელიც განაპირობებს გამირობის მოქმედებას. ამიტომ ამას მნიშვნელობა აღარა აქვს, გავხედებით თუ არა უშუალო მონაწილე გამირობის თავგანწირვისა, ჩვენთვის ნათელია მისი სულის სიდიადე და მთავარიც ეს არის.

ჯარისკაცთა კვლავ შეხედება ქალიშვილს, მაგრამ ახლა უკვე მომაკვდავს. ქალი რომ გარდაიცვლება, საფლავის

გათხრას დაიწყებს, მაგრამ გვამს ყვებოდა მოხედება და ვეღარ იპოვნის. შემდეგ, უბრალო შემთხვევა ჯარისკაცს შეეხვედრება რებს ზემდეგთან, რომელიც ერთსა და იმავესა და რუს გოგონას შორის წადა, ბრმა ტყვიით დაჭრილი ჯარისკაცი იღუპება. როგორც ვხედავთ აქ არც გამირობის თავგანწირვაა, არც აქტიური შურისკება, ან რაიმე ისეთი ეპიზოდი, რომელშიც ჯარისკაცის მაღალი პატრიოტული ვრძნობა და სულის სიმტკიცე უშუალოდ, პირდაპირ შეიძლება დაინახოს მკითხველმა. მაგრამ სამაგიეროდ ყოველივე ამას მკითხველი უთუოდ ხედავს. ხედავს გამირობის სულიერი მდგომარეობითა და განცდებით, რომელსაც ავტორი დიდი შეფარვითა და მხატვრული ტაქტით მოგვითხრობს. სულაკაური თავის მოთხრობაში დიდ განზოგადობებამდე მიდის. ამ პატარა ამბავში იგი საერთოდ აპირისპირებს ბოროტ და კეთილ საწყისებს და ღრმად აფიქრებს მკითხველს ამ მარადიულ პრობლემაზე. მხატვრული ხერხი, როცა სულაკაური თავის გამირობის სახელებსაც კი არ არქმევს და გვაცნობს ჯარისკაცად, ზემდეგად, ქალიშვილად, ამ კერძო შემთხვევაში ჩვენ გამართლებულად მიგვაჩნია, რადგან იმაზე მიგვანინებებს, რომ მწერალს სურს ისინი ზოგადად წარმოგვისახოს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს სულაკაურის გამირობი რაღაც ანსტრაქციული იყვნენ. პირიქით, გამირობი რეალურ ყოფით გარემოში მოქმედებენ, ისინი მეტადაც არიან კონკრეტული მკითხველი თავიანთი საქციელის, ვრძნობის, განცდის დიდი უბრალოებისა და ცხოვრებისეული სიმართლის წყალობით, მაგრამ ამასთანავე ყოველი მათგანი ზოგადი ადამიანური ხასიათისა და ბუნების მქონეა.

მოთხრობაში ერთმანეთს უპირისპირდება ერთის მხრივ ის ბოროტი ძალა, რომელმაც ომის მთელი საშინელება დაატრიალა და სიკვდილის სიციცხლეზე გამარჯვება მოიწადინა, მეორეს მხრივ კი ქალიშვილის ნაზი, სუფთა, სიციცხ-

გურამ გვერდწითელი
არჩილ სულაკაურის მოთხრობები

ლის სიყვარულითა და სიხალისით საცხე
ბუნება, რომელიც ცხოვრების კეთილი
საწყისის სიმბოლოა.

ომმა დიდი საშინელება დაატეხა თავს
ადამიანებს. ჯარისკაცი ხედავს თუ შორს
ზღვაში როგორ ჩაიძირა ცეცხლმოდებუ-
ლი კატერი და წას სურს, აქ, დედამიწა-
ზე დაუდგას უბრალო ქვით მარადიული
ძველი ძალადობის უდიდეს მსხვერპლს.
თუ ზღვა არ იწახავს ადამიანთა ხსოვნას,
ჯარისკაცის მიერ გათხრილმა საფლავმა
უნდა გადასცეს საუკუნეებს ეს დიადი
ხსოვნა. ასე იწყებს შურისძიებას ჯარის-
კაცი, რომელმაც ბოროტი ძალის სამხი-
ლზელად დიდი ადამიანური ძველი უნდა
დაუდგას ჩამქრალ სიცოცხლეს. ჩქა-
რობს ჯარისკაცი, ჩქარობს, რადგან თავის
კონკრეტულ მიზანს ახლა ამაში ხედავს
და უცქრად ფიქრი გაუწყდება. გზის
პირას მონუსხული შეჩერდება. იმ ადგი-
ლას, სადაც ქალის გვამს ფარაჯა გადა-
ფარა, ყუმბარისაგან ამოთხრილი ორმო
დახვდება. „ტოტებდაღვიწილ, დაიწინ-
ხილ ხეზე ფარაჯის ნაფლავის ქარი აფ-
რიალდება, ხოლო ბორცვზე ღიად დარ-
ჩენილი საფლავი დევის ამოშანთული
რგალივით უაზროდ მისჩერებოდა ზე-
ცას“. ბოროტების მთელ საშინელებას
ამ ღიად დარჩენილ საფლავით უფრო
ეგრძნობს ჯარისკაცი და განიცდის, ვიდ-
რე კატერის დაღუპვის შორეული ხილ-
ვით, ან მის ხელებზე გაცივებული ქალის
ხსუვით. აი აქ იხადება ჯარისკაცში
მრისხანე შურისძიების წყურვილი. ღიად
დარჩენილი საფლავი მისთვის ომის
საშინელების ყველაზე მეტყველი სურა-
თია, სიმბოლური განსახიერება ბორო-
ტების უსაზღვროებისა. ამიტომაც მძი-
მედ დაჭრილი ჯარისკაცი ხრალით წარ-
მოიქცეა თავის ფიცს... „მე თუ გადავრ-
ჩი, ვიბრძოლებ, მარტო შურისძიება არ
შომასვენებს, სხვა რომ არა იყოს რა,
ღიად დარჩენილი საფლავებისათვის ვი-
ძიებ შურს“. ზემდეგს ეს მომაკვდავის
პოღვად მიაჩნია, რადგან არ ესმის ამ
სიტყვების მნიშვნელობა, მაგრამ მკით-
ხელისათვის ნათელია თუ ამ უცნაურ
ფრაზაში რა ღრმა ადამიანური განცდა
და მრისხანე გრძნობაა ჩატყული. რაც

უფრო დიდი სულეტი ტრამვა მოყვარე
ბული ბოროტებისაგან, მით უფრო ძლიე-
რია ამ ბოროტების დათრგუნვის სულე-
ლი. ამიტომაც სჯერა ჯარისკაცს ბოროტ-
ბოროტება განწირულია. „ბოროტებას,
რომ გაემარჯვნა, ქვეყანა ადრევე დაი-
ღუპებოდა“, — ამბობს იგი და ამ სიტ-
ყეებშია მოთხრობის დედააზრი.

მოთხრობაში „ტალღები ნაპირისაკენ
მიისწრაფიან“ ერთმანეთს უპირისპირ-
დება არა მარტო ბოროტი და კეთილი,
სიკვდილი და სიცოცხლე, არამედ ადამი-
ანის უხეში და ფაქიზი ბუნებაც. მწერა-
ლი უბრალოდ კი არ გვიჩვენებს ამ ორი
ადამიანური ბუნების გამოვლენას, იგი
იმახსაც აკვირდება, თუ რომელი მათგა-
ნი უფრო ძლიერია, რომელს შეუძლია
წინაღუდვებს ბოროტებას და დაამ-
ცხოს იგი. ჯარისკაცი სუფთა, შეურყე-
ნელი ბუნების ახალგაზრდაა, იგი მეოც-
ნეუბა და ცხოვრების მზაკვრობა ჯერ არ
გამოუცდია. ასევე სუფთაა მისი სიყვა-
რული ქალიშვილისადმი, რომელსაც
სულ ორჯერ შეხებდა თავის სიცოცხ-
ლეში, ერთხელ ყველასაგან მიტოვებულ
სოფელში, სადაც იგი ბაბუას დასამარ-
ხად დარჩენილა და მეორედ უკვე მო-
მაკვდავს. იგი მთელი თავისი სულის
სიფაქიზით მიუაღერსებს და გაათბობს
ოზოლ ქალიშვილს და ამ ნათელ გრძნო-
ბას არ შეურაცხყოფს ვნებების აშლით.
როგორც კი საშუალება მიუცემა, ჯარის-
კაცი კიდევ შეივლის მასთან, მაგრამ აქ
უკვე სხვა დახვდება, ზემდეგი, რომელ-
საც არ სურს ადამიანის სულში ჩახედ-
ვა, იგი მხოლოდ წაგლეჯასა და მიტა-
ცებაზე ფიქრობს ცხოვრებაში. ზემდე-
გის უხეში ძალა ამ შემთხვევაში გადას-
წონის ჯარისკაცის შეურყენელ ბუნებას.
მაგრამ ამით არ მთავრდება ამ ორი
სხვადასხვა ბუნების ადამიანის ჭიდილი.

ბედი მათ ერთად მოახვედრებს ნავში.
ორივე დაჭრილია და უღონო. ზემდეგი
ტყეებისაგან დაცხრილულ ნავში შესულ
წყალს იღებს და აქცევს ჯერ თუნუქის
კოლოფითა და შემდეგ კი ჩექმით, რ-
ომელსაც დაჭრილ ჯარისკაცს გააძრობს
(ეს დეტალიც მრავლისმეტყველია ზემ-
დეგის ბუნების გასაგებად). ზემდეგი

უფრო აქტიურია, მაგრამ სამაგიეროდ მას აკლია ის დიდი სუოიერი სიმტკიცე და სიკეთე, ადამიანის სიყვარულის მძლევამძლე გრძნობა, რომლითაც ჯარისკაცი გვიხილავს. ზემდეგი ინსტიტუტურად იბრძვის გადარჩენისათვის, მაგრამ მას სიცოცხლის მიზანი არა აქვს, ჯარისკაცი კი სწორედ ამ მიზნითაა ძლიერი. ეს ჯერ კიდევ არ ესმის ზემდეგს.

— „როგორ ქანაობს ეს ნაეი, ძილსა მგერის — წაილაპარაკა ჯარისკაცმა.

— დაიძინე... ვინ გიშლის, — დუმილის შემდეგ უთხრა ზემდეგმა.

— მეშინია, ვაითუ ვეღარ გავიღვიძო.

— ნუ გეშინია.

— მე არ მინდა ძილში მოგვედე... სიკვდილის წინ მინდა ვიფიქრო.

— მაინც რაზე გინდა იფიქრო? — ოდნავ დაყინვით შეეკითხა ზემდეგი.

— სიცოცხლეზე“.

ზემდეგს ყალბად ეძვენება ჯარისკაცის სიტყვები და მზადაა თუნუქის კოლოფი სთხლიშოს თავში, მაგრამ კოლოფის წყალში გადაეარდნის შიში დააკაუებს. ზემდეგისათვის სიცოცხლეს მხოლოდ თავისთავადი მნიშვნელობა აქვს, რაკილა ცოცხლობ. უნდა გადარჩენაზე იფიქრო, მაგრამ რისთვის უნდა ადამიანს სიცოცხლე, მარტო იმისათვის, რომ სხვას მიასწრო და რაღაც გამოსტაცო, თუ კიდევ არსებობს რაიმე ინტერესი და მიზნები ცხოვრებაში, ამაზე ის არ ჩაფიქრებულა. ახლა მოისმინა მან ჯარისკაცის გულწრფელი აღსარება და ისიც ყალბი ეგონა. ზემდეგს უბრალოდ უნდა გადარჩენა და არა იმისათვის, რომ სამშობლოსა და ადამიანების წინაშე მოუხდელი ვალის გრძნობა აწუხებს, ის არც კი აპირებს გადარჩენის შემთხვევაში ბრძოლის გაგრძელებას. აი აქ მკლავდება მთელი სიძლიერე ჯარისკაცისა, რომელიც ჩვენ ერთი შეხედვით ზემდეგზე სუსტი გვეჩვენება. ბოროტების დათრგუნვა უხეშ ძალას კი არ შეუძლია, არამედ მხოლოდ დიდსა და ნათელ გრძნობას, რომელიც უძლევებს ხდის ადამიანს და რომლის განსახიერებაც ამ მოთხრობაში ჯარისკაცია.

უცებ ზემდეგი საშინელმა ხმამ შეზა-

რა, ეგონა ჯარისკაცი ყვიროდა, მაგრამ ბოლოს მიხვდა, რომ იგი მღეროდა, — გაოცებული უსმენდა ზემდეგს, მღეროდა... ლი, კაცი გადაიქცა სმენად ზემდეგის მღეროდა... თან დაიწყო სიტყვების გარჩევა.

ჯარისკაცი მღეროდა ღიად დარჩენილ საფლავებზე, გარდაცვლილ ქალზე, რომლის სასიკვდილო სარეცელი პაერში გაწვილილი ორი მკლავი იყო... იგი მღეროდა მიწიდან ამოჩრილ ხელზე, რომელიც ცას ემუქრებოდა... მღეროდა ზღვაზე, რომელიც ადამიანებს იპარავდა... იგი შურისძიებაზე მღეროდა.

ზემდეგი მიხვდა, რომ ჯარისკაცი ამ სიმღერას ახლა სთხზავდა, გრძნობდა, რომ ეს სიმღერა აესებდა მას.

პო, ივსებოდა ერთი ჭურჭელი და მეორე — იცლებოდა“.

ასე იმარჯვებს ჯარისკაცი სიკვდილზე და მისი ნათელი სული სხვასაც ასხივსნებს. ცხოვრებაში ძლიერი იმორჩილებს სუსტს, შუქი აესებს ჩრდილს და ამიტომაც ადრე გულცივი ზემდეგი ახლა თვალზე ცრემლმორეული, ამღვრეული მზერით დაჰყურებს ჯარისკაცს, რომელიც მოკვდა, მაგრამ დასტოვა დიდი, ნათელი აზრი და მიზანი ცხოვრებისა.

„—მე ვიძიებ შურს ღიად დარჩენილი საფლავებისათვის, — წარმოთქვა ჩურჩულით ზემდეგმა, თითქოს ლოცულობდა“. მას არ ესმოდა კონკრეტული აზრი ამ სიტყვებისა, მაგრამ გრძნობდა, რომ მათში იყო მისი გადარჩენილი სიცოცხლის დედააზრი.

სხვანაირად აქვს გააზრებული არჩილ სულაკაურს სამამულო ომის თემაზე დაწერილი მეორე მოთხრობა „მტრედები“. აქ მწერალი ღრმა ლირიზმით ვადმოგვცემს ახალგაზრდობის განცდებსა და გრძნობებს ომის მძიმე წლებში. საერთოდ ლირიკული ნაკადი თანამედროვე ქართულ პროზაში მომძლავრდა. იმ მწერალთა შემოქმედებაში, ვინც პოეზიიდან მივიდა პროზაში, ბუნებრივია, ეს ნაკადი კიდევ უფრო საგრძნობი იქნება. სამამულო ომმა მთელი სისრულე

გურამ გვერდწითელი

არჩილ სულაკაურის მოთხრობები

ღით გამოავლინა ადამიანის, კეთილშობილური, ამაღლებული სული. არჩილ სულაკაური ამ მოთხრობაში უკვე აღარ უპირისპირებს მკვეთრად ერთმანეთს კეთილსა და ბოროტს, ამაღლებულსა და მდაბალს, ზნეობრივსა და უზნეოს. მართალია „მტრედებშიც“ შეხედება მკითხველი ქუჭყიანი სულის მქონე პერსონაჟს ვასიკოს, მაგრამ ეს მოთხრობა, შეიძლება ითქვას, მილიანად ადამიანის წმინდა და კეთილშობილური გრძნობების მხატვრულ ჩვენებას ეძღვნება. მწერალი დიდ ემოციურ ზემოქმედებას მკითხველზე აქ განწყობილების შექმნით აღწევს, ეს კი ჭეშმარიტი პოეტური თხრობის შედეგია მხოლოდ. სულ ოთხი კვირა დღის ცხოვრებაა აქ აღწერილი და მოთხრობაც ასეა დაყოფილი თავებად. ამ ოთხი კვირა დღის განმავლობაში ხვდებოდნენ ერთმანეთს ნანა და ლევანი, მაგრამ ამ მოკლე დროში ბევრი რამის თქმა შესძლეს, უფრო სწორად, ბევრს მიხედნენ. სულაკაურს საერთოდ არ უყვარს პირდაპირ არამც თუ თქმა, არამედ მინიშნებაც კი, მკითხველმა ბევრი რამ ჭკუტექსტიდან უნდა ამოიკითხოს, რითაც ასე მდიდარია ამ ახალგაზრდა მწერლის მოთხრობები.

ომის წლების მკაცრ პირობებში უხდებათ მოთხრობის გმირებს ცხოვრება. მამები ფრონტზე წასულან, ოჯახის მძიმე ტვირთი მათ დასწოლიათ, ამიტომაც დღე სკოლაში დადიან, ღამე ქარხანაში, კვირაობით კი სახლის სახურავზე მორიგეობენ საპაერო თავდასხმის მოლოდინში. ეს გუშინდელი ანცი და უდარდელი ბავშვები დღეს უკვე გულისხმიერებითა და ადამიანური სიყვარულით სავსე ახალგაზრდები არიან. მათი უსიტყვო დიალოგები თავისი სახლის სახურავიდან ქუჩის მეორე მხარეს გოსპიტლის ფანჯარაში გადმომდგარ დაჭრილებთან ნათლად გვაგრძნობინებს, თუ რაოდენ უბრალო და დიდებულია ჭეშმარიტი კუშმანურობა, რომელსაც ცხოვრების მკაცრი გამოცდა კიდევ უფრო აღრმავებს და ამტკიცებს. სვედიანია და ამასთანავე მიზნიდგელი თავისი უშუალოებითა და გრძნობათა სიწმინდით ნანასა და ლევა-

ნის გამოუთქმელი, გულთ შეცნობილი სიყვარული, მაგრამ მწერალს სჯერა რომ სვედა სიხარულმა უნდა შესცავლოს. ადამიანებს, რომლებსაც უკვე უნდა ერად შეუძლიათ სხვების სიყვარული, რომლებიც მზად არიან თავისი სულის სიბოლო სხვასაც გაუზიარონ, უთუოდ ვამარჯვება და ნათელი მომავალი ელათ. ამ იმედს, ოპტიმისტურ განწყობილებას არჩილ სულაკაურის მოთხრობის ფინალი გენერგავს — ომში წასული ლევანისა და მისი ძმის გადახვეწილი მტრედები უბრუნდებიან თავის ძველ, მიტოვებულ სვენს.

ჩვენ ზემოთ უკვე მოვიხსენიეთ ახალგაზრდა მწერლების ზემოქმედების ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება, ძირითადი ყურადღება არა იმდენად სიუჟეტური განვითარებისაკენაა მიმართული, რამდენადაც ადამიანის სულის მოძრაობის მხატვრული ფიქსაციისაკენ. ამ ტენდენციის მხატვრულ გამოხატულებას წარმოადგენს ის მოთხრობებიც, რომლებშიც ლირიკული ნაკადი სუბარბობს ეპიკურს და თანამედროვე ადამიანის შინაგანი სამყარო უფრო პოეტური თვალთაა დანახული და ვახსნილი. ჩვენის აზრით, ასეთ მოთხრობათა რიცხვს მიეკუთვნება არჩილ სულაკაურის „მტრედები“, „გაბო“, „ბიჭი და ძაღლი“, „წყალდიდობა“, „ზევით და ქვივით“. ამ მოთხრობებში აშკარად შემოწნევა ავტორის ღრმა ემოციური განცდა თავისი გმირების მდგომარეობისა და სულიერი მღვლეარებისა. მოთხრობაში „გაბო“ მწერალი გვიყვება ცხოვრების გრძელ გზაზე შემოზამთრებულ ადამიანის ერთგვარად სვედიან ისტორიას. მოხუცი პენსიონერი, ყოფილი მემანქანე გაბო, რომელსაც თავისი ცხოვრება რკინიგზაზე გაუტარებია და გაქროლებული ორთქლმავლის პატარა სარკმლიდან დაუნახავს დიდი ცხოვრება, ახლა ისვენებს, თუმცა ძნელია მისი დაუდევარი სული-სათვის ამ მოსვენების ატანა. ბოლო ხანს მას ეჩვენება კიდევ, რომ ღამე დგანდგარით ჩაქროლებულ მატარებელში უხმობენ: გა-ბო, გა-ბო, გაბრიველ... მწერალი დიდი სიბოლოთი მო-



ვეითხრობს, თუ როგორ იკრიბებიან პენსიის მიღების დღეს ძველი მემანქანეები, სიყვარულით იგონებენ თავის შრომას და უძილობით საესე გარდასულ დღეებს და იმ მანქანებსაც, რომლებზეც გაატარეს თავისი ცხოვრება და რომლებიდანაც დაინახეს ეს დიდი ქვეყანა. მოხუციები თავს იმით ინუგეშებენ, რომ თვითონ თუ დაბერდნენ, ორთქლმავლები მაინც დაუტოვებს ახალგაზრდობას. ის კი არ იციან, ან უფრო სწორად, არ უნდათ გაიგონ, რომ ორთქლმავლებიც დაბერებულან მათთან ერთად და ახლა სხვა ლოკომოტივები დაჭრიან მათ მიერ გათვლილ უგზებზე. მაგრამ ეს კიდევ არააფერი. მოხუცი გაბოს ცხოვრების ისტორიას სვედიანს უფრო ისა ხდის, რომ მარტო დარჩენილა ოჯახში, ერთი შვილიშვილია შერბენია — გუგუტა, რომელიც სოფელში ცხოვრობს. მთელმა უბანმა, მეგობრებმა და ნაცნობებმა იციან, თუ როგორ ელის მოხუცი თავის გოგონას. ლამაზსა და ცქრიალა გუგუტას, რომელსაც პენსიის ნახევარს უგზავნის. შვილიშვილთან შეხვედრის ოცნება ავსებს ახლა მოხუცის ცხოვრებას. ერთ დღეს მოულოდნელად მოადგება მას გუგუტა, რომელიც ცქრიალა გოგონა კი არა, ქმარშვილიანი ქალი გამბდარა უკვე, და პაპას კი უმალავდა იმის შიშით, ვაი თუ ფულის გამოგზავნა შემწყვეტოსო. ახლაც იმიტომ მოვიდა პაპასთან, რომ ქალაქში საყიდლები მოითავოს და თუკი რამ ზედმეტი შერჩენია მოხუცს, საბანი იქნება თუ ჭურჭელი, თან გაიყილოს. მოხუცს შერცხვება და ყველას დაუმალავს, რომ ეს მისი შვილიშვილი იყო. იგი ლამაზსა და ცქრიალა გუგუტაზე ოცნებით აგრძელებს ცხოვრებას. ძნელი არ არის დავინახოთ ამ მოთხრობაში, რომელიც ქვეშაირი მხატვრული გეგმონებით არის აღბეჭდილი, ადამიანის დიდი სიყვარული და იმის წუხილიც, რომ ზოგჯერ ცხოვრების ყოფით წერილმანებზე ფიქრში ჩვენ გვიჩვენებდება და გვაიწვევება კაცთსიყვარულის ყველაზე მაღალი და კეთილშობილი გრძნობა.

ასეთი ხასიათის მოთხრობები უთუოდ დიდი ემოციურობითაა აღბეჭდილი და

მათ საკმაო მნიშვნელობა ენიჭებად. ანაწილად ლიტერატურაში. მაგრამ, მარტო ამით გატაცებაც, რაც ზოგჯერ ახალგაზრდა მწერლის შემოქმედებაში შეიმჩნევა, უთუოდ ცალმხრივობა იქნებოდა. ამასთანავე, როცა მწერალს მხატვრული ზომიერებისა და ტაქტის გრძნობა ღალატობს, ასეთი ლირიკულობა ერთგვარი სენტიმენტალურობის დაღსაც ასევეს ნაწარმოებს.

არჩილ სულაკაურის სწრაფა ადამიანის შინაგანი სამყაროს სიღრმეების წვდომისა მარტო ასეთი ლირიკული მოთხრობებით როდი გამოიხატება. მას განსაკუთრებით იზიდავს ადამიანის სულის მძრაობა, ღელვა და განცდები დიდ, მწვავე ცხოვრებისეულ მოვლენებთან დაკავშირებით და ამით სულაკაური უთუოდ გააოიჩნევა თანამედროვე ქართველ ახალგაზრდა პროზაიკოსებში. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა მწერლის მოთხრობები „აბელის დაბრუნება“ და „ძველი ამბავი“.

არჩილ სულაკაურმა თავის მოთხრობებში ჩვენი ცხოვრების ყველაზე მძიმე, ტრაგიზმით საესე მოვლენის მხატვრული გახსნა და გააზრება სცადა. ამ განცდითაა დაწერილი „აბელის დაბრუნება“ და „ძველი ამბავი“. აბელის ხვედრი ბერი პატოსანი ადამიანის ცხოვრების ისტორიას გვახსენებს. თვრამეტი წელიწადი ატარა აბელმა სამშობლოს მოღალატის სახელი, მაგრამ იგი მაინც შეესწრო სიმართლის ზეიმს და ახლა უბრუნდება თავის ოჯახს, უბრუნდება იმისათვის, რომ გაუბედურებული და გაპარტახებული, კვლავ ფესზე დააყენოს.

აბელის ცხოვრების ისტორია თავისთავადაც მრავლის მეტყველია, მაგრამ ამის ემატება მწერლის ოსტატობა, რაც აბელის სულიერი მღიღვარებისა და განცდების ღრმა გახსნაში ვლინდება და ყოველივე ეს მოთხრობას დიდი ემოციური ზემოქმედების ძალას ანიჭებს. არჩილ სულაკაური ძირითადად ამ მოთხ-

გურამ გვარდწითელი
არჩილ სულაკაურის მოთხრობები



რობაშიც თავისი შემოქმედებითი თავისებურების ერთგული რჩება. იგი იმდენად არ გვიყვება, თუ რა გადახდა აბელს თავს ტყვეობაში გატარებულ თვრამეტი წლის მანძილზე, რამდენადაც გვაგრძნობინებს ამას გმირის განცდებით. დიდი მხატვრული მიგნებითაა დაწერილი აბელისა და მისი სულის კუნძულში დაბუდებული რაღაც უსახოსა და უპიროს ხმამაღლა წარმოუთქმელი დიალოგი. ამ უსიტყვო დიალოგში მკითხველს თვალწინ ცოცხლად წარმოუდგება გრძელი და საშინელი სურათი იმისა, თუ როგორ დიდხანს და დაბეჯითებით ცდილობდნენ მართალი აბელის არა უბრალოდ ფიზიკურ, არამედ სულიერ გატეხვასა და განადგურებას. მაგრამ სიმართლემ გაიმარჯვა და აბელი უბრუნდება ოჯახს, საზოგადოებას. აბელის დაბრუნებას მწერალი უფრო სწორხაზოვნად, ამზის განვითარებით მოგვიხსრობს და ამით ერთგვარად დალატობს თავის შემოქმედებით სტილს. თუ მოთხრობის პირველ

ნაწილში, სადაც აბელი თავისეულად იმბას იგონებს, უხვად არის გამოყენებული აზრის მქონე მინიმუმები და ტექსტისტი. შემდეგ ამას ამზის, მართალია მხატვრული. მაგრამ მაინც უბრალო თხრობა ცვლის.

კრიტიკოსი რვეაზ თვარაძე თავის მრავალმხრივ საყურადღებო წერილში ქართული ახალგაზრდა პროზაიკოსების შესახებ (იხ. სტ. „Понски и находки“ ქურნალში „Дружба народов“, № 4, 1962) ხაზს უსვამს იმ უცილობელ გარემოებას, რომ ახალგაზრდა მწერლები თავის შემოქმედებაში დიდი ფილოსოფიური ფსიქოლოგიური თუ ზოგად-ეთიკური პრობლემის დასმასა და მხატვრულ გადაწყვეტას ცდილობენ. არჩილ სულაკაურის მოთხრობები ერთ-ერთი საფუძვლიანი საბუთია ახალგაზრდა პროზაიკოსების შემოქმედებაში ამ დიდი პრობლემებით დაინტერესებისა და უნდა გივარაუდოთ, რომ მწერალი მომავალში მართლაც ბევრს გააკეთებს ამ მხრივ.



პროკოზი რაზიანი

ილია ჰავაკავამ და გლეხთა განთავისუფლების
პრობლემა

წიგნილი კიბველი

დაახლოებით ასი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საიდუმლოებით მოცულ ვითარებაში დაიწერა ერთი მეტისმეტად საინტერესო და დიდმნიშვნელოვანი ისტორიული დოკუმენტი, რომელიც ჩვენს საისტორიო ლიტერატურაში ცნობილია შემოკლებული სათაურით: „კრიტიკული შენიშვნები საგლეხო რეფორმის დებულების პროექტზე“¹. ეს დოკუმენტი ანონიმურად ყოფილა წარდგენილი ამიერკავკასიის ცენტრალურ საგლეხო კომიტეტში 1864 წლის 6 მაისს და, როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს, უაღრესად მწვავე კამათის საგანიც გამხდარა ხსენებული კომიტეტის ერთ-ერთ სხდომაზე, სადაც მას მეფის მთავრობის მოხელეებისა და ქართველი თავადაზნაურობის ცნობილი წარმომადგენლების გულისწყრომა გამოუწვევია.

თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში ჩვენმა საზოგადოებრიობამ ამ დოკუმენტის არსებობაც კი არ იცოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ისტორიკოსმა სიმ. ავალიანმა მას არქივის მტკვრი

მოაცილა და ზოგაერთი მისი დებულება საზოგადოებას გააცნო (1912 წ.), „კრიტიკულმა შენიშვნებმა“ საქართველოს ისტორიის მკვლევართა და საერთოდ ქართველი ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენელთა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო. დოკუმენტის ისტორიულ მნიშვნელობასა და უფრო კი მისი ავტორის ეინაობაზე დაიწყო მწვავე და ხანგრძლივი კამათი, რაც აგერ უკვე ორმოცდაათი წელია გრძელდება.

თუ გავითვალისწინებთ, ერთი მხრივ, იმ უაღრესად დაძაბულ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას და ამჯერა რევოლუციურ სიტუაციას, რომელიც „კრიტიკული შენიშვნების“ დაწერის დროს საქართველოში არსებობდა, ხოლო, მეორე მხრივ, სხვადასხვა კლასებისა და პარტიების გააფთრებულ ბრძოლას ფეოდალური წყობილების ნაშთების მოსასპობად პირველი რევოლუციის ეპოქაში და მის შემდეგაც, საესებით გასაგები გახდება ქართველი საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი ზემოთხსენებული დოკუმენტისა და მისი ავტორისადმი.

ისტორიკოსები და პუბლიცისტები დაობდნენ არსებითად ორ საკითხზე: 1) ვინ არის ავტორი „კრიტიკული შენიშვნებისა საგლეხო რეფორმის დებულების პროექტზე“; და 2) როგორი შეფასება უნდა მიეცეს ამ დოკუმ-

¹ დოკუმენტი დაწერილია რუსულ ენაზე; სრული სათაური: «Критические замечания по параграфам предварительного проекта местного положения о земельном устройстве крестьян подворных на помещичьих землях в Тифлисской губернии» (ესა, განსა. საქმეთა ფონდი, საქმე 123, ფურც. 171—216).

მენტს, — რადიკალურია (ე. ი. გლეხობის ინტერესების გამოხატველია) იგი, თუ არა?

სამწუხაროდ, არც ერთ ამ კითხვაზე დღემდე საბოლოო პასუხი ვაცემული არ არის, თუმცა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მოკამათებმა მათ შესახებ ფრიად საინტერესო მეცნიერული მოსაზრებანი გამოთქვეს და კამათის საგანიც სწორად განსაზღვრეს.

ევიკრობთ, ქართული საისტორიო მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონე უკვე იძლევა საშუალებას დასაბუთებული პასუხი გავცეთ ზემოთხსენებულ საინტერესო კითხვებზე და ამით დავამთავროთ კიდევ ხანგრძლივი ისტორიული დავა.

წინამდებარე ნაშრომი ამ ამოცანის გაღწევის ერთ-ერთი ცდაა.

1. კამათის მოკლე ისტორია

1912 წელს ოდესაში გამოვიდა პირველი ტომი ისტორიკოს ს. ავლიანის კაპიტალური ნაშრომისა «Крестьянский вопрос в Закавказье», რომელშიც დაწვრილებით არის გადმოცემული ობიექტისა და ქუთაისის გუბერნიებში საგლეხო რეფორმის მომზადება-გატარების ისტორია. სწორედ ამ ნაშრომით გაცნო პირველად ჩვენი საზოგადოებრიობა „კრიტიკული შენიშვნების“ ზოგიერთ პარტიად დებულებას: სამწუხაროდ, ამავე ნაშრომმა მისცა დასაბამი სერიოზულ გაუგებრობებს, რამაც შემდგომში მეტისმეტად გააძნელა ამ დიდშენიშვნელოვანი დოკუმენტის მეცნიერული შეფასება.

ს. ავლიანი დეტალურად ახასიათებდა თავდაზნაურთა სხვადასხვა ჯგუფების პოზიციას, საქმოდ ვრცლად აცნობს მკითხველს გლეხთა განთავისუფლების დებულების პროექტზე გამართული კამათის შინაარსს და განსაკუთრებით ჩერდება „თავად ქვეყნადის ბარათზე“, რომელიც, მისი სიტყვით, „მკვეთრ დისონანსად ქღერს შემამულეთა გუნდის საერთო გალობაში“.

ვინ არის ეს „თავადი ქვეყნადი“ ან რა ბარათზეა ლაპარაკი?

პირველ კითხვაზე ავტორი ქვეყნადი არ გვაძლევს, რადგან, როგორც ვამოიხრევა, მან თვითონაც არ იცოდა, ვინ იყო „თავადი ქვეყნადი“. რაც შეეხება მეორე კითხვას, ს. ავლიანის მსჯელობა აქაც არაა დამამყარებელი და საპირობეს განმარტებას.

საქმე ისაა, რომ ს. ავლიანი ანალიზებს და მსჯელობს არა ერთ, არამედ ორ სხვადასხვა დოკუმენტზე, რომელთაგან ერთი ჩვენს მიერ ზემოთ უკვე არაერთხელ ხსენებული „კრიტიკული შენიშვნებია“, ხოლო მეორე ე. წ. „საერთო შენიშვნები“, რომელშიც იმავე საგლეხო რეფორმის დებულების პროექტის საქმოდ გაბედული კრიტიკა მოცემულია. ეს დოკუმენტები, როგორც ქვემოთ დავინახავთ, თავისი შინაარსით ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდება, მაგრამ ს. ავლიანმა ეს განსხვავება ვერ შენიშნა და ორი სრულიად სხვადასხვა შინაარსის დოკუმენტი ერთ დოკუმენტად, — „თავად ქვეყნადის ბარათად“, — მიიჩნია.

ორი სხვადასხვა დოკუმენტის ასეთი თვითნებური გაერთიანების რა საფუძველი გააჩნდა ავტორს? ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, რამ შეიქვანა ჩვენი გამოჩენილი ისტორიკოსი შეცდომაში?

ამის გასაგებად საქირთა მკითხველმა გაითვალისწინოს შემდეგი მომენტები: 1) ზემოთხსენებული დოკუმენტები, — „კრიტიკული შენიშვნებიცა“ და „საერთო შენიშვნებიც“, — წარდგენილია ამიერკავკასიის ცენტრალურ საგლეხო კომიტეტში ერთსა და იმავე დროს, სახელდობრ, 1864 წლის 6 მაისს;

1 ამ დოკუმენტის სრული სათაური ასეთია: «Общере критические замечания по предварительному проекту местного положения о поземельном устройстве крестьян, возвращенных на помещичьих землях в Тифлиской губернии» (ესსა, ვანს. საქმ. ფონდი, საქ. 123, ფურც. 217—240).

2 ს. ავლიანის წიგნში მათი წარდგენის თარიღად შევტომით აღნიშნულია „4 მაისი“.

2) ორივე დოკუმენტი არქივში დაცულია ასლების სახით, რომლებიც ერთი და იმავე გადამწერის ხელით არის გადაწერილი; 3) ორივე დოკუმენტს ბოლოში დართული აქვს ერთნაირი მინაწერი: „სწორია, თავადი ნ. ჭავჭავაძე“. გარდა ამისა, დოკუმენტები შინაარსითაც გარეგნულად ძალიან ჰგავს ერთმანეთს. რაკი ორივე დოკუმენტი ერთსა და იმავე დროს იყო საგლეხო კომიტეტში წარდგენილი, ერთი ხელითაც გადაწერილი და ბოლოშიც ორთავეს ჭავჭავაძის გვარი ჰქონდა მიწერილი, ამასთან შინაარსითაც წააგავდა ერთმანეთს, — ს. ავალიანმა იტყობს, რომ საქმე აქვს არა ორ, არამედ არსებითად ერთ დოკუმენტთან, რომელიც ერთსა და იმავე ავტორს, სახელდობრ, რომელიც „თავად ჭავჭავაძეს“ ეკუთვნის.

აქედან ცხადია, რომ ს. ავალიანმა, რომელმაც პირველმა გამოამხეურა დიდმნიშვნელოვანი ისტორიული დოკუმენტი — „კრიტიკული შენიშვნები საგლეხო რეფორმის პროექტზე“, — არათუ ვერ შესძლო მისი შინაარსის მეცნიერული ანალიზი და, მასმასადამე, მისი მნიშვნელობის სათანადოდ დაფასება, არამედ ვერც კი შენიშნა, რომ ეს დოკუმენტი არსებითად განსხვავდებოდა და განუზომლად მალა იდგა საგლეხო კომიტეტში წარდგენილ ყველა დანარჩენ დოკუმენტზე და მათ შორის ზემოთხსენებულ „საერთო შენიშვნებზე“.

მოუხედავად ამისა, ს. ავალიანის ნაშრომში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ქართველი ინტელიგენციის ფართო წრეებზე, რადგან ის მცირე ცნობებიც კი, რაც მან სხენებულ დოკუმენტზე გამოაქვეყნა, საფუძველს იძლეოდა, რომ მკითხველს ანონიმი ავტორის სახით დაენახა ბატონყმობის წინააღმდეგ შეუდრგველი მებრძოლი-დემოკრატი. ამიტომ ბუნებრივია, რომ ქართველმა საზოგადოებრიობამ მაშინვე თვალი მიაპყრო თავის სასიქადულო მწერალს და მოაზროვნეს ილია ჭავჭავაძეს. როგორც იმდროინდელი ქურნალ-გაზეთებიდან ჩანს, საზოგადოების მეტო ნაწილი სავ-

სებით დარწმუნებული იყო, რომ „კრიტიკული შენიშვნების“ ავტორი შეიძლებოდა სხვა ვინმე ყოფილიყო თუ არა ილია ჭავჭავაძე. „ერთადერთი მებატონეთაგანი, რომელიც მთელ თავდაზნაურობას და ცენტრალურ კომიტეტს ოპოზიციისაში უდგა, რომელიც მედგრათა და სავსებით იცავდა გლეხთა ინტერესს (ეხს) — იყო ილია ჭავჭავაძე... ილია ჭავჭავაძე ერთადერთი კაცი იყო, რომელმაც მედგარი იერიში მიიტანა ცენტრალურ კომიტეტზე და თავის წოდებაზე, მან უშეშრად აღიარა, რომ გლეხების განთავისუფლება უმიწაწყლოთ უნაყოფოა და არასასურველი“.

ასე წერდა 1913 წელს გაზეთ „იბერეთის“ ფურცლებზე ს. ავალიანის წიგნის ერთ-ერთი რეცენზენტი, რომელსაც სრულიადაც არ მიაჩნდა სადაჯოდ, რომ სარეცენზიო წიგნში მოხსენიებული „თავადი ჭავჭავაძე“ სწორედ ილია ჭავჭავაძეა ეჭვს გაურეშა, რომ ამ თვალსაზრისში იმდროინდელი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის საერთო რწმენაა გამოხატული, მაგრამ, ცხადია, იყვნენ საწინააღმდეგო თვალსაზრისის მომხრენიც.

საზოგადოების იმ მცირე ნაწილის თვალსაზრისი, რომელსაც ილია რეაქციონერად მიაჩნდა და ფიქრობდა, რომ ის არ შეიძლებოდა ყოფილიყო ს. ავალიანის ნაშრომში მოხსენიებული დოკუმენტის ავტორი, განსაკუთრებით ბევვთრად გამოხატა სოციალ-დემოკრატიული მიმართულების პუბლიცისტმა პ. გელეიშვილმა, რომელმაც დიდი შრომა და ენერჯია დახარჯა იმისათვის, რომ საზოგადოების წინაშე დაემცირებინა ი. ჭავჭავაძისა და საერთოდ თერგდალეულების როლი. პ. გელეიშვილმა

პროკოფი რატკიანი
ილია ჭავჭავაძე და გლეხთა
განთავისუფლების პრობლემა

ჯერ კიდევ 1913 წელს დაიწყო ლექციების კითხვა თემაზე „ილია ქავჭავაძე, როგორც მხატვარი და პუბლიცისტი“. ამ ლექციებით მან თითქმის მთელი საქართველო შემოიარა და დიდი გულმოდგინებით ცდილობდა ჩაეგონებინა მსმენელთათვის თითქოს ი. ქავჭავაძე როგორც მხატვარიც და როგორც პუბლიცისტიც რეაქციონერი. მონარქისტი და ხალხის მოღალატე იყო. ასეთი უხამსი აზრები, რა თქმა უნდა ყველგან ხალხის აღშფოთებას და გულისწყრომას იწვევდა მაგრამ ლექტორი და მისი ხელშემწყობი პირები სიმნელეებს არ უშინდებოდნენ და იშვიათი ენერგიით განაგრძობდნენ თავიანთ უმადურ საქმეს. 1914 წელს გაზეთ „აზრი“ დაბეჭდილ წერილებში პ. გელეიშვილი დიდი ქებით იხსენიებდა თავის „თავდადებულ მოღვაწეობას“. მაგრამ თვითონვე აღიარებდა, რომ ხალხი მას არსად არ თანაუგრძნობდა. „აგერ ათი თვეა, რაც ილია ქავჭავაძეზე ლექციას ვკითხულობ, — წერდა ის ერთ-ერთ წერილში. — წავეითებ თითქმის მთელ საქართველოს დაბა-ქალაქებში და მრავალ სოფლებშიც. მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩემი გინების მეტი არაფერი გამიგონია ჩემს მოწინააღმდეგეთაგან“¹.

განსაკუთრებით მწვავე შეტაკება ლექტორსა და მის მსმენელებს შორის მომხდარა 1914 წლის 27 აპრილს ქუთაისის თეატრში, სადაც უკიდურესად აღშფოთებულ საზოგადოებას ლექცია ჩაუშლია, ხოლო ლექტორი დარბაზიდან გაუძევებია. ამ ინციდენტს მეტის-მეტად გაუწვევებია ურთიერთობა სხვადასხვა პარტიებს შორის, რასაც შედეგად მოჰყოლია უაღრესად შკაცრი, თითქმის თავშეუყავებელი პოლემიკა იმდროინდელ პრესაში. ვინც გადაათვალიერებს 1914 წლის ქართულ გაზეთებს („თემი“, „აზრი“, „იმერეთი“, „ჩვენი ერი“, „კლდე“, „სახალხო გაზეთი“ და სხვ.) — ის თვალნათლივ დარწმუნდება თუ რა

გაუგონარ სიმწვავეს მიაღწია ილია ქავჭავაძის ილიას შესახებ.

ამჟამად, ცხადია არაერთაქტიურების არ წარმოადგენს გამომწვევას წრეგადასული პოლემიკის მთელი შინაარსი. ამიტომ გაცივრით შევხებით მხოლოდ ზოგიერთ წერილს, რომლებიც უმთავრესად გაზეთ „თემის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა და რომელთა გაცნობა აუცილებლად მიგვაჩნია ჩვენთვის საინტერესო საკითხის ისტორიისათვის. როგორც ცნობილია, „თემი“ არ იყო რომელიმე პარტიის ორგანო და მისი რედაქცია ცდილობდა სხვა გაზეთებთან შედარებით უფრო ზომიერი, ობიექტური და ნეიტრალური პოზიცია დაეკრიბა. გარდა ამისა, „თემი“ თითქმის ერთადერთი გაზეთი იყო, რომელიც არ დაკმაყოფილდა პ. გელეიშვილის შეხედულებათა უბრალო უარყოფით და სცადა ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით დაესაბუთებინა მისი უხამსი აზრების სრული უნიადაგობა. ამიტომ „თემის“ პოზიცია ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა.

ჯერ კიდევ 1914 წლის დასაწყისში „თემი“ დაიბეჭდა საინტერესო წერილი „ილიას სოციალური აზრებულება“ (პ. გელეიშვილის ლექცია)¹. რომელიც ამ გაზეთის რედაქტორ-გამომცემლის გრიგოლ დიასამიძისა და ერთი მისი თანამშრომლის კალამს ეკუთვნოდა. წერილის ავტორები ზომიერი, თავდაპირველი ტონით გადმოგვემდინენ გელეიშვილის ლექციის მოკლე შინაარსს. შემდეგ კი საკმაოდ მორიდებულად აკრიტიკებდნენ ლექტორს, რომლის უკიდურეს შეხედულებებს ისინი არ ეთანხმებოდნენ. მიუხედავად წერილის მორიდებელი ტონისა, მასში მაინც გარკვევით ჩანდა, რომ მისი ავტორების პოზიცია არსებითად და პრინციპულად განსხვავდებოდა პ. გელეიშვილის თვალსაზრისისაგან. „ჩვენი აზრით, — აცხადებდნენ წერილის ავტორები — ლექტორის მტკიცება რომ ილია გლეხების მიწით განთავისუფლების წინააღმდეგი იყო დაუმტკიცებელი დარჩა“. ძნელი

¹ გაზეთი „აზრი“, 1914 წ. № 67 (3 ივნისი)

¹ გაზეთი „თემი“, 1914 წ. 3 თებერვალი.



შესამჩნევი არ არის რომ ამ განცხადებით ისინი საფუძველს აქლდნენ პ. გელეიშვილის მთელ კონცეფციას.

რაც შეეხება საკითხს, თუ ვის ეკუთვნოდა ს. ავალიანის წიგნში მოხსენებული დიდმნიშვნელოვანი ისტორიული დოკუმენტი, ამაზე წერილის ავტორები შემდეგნაირად მსჯელობდნენ: „სხვათა შორის მომხსენებელმა (პ. გელეიშვილმა) სთქვა, რომ ს. ავალიანის ყოვლადსაყურადღებო რუსულად დაწერილ გამოკვლევაში არ მოიპოვება ილიას აზრობა. ჩვენ გავსინჯეთ გულდასმით ეს შემოხსენებული წიგნი და შევნიშნეთ 348-ე გვერდზე შემდეგი ადგილი: აქ ს. ავალიანი ამბობს, რომ უნდა ყურადღება მიექცეს თავ. ჰავეჟაძის 4 მაისის 1864 წ. შესანიშნავ წერილს, რომელშიაც ჰავეჟაძე უარპყოფს მთავრობის პროექტს და ამბობს, რომ გლეხთა განთავისუფლების საკითხი ისე უნდა გადაწყდეს, რომ ორივე წოდება სრულყოფილ დამოუკიდებელი უნდა იყვნენ როგორც პირად, ისე ქონებრივ ურთიერთობის მხრივ. ამ წერილს თავ. ჰავეჟაძისას ს. ავალიანი სთვლის რადიკალურად.“

ეს წერილი ჩვენ ილიასი გვეგონია, რადგანაც იმ დროინდელი სხვა ჰავეჟაძე „რადიკალი“ არაეინ გვეგულება. ამიტომ დეპეშით შევეკითხეთ ამ დღეებში ოდესაში მყოფ პატივცემულ მკვლევარს. პრივატ-დოცენტს ს. ავალიანს და მივიღეთ პასუხად, რომ „ჰავეჟაძის სახელი დოკუმენტში აღნიშნული არ არის“. ჩვენი აზრით, სწორედ ეს გარემოება უნდა გამოვიყვილით.

ვინ უნდა ყოფილიყო მთავრობის პროექტის ამ „შესანიშნავი კრიტიკის“ ავტორი: ილია თუ ვინმე სხვა ჰავეჟაძე?”

ასე ფრთხილად და თავდაპირვით მსჯელობდა „თემი“ 1914 წლის დასაწყისში. მაგრამ მალე ქართულ პრესაში ისე გამწვავდა კამათი ილია ჰავეჟაძეზე, რომ ზომიერი „თემიც“ კი იძულებული გახდა შეეცვალა ტონი და კამათშიც უფრო ენერგიულად ჩაბმულიყო.

ამ მხრივ დამახასიათებელია ამ გაზე-

თის 12 მაისის ნომერში დაბეჭდილი სარედაქციო წერილი, რომელშიც ნათქვამია: „საშინელ დროსა ვცხოვრობთ მართლაც, წარმოიდგინეთ, თქვენს პარაკვებით ორ მოჩხუბარ ადამიანს, გსურთ გააზავოთ, ამ დროს კი მადლობის მაგიერ გესმით — ორივე მხრიდან ლანძღვა-თრევა... პ. გელეიშვილის ლექციამ და გამართულმა ობსტრუქციამ საშინლად გააწვავა განწყობილება ორ მიმართულებათა შორის. ახლა ადარავის ინდობენ: არც საზოგადო მოღვაწეებს და არც მოხარდ თაობას. სათაყვანებელ და საამაყო პირებს ებებთან, ტალახში სვრიან, რომ ამ საშუალებით მოპირდაპირე ჯგუფს უსიაპოვნება მიაყენონ როგორმე. ინკვიზიტორულის ნიჭით ეძებენ უფრო მტკივან ადგილებს, რომ მახვილი უფრო ძლიერად ჩასცენ ერთმანეთს.“

თუ ვის გულისხმობდა გაზეთის რედაქცია „ინკვიზიტორული ნიჭით“ დაჯილდოებულთა შორის, ეს ჩანს იმავე გაზეთის 26 მაისის ნომერში მოთავსებული წერილიდან „ერთი უღირსი გამოლაშქრების გამო“, რომელიც გრიგოლ დიასამიძის კალამს ეკუთვნის. ამ წერილში ავტორი პირდაპირ ამბობს: „პ. გელეიშვილის წერილი, რომელიც ამასწინად „აზრში“ დაიბეჭდა მოპირდაპირეების მიმართ მე მიმანია წმინდა ინკვიზიტორულის ნიჭით დაწერილ პამფლეტად. ასეთივე პამფლეტა ან უფრო უარესი, პასკილი პ. გელეიშვილის „მეგობრის“ წერილი... „ახალ ფიქრში“.“

მკითხველი ამ მცირე ამონაწერებიდანაც ადვილად წარმოიდგენს იმდროინდელ ვითარებას და პრესის ფერცულებზე გამართული პოლემიკის ხასიათს. მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, გაზეთი „თემი“ არ დაკმაყოფილდა პ. გელეიშვილის თვალსაზრისის უბრალო უარყოფით და მის წინააღმდეგ მოიშველია ფაქტები და არგუმენტები. ამ მხრივ

პროყოფი რატინაი

ილია ჰავეჟაძე და გლეხთა განთავისუფლების პრობლემა



განსაკუთრებით საინტერესოა ვაზეთის 2 იენისის ნომერში დაბეჭდილი ვრცელი სარედაქციო წერილი, რომლის სათაურია „გლეხთა განთავისუფლების საქმე და ილია ჭავჭავაძე“. ვავეცნოთ ამ საინტერესო წერილის შინაარსს.

წერილის დასაწყისში ავტორები ეხებიან პ. გელეიშვილთან თავიანთი კამათის ისტორიას და განსაზღვრავენ საკამათო საგანს. ისინი წერენ: „პ. გელეიშვილის ლექციის გამო დაწერილ წერილში ილიას სოციალური შეხედულება“ („თემი“ № 161) ჩვენ ვამბობდით: „ლექტორის მტკიცება, რომ ილია გლეხების მიწით განთავისუფლების წინააღმდეგი იყო, დაუმტკიცებელი დარჩა“. როცა ამ სტრიქონებს ვწვრიდით, ჩვენ ძალიან კარგად ვიცოდით, რომ ამას არ გვაპატივებდა არც პ. გელეიშვილი, არც მისი „მეგობარი“... პ. გელეიშვილს ძალიან კარგად ესმოდა, თუ რომ დავამტკიცეთ ილიას გლეხთა მიწით განთავისუფლების მომხრეობა, მაშინ მის შეხედულებას და ლექციას გამოვაცლიდით დედა-ბოძს, მაშინ მთელ მის შენობასაც დანგრევა მოელოდა, ამიტომაც ვაგვირისხდა...“

ამის შემდეგ ავტორები დაწვრილვებით იხილავენ მოპირდაპირე მხარის თვალსაზრისს და ცდილობენ საბუთებით გააქარწყლონ გელეიშვილის მიერ ხელოვნურად შეკონსტრუირებული კონცეფცია. წერილის ავტორები ურყევად ღვანან იმ აზრზე, რომ „კრიტიკული შენიშვნების“ დამწერი არის სწორედ ილია ჭავჭავაძე და არა სხვა ვინმე. ისინი კატეგორიულად უარყოფენ გელეიშვილის მტკიცებას. თითქოს ილია ჭავჭავაძის აზრები გლეხთა განთავისუფლების პირობებზე ემთხვევა თელავის მაზრის თავადაზნაურთა იმ ცხრა წარმომადგენლის აზრებს, რომლებიც მოხსენებელი არიან დიმ. ყიფიანის მიერ შედგენილ ცნობილ დოკუმენტში „შეკრება ოც და ერთის აზრისა ორას ორმოცთა საქართველოს მებატონეთა წარმომთმელისა ბატონ-ყმობაზედ“. ამ დოკუმენტის მიხედვით, როგორც ცნობილია თელავის მაზრის რეაქციონერ

თავადაზნაურთა ერთი **ჯგუფი** პირი, რომელთა შორის ვინმე ილია ჭავჭავაძეცაა“ მოხსენებელს მომხრე იყო გლეხთა განთავისუფლების უადრესად კაბალური პირობებისა.

„ეინ არის ეს „ენიაზ ილია ჭავჭავაძე“, — კითხულობენ ავტორები, — როდის და სად უწერია ხელი ასეთ აზრებზე, ან სად ულაპარაკნია ამგვარი რამ, ყველა ამაზე პასუხია საქირო... „შეკრების“ შემდგენელს (ლაპარაკია დიმ. ყიფიანზე, — პ. რ.) მხოლოდ მაშინ დადევრება, როცა ცალკე პირთა საკუთარი (პირადი) აზრი მოჰყავს, როგორც, მაგ. გენერალ კონსტანტინე მამაცაშვილისა, ხოლო, საცა კოლექტიური საერთო აზრი აქვს მოყვანილი აქ ის არ დაემებს. მართლა ყველა მისგან დასახელებული პირი (რიცხვით ზოგჯერ ორმოცზე მეტი) იზიარებს მას თუ არა. მისთვის ასეთ შემთხვევაში არც დოკუმენტია საქირო არც წერილობითი და არც ზეპარი თანხმობა, მას ჰგონია რომ ამდენი და ამდენი პირი ამადა ამ აზრის თანახმანი არიან, ან თუ თანახმა არა, წინააღმდეგი მაინც არ იქნებიანო. ვერაფერს დაიჯერებს, რომ ეს „ენიაზი ილია ჭავჭავაძე“ ჩვენი ცნობილი მოღვაწე და მწერალი იყოს. ეს ილია რომ ყოფილიყო, თვით მისი სახელის პირდაპირ მიწერილი იქნებოდა მისი აზრიც. მოხსენებელი ი. ჭავჭავაძე ან სხვა ვინმე ილია ჭავჭავაძე (იყვნენ და არიან ჭავჭავაძენი, ჩვენი მწერლის სეხნიები), ან და ილიას სახელი განგებ არის შერტანილი მისდა გაუგებლად, რომ მისთვის მოიხსოვთ საშუალება ოპოზიციამი ჩასდგომოდა ბატონყმობის მომხრე თავადაზნაურობას.“

იმ აზრის დასამტკიცებლად, რომ ქართველი ხალხის სასიქადულო მწერალი ნამდვილად მომხრე იყო გლეხთა მიწიანად განთავისუფლებისა და თავგამეტებით იბრძოდა გლეხობის ინტერესებისათვის, წერილის ავტორები მიუთითებენ ქრისტ. მამაცაშვილის ცნობილ მოგონებებზე. თავადაზნაურთა ერთ-ერთ კრებაზე გლეხთა მიწიანად განთავისუფლების მოთხოვნისათვის ილია ჭავჭავა-



ბე ძლივს გადარჩენია სიკვდილს¹. ავტორები თავსებით სამართლიანად ხედავენ პირდაპირ კავშირს ქრ. მამაცაშვილის მიერ აღწერილ ეპიზოდსა და იმ რადიკალურ აზრებს შორის, რომლებიც „კრიტიკულ შენიშვნებშია“ გატარებული.

დაბოლოს, წერილის ავტორებს მოჰყავთ კიდევ ერთი საინტერესო საბუთი, რომელსაც მათი ფაქტით საბოლოოდ უნდა გაეფანტა ეპკები და დემეტრიცებინა, რომ „კრიტიკული შენიშვნების“ ავტორი სწორედ ჩვენი სახელოვანი მწერალი ილია ჭავჭავაძეა; ეს საბუთი იყო საგლეხო რეფორმის ერთ-ერთი მონაწილის, თავად ზაალ ჭავჭავაძის წერალობითი განცხადება, რომელიც ამ უკანასკნელმა „თემის“ რედაქციის თხოვნით გააკეთა.

აი, როგორი აღფრთოვანებით აუწყებენ მკითხველს ამ ფაქტს ჩვენი ავტორები: „ს. ავალიანმა ჩვენს ტელეგრაფულ შეკითხვაზე გვიპასუხა: სახელი თავ. ჭავჭავაძისა აღნიშნული არ არის დოკუმენტებშიო. მაგრამ ნუთუ ეს გარემოება უნდა გვაძლევდეს ნებას უარყოფით ილიას ავტორობა? ნუთუ არ არის საშუალება აღმოვაჩინოთ ამ შესანიშნავ და რადიკალურ მოხსენების ავტორი? არის... ჯერ ერთი, რომ რადიკალი ჭავჭავაძე არაფერი იყო იმ დროს, გარდა ჩვენი ილიასი და მერე ახლაც ცოცხალია ის ადამიანი, რომელიც იმ დროს მუშაობდა გლეხთა განთავისუფლების საქმეში. ეს გახლავთ თავ. ზაალ ნაშრევანის ძე ჭავჭავაძე“.

ამას მოსდევს თვით ზ. ჭავჭავაძის განცხადება, რომელიც დაბეჭდილია ავტორის ფაქსიმილეთი. მასში ნათქვამია: „ვისრულდებ სიამოვნებით თქვენი რედაქციის თხოვნას. ის თავ. ჭავჭავაძე, რომელსაც იხსენიებს სვ. ავალიანი თავის შრომის 348-ე გვერდზე, გახლავთ ჩვენი ცნობილი მწერალი თავ. ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე. მე და ილიას

გარდა, არავის სხვა ჭავჭავაძეს არ წარუდგენია მაშინ პროექტი ან კრიტიკული წერილი“.

ეს განცხადება წერილის ავტორის განცხადებით და ამიტომ კამათს პ. გელეიშვილთან და მის მომხრეებთან დამთავრებულად სთვლიდნენ. ისინი ასეთი სიტყვებით ამთავრებდნენ თავიანთ ვრცელ წერილს: „ჩვენი აზრით, ახლა ეპკე არავის უნდა ჰქონდეს, რომ ილია მომხრე იყო გლეხთა მიწით განთავისუფლებისა. ეს სხვაფრივ არც იყო შესაძლებელი „კაცო ყაჩაღის“ და „გლახის ნამბობის“ შემქმნელისათვის“.

ეს უდავოდ სწორი დასკვნაა, მაგრამ სამწუხაროდ, ის არგუმენტები და საბუთები, რომლებიც „თემის“ რედაქციამ ამ დასკვნის დასამტკიცებლად მოიშველია, საკმარისი არ აღმოჩნდა. პ. გელეიშვილმა, რომელმაც იმავე 1914 წელს თავისი ლექცია გადაამუშავა და ცალკე წიგნად გამოსცა, მოახერხა ეპკე შეეტანა როგორც ქრ. მამაცაშვილის მოვონების, ისე ზ. ჭავჭავაძის განცხადების სისწორეში¹.

კამათი ვრძელდებოდა. ისტორიკოსი ს. ავალიანი, რომლის ავტორიტეტს მოკამათენი ძალიან ხშირად მიმართავდნენ, კამათში უშუალოდ არ ჩარეულა, მაგრამ, როგორც ჩანს, მას მაინც საჭიროდ მიუჩნევია დახმარებოდა საზოგადოებას ისტორიული სინამდვილის აღდგენაში — ე. ი. იმ როლის გაგებაში, რომელიც ილია ჭავჭავაძემ საგლეხო რეფორმის, დროს ითამაშა. სწორედ ამ მიზანს ემსახურება მისი ვრცელი წერილი „ილია ჭავჭავაძე და გლეხების განთავისუფლება“. რომელიც იმ ხანებში გაზეთ „სახალხო ფურ-

¹ იხ. პ. გელეიშვილი, ილია ჭავჭავაძე, როგორც პოეტი და პედაგოგი, 1914 წ., გვ. V—VII, 22—23.

¹ იხ. კრებული „ი. ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“, გვ. 66-68.

პროკოფი რატიანი
ილია ჭავჭავაძე და გლეხთა განთავისუფლების პრობლემა

ცელში¹ დაიბეჭდა¹. ამ საინტერესო წერილში ისტორიკოსი ძირითადად სწორად განსაზღვრავს როგორც ქართველი თავადაზნაურობის პოზიციას გლეხთა განთავისუფლების საკითხში, ისე ილია ჭავჭავაძის ნაწერების უდიდეს ისტორიულ პროგრესულ როლს გლეხთა ინტერესების დაცვის საქმეში.

ს. ავალიანი სამართლიანად მიუთითებს, რომ ქართველი მემამულენი თანახმა იყვნენ ბატონყმობის გაუქმებისა მართო იმ პირობით, თუ თვითონ არაფერს დაჰკარგავდნენ. ისინი მოითხოვდნენ, რომ მთელი მიწა (მათ შორის მიწის ის ნაკვეთებიც კი, რომლებიც გლეხებმა ბატონყმობის გაუქმებამდე საკუთარი სახსრებით იყიდეს) მემამულეებს დარჩენოდათ, ხოლო გლეხისათვის პირადი თავისუფლების მინიჭების საზღაურად მთავრობისაგან დიდი ფულადი კონპენსაცია მიეღოთ. ქართველი მემამულენი გააფთრებით იცავდნენ თავიანთ ინტერესებს და არასგზით არ თანხმდებოდნენ დაეთმოთ გლეხებისათვის თუნდაც ის „მცირე ნამცეცები“, რაც საჭირო იყო მათი არსებობისათვის და რის დათმობასაც თვით რუსეთის რეაქციული მთავრობა სთვლიდა აუცილებლად.

რაც შეეხება ილია ჭავჭავაძის პოზიციას, ს. ავალიანს სრულიად უდავოდ მიაჩნია, რომ დიდი მწერალი ბატონყმობის სასტიკი მოწინააღმდეგე იყო და ყოველი ძალღონით ებრძოდა მის დამცველებს. ისტორიკოსი გულახდილად აღიარებს, რომ ჯერ-ჯერობით მას ხელთ არ გააჩნია პირდაპირი საბუთები, რომლებიც საშუალებას მისცემდა გავრკეა რა პრაქტიკულ მონაწილეობას იღებდა ი. ჭავჭავაძე სავლახო რეფორმის მომზადებასა და განხორციელებაში. მაგრამ უამისოდაც ილიას როლი მისი აზრით, სავსებით ნათელია. „ჩვენ არ ვიცით — ამბობს ს. ავალიანი, — რას აცთებდა ილია ჭავჭავაძე იმ დროს, როდესაც ტფილისის გუბერნიაში და შემდეგ ქუთაისის თავადაზნაუ-

რობა თათბირს ეწეოდა გლეხების განთავისუფლების შესახებ. ჩვენ ვიცით, ილია, როგორც მხარდობისა და მოწინააღმდეგე უმობისა... მისი ნაწერები ბატონყმობაზე შედგება მხოლოდ იმისა, რომ მწერალ-პუბლიცისტს ეზიზღებოდა ისეთი სამოქალაქო წესწყობილება, რომელიც ერთ ადამიანს, ერთ პიროვნებას ხდიდა მეორე პიროვნების მონად. ილიას ლიტერატურული ნაწარმოებები, ეს გულის ამონაცენსია, აღვლევბულის, აღშფოთებულის; ეს გულისწუხილია კაცთმოყვარე ადამიანისა. ჩემი კვლევები მის მიზანია ვიპოვო კვალი ილიას მოღვაწეობისა გლეხების განთავისუფლების დროს. სამწუხაროდ, ამ დროისათვის მასალები არ არის ნაპოვნი თუ ასეთი მასალები არსებობს სადმე“.

შემდეგ წერილის ავტორი ეხება ი. ჭავჭავაძის პოზიციას რეფორმის შემდეგ მანაში დაკანონებული ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის მიმართ და მალაღ შეფასებას აძლევს მეფის მთავრობის კანონმდებლობის ილრასეულ კრიტიკას. ის ამბობს: „ილიამ იკისრა დიდი საქმე: მან განუმარტა საზოგადოებას ავი და კარგი ახალი სავლახო წესდებისა. ილია იყო პირველი კრიტიკოსი ჩვენს პუბლიცისტკაში რომელმაც ნათლად აჩვენა საზოგადოებას ნაკლებლოვანება ახალი კანონმდებლობისა — ილია ისე ღრმად შეეხო ახალ კანონს, ისე ნათლად დაინახა და სხვასაც აჩვენა ცუდი მხარეები ახალი კანონმდებლობისა, რომ შემდეგ კრიტიკოსები ამ კანონმდებლობისა... მხოლოდ იმეორებენ ილიას აზრებს“.

წერილის დასასრულს ავტორი შემდეგნაირად აჯამებს თავის აზრებს: „მემამულე „ბატონი“ ილია ჭავჭავაძე ებრძვის ბატონყმობას; ალტაცებით ეგებება ბორკილების მტერებას და როდესაც ბატონყმობა მოისპო, აღიმალა ხმა იმ უკუღმართობის წინააღმდეგ, რომლის საძირკველი დადებული იყო ახალი კანონმდებლობით“.

ასეთია ს. ავალიანის თვალსაზრისი. ამრიგად, მართალია ისტორიკოსმა

¹ „საბალო ფურცალი“, 1914 წ. №№ 133, 134 (8 და 9 ნომბერი).

ვერ შეესძლო სწორად შეფასებინა მის მიერვე აღმოჩენილი შესანიშნავი დოკუმენტი („კრიტიკული შენიშვნები“) და ვერ ჩასწვდა სადავო საკითხის არსს, მაგრამ მან ძირითადად მაინც სწორად გადაწყვიტა ბატონყმობასთან ი. ჭავჭავაძის დამოკიდებულების საკითხი ილიას მხატვრულ ნაწერებზე დაყრდნობით. ეს კი, ცხადია, იმდროინდელი ქართული საზოგადოებრივი აზრის თვალსაჩინო მიღწევა იყო.

ს. ავალიანის გამოსვლის შემდეგ დიდი ხნით შეწყდა კამათი „კრიტიკულ შენიშვნებსა“ და მისი ავტორის ვინაობაზე. ჩვენი საზოგადოების ყურადღება მომდევნო წლებში მიპყრობილი იყო ჯერ მსოფლიო ომის, ხოლო შემდეგ დიდი რევოლუციური მოვლენებისადმი, მაგრამ ადრე თუ გვიან ეს კამათი კვლავ უნდა განახლებულიყო და განახლდა კიდევ.

ჯერ კიდევ 1926 წელს ისტორიკოსმა გრივოლ გიორგაძემ თავის კამბიტაღურ ნაშრომში „ფეოდალური ურთიერთობა საქართველოში“ საგანგებო ქვეთავი მიუძღვნა ჩვენთვის საინტერესო პრობლემას და გამოთქვა საყურადღებო მოსაზრებანი, როგორც „კრიტიკული შენიშვნების“ შინაარსზე, ისე მის ავტორზე.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ გ. გიორგაძემ ვერ შესძლო თავის წინამორბედ მეცნიერებთან შედარებით ნაბიჯის წინ გადადგმა და სადავო საკითხში სიცხადის შეტანა. მან ს. ავალიანის მსგავსად ერთ დოკუმენტად მიიჩნია ორი სულ სხვადასხვა შინაარსის დოკუმენტი — „კრიტიკული შენიშვნები“ და „საერთო შენიშვნები“, რის გამო მისი მსჯელობა ამ დოკუმენტების შინაარსსა და მნიშვნელობაზე მოკლებულია სერიოზულ მეცნიერულ ღირებულებას (ხსენებულ დოკუმენტებს იგი ლიბერალურ დოკუმენტებად მიიჩნევს).

შედარებით უფრო საინტერესოა გ. გიორგაძის მსჯელობა ანონიმი ავტორის შესახებ. ვავეცნოთ ამ მსჯელობას.

უხეზა რა იმ ოპოზიციას, რომელიც

შეიქმნა საგლეხო რეფორმის მოთხოვნის უკუპროექტის წინააღმდეგ. გ. გიორგაძე წერს: „პროფ. სეკაველი თავის შრომაში «Крестьянские отношения в Закавказье» არ ასახელებს, ვინ იყო ეს ოპოზიციონერი თ. ჭავჭავაძე. ერთ დროს ჩვენ პრესაში ტყდა დავა: ზოგი ამტკიცებდა, რომ ეს ოპოზიციონერი თ. ჭავჭავაძე ჩვენი დიდი მწერალი ილია ჭავჭავაძე იყო, ზოგი უარყოფდა ამას, მაგრამ ვერ უჩვენებდა, ვინ იყო იგი, თუ არა ილია ჭავჭავაძე. მაგ. პეტრე გელეშვილი თავის წიგნში „ილია ჭავჭავაძე“, ამტკიცებდა, ეს ოპოზიციონერი არ იყო ილია, ღიად სტოვებდა საკითხს: თუ ილია არ იყო, მაშ ვინ იყო სახელდობრ. საქართველოს ცენტრალურ არქივში მუშაობს და იქ სხვადასხვა საბუთების შესწავლის დროს აღმოჩნდა, რომ კომიტეტის მიერ შემუშავებული პროექტი საბოლოო დასკვნისათვის გადაეცა ექსპერტებს, რომლებიც მოწვეული იყვნენ მახრებიდან. საბუთში შენახულია სიი ამ ექსპერტებისა, მათ შორის არის თ. ნიკოლოზ დ. ჭავჭავაძე (ტფილისის მოსამართლე). აგრეთვე შენახულია ნიკოლოზ ჭავჭავაძის კომიტეტის სხდომაზე მისამატიყებელი ბარათი და წიგნში მისი ხელწერილი ბარათის მიღების შესახებ — ნ. ჭავჭავაძე. მას თავის აზრი შემუშავებული პროექტის შესახებ წარუდგენია წერილობითი მოხსენების სახით და შენიშვნებით (ხაზი ჩემია, — პ. რ.) ეს შენიშვნები აღნიშნულია კომიტეტის მომხსენებლის მიერ პროექტში მუხლობრივ წარწერით: „ნ. ჭავჭავაძის აზრი, იხ. წერილობით“. თვით მოხსენებას, რუსულად შედგენილს, ხელს აწერს (sic) რუსულად თ. ჭავჭავაძე, რომლის სახელის პირველი ასო ძნელი გასარჩევია რუსული „ნ“ თუ „ი“—ა. ამით აიხსნება ის სიფრთხილე, რომელსაც იჩენს პროფ. ს. ავალიანი, როდესაც არ ასახელებს ამ ჭავჭავაძის სახელს, მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩვენ ვნახეთ ზე-

პროკოფი რატიანი

ილია ჭავჭავაძე და გლეხთა განთავისუფლების პრობლემა

მომოყვანილი საბუთები. უდავოა, რომ ავტორი ოპოზიციონერი პროექტისა იყო თავადი ნიკოლოზ დ. ქავჭავაძე (ტფილისის მოსამართლე) ¹.

აქედან ცხადია, საარქივო საბუთებზე დაკვირვებით გ. ვიორგაძეს შეუშინებია, რომ „კრიტიკული შენიშვნებიცა“ და ე. წ. „საერთო შენიშვნებიც“ (რომელთაგან ერთს ის „შენიშვნებს“ ეძახის, ხოლო მეორეს „წერილობით მოხსენებას“) ცენტრალურ საგლებო კომიტეტში წარდგენილია მოსამართლე ნიკოლოზ ქავჭავაძის მიერ თავისი საკუთარი სახელით. ეს დაკვირვება სწორია. ამ სტრიქონების ავტორმაც ყურადღებით შეისწავლა სათანადო საარქივო საბუთები და დარწმუნდა, რომ ორივე ზემოთხსენებული დოკუმენტი ცენტრალურ საგლებო კომიტეტში წარდგენილია ნიკოლოზ ქავჭავაძის სახელით.

მაგრამ აი კითხვა: გამომდინარეობს, თუ არა ამ ფაქტიდან ის დასკვნა, რომელიც გ. ვიორგაძეს ასე უდავოდ მიანიჭა, რომ თითქოს „ავტორი ოპოზიციური პროექტისა იყო თავადი ნიკოლოზ დ. ქავჭავაძე (ტფილისის მოსამართლე)“? ცხადია, ასეთი დასკვნის გამოსატანად ზემოთხსენებული ფაქტი სრულებითაც არ არის საკმარისი. გ. ვიორგაძეს აზრადაც არ მოსდის, რომ შესაძლებელია საბუთის ავტორი ერთი პირი იყოს, ხოლო მისი სათანადო ორგანოში წარმდგენი — მეორე. ამავე დროს, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, საკითხის სწორედ ამგვარი დაყენება წარმოადგენს ვასალებს საქმის ნამდვილ ვითარებაში გასარკვევად.

მაგრამ მივყვით ქვემოთ.

გ. ვიორგაძეზე ცოტა უფრო ადრე, სახელდობრ, 1925 წელს ჩვენითვის საინტერესო საკითხზე საყურადღებო მოსაზრება გამოთქვა ქართული ლიტერატურის ისტორიის ნიჟიერმა მკვლევარმა ვ. კოტეტიშვილმა. ეგებოდა რა თავად აზნაურთა სხვადასხვა ჯგუფების ბრძო-

ლას საგლებო რეფორმის თაობაზე, ერთად კი ამიერკავკასიის ცენტრალურ საგლებო კომიტეტში წარდგენილი ვებტებს, ვ. კოტეტიშვილი წერდა: „ზემოხსენებულ კომიტეტში, სხვათა შორის, წარდგენილი იყო ვინმე ქავჭავაძის მოხსენება, რომლის სახელიც აღნიშნული არ არის. მოხსენება დიდი ცოდნით არის დაწერილი, და ვგონია, რომ მისი ავტორი ილია ქავჭავაძე უნდა იყოს“ ²; ამ აზრის დასამტკიცებლად ავტორს იქვე მოჰყავდა ერთი ციტატი „კრიტიკული შენიშვნებიდან“ და მის შინაარსს აღარებდა ილიას მიერ 1877 წელს იმავე საკითხზე გამოთქმულ მოსაზრებას, რომელთა შორის მსგავსება აშკარად შეიმჩნევა. ამ შედარებით მკვლევარი თითქოს გვიჩვენებდა სადავო საკითხის გადაჭრის ერთადერთ სწორ გზას, მაგრამ, სამწუხაროდ, მას აღარ გაუღრმავებია ამ მიმართულებით კვლევა-ძიება, ხოლო მის მიერ გაყვრით გამოთქმული მოსაზრება მკვლევარებისათვის თითქმის შეუშინებელი დარჩა.

1947 წელს ა. იოვიძემ „საისტორიო მოამბეში“ გამოაქვეყნა ი. ქავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მდიდარი დოკუმენტური მასალები. ამ ხასიათის მასალების რიგს მკვლევარმა მიაკეთვნა აგრეთვე ზემოთ არაერთხელ ხსენებული ორი დოკუმენტი — „კრიტიკული შენიშვნები საგლებო რეფორმის დებულების პროექტზე“ და ე. წ. „საერთო შენიშვნები“, რომელთა სრული ტექსტი მან იქვე დაბეჭდა ³. შესავალ წერილში ა. იოვიძე მოკლედ ეხება ჩვენითვის საინტერესო საკითხს და სამართლიანად მიუთითებს, რომ „ბატონუმობის მოსპობა და ყვების მიწით განთავისუფლება ილიას ეროვნულ-განმათავისუფლებელი სამოქმედო პროგრამის ერთი მთავარი მოთხოვნის სახელი იყო“ ⁴. ამის შემდეგ ავტორი გა-

¹ ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია, ნაწ. II, 1925 წ., გვ. 80-81.

² „საისტორიო მოამბე“, № 3, 1947 წ., გვ. 284-328.

³ იქვე, გვ. 149.

⁴ გ. ვიორგაძე, ფეოდალური ურთიერთობა საქართველოში, 1926 წ., გვ. 210.

მოთქვამს მოსაზრებას, რომ „ნ. ჰავკვა-
ვადის სახელით წარდგენილი „შენიშვნე-
ბები საგლებო რეფორმის პროექტზე“...
თავისი დედააზრით იმ ძირითად მოტი-
ვებს შეიცავს, რომლებიც ილია ჰავკვა-
ვადის ეროვნულ-სოციალური კონცეფციის
დამახასიათებელია“¹. ემყარება რა
ასეთ თვალსაზრისს, მკვლევარი დაასკ-
ვნის: „ნიკოლოზ ჰავკვადაძის სახელით
მთავრობის კომიტეტში წარდგენილი
„შენიშვნები საგლებო რეფორმის (დებუ-
ლებების) პროექტზე“, რომლებშიც
ემების აუცილებლად მიწიანად განთავს-
ვის უფლების მოთხოვნაა წამოყენე-
ბული, ილია ჰავკვადაძეს უნდა ეკუთვნოდეს
ან მისი უშუალო და აქტიური მონაწილეობით
უნდა იყოს შედგენილი“².

რაც შეეხება საკითხს, თუ რატომ
იყო წარდგენილი ცენტრალურ საგლებო
კომიტეტში ხსენებული დოკუმენტი
ნ. ჰავკვადაძის სახელით, ამაზე ა. იოვიძე
ასეთ საგულისხმო პასუხს გვაძლევს:
„ის გარემოება, რომ საგლებო რეფორ-
მის პროექტის შენიშვნები ნ. ჰავკვა-
დაძის სახელით იყო წარდგენილი რომელიც
იმ დროს მთავრობის და თავდა-
ზნაურთა წრეებში მეტის ნდობით
სარგებლობდა ფორმალური მხარეა და
მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ ილია,
რომელსაც თავადაზნაურთა უმრავლესობა
ისედაც მტრულად უყურებდა იძულებული
უნდა ყოფილიყო თავისი ავტორობა
თუ თანაავტორობა არ გამოემდგინებია“³.

ა. იოვიძის მთელი ეს მსჯელობა
უდავოდ საინტერესოა და მისი დასკვნაც
არსებითად სწორია მაგრამ ავტორი
სათანადოდ ვერ ასაბუთებს მის მიერ
გაზიარებულ სწორ დებულებას. მისი
თვალსაზრისის მთავარი ნაკლი ის არის,
რომ იგი წინანდელი მკვლევარების
მსგავსად, ერთ დოკუმენტად მიიჩნევს
„კრიტიკულ შენიშვნებსა“ და „საერთო
შენიშვნებს“ და ვერ ამჩნევს მათ შორის
არსებულ პრინციპულ სხვაობას.

ამის გარეშე კი, ჩვენი აზრით, შეუძლებელია
სერიოზულად ვამტკიცოთ, თითქმის
„ნ. ჰავკვადაძის სახელით წარდგენილი
„შენიშვნები საგლებო რეფორმის პროექტზე“...
თავისი დედააზრით იმ ძირითად მოტივებს
შეიცავს, რომლებიც ილია ჰავკვადაძის
ეროვნულ-სოციალური კონცეფციის დამახასიათებელია“.
ამ სიტყვების თქმა შეიძლება და
სწორიც იქნებოდა საკუთრივ „კრიტიკული
შენიშვნების“ მიმართ, მაგრამ „საერთო
შენიშვნების“ მიმართ ასეთი აზრი
უდავოდ შემცდარია.

1948 წელს „საისტორიო მოამბეში“
გამოქვეყნდა პროფ. შ. ჩხეტიას ვრცელი
გამოკვლევა „საგლებო რეფორმის ისტორიისათვის
საქართველოში“, რომელშიც საკმაოდ დიდი
აღვლი აქვს დათმობილი ჩვენთვის საინტერესო
საკითხს. ავტორი დაწვრილებით ანალიზს
უკეთებს ნ. ჰავკვადაძის სახელით ცენტრალურ
საგლებო კომიტეტში წარდგენილ დოკუმენტებს
და არა ერთ უაღრესად საინტერესო აზრსაც
გამოთქვამს მათ შესახებ, მაგრამ, მიუხედავად
ამისა ჩვენ მიგაჩნია, რომ მისი მსჯელობა
და დასკვნა ამ საკითხზე მაინც აშკარად
ცალმხრივი და არადაამკაყოფილებელია.

პროფ. შ. ჩხეტიას ზედმეტად მიუჩნევია
კამათი იმაზე, თუ ვის ეკუთვნის „კრიტიკული
შენიშვნები“; მისთვის. — როგორც ეს
გამოკვლევებიდან ჩანს. სრულიად უდავოა
რომ ეს დოკუმენტიც და ე. წ. „საერთო
შენიშვნებიც“, რომლებიც ცენტრალურ
საგლებო კომიტეტში ნიკოლოზ ჰავკვადაძის
სახელით იყო წარდგენილი, თვით ნიკოლოზ
ჰავკვადაძეს ეკუთვნის. სამწუხაროდ, ავტორი
არ გვეუბნება, რა საბუთების ან რა არგუმენტების
ძალით მივიდა იგი ასეთ დასკვნამდე,
მაგრამ ამის მიხედვით ისედაც არაა
ძნელი. ჯერ ერთი, გ. გიორგაძის მსგავსად,
ისიც ეყრდნობა საარ-

¹ „საისტორიო მოამბე“, № 3, 1947 წ.

² იქვე, გვ. 149.

³ იქვე, გვ. 151.

პროკოფი რატვიანი

ილია ჰავკვადაძე და გლეხთა განთავისუფლების პრობლემა

ქივო საბუთებს, საიდანაც ირკვევა რომ ორივე დოკუმენტი მთავრობის ორგანოში წარდგენილია ნიკოლოზ ჰავეჰაივის მიერ, და რაც მთავარია, — შ. ჩხეტიაე, წინანდელი ავტორების მსგავსად, ვერ ამჩნევს იმ არსებით განსხვავებას, რომელიც ზემოხსენებულ დოკუმენტებს შორის არსებობს და მამასადავამ აღარც საჭიროებს ლიბერალ ნიკოლოზ ჰავეჰაივის გარდა კიდევ სხვა ავტორის ძებნას.

ეყრდნობა რა ძირითადად „საერთო შენიშვნების“ შინაარსის ანალიზს, შ. ჩხეტიაე ასეთ დასკვნამდე მიდის: „რამდენადაც ნ. ჰავეჰაივამ ცნობს მემამულეთა და მხოლოდ მემამულეთა უფლებას მიწაზე, იმდენად ის იმავე თვალსაზრისზე დგას, რა თვალსაზრისზედაც დგას თავადაზნაურობა საერთოდ. ე. ი. ფეოდალურ-კონსერვატიულ თვალსაზრისზე; მაგრამ, რამდენადაც ნ. ჰავეჰაივამ აუცილებლად მიაჩნია გლეხიც შესაყოფიერებელი და ამის გზასაც ის, ასე თუ ისე, პოულობს, რითაც შედარებით რეალურად გამოდის მისი მოთხოვნა — შეწყდეს გლეხის არა მარტო პირადი, არამედ ქონებრივი და მოკიდებულებაც მებატონისაგან ის მნიშვნელოვნად სცილდება თავადაზნაურობის რეაქციულ პოზიციას და შედარებით უფრო პროგრესულ თვალსაზრისს გამოხატავს, ამიტომ, თუ თავადაზნაურობის ცალკე ჯგუფებსა (უმრავლესობა, უმცირესობა) და ცალკე პირებს შორის ბრძოლა საგლეხო რეფორმის გარშემო წარმოადგენდა შინაწოდებრივ (შინაკლასობრივ) ბრძოლას, ბრძოლას თვით მემამულეების შიგნით — „მხოლოდ და მხოლოდ დათმობის სიდიდისა და ფორმის გულისათვის“ (ვ. ლენინი), ნ. ჰავეჰაივამ ამ შინაწოდებრივი ბრძოლის ფარგლებში ექცევა მაგრამ მარტო განცალკევებით დგას: მისი თვალსაზრისიც შედარებით უფრო რადიკალური და პროგრესულია ვიდრე დანარჩენების“¹.

აქედან ცხადია, რომ ავტორის ნიკოლოზ ჰავეჰაივამ მიაჩნია წმინდა წყლის ლიბერალად, ხოლო მისი სახეობრივ-სატირალურ საგლეხო კომიტეტში წარდგენილი დოკუმენტები — ლიბერალური შინაარსის დოკუმენტებად. უდავოა, რომ ასეთ დასკვნამდე მივა ყოველი ობიექტური მკვლევარი, რომელიც დაეყრდნობა მხოლოდ „საერთო შენიშვნების“ ანალიზს, მაგრამ რაღა ვუყოთ „კრიტიკულ შენიშვნებს“, რომლის შინაარსი სრულებით არ ეთანხმება და ძირიანად არღვევს ზემოთხსენებულ დასკვნას?

შ. ჩხეტიაეს დამსახურება ამ საკითხში ის არის, რომ მან მეცნიერული კეთილსინდისიერებით შეაფასა „საერთო შენიშვნები“ და დაამტკიცა, რომ ის ნამდვილად ლიბერალური დოკუმენტი. აქვე უნდა ითქვას, რომ წინამორბედი მკვლევარები არ იყვნენ სავსებით ობიექტურნი ამ დოკუმენტის შეფასებაში. მაგალითად, ისტორიკოსმა ს. ავალიანმა სათანადო ანგარიში არ გაუწია და აშკარად მიაფუჩხა ის ფაქტი, რომ „საერთო შენიშვნების“ ავტორი საკმარისად მიიჩნევდა გლეხისათვის საკუთრებაში მიწის ძალიან მცირე ნაკვეთის (4-5 დღიურის) დატოვებას. შ. ჩხეტიაემ გაასწორა ეს შეცდომა, წინა პლანზე წამოსწია „საერთო შენიშვნების“ ეს ყველაზე „სუსტი“ ადგილი და სათანადოც მიუზღა მის ავტორს.

მაგრამ, სამწუხაროდ, „კრიტიკული შენიშვნების“ სათანადო ანალიზი და შეფასება ხსენებულ ავტორს არ მოუცია რის გამო მისი დასკვნაც ცალმხრივი გამოვიდა.

რაც შეეხება საგლეხო რეფორმასთან ი. ჰავეჰაივისა და საერთოდ თერგდალეულების დამოკიდებულების საკითხს შ. ჩხეტიაე ფიქრობს, რომ თერგდალეულები ბატონყმობის პრინციპული მოწინააღმდეგე იყვნენ, მაგრამ მათ „შინდელს ვითარებაში (გარკვეული მდგომარეობის გამო) არ შეეძლოთ უშუალო მონაწილეობა მიეღოთ საგლეხო რეფორმის მომზადებაში და იქ თა-

¹ „სისტორიო მოკმე“, № 4, 1948 წ., გვ. 35.

კიანთი კეთილშობილური ხმა აღემაღლებით გლეხობის დასაცავად იმგვარად, რომ ამ ხმას გავლენა მოეხდინა საქმის მსვლელობაზე.¹ მაგრამ ესეც კია, რომ „ს. ჭავჭავაძე, კ. მამაცაშვილი და სხვები, რომლებმაც შედარებით უფრო პროგრესული და ჰუმანური აზრები გამოსთქვეს საგლეხო რეფორმის შესახებ“, ვანიციდნენ თერგდალეულთა გავლენას²...

დაბოლოს, საყურადღებოა შ. ჩხეტის მოსაზრება კიდევ ერთ საკითხზე: მისი აზრით, თელავის მაზრის ცხრა მემამულის მიერ შედგენილ ცნობილ პროექტზე არ შეიძლება ხელს აწერდეს არც ილია და არც ნიკო ჭავჭავაძე, რადგან ამ უკანასკნელთა შეხედულებანი ძირიანად განსხვავდებიან ზემოხსენებული რეაქციული პროექტის ავტორთა შეხედულებებისაგან³. ეს მოსაზრება ჩვენ სავსებით სამართლიანად მიგვაჩნია.

ასეთია მოკლედ შ. ჩხეტის შეხედულებები. მკითხველი ადვილად შეამჩნევს, რომ ეს შეხედულებები კიდევ უფრო აღრმავებენ და ამწვავებენ კამათს სადავო საკითხზე.

შემდეგი ავტორი, რომელიც ვრცლად შეეხო ჩვენთვის საინტერესო საკითხს და მნიშვნელოვანი წვლილიც შეიტანა მისი ვადაწყვეტის საქმეში, პროფ. პ. გუგუშვილი იყო. 1950 წელს მან რუსულად გამოაქვეყნა ნაშრომი „საგლეხო რეფორმის მოზადება ამიერკავკასიაში“⁴, რომელშიც საკმაოდ დაწერილებით არის განხილული როგორც „კრიტიკული შენიშვნები“, ისე „საერთო შენიშვნები“ და გამოტანილია სამართლიანი დასკვნა რომ „შეუძლებელია ორივე ეს ნაშრომი ერთსა და იმავე ავტორს ეკუთვნოდეს“. პ. გუგუშვილ-

მა პირველმა შეამჩნია და სრულსადაც საფუძვლიანად დაასაბუთა რომ ზემოხსენებული დოკუმენტები არსებობდა და პრინციპულად განსხვავდებოდა მანეთისაგან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირველად თავისი მოსაზრება ამ საკითხზე პ. გუგუშვილმა გამოთქვა 1941 წელს, ნაშრომში „ქართული ქურნალისტიკა“; ოღონდ იმ დროს ავტორი ვერ ზედადა განსხვავებებს გლეხთა განთავისუფლების პირობების საკითხში, ერთი მხრივ, ილია ჭავჭავაძის პოზიციასა და, მეორე მხრივ, ლიბერალების — ნიკო ჭავჭავაძისა და კონსტ. მამაცაშვილის პოზიციებს შორის, ერთ სიტრატეზე განიხილავდა მათ შეხედულებებს და მიიჩნდა რომ ილია მხოლოდ თანაავტორია იმ ვრცელი შენიშვნებისა, რომლებიც ნიკო ჭავჭავაძემ წარადგინა ამიერკავკასიის ცენტრალურ კომიტეტში. ჩვენ შეგვეძლო პ. გუგუშვილის არგუმენტაცია ამ საკითხში გავველიერებოთ, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ეს საჭირო არ არის; ხსენებული ავტორის მიერ მოშველიებული არგუმენტები სავსებით საკმარისად მიგვაჩნია იმ აზრის დასამტკიცებლად, რომ „კრიტიკული შენიშვნები“ ნამდვილად რადიკალური დოკუმენტია და რომ არ შეიძლება მისი არევა „საერთო შენიშვნებში“. რომლის ლიბერალური ხასიათი წინანდელმა ავტორებმაც თვალნათლივ დაგვანახეს.

რაც შეეხება „კრიტიკული შენიშვნების“ ავტორის ვინაობის საკითხს. — ამაზე პ. გუგუშვილის აზრი ასეთია: „თუ გავითვალისწინებთ 60-იანი წლების განმანათლებლებზე განსაკუთრებით უახლესი ლიტერატურის მონაცემებს. ბუნებრივია ძნელია წარმოვიდგინოთ, რომ „კრიტიკული შენიშვნების“ ავტორი ილია ჭავჭავაძის გარდა სხვა ვინმე ყოფილიყო. აქ საჭიროა გავიხსენოთ, რომ საგლეხო რეფორმის საკითხზე არსებული მემუარული მასალებიც თით-

პროკოფი რატიანი

ილია ჭავჭავაძე და გლეხთა განთავისუფლების პირობებმა

¹ „საისტორიო მოამბე“, № 4, 1948 წ., გვ. 38.

² იქვე, გვ. 37-38.

³ იქვე, გვ. 38.

⁴ ეს ნაშრომი შესავლის საბით წამოღებული აქვს იმავე ავტორის მიერ შედგენილ კრებულს «Сельское хозяйство и аграрное отношение», ტ. II, 1950 წ.

ქმის ერთხმად ასახელებენ ი. ჭავჭავაძეს „ყველაზე რადიკალურ“ მოღვაწედ... შეიძლება ვიფიქროთ, რომ... „კრიტიკული შენიშვნების“ ავტორი ი. ჭავჭავაძე იყო“. სხვა ადგილას ავტორი აცხადებს, რომ „მოღვაწეობა 60-იანი წლების პროგრესული ადამიანებისა, კერძოდ კი „საქართველოს მოაზრების“ გჯუფისა ჯერ კიდევ არ არის იმდენად შესწავლილი, რომ შეიძლებოდეს საბოლოო დასკვნების გაკეთება“ და რომ „აუცილებელია მოიძებნოს კიდევ სხვა დამამტკიცებელი საბუთები. რათა დარწმუნებით შეიძლებოდეს ლაპარაკი „კრიტიკული შენიშვნების“ მიმართ ილია ჭავჭავაძის ავტორობაზე“. მაშასადამე, პ. გუგუშვილს თუმცა შეიძლება მიაჩნია, რომ „კრიტიკული შენიშვნები“ ილიას კალამს ეკუთვნოდეს, მაგრამ ამ აზრის საბოლოოდ დამამტკიცებელ საბუთებს ის ჯერ ვერ ხედავს და საკითხს კვლავ ღიად ტოვებს.

ყოველივე ზემოთნათქვამიდან ცხადია, რომ პ. გუგუშვილი სწორი გზით წავიდა, მაგრამ მისი ბოლომდე ვაგლასამწუხაროდ, მან ვერ შესძლო. ამის მიზეზი, როგორც ჩანს, ის ხარვეზიანრომელიც ი. ჭავჭავაძის მოღვაწეობისა და აზროვნების შეფასების საკითხში თვით მის საკუთარ თვალსაზრისს გააჩნია. ავტორი სავსებით მართალია, როცა აცხადებს, რომ ქართველ სამოციანელთა შორის „ი. ჭავჭავაძე იყო უდავოდ ყველაზე ღრმა მოაზროვნე, ყველაზე გაბედული და პრინციპული და, მამასადამე, „ახალი თაობის“ ყველაზე ღირსეული და საყოველთაოდ აღიარებული ბელადი“. მაგრამ ის სრულებითაც არ არის მართალი და აშკარად ეწინააღმდეგება საკუთარ თავს, როცა ამავე დროს ცდილობს დაგვიარწმუნოს, თითქოს სამოციანელთა შორის იყვნენ „ი. ჭავჭავაძეზე უფრო რადიკალურად განწყობილი“ მოღვაწენ. ჩვენ აშკარა გავუგებრობად მიგვაჩნია იმის მტკიცება, რომ ვითომც „ნ. ნიკოლაძე და ა. ფურცელაძე იმდროინდელი საზოგადოებრივ-ეკონომიური წყობილებისადმი კრიტიკული

დამოკიდებულების მხრივ განკლებული უფრო შორს მიდიოდნენ“, ვიდრე ილია ჭავჭავაძე. ეს აზრი, რბილად რომ ვთქვათ, ისტორიულ სინამდვილეს შეეფერება.

მიუხედავად აღნიშნული ხარვეზისა, ვიმეორებთ, პ. გუგუშვილის გამოკლებამ სერიოზული წვლილი შეიტანა და მნიშვნელოვნად წასწია წინ ჩვენთვის საინტერესო საკითხის გადაწყვეტა.

პ. გუგუშვილის თვალსაზრისი „კრიტიკულ შენიშვნებზე“ გაიზიარა ცნობილმა საბჭოთა მეცლევებარმა, ისტორიკოსმა ვ. მოჩალოვმა, რომელიც 1958 წელს გამოცემულ ერთ-ერთ თავის ნაშრომში, — იხილავდა რა როგორც „კრიტიკული შენიშვნების“, ისე „საერთო შენიშვნების“ შინაარსს, — წერდა: „ჩვენი აზრით, პ. გუგუშვილი... სავსებით საფუძვლიანად განსაკუთრებით გამოყოფს ზემოხსენებულ „კრიტიკულ შენიშვნებს“ ყველა დანარჩენი დოკუმენტებისაგან, რომლებიც რეფორმის შეეხება. კერძოდ იგი, წინააღმდეგ ქართულ ისტორიოგრაფიაში აქამდე არსებული თვალსაზრისისა, დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ „კრიტიკული შენიშვნების“ ავტორი არ შეიძლება ამავე დროს ყოფილიყო ზემოთგანხილული „საერთო შენიშვნების“ ავტორიც... თუმცა ორივე ამ ანონიმურ დოკუმენტს ერთი და იმავე პირის, როგორც შემმოწმებლის, ხელმოწერა აქვთ („სწორია: თავ. ნ. ჭავჭავაძე“), ისინი თავიანთი სულისკვეთებით სრულიად სხვადასხვაგვარნი არიან“¹.

ეს სავსებით სწორი და სამართლიანი მსჯელობაა. აღსანიშნავია, რომ ავტორი იქვე იძლევა „კრიტიკული შენიშვნების“ მოკლე დახასიათებას და მალე შეფასებას აძლევს ამ დოკუმენტს, თუმცა ჩვენ არ შეგვიძლია გავიზიაროთ ავტორის ზოგერთი დებულება, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

¹ В. Д. Мочалов, «Крестьянское хозяйство в Закавказье к концу XIX в.», 1958 г. — 46.



1959 წელს გამოქვეყნდა პროფ. ა. კიკვიძის ნაშრომი „საქართველოს ისტორია, XIX—XX სს.“, წიგნი II. რომელშიც ავტორი საკმაოდ დაწვრილებით ეხება ჩვენთვის საინტერესო საკითხს. ა. კიკვიძე იზიარებს იმ აზრს, რომ „კრიტიკული შენიშვნები“ და „საერთო შენიშვნები“ სხვადასხვა, ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებული დოკუმენტებია (მისი სიტყვით, „ეწინააღმდეგებიან“ ერთმანეთს), ამასთან ის სთვლის, რომ „საერთო შენიშვნების“ ავტორი „არ შეიძლება იყოს მომხრე გლეხთა მიწით განთავისუფლებისა“, ხოლო „კრიტიკული შენიშვნების“ ავტორს ა. კიკვიძე სამართლიანად მიაკუთვნებს გლეხთა მიწით განთავისუფლების მომხრეთა მცირერიცხოვან ჯგუფს.

რაც შეეხება ხსენებულ დოკუმენტებსა და საერთოდ გლეხთა განთავისუფლებისადმი ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულების საკითხს, ამაზე ა. კიკვიძის აზრი მოკლედ შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვყავალიბოთ:

ი. ჭავჭავაძემ „მკაცრად დაკგმო ბატონყმობა და უმღერა შრომის თავისუფლებას“, ის „მოთხოვდა მიწით გლეხთა განთავისუფლებას“, მაგრამ ზემოთხსენებული ორი დოკუმენტიდან ილიას კალამს არც ერთი არ ეკუთვნისო.

სამწუხაროდ, ავტორი არ სთვლის საჭიროდ სათანადოდ დაასაბუთოს თავისი მოსაზრებანი, ოღონდ ერთ ადგილას გაცხრით შენიშნავს: „თუ ქრ. მამაკაც-შვილის მოგონებას გავიხსენებთ, შეუძლებელია ზელმოუწერელი საბუთი (ლაპარაკაა „კრიტიკულ შენიშვნებზე“ — პ. რ.) ილია ჭავჭავაძის მიერაწერით. რაში დასპირდებოდა ილიას დამალვა თავისი აზრისა, როცა სათავად-აზნაურო შეკრებაზე საჯაროდ იცავდა იგი მას — გლეხთა მიწით განთავისუფლებას“.

ასეთი „საბუთი“, ცხადია, არ გამოდგება ი. ჭავჭავაძის ავტორობის უარსაყოფად; მნელი მისახვედრი არაა, თუ რატომ უნდა დასპირდებოდა იმ კონკრეტულ პირობებში ილიას თავისი აზრი დამალვა.

1960 წელს გამოიცა ექვთიმე მელიქიძის გ. მეგრელიშვილის *„გლეხთა განთავისუფლების სხვადასხვა პრეპარატები, მათ შორის, ნიკო ჭავჭავაძის სახელით ცენტრალურ საგლეხო კომიტეტში წარდგენილი დოკუმენტები, რომლებსაც ავტორი „ბარათებს“ უწოდებს. სამწუხაროდ, გ. მეგრელიშვილმა არა თუ ვერ შესძლო სადავო საკითხზე ახალი სიტყვის თქმა, არამედ წინანდელ ავტორებთან შედარებით არსებითად უკან დაიხია. მან ანგარიში არ გაუწია წინამორბედ ავტორთაგან დასაბუთებულ (პ. გუგუშვილი) და აღიარებულ (გ. მოჩალოვი, ა. კიკვიძე) დებულებას იმის შესახებ, რომ ე. წ. ი. ჭავჭავაძის „ბარათები“ (ე. ი. „კრიტიკული შენიშვნები“ და „საერთო შენიშვნები“) არ შეიძლებოდა ერთსა და იმავე ავტორს დაეწერა, რადგან ისინი ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდება. თავისი დასკვნები გ. მეგრელიშვილმა (პროფ. შ. ჩხუტიას მსგავსად) მარტო „საერთო შენიშვნების“ შინაარსის ანალიზს დააფუძნა, ხოლო „კრიტიკული შენიშვნების“ მნიშვნელობა იშკარად უგულვებელყო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროფ. ი. ანთელავა, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინათ საინტერესო რეცენზია გამოაქვეყნა გ. მეგრელიშვილის ზემოთხსენებულ ნაშრომზე (იხ. „მნათობი“, 1962 წ. №3), სამართლიანად აკრიტიკებს მას, როგორც „კრიტიკული შენიშვნების“ ავტორის ვინაობის, ისე ამ დოკუმენტის შეფასების საკითხში; ოღონდ, სამწუხაროდ, რეცენზიის პოზიტიური ნაწილი მეტისმეტად ნაჭქარვეად დაწერილი ჩანს, რის გამო ავტორის დებულებებს საბუთიანობა და დამაჯერებლობა აკლია.*

პროკოფი რატიანი ილია ჭავჭავაძე და გლეხთა განთავისუფლების პრობლემა

უკანასკნელი სიტყვა, რომელსაც ხსენებული ავტორი ამ საკითხთან დაკავშირებით ამბობს და რომელიც ამავე დროს, — თუ შინაარსის მიხედვით არა, ქრონოლოგიურად მაინც, — დღემდე ქართული ისტორიოგრაფიის უკანასკნელი სიტყვაა არის, შემდეგნაირად წარმოვედგენს სადავო პრობლემას:

„ასეთია ნ. ჭავჭავაძის ლიბერალურ-თავადაზნაურული პროგრამა გლეხთა განთავისუფლებისა. რა თქმა უნდა, სასაცილოა ეს პროგრამა, როგორც ზოგიერთი ფიქრობს, მივიჩნით დემოკრატიულ პროგრამად, რომელიც ბატონყმური ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლი გლეხობის ინტერესებს გამოხატავდეს. ზოგიერთი მკვლევარი იმ „ბარათებს“, რომლებიც ნ. ჭავჭავაძის ბარათების სახელითაა ცნობილი, ქართული ლიტერატურის ცნობილ კლასიკოსს ი. ჭავჭავაძეს მიაწერს, ხოლო შემდეგ, მათზე დაყრდნობით ცდილობს დაამტკიცოს, რომ ი. ჭავჭავაძე იყო არა ლიბერალი, არამედ რევოლუციონერი დემოკრატი. ამ შემთხვევაში ორი შეცდომაა დაშვებული: ჯერ ერთი, ი. ჭავჭავაძე არ არის

ამ ბარათების ავტორი; მეორეც, არაერთი დემოკრატიზმი ამ ბარათებში არ მოიპოვება. ნ. ჭავჭავაძის თავადაზნაურული ლიბერალიზმი წარმოებია; ამ ბარათებში გლეხთა ინტერესების დაცვა კი არაა, არამედ მამულეთა ინტერესების დაცვაა“¹.

ამრიგად, ორმოცდაათწლიანი კამათის მიუხედავად, ქართულ ისტორიოგრაფიას ჯერაც არ მოეპოვება საბოლოო პასუხი არც იმ კითხვაზე, თუ ვინ იყო „კრიტიკული შენიშვნების“ ავტორი და არც იმ კითხვაზე, თუ როგორია თავისი შინაარსით ეს დოკუმენტი: ლიბერალური თუ დემოკრატიული?

არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ეს კითხვები დღესაც ისევე აქტიურია და იწვევს ფართო საზოგადოებრიობის ინტერესს, როგორც ეს იყო ამ ნახევარი საუკუნის წინათ. ამიტომაც აუცილებელია ამ დიდმნიშვნელოვან კითხვებზე პასუხის გაცემა.

¹ Г. И. Мегрелишвили, Грузинская общественно-экономическая мысль во второй половине XIX века, т. I, стр. 264—265.



ბა-განსხვავების ჩვენება ფრიად რთული ამოცანა და მოიცავს ძველი ქართული მწერლობის კარდინალურ საკითხებს. მათგან აქ აღმჩნეულია მხოლოდ რამდენიმე საკითხი.

გურამიშვილის პოეზიის უპირველესი თემა ეროვნული ტყვეობების გამოხატვაა. ამ მხრივ მას საზრდოს აწვდიდა ჩვენი ქვეყნის მწარე სინამდვილე, რომელიც პოეტმა უკუღმართად გადახეულ მინდორს შეადარა. „ქართლის ჳირის“ ასე ძლიერად გამოსახატავად გურამიშვილმა მიაგნო შესაფერ პოეტურ კილოს.

გურამიშვილის ლექსი მრავალსაუკუნოვანი ქართული ფოლკლორისა და მწერლობის პირშოა და ამავე დროს სრულიად ახალ, თავისებურ საფეხურს წარმოადგენს.

გურამიშვილის პოეზიაში ძლიერ ნაკადააა შექრილი ქართული ხალხური ლექსი. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ გურამიშვილის ლექსის ძირითად სტილურ ნიშანს სწორედ ეს ნაკადი ქმნის. გაეისენოთ თუნდაც ის ლექსები, რომელთა შესახებ თვითონ პოეტი გვამცნობს:

1. „ხარებობის დღის შესხმა“;
„ახა წმინდა კოპალეს“ სანაცლოდ სამღერალი“.

2. „სიტყვა ესე ღვთისა სიტყვა-სიტყვად შეწყობილი და სწავლა საყვარლისა ღვთისა და კაცისა ძისა, ყრმათათვის სამღერად — ეეო მეო, ქალო, ქალთა-მზეო“—ს სანაცლოდ სათქმელი“.

3. „სიმღერა ფერხისული, „აგერ მიღმარ ახოს“ სანაცლოდ სათქმელი“.

4. სიმღერა ქართლ-კახეთის ჯვარობის სანაცლოდ სათქმელი“.

5. „ღინარი „პატარა ქალო თინაო“—ს სანაცლოდ სამღერალი“.

6. „სიმღერა დავით გურამიშვილისა, რვეობილამ გამოსვლის დროს, დავითის შესხმა“, რომელიც „ჩემო ყურშო“—ს სანაცლოდაა თქმული“.

აქ პირდაპირ ჩანს, რომ ავტორი პოეტურად ამუშავებს ხალხურ ლექს-სიმღერებს. ამ დროს — აღნიშნავს მ. ჩიჭოვანი — არა მარტო ხმა და მეტრია შეთ-

ვისებული, არამედ ზოგჯერ სიტყვით მასალა და გამოხატველი საშუალებებიც. ამ თვალსაზრისით საკმარისი დასახელებული ლექსი „ღვინარი“—ს სანაცლოდ სამღერალი“, რომელიც საოცრად ახლო დგას ხალხურ პროტოტიპთან.

გურამიშვილი:

—ვაქათ, ვადიდოთ ვინაო? —
ღმერთი მაღალთა შინაო,
ვინცა შეამკო ქვეყანა,
ღამე დღედ განაბრწყინაო!

ხალხური:

მოხვეცს ქალო თინაო,
რამ დაგაბერა შინაო;
შენი ტოლები გათხოვდნენ,
შენ რაღას უცდი შინაო.

უფრო ძნელი საძიებელი ხდება სხვა ლექსთა პროტოტიპები. ერთი შეხედვით დამაფიქრებელია ის გარემოებაც, რომ, ყრბოდ ზემოთ დასახელებულ პირველი ოთხი ლექსი შესრულებულია 14-მარცვლიანი საზომით, რაც შედარებით იშვიათი მოვლენაა ქართულ ხალხურ პოეზიაში. მაგრამ როგორც დაკვირვება გვიჩვენებს, ყველა ეს ლექსი საწესჩვეულებო უნდა იყოს. ამასთან ეს ლექსები სრულდებოდა როგორც ფერხისული, საცეკვაო სიმღერები. ცნობილია რომ სწორედ ასეთი ხასიათის სიმღერები თხოულობდნენ 14-მარცვლიან საზომს. კარგად ვგუებოდნენ საცეკვაო რიტმს. საკმარისია დავასახელოთ გავრცელებული ფერხისული-საცეკვაო „ცანგალა და გოგონა“, რომელიც თავისი საზომითა და რიტმული წყობით ასე ახლოს დგას გურამიშვილის ლექსთან: „სიმღერა ფერხისული „აგერ მიღმარ ახოს“—ს სანაცლოდ სამღერალი“, როგორც ვხედავთ, თვით გურამიშვილიც გვამცნობს აღნიშნული რიტმის საცეკვაო-ფერხისულ ხასიათს. მკვლევართ: ყურადღებას იპყრობს მეორე გარემოებაც. თითქმის ყველა ამ ლექსის პროტოტიპი, რომელთა სათაურებზეც ასეთი მინაწერი გააკეთა პოეტმა, საწესჩვეულებო ხასიათს ატარებს. კ. კეკელიძე ამ მოვლენას ხსნის იმ გარემოებით.



თითქმის აქაც ისეთივე ვითარებაა როგორც ეს ახალდგენილი ქრისტიანობის დროს: „მან (გურამიშვილმა) მოინდომა პოპულარიზაცია გაეკეთებინა ამ იდეოლოგიისათვის, ხალხში გაეცრულებია რელიგიური შეგნება და ცოდნა. ამისთვის მან ობიექტურად მიმართა იმ მეთოდს, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ პირველი ქრისტიანები: ხალხის მოსაზიდავად და ახალ რელიგიამში გადმოსვლის გასაადვილებლად ისინი ეპატრონებოდნენ იმ ადგილებს, სადაც ლოცულობდნენ წარმართები: ეკლესიებს აშენებდნენ იმ ადგილებზე, სადაც იყო წარმართთა სამლოცველოები, ანდა მათ სამლოცველო შენობებს გადააკეთებდნენ ხოლმე ქრისტიანულ ეკლესიად. წარმართთა დღეს აწესებდნენ თავიანთ ქრისტიანულ დღესასწაულებს (ქრისტეს შობა, წმიდა გიორგობა, წმიდანების სახელობითი დღესასწაულები). წარმართები თავიანთი ღმერთებისა და რელიგიური დღესასწაულების შესამკობლად თხზავდნენ ხოლმე ლექსად საგანგებო ჰიმნებს. მათი გაელენის შესანებლად და მათი მიბაძვით ქრისტიანებიც თხზავდნენ ხოლმე თავიანთ ქრისტიანულ ჰიმნებს. განსაკუთრებით თავი იჩინა ამ მხრით ცნობილმა ეფრემ ასურმა (V ს), რომელიც იმავე კილოზე წერდა თავის პოეტურ ჰიმნებს, რომელსაც ხმარობდნენ წარმართები და მწვალებლები. ეს უკანასკნელი მეთოდი — დასქენს კ. კეკელიძე — გამოუყენებია დავით გურამიშვილსაც“. სხვათა შორის, ამ მოსაზრებას ერთგვარად ადასტურებს პოეტიც, როცა ერთ თავის ლექსში აცხადებს „არანანანაო, თარანანინას ესე სჯობია ღვთის სამკობია, ალილუია“. მაგრამ აქ უნდა აღინიშნოს შემდეგიც: ისეთი კავშირი ხალხურ და მით უფრო ძველ საწესწევლეებო პოეზიასთან თვით გურამიშვილის პოეზიის ბუნებაში უნდა დაეინახოთ. გურამიშვილის ღრმად რელიგიური განწყობილებისათვის სწორედ ამ ტიპის ხალხური სასულიერო პოეზია იქნებოდა მახლობელი. გურამიშვილი, რომელიც თავისი განწყობილებებითა

და ზოგი მხატვრული ხერხით ასე ალოს დგას სასულიერო ჰიმნოგრაფიასთან (ამაზე უფრო დაწვრილებულად იხილეთ) იღებს მზამზარეულ ხალხურ ფორმებს ასეთივე ლექსებიდან და ქმნის სრულიად ახალი ტიპის რელიგიურ ჰიმნებს. სადა, ხალხური ფორმებით უფრო ადვილი იყო მკითხველის გულთან მისვლა და სწორედ ეს აზრია გამოხატული დ. გურამიშვილის ამ სიტყვებში:

„ქრთილის პურის ჭერქშია შიგ
თათუხი ჩავდგო;

ქერქი გაფრცვენ განაგდე, შიგნით
გულს-კი სკამდეო“.

მძლავრი ლტოლვა დიდი პოეტისა ხალხური ფორმებისა და საერთოდ ხალხური პოეზიისადმი კარგად ჩანს სხვა მხრივაც. მსგავსად მ. ბარათაშვილისა და „აღორძინების ხანის“ ზოგი სხვა პოეტისა გურამიშვილი უზგად დასესხებია რუსულ და უკრაინულ ფოლკლორს, სწორად შენიშნავენ, რომ გურამიშვილი თვითონ გვეხმარება საკუთარ ნაწარმოებთა რუსული და უკრაინული წყაროების მონახვაში. პოეტი ქართული ტრანსკრიპციით ხშირად ასახელებს იმ ხალხურ ხმას, სასიმღერო მოტივს, რომელიც გამოიყენა მალალი ხელოვნებით შესრულებულ ნაწარმოებთა შექმნის დროს.

ამასთან, როგორც ცნობილია, რუსულ და უკრაინულ ხალხურ პოეზიას გურამიშვილი სხვაგვარად იყენებდა თუ ქართული ხალხური ლექსის ფორმა, რიტმი და საზომი უცვლელად გადმოდიოდა გურამიშვილის ჰიმნებში, ამ შემთხვევაში იგი მართო ხმას, მელოდიას უგდებდა ყურს და ქმნიდა როგორც ფორმით, ისე, მით, უფრო, შინაარსით განსხვავებულ ნაწარმოებებს (მეტწილად რელიგიური ხასიათის ჰიმნებს). მ. ჩიჭოვანმა ცნობილი არის ფოლკლორისტიკის ჩულოკოვის ჩანაწერებში (1770 წლის გამოცემა) შენიშნა ზოგი ამ ლექსის პროტოტიპი, მაგრამ, როგორც აღინიშნა, მათი მელოდიის მზო-

სარკის ცაიშვილი
დავით გურამიშვილი

ლოდ შორეული გამოძახილი ისმის გურამიშვილის ლექსებში.

ამ სწორი დასკვნების შემდეგ, რასაკერძოვლია სრულიად ზედმეტია იმისი მტკიცება, რომ გურამიშვილი მწიგნობრული გზით ითვისებდა რუსულ-უკრაინულ ფოლკლორულ მასალებს. სწორედ რუსულ-უკრაინულმა სიმღერებმა, გუნდურმა თუ კობზარების მიერ შესრულებულმა მელოდიებმა მიიპყრო პოეტის ყურადღება და არა მწიგნობრულმა მშრალმა მასალამ, რომლებშიც ხალხურ სასიმღერო ლექსებს დაკარგული აქვთ უმთავრესი ატრიბუტი — სიმღერა მელოდია. უეჭველია, რომ დავით გურამიშვილის ლექსზე სერიოზული კვალი დაამჩნია რუსულ-უკრაინულ ფოლკლორთან სიახლოვემ და ეს, რასაკერძოვლია, მარტო მელოდიის, ან ზოგჯერ განწყობილებების გადმოტანით არ ამოიწურება. რუსულ-უკრაინული ლექსის გაელენითაა შემოსული გურამიშვილთან ზოგი ისეთი ელემენტი, რომელიც ტონური ლექსის კუთვნილებაა: მაგალითად, სწორედ გურამიშვილმა იხმარა ერთერთმა პირველთაგანმა ვაჟური ანუ ერთმარცვლიანი რითმები, რომელიც აშკარად სცილდება კლასიკური ქართული ლექსის ჩარჩოებს. როგორც ცნობილია, ქართულ ლექსში დომინანტობს დაქტილური და ქორეული (სამმარცვლიანი და ორმარცვლიანი) რითმები. თავის მონოგრაფიაში „ქართული კლასიკური ლექსი“ ავ. გაწერელია მართებულად შენიშნავს, რომ „მე-18 საუკუნის ქართულ პოეზიაში რუსულ-უკრაინული ხალხური სიმღერების აქცენტუაციის ზეგავლენით გურამიშვილი სამმარცვლიანი სიტყვის უკანასკნელ ხმოვნებს აძლიერებს ვაჟური რითმის მისაღებად“. მაგალითად,

„მე გასმევდი, მე გაქმევდი, მე
გაცმევდი ტანთ
შენ დახარბდი მცირის ძოვინთა-
სხვისგან მონატანთ“.

როგორც ცნობილია, ეს პროცესი, კერძოდ ქართულ კლასიკურ ლექსში

ტონური ელემენტის გაძლიერებასთან დათან უფრო ხელშესახები ხდება მე-19 საუკუნის (რომანტიკის ელემენტი) მე-20 საუკუნის ქართულ ლექსში. ქართული ფოლკლორის ცხოველყოფილი ნაკადი იგრძნობა არა მარტო მითითებულ ლექსებში. გურამიშვილის ლექსთა კრებულის თითქმის ყოველ სტრიქონში ბრწყინავს ხალხური ლექსის ფრთიანი ფრაზა, სახე-აფორიზმი და სხვა მხატვრული საშუალებები. ერთ თავის დიდაქტიკურ ლექსში „საქონლის შეკრებისათვის“ პოეტი გვიჩვენებს, რომ ძნელია ბედზე დანდობა, ბედი ბრძა და უკუღმართად იხედებაო. ხალხური აფორიზტიკის აშკარა გამოძახილია პოეტის სიტყვები:

„ბედს საქონრითგან თვალი უჩანს.
ქალის სახე აქვს ბრმისაო“.

ნდობა, სიხარბე და თავშეუვაკებლობა სიყვითის მტერია და ბნელი გზებით მიაქცევს ადამიანს, ნდობაშეპყრობილი კაცი ვერც სწავლა-დარიგებას შეიცნობს და პოეტი კვლავ სხარტი, ხალხურ თქმაზე დამყარებული სიტყვით მოგვმართავს: „ნდობა სხვის სწავლას მიიკრავს ეგრეთ ვით ცერცივი კადელსა“. გურამიშვილის პოეტურ ენაში ფოლკლორთან ერთად ბუნებრივად შემოდის ხალხური ყოფის ელემენტებიც და სათანადო ადგილს იჭერენ ამათუ იმ პოეტურ სახე-თქმაში.

საგულისხმოა აგრეთვე რუსთაველისა და გურამიშვილის შეხვედრა იმ ეპიზოდში, როცა ტარიელისგან გაწბილებული სამი ძმა შეხვდებოდა ავთანდილს და უამბობენ უცხო მოყმესთან შეტაკების ამბავს:

„ბროლმან ლაღსა გარუელმან,
ვარდნი თხელნი ანატიფნა,
იგი ტკბილნი გონებანი ჩვენთვის
მეტად გაამყიფნა:
არ აგვიზენა, არცა დაგვსხნა, ყოლა
არად ამოგვკარიფნა-
მისნი მყვახელ მოუბარნი მთარაბითა
შეგვაშვიფნა!“

მეოთხე სტრატეგიაში ჩვენ ამჟამად ხალხურ თქმაზე დაყრდნობილი ფრაზა გვაქვს, კონტრასტული პარალელიზმის ფორმით გაშლილი: როგორც მკვებე ხილს არბილებს და ამწეფებს დარტყმა, დაბეჭევა, ჩვენც ისევე შეგვარბილა უცხო მოყმის მათრახმაო. როგორც აღვნიშნე, ასეთივე ფრაზა, მსგავს ხალხურსავე თქმაზე დაყრდნობით, რამდენიმეჯერ გამოუყენებია დ. გურამიშვილსაც. „ქართლის ჭირის“ იმ თავში, სადაც ვახტანგი მსჯელობს კონსტანტინესთან მორიგებაზე, არის ასეთი ადგილი (იე): ვახტანგი ამბობს, მოვიპატრონოთ კონსტანტინე და ენახოთ, თავს როგორ დაიჭერსო. პოეტმა ზემოთ ნახსენები ხასიათის ხალხური საბე-თქმა მოიშველია:

„ხილთა ტყბილთა და მწარეთა
შეტყობის გემოს ნახეთ.
თუ ვერა ვსჭამ ხილს სიმკვებით,
დავარბილებ, დაბეჭე ქვა-ხით“.
(სტრ. 250, იხ. აგრეთვე სტრ. 260).

თავისი მხატვრული საშუალებებით და საერთო აგებულებით, თუ როგორ ახლოს დგას ხალხურთან გურამიშვილის ლექსი, ნათელია რამდენიმე ნიმუშითაც. რუსეთში გადასულ ვახტანგ მეექვსეს უიღბლობა გადასყვა თან და პოლიტიკურ არეულობას რუს ხელმწიფეთა სიკვდილიც დაერთო. გულში ჩამწედომი სიტყვებით გადმოგვცემს გურამიშვილი ვახტანგის უბედობას:

„ამაზედ იყო მგლოვარე, ცრემლი
ამისთვის ზდიოდა:
სამი ხელმწიფე ზედაზედ მოკლენო,
გული სტკიოდა;
თავისას, თავის ქვეყნისას უბედურობას ჩიოდა“.

მწელი არ არის, აქ დაეინახოთ ფორმალური გავლენა ერთი ბრწყინვალე ხალხური ლექსისა, რომელიც რამდენიმე ვარიანტითაა ჩვენამდე მოღწეული:

„კაცი, მტერთ გადმოგდებული, გეზელ
ქორულეზ ჰკიოდა

ჩვენ მონადირე გვეგონა თურმე მას
გული სტკიოდა,
თავს ჰქონდა ხმალი ნაკრავი, გეზელს
სისხლი ჩამოსდებდა,
ათი მოეკლა გზადაგზა, უპირობააა
ჩიოდა.

უფრო დახვეწილია ამავე ლექსის ხზევა ვარიანტი, რომელიც მოთავსებულია ექვთ. თაყაიშვილის კრებულში:

„მთიდან მოსული ვაქაკი
გეზელ-ქორივით კიოდა
თავი ხმლით ჰქონდა დაჭრილი,
გულს სისხლი გადმოსდიოდა.
სამოცი ლეკი მოეკლა,
უვაქაკობას ჩიოდა“.

საინტერესოა, რომ ეს ლექსი ისევე როგორც გურამიშვილის პოემის ზემოთ მოტანილი ადგილი, თავისი აღნაგობით მკითხველს მოაგონებს რუსთველის პოემიდან ცნობილ ეპიზოდს, როცა ტარიელი მიეგება დაჭრილ ფრიდონს:

„ზახილი მესმა შევხედენ, მოუმე
ამაყად ყიოდა
შემორბევედა ზღვის პირ-პირ,
მას თურე წყალული სტკიოდა:
ხრმლისა ნატეხი დასერილი აქეს,
სისხლი ჩამოსდიოდა,
მტერთა ექაღდა, წყრებოდა,
იგინებოდა, ჩიოდა“
(სტრ. 593).

დასასრულ მოვიტან ორიოდე მაგალითსაც თუ ხალხური ლექსის კილოზა ორგანულადაა შესული გურამიშვილის ლექსში: დოდორქელ მღვდელს ასე მიმართავს იასე ვახტანგის ძმა:

„რადგან მადლის მოღეაწე ხარ,
სთობ ამ სოფლის ცხოვრებასა.
შენ ის საკვდილს მოარჩინე,
ღმერთი მოგცემს ცხოვნებასა“.

სარგის ცაიშვილი
დავით გურამიშვილი



ან სასულიერო კიმნი (რომელ არს ვოდება), რომელიც ასე გვაგონებს ხალხური ღატირების ქანრის ლექსებს:

„ვამ ჩემს თვალთა ჩენასო,
შენს უკან ჩემს დარჩენასო!
ვამ მე ამ დღის დამსწრებსა,
შენს გულზე ხელის დამკრებსა“
(გვ. 140).

ხალხურ პოეზიასთან გურამიშვილის არაჩვეულებრივ სიახლოვეზე მეტყველებს აგრეთვე მისი სიცოცხლითა და სიჯანსაღით აღსავსე მხიარული პოემა „ქაცვია მწყემსი“. ავტორი ამ უკანასკნელს თვითონ უსვამს ხაზს სათაურშივე: „წიგნი ესე მხიარული ზაფხული“. გურამიშვილი (ბესიკთან ერთად) ერთ-ერთი პირველია, ვინც თავისი პოეზიის საგნად უბრალო ხალხის ყოფაცხოვრება გაიხადა.

„ქაცვია მწყემსი“ კვშმარტი უბრალოებისა და სისადავის ბრწყინვალე პოეტური ნიმუშია. მიუხედავად იმისა რომ პოემაში საკმაოდ გვხვდება ქრისტიანულ მორალსტიკაზე აგებული დარიგება-სენტენციები და ზოგჯერ რაგორისტული ხასიათის მკაცრი შეხედულებები, პოემაში მაინც დომინანტობს მძლავრი ნაკადი ხალხურ, წარმოდგენებისა. ამასთან „ქაცვია მწყემსი“ როგორც ცალკეული მოტივებით, ისე ძირითადი სიუჟეტური ხაზითაც აშკარად ხალხური, ყოფაცხოვრებითი ქანრის ტიპის პოემაა. სიუჟეტურ საყრდენს ქმნის უძველესი ხალხური წარმოდგენები ბუნების გამოღვიძებაზე, როცა ჯანმრთელი სიცოცხლე მთელი თავისი ძალით იფეთქებს. ყველაფერი, დაწყებული უმცირესი ბალახიდან აღამიანამდე, სიცოცხლის სიხარულს მოუცავს; ბუნების განახლებას ახალი ღებნა და სიყვარული მოაქვს:

„შზავსად — შზავსადმან
იპოვა ტოლი“.

ღალი, პირველყოფილი გულბრყვილობით შუქმოსილი უბრალო მწყემსე-

ბი მთელი არსებით უერთდებოდა მთის ამ დიდ გამოღვიძებას.

პოეტი ხალხური მოტივების გამოღვიძებასთან ერთად არ ივიწყებს მკაცრულ-დიდაქტიკურ შეგონებებს და ხშირად იშველებს ბიბლიურ თემებს, აქაც კარგად ჩანს პოეტის შინაგანი წინააღმდეგობანი, რომელიც საერთოდ მისი პოეზიის ერთ-ერთი ნიშანთვისებაა. „ქაცვია მწყემსთან“ დაკავშირებით სწორია გ. ნატროშვილის შენიშვნა, რომ პოემაში ფრიად მძაფრი წინააღმდეგობანი გვხვდება: მასში არის ისეთი ვნებიანი სურათები, რომელსაც აბულები და ლონგისიცი მოაწერდნენ ხელს და, ამასთან, აქვეა ასეთი მკაცრი-სულისგამყინველი ასკეტიზმი, რომელიც ზირაქის წიგნის ბნელ აზრებს შეედრება. სხვას რომ თავი დაეანებოთ, პოემის დიდი ნაწილი დათმობილი აქვს ბიბლიური სიუჟეტების ლექსად გადაღებას. ჩვენ შევუდარებთ სათანადო ადგილები შესაქმნეთა წიგნიდან, ფსალმუნებიდან და სხვ., და ირკვევა რომ პოეტი თითქმის პარაფრაზის სიზუსტით ამუშავებს ბიბლიის ცალკეულ ადგილებს: მაგრამ გურამიშვილი აქაც ერთგულია თავისი მეთოდისა და ცალი თვალი მაინც ხალხური წარმოდგენებისაკენ უქირავს. მ. ჩიქოვანმა შენიშნა თავის დროზე, რომ ნოეს კიდობნის ამბის თხრობის დროს პოეტს ხალხური თქმულებაც ჩაურთავს შიგ. მაგრამ შემდეგში ზედმეტად უცენია კანონიკურ კონტექსტში მისი მოთავსება და ასეთი შენიშვნა დაურთავს: „ეს კამბეჩის ამბავი წიგნში წერილში ვერცადა ვნახე და ისევ მოვმალე. ვინც ეს წიგნი გადასწეროს, ნულარ დასწერს, ამისათვის რომე სჯულად არ დაიდვას ტყუილი“. ამის გამო მკვლევარი შენიშნავს, რომ გურამიშვილს ეს ლეგენდა ქართლში უნდა აქონდეს გაგონილი. ჩვენ როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში გავვიგონია ვადმოცემა: „რატომ იძახის კამბეჩი ნოეს“. ეს ეტიმოლოგიური ლეგენდა პოეტს ბიბლიისა ჰგონებია და გაულექსავს. მაგრამ როცა შეუშოვნებია, საამისო რამ ბიბლიაში

ვერ უნახავს და ხელნაწერში ეს ადგილი წაუშლია. გურამიშვილის მიერ გალექსილი „კამეჩის ამბავი“, სამწუხაროდ, დღემდე ჩაწერილი არ არის. ამის გამო შეუძლებელია მსჯელობა იმაზე, თუ რით განსხვავდება სტილიზებული ტექსტი ფოლკლორულისგან. მართლაც, არსებულა ასეთი ხასიათის ხალხური ლექსები, რომელიც არსებითად ბიბლიის ამოკრიფულ ციკლს განეკუთვნებოდა. პეტრე უმიკაშვილის კრებულში ჩვენ შეგვხვდა ერთი ფრაგმენტი, რომელიც ამ ხასიათის ხალხურ ამოკრიფს წარმოადგენს:

„წმინდა ნოემ რა იყოღა, დაჯდა
თალა კიდობანი
შიგნით, გარეთ გამოთალა,
საგანგებოდ ააყვავა,
შიგ ჩასხა დედალ-მამალი, კარი მაგრა
გაუყარა.
კამბეჩი მოდის, მოყვირის „მეცა შიგა
შემიყვანე!“

სწორედ ხალხურ პოეზიასთან აგრე ახლოს მისვლამ შეუწყო ხელი გურამიშვილის ფორმის უბრალოებას. გურამიშვილმა საბოლოოდ უკუაგდო პოეტური მეტაფორების მეტაფორული სტილი, რომელიც ე. წ. აღორძინების ხანაში მშაშხარეული და გაყინული პოეტური ფორმულების გროვად გადაიქცა. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მეტაფორას საერთოდ არ იყენებდეს გურამიშვილი. ზოგი მისი მეტაფორა ნამდვილი აღმოჩენაა და პირველთქმულის მშვენიერებით ბრწყინავს. მაგრამ მისი პოეზიის უმთავრესი მხატვრული ხერხი მაინც შედარებაა (სახეთა პარალელიზმთან ერთად), და ეს მომენტიც მას განსაკუთრებით აახლოებს ხალხურ პოეტურ მეტაფორებს. თუ რა ბუნებრივად ერწყმის გურამიშვილის მეტაფორა და შედარება ერთმანეთს, ამის ნიმუშად საკმარისია ერთი საინტერესო მხატვრული სახე. თავისი უდიდესი სიხარული ტყვეობიდან სამშვიდობოზე გამოსვლის დროს გურამიშვილმა შეუდარებელი მხატვრული სიძლიერით გამოხატა:

„რუსულად „ხლება“ პურს ვაჭრა
უწინვე გამეგონაო;
სანამდის ის არ ახსენეს, მე რუხვენი ვსულნი
არ მეგონაო.
რა რომ თქვეს პურის სახელი, მე
იმან მომიფონაო;
ამ სიხარულმან დამშალა ჯავრით
შეკრული კონაო“.
(472 სტრ.)

„ჯავრით შეკრული კონა“ ტყვეობაში განაწამებდა პოეტის სახე-მეტაფორა-ბოლო აზრი შედარების გზითაა გამოხატული. სიხარულისაგან ისე დავიშალე, როგორც კონა, რომელიც საკვრელის (ე. ი. აქ: ჯავრის) გარეშე დარჩაო.

ქართულ საერო ანუ კლასიკურ ლექსს უდიდესი კვალი დაამჩნია ქრისტიანულმა სასულიერო პოეზიამ, რომელიც ჰიმნოგრაფიის სახელითაა ცნობილი. ჯერ კიდევ მისი პირველი საფეხურის, ფსალმუნური ელემენტებიდან მოკიდებული, ქართული ჰიმნოგრაფია მჭიდრო ურთიერთობაშია ბიზანტიურ სასულიერო ლექსთან და მის ნაყოფიერ გავლენას განიცდის. სხვა საკითხია თვით ბიზანტიური ჰიმნის ძირების კვლევა-ძიება, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ქართული ჰიმნოგრაფია თანდათან თვითონვე აღწევს თავს უცხოური ელემენტის გამლიერებას. როგორც ქართულმა სასულიერო სიმღერა-გალობამ თავისივე წიაღში იპოვა საკუთარი განვითარების გზები ისევე სასულიერო ჰიმნებიც, რომელიც არსებითად ამ სიმღერა-გალობათა დაქვემდებარებულ ტექსტებს წარმოადგენდნენ, თანდათან თვითმოყოფ კილოებს პოულობდნენ. ისევე, როგორც სხვა ენაზე არსებული ჰიმნოგრაფიული პოეზია, ქართული ჰიმნოგრაფიაც რიტმული პროზიდან (რომელიც არსებითად საზომთა გარეშე არსებობდა) სწორედ სასულიერო სიმღერა-გალობის ზეგავლენით საკუთარი ენის წიაღში ეძიებს პოეტური მეტაფორების საშუალებებს, კერძოდ, მოწესრიგებუ-

სარგის ცაიშვილი
დავით გურამიშვილი

ლი ხასიათის სალექსო საზომებს. ეს იყო სრულიად ბუნებრივი პროცესი და ამ მხრივ, ქართული ჰიმნოგრაფია ეკონომიკური არ ყოფილა. გ. იმედაშვილი ასე აყალიბებს იმ დასკვნებს, რომელიც ჰიმნოგრაფიის ცნობილი სპეციალისტების (კრისტა, შეიერი, ბოკელი, კარდინალი პიტრა, ვასილიევი და სხვ.) მიერ ერთხმად აღიარებული: „მელოდიამ ბუნებრივად გადაწყვიტა სავალბლოს პოეტურ საფუძველზე აგების აუცილებლობა, რითაც განასხვავა ის პროზაული მეტყველებისაგან. ამით განმეორდა ის პროცესი, რომელიც ანტიკურ პერიოდში გაიარა პოეტური მეტყველებისა და პოეტური საზომების წარმოშობის ისტორიამ. ხალხურმა სიმღერამ წარმოშვა საზომები, რომელთაგან შემდგომ განვითარდა წიგნური პოეზიის ფორმები თითქმის ყველა ხალხისა. ერთი სიტყვით, ვერსიფიკაციული ფორმების შემუშავების იმპულსი იყო მუსიკალური ფრაზეოლოგია. ჰიმნური პოეზიაც მთლიანად ვალბოს სპეციფიკას დაეუბრუნო. ეს იმას ნიშნავს რიტმის თვალსაზრისით, რომ ჰიმნის ტექსტის გარკვეული საზომის გარეშე დალაგება კომპენსირებული ხდებოდა მელოდიის ფორმით, რომელიც ტექსტს ანიჭებდა საზომს“. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით ქართულ საერო ლირიკაზე ჰიმნოგრაფიას არ მოუხდენია სერიოზული გავლენა. ჰიმნოგრაფიამ ვერ მოგვცა ლექსთწყობის მრავალფეროვანი საზომები და მხოლოდ აკროსტიხითა და ქართული პროსოდიული ბუნებისათვის უცხო იამბიკოთი (12 მარცვლიანი — 7+5) ამოიწერა, და თუ კლასიკურ ჰიმნოგრაფიაში გვხვდება გადახვევები, აქ საპირისპირო მოვლენასთან გვაქვს საქმე. ქართული ხალხური საზომები საერო პოეზიის გზით, ან უშუალოდ, გზას იკაფავდნენ თვით ჰიმნოგრაფიის წიაღშიც. რაც ჩვენ სალექსო საზომებზე აღვნიშნეთ, სრულიად არ ეხება ჰიმნოგრაფიის პოეტურ ენას. ამ უკანასკნელმა დიდად ნაყოფიერი გავლენა მოახდინა ქართულ საერო პოეზიაზე, განსაკუთრებით

ქართულ ლირიკულ ლექსზე. სწორედ და შენიშნული ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში რომ ჰიმნოგრაფიამ შემთხვევაში ერთგვარი გარდასახაროლი ითამაშა; მან აითვისა საერო მეტყველების გარკვეული პოეტური მარაგი და ახლად გადამუშავებული გადასცა კლასიკურ და მომდევნო ხანის ქართულ საერო პოეზიას. უნდა ვთქვათ, მაგალითად, რომ სასულეირო მწერლობამ წარმართობისაგან აითვისა ასტრალური სამყაროს მხატვრული გამოსახვა, რამაც შექმნა სპეციფიკური პოეტური ხერხები და სულ მოკლე დროში ჰიმნოგრაფიამ უკვე მოგვცა პოეტური აზროვნების ბრწყინვალე ნიმუშები. უკვე აქ დამუშავდა ლექსის ისეთი ფორმა, რომელიც ლირიკულ გრძნობის გამოთქმის საშუალებას იძლევა და ადამიანის შინაგან სამყაროში გვახედებს. რელიგიური გრძნობები მაშინდელი ადამიანის ემოციური სამყაროს შემადგენელი ნაწილი იყო და მათი პოეტური გამჟღავნება სწორედ ლირიკულ ფორმებს მოითხოვდა. პოეტურა ენა მოქნილი და გამომხატველი ხდებოდა. საკმარისია აქ მოვიტანოთ იოანე დამასკელის ერთი ჰიმნის რატი ორბელისეული თარგმანი, რომ დავრწმუნდეთ, თუ რა თავისუფლად ოპერირებს პოეტური სახეებით ქართველი ჰიმნოგრაფი:

„ცხოვრება ესე წარვალს და
 განილევის,
 შევნიერებაი და დიდებაი დაჰვნების,
 ხოლო სიმდიდრე დაჰვნების
 და წარწყმდების.
 რასა ცუდად ემაღლით, ოდეს
 ყოველნა
 მოკუდავნი ვართ და მიწად
 მიქცევადნი
 მოვედით, ძმანო, შთავიხედნეთ
 საფლაუთა,
 სად არს შური, საოცრებაი და
 ხღოპია

ლო უკვე ბუნებასთან აზროვნებით ან. უკეთ, შემოქმედებითი მისვლაა. სხვათა შორის, ამ თვალსაზრისით რელიგიური სიმბოლოები ემთხვევიან მხატვრულ სიმბოლოებს. ანდრეი ბელი შენიშნავდა ერთ ადგილას, რომ სიმბოლო ბუნებისადმი აღებული და გარდაქმნილი სახეა; იგი თავის თავში შეიცავს ავტორისეულ განცდასა და ბუნების იმ ნიშანს, რომელიც ამ შემთხვევაში მასში გამოხატული. ძველი და ახალი აღთქმის წიგნები სიმბოლიური აზროვნების ბრწყინვალე ნიმუშებს იძლევიან და მხატვრული აზროვნების ჰერმეტიკ სიმბოლოებს აღწევენ. პიმონოგრაფია, როგორც აღვნიშნეთ, შემდგომ საფეხურად აღიქმება და მასში აღნიშნული წიგნებიდან დიდი რაოდენობით შემოდის მხაზარეული სახეები და სიმბოლოები.

ქართული პიმონოგრაფიაც ამ გზით ვითარდებოდა და შუყობრ კომპოზიციასთან ერთად ახალ საერო პოეზიას მან უახდერდა დახვეწილი პოეტური მეტყველება, რომელიც დატვირთულია ისეთი საინტერესო პოეტური ხერხებით, როგორცაა სიმბოლო, მეტაფორა და მხატვრული ეპითეტი, პიერბოლა და სხვ. საკმარისია გავისწავლოთ, თუ რა მრავალფეროვანი ვარიაციებით გვხვდება სინათლის, ნათელის მისტიური სიმბოლოები, რომელიც ღვთაების ბრწყინვალეების გამოსახატავად სჭირდებათ პიმონოგრაფებს. შედარებისა და მეტაფორის თუ რაოდენ ოსტატურ შერწყმას გვაძლევენ ქართველი პიმონოგრაფები, ამაზე ძალზე საინტერესო მაგალითი მოაქვს გ. იმედაშვილი: „პიმონოგრაფიის მიზანია განგვაყდევინოს ქრისტეს პიროვნული ძლიერება, რისთვისაც ის მის ფიგურას ადამიანური შემოზღუდულობის მიღმა წარმოგვიდგენს. ქრისტეს სიდიადის ვადმოსაცემად იოანე მინჩხი მიმართავს ლომის საყოველთაოდ ცნობილ ძლიერების სიმბოლოს. ის მას იყენებს ქრისტეს გარდაცვალების საანალოგიოდ. ამისთვის ქრისტეს მიცვალებას ის ადარებს ლომის მიძინებას შესანიშნავ მეტაფორაში:

„ვითარცა ლომიან მიყრდნობით მიძინა“.

ამ შედარებაში ქრისტეს მიცვალებას მხატვრული გააზრება დიდძალ მწიგნობრობის ფიგურით ხორცშესხმული; მთლიანად მეტაფორას ორი თემა აქვს — სიკვდილი გამოხატულია როგორც მიძინება, და ქრისტეს ფიგურა ლომთანაა შედარებული“. მკვლევარი მართებულად დასძენს, რომ ასეთი კონდენსირებული თქმები საგალობლებში ბლომად მოიპოვება და ისინი უკაშინდებიან იმ რთულ ლექსიკურ სიმბოლიკას, რომელიც ქრისტიანულმა თეოლოგიურმა მწერლობამ შექმნა თავისი დოგმების გამოსახატავად. ნისლი, ღრუბელი, ღვარძლი, სიბნელე, წყვილიადა წარმოადგენენ სიმბოლოებს, რომელთაც უპირისპირდება მზე, სიმართლე, სიკეთე, იფქლი — სხვადასხვა მეტაფორებსა და პიერბოლებს (იქვე).

რუსთაველთან ღვთაების გამოსახვის ფორმებზე საუბრისას მ. გოგიბერიძე სამართლიანად შენიშნავს, რომ პოემაში არსებული ღვთაებრივი ეპითეტების მეტი წილი თავის ანალოგიას ჰპოვებს არამართ ქართულ, არამედ სხვა ენებზე დამუშავებულ პიმონოგრაფიაშიც. მაგალითად, იოანე დამასკელის „ცოდნის წყაროსა“ და მის სხვა პიმონოგრაფიული ხასიათის თხზულებებში ჩვენ ვიპოვიტ რუსთაველისათვის ნაცნობ სიმბოლო-ეპითეტებს: „უცნაური“, „საცეცხა ყოველთა“, „უფალი უფლებათა“, „უთქმელი კაცთა ენითა“ და ა. შ.; უკვე ამ ერთი მაგალითიდანაც ნათელია, თუ რა ნაყოფიერ ზეგავლენას მოახდენდა პიმონოგრაფიული პოეზია ჩვენს კლასიკურ და მომდევნო საუკუნეთა ლიტერატურაზე. პიმონოგრაფიული პოეზიის მიღწევათა კვალი კარგად ჩანს რუსთაველთან და მე-12 საუკუნის მეზობლებებთან. ამ საკითხს ჩვენში რამდენიმე გამოკვლევა მიეძღვნა (მ. ჯანაშვილი-მ. გოგიბერიძე, გ. იმედაშვილი) და საინტერესო შედეგებია მიღებული.

პიმონოგრაფიული პოეზიის შემოქმედებამ ახალი ძალით იფეთქა გ. წ.

აღორძინების ეპოქაში. ამას რასაკვირველია ჰქონდა თავისი სოციალურ-პოლიტიკური მიზეზები, მაგრამ მათი განხილვა ამჟამად ჩვენს თემას არ შეადგენს. აქ უკვე ლაპარაკია არა მართო პოეტურ ენაზე, არამედ სასულიერო პოეზიის გავლენაზე, როგორც ერთიან იდეურ-მხატვრულ მთლიანობაზე. სუფიზმის ქრისტიანულმა ნაყადმა საკმაო სიძლიერით იზინა თავი ამ ეპოქაში: მართებულად შენიშნავს კ. კეკელიძე: «Наиболее благодарную и плодотворную почву мистико-аскетические идеалы суфизма нашли в политических и социально-экономических условиях Грузии XVI—XVII веков...», და შემდეგ «Суфистическая аллегория восточной поэзии с достаточной яркостью сказывается в оригинальном творчестве некоторых наших поэтов указанной эпохи». აქ ასახელებენ თეიმურაზ I-ს, ნ. ციციშვილს, არჩილს, ვახტანგ VI-ს, მამუკა ბარათაშვილსა და გურამიშვილს, მაგრამ ამ დასახელებაში ზოგი კორექტივი უნდა შევიტანოთ. ერთი შეხედვით თითქოს თეიმურაზ I (და ნაწილობრივ არჩილი) ყველაზე უფრო ახლოს უნდა მისულიყო მისტიკურ-ალეგორიულ ნაკადთან. მან თარგმნა აშკარად გამოხატული მისტიკური ხასიათის სპარსული პოემები („ლეილმეჯნუნიანი“, „შამიფარვანიანი“ და სხვ.), მაგრამ როგორც ცნობილია, თეიმურაზმა მხოლოდ ფორმალური გავლენა განიცადა და თავის თარგმანებში არსებითად დაუკარგა აღნიშნულ პოემებს მისტიკურ-ალეგორიული აზრი. ამ თვალსაზრისით მისტიკურ-ალეგორიული პოეზიის ტიპური წარმომადგენლები არიან ვახტანგ VI და დავით გურამიშვილი. ჩვენ აქ არ შევჩერდებით ვახტანგ VI პოეზიის ამგვარ ხასიათზე. მხოლოდ გავიხსენებთ იმ ცნობილ გარემოებას, რომ ვახტანგმა „ვეფხისტყაოსნის“ იდეური კონცეფცია სიყვარულის მისტიკურ-ალეგორიულ თეორიას დაუქვემდებარა.

გურამიშვილის სასულიერო ხასიათის ლექსი თუ შეიძლება ასე ითქვას, კლასიკური ქართული ჰიმნოგრაფიის ახალი სახესხვაობაა. ამას განსაკუთრებით გვიგრძნობინებს ენობრივი ფაქტურა, რომელშიც, როგორც ზევითაც აღვნიშნე, ასე მძლავრადაა შექრილი უბრალო მშრომელის ყოფის გამოხატველი ელემენტები და ფოლკლორული ნაკადი. მაგრამ შინაარსობრივად მისი ლექსები მეტად ახლოს მიდიან ძველ ჰიმნოგრაფიასთან. გურამიშვილის ამ ლექსების ლირიკული გმირი ცისკენ სასოებით მზირალი ადამიანია, რომელსაც უპირველეს სიკეთედ ღვთაებასთან მიახლოება მიანიია. ჩვენ ზევით შევხებულად არ ჩამოვთვალეთ ის ეპითეტები, რომლებიც გამოიყენა ძველმა ჰიმნოგრაფიამ ღვთაების სრულყოფილი გამოსახვისათვის, რადგან გურამიშვილთან კიდევ ერთხელ მოგვიხსენებოდა მათი გამოყობა. ვინ არის გურამიშვილის ერთ-ერთ სახელგანთქმულ ჰიმნში (კა. ოდეს დატყობულმან ურჯულს ქვეყანას საყვარლის სახე და სურათი ველარ ნახა, იმისი მოთქმა დავითისაგან) მოხსენიებული: „ჩემო საესაყო, ტყბილო ცხოვრებისა წყარო“? ახალი აღთქმისა და ჰიმნოგრაფიის უბრალო გაცნობა ამ გამოთქმის მრავალ ანალოგს აღმოგვიჩენდა: ტყბილი ცხოვრების წყარო ქრისტე-ღმერთია, რომელიც მარადი და ტყბილი ცხოვრების განსახიერებაა. იმავე ლექსში მრავალფეროვან სიმბოლო-ეპითეტებს მიმართავს პოეტი ქრისტეს შესაფერი გამოსახვისათვის: ქრისტე — უმანკო ტრედი, გერტი, რომელმაც ვერავობას უსაზღვრო სთნოება დაუპირისპირა, ქრისტე — უცნაური მზე, ე. ი. რომლის შეცნობა ადამიანის გონებას არ ძალუძს და იგი მზეთვით პოეტისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, უპირისპირდება მატერიალურს — „საცნაურ მზეს“, თინათინს რომელიც ამავე დროს „უცნაური მზის“

სარგის ცაიშვილი
დავით გურამიშვილი

გამოსხივებაა. ქრისტე — „ნათელია“. „მზეა“ (უცნაური მზე); მარადი დღე, გამოუთქმელი ნათელი. ქრისტეს მრავალი სიმბოლო-ემბოტი მოეპოვება: იგი „მეხია“, „ქუხილის ისარი“ და ა. შ. ქრისტიანული სიმბოლოა აძლევს პოეტს მასალას, რომ ასეთი მშვენიერი სიმბოლო-მეტაფორით განგვაცდევინოს ქრისტეს ძლიერების სიდიადე: „გამოუთქმელო ნათქვამო, მითთ ლოდო გამოკვეთილო“ (სტრ. 417). გურამიშვილის ჰიპნოზ დატვირთულია ქრისტიანული კატაქტიკით (ღმერთი დადებითს ცნებებშია: ნათელი ყოვლად ძლიერი და ა. შ.) და აბოღატაკით (უარყოფითი ცნებებით გამოხატვა: უცნაური, გამოუთქმელი და ა. შ.). მზეთა-მზის სახე-როგორც მამა ღმერთის, უფალთა უფალის, საბაოთის გამოხატველი, გურამიშვილმა ერთერთმა პირველმა შემოიტანა სასულიერო ხასიათის ჰიპნოზში. იგი უძველესად ხალხური პოეზიის საუნჯიდან უნდა იყოს ამოხილული, ავი თვითონ გურამიშვილიც აცხადებს, რომ ამ სახეს გარეგნული მსგავსება აქვს გავრცელებულ სახე-გამოთქმასთან „ქალთა მზე“. მზეთა-მზის რუსთაველიც ახსენებს რამდენიმე ადგილას¹, მაგრამ მასში არსად არის ჩაღებული აღნიშნული მისტიური შინაარსი. მზეთა-მზე გურამიშვილის უსაყვარლესი მისტიური სახეა და პოეტი არაერთგზის მიმართავს მის ვარირებას. წარმართული ჰიპნოზის სიძლიერე შეიგრძნობა გურამიშვილის სიტყვებში:

„სჯობს ვეტრფილო მზეთა-მზეს,
 მზისათვის თავი ვახელო,
 ნათლისა ვახედე მიჯნური, რადგან
 თვალეზსა ვახელო
 მის უკეთესი მოყვარე სად ეპოვო,
 სადა ვახელო?
 მზე მიწყენს, თუ მზის სანაცლოდ
 თინათის ხელი ვახელო“
 (სტრ. 340)

¹ სტრ. 685. 1 — „თაყვანი-სეა ლომთა ლომ-
 შან მზეთა მზესა“ (მზეთა-მზე აქ თინათია);
 სტრ. 487. 3 — „თვით იგი მზენი მზეთანა“
 (ინათთა მოღენი);
 სტრ. 1542. 4 — „შენ მზესა მზეთასა“ (აქაც
 თინათი იგულისხმება.)

„განთიადისა ვარსკლავო, მის მზეთა“
 მზისა მთიუნსო
 ვიკარგვი ბნელის ღამითა, დღეც რად
 არ მომეძინებო
 (სტრ. 346).

მზეთა-მზე აქ უფალთა-უფალი, მამა ღმერთია, რომლის ტრფილება აქვს გულში დასახული: სჯობს მის ვეტრფოდ და მზისთვის, ე. ი. ქრისტე-ღმერთისთვის ვყო გაგყვებული, ხელად ქვეული; სანამღი სული მიდგას (თვალეზს ვახედე), ნათლის (ე. ი. ქრისტეს) მიჯნური უნდა ვყო; სად ვახელო (ვიპოვო), სად მოვიძიო უკეთესი მოყვარე და იგი მზე (ქრისტე) მიწყენს. მის ნაცვლად ამ ქვეყნიურ მზეს, თინათის თუ მივევადი (ხელი ვახლო); განთიადის ვარსკლავო, ცისკარო და მზეთა მზის სხვა მნათობებო, ამქვეყნიურ წყვლიადში (ბნელი ღამე) ვიკარგები და მისხენი შენ, მარადიულო დღევ ანუ ჩემო ღეთაებო.

ერთმანეთზე უკეთეს სახე-სიმბოლოებს, მეტაფორებს იპოვის კაცი გურამიშვილის სასულიერო ხასიათის ჰიპნოზში, მაგრამ მათი მხატვრული სიძლიერე ჩვენ სხვაგან უნდა დავინახოთ. გურამიშვილის მისტიური ხილვები და ზეცისაკენ მიმართული ღაღადისი არაა მხოლოდ ეგზალტირებული ქვრეტა მისტიური ქვეყნისა ან ცდა მასთან სიახლოვით საყუთარი თავის გაქრობისა; გურამიშვილის ჰიპნო ადამიანის მწუხარე სიმღერაა მასში გამოსჰვივის საყუთარი ბედღუელმართობითა და ქვეყნის უბედურებით შეწუხებული კაცის ჩივილი, რომელსაც ერთადერთი იმედი ზებუნებრივ სამყაროში ეგულება. სწორედ ეს მომენტი აძლევს პოეტის ჰიპნოზს არაჩვეულებრივ ემოციურ ძლერას. თითქოს მხოლოდ რელიგიური გრძნობებია გამოთქმული ამ ლექსში, მაგრამ მისი ქვეტექსტი ყველასთვის ნათელია, ბედღუელმართი ცხოვრებით დაქანცული პოეტი გოდებს:

„ეთა ცხოვარი გზა შეცდომილი
 მგელთ წასატყაღ ფარეხთა გარე,

ვგრეთ შენ, თო, ხარ გახდომილი,
ასეთი საქმე მე მოგიგვარე!
გაეხდი გლახაკი და დაურდომილი,
თუმცა საწუთროს მოვიანგარე;
ვარ ცარიელზე მე დაჯდომილი,
საუბჯისაგან კარს ვარე მღვარე“
(გვ. 131).

სწორედ ამ ნიადაგზე მოხდა გურამი-
შვილის იდეურია სამყაროს საბოლოო
გამოთიშვა ძველი ჰომოგრაფების ტი-
პიურ წარმომადგენელთაგან. გურამი-
შვილის ჰომოგრაფიაში უკვე აღარაა მიმარ-
თების ერთი განხორციელება მაშინ, როცა
ჰომოგრაფის უნივერსალური მიზანია
მღვთვარე მისტიური პერვერტით უშუალო-
დების ხილვა. გურამიშვილის ჰომოში-
იკვის ძირმწარე შხამი ჟონავს და ავ-
ტორი თუმცა საწუთროს მიმართავს,
მაგრამ ეს მხოლოდ გაეგნულად გვეჩ-
ვენება. იგი კონტრასტებზე აგებს თავის
სათქმელს მხატვრულად უძლიერეს
სტრიქონებში:

„თუ ხარ ღვიძილი, რაღა არს ძილი?!
თუ ხარ სიმძღვრე, რა არს შიმშილი?!
თუ ხარ სიცოცხლე, რა არს
სიკვდილი?!
იყავ ერთერთი, იწამე ღმერთი!“

წუთისოფლის ამოება და სიმუხტლე
ასე შემზარავად იშვიათად თუ ვინმეს
დაუხატავს:

„მიდის-მოდის ეს სოფელი
ქართველითა ზღისებრ ღელავს,
უკან დასდევს დრო და ემბი,
მის ნაქსელავს ქსოვს და სთელავს,
ის მქლე კაცი ეკლს რას აქნევს, რასა
სთიბავს, რასა სცელავს?
ამად ვწუნობ საწუთროსა სულ
ბნელია, რასაც ელავს.“

არის კიდევ ერთი ნიშანთვისება,
რომელიც მკვეთრად განასხვავებს გუ-
რამიშვილის ჰომოს ძველქართული სასუ-
ლიერო პოეზიისგან. აქაც ძალაშია გუ-
რამიშვილისთვის ასე დამახასიათებელი
სინამდვილის კონკრეტული აღქმის
მძლავრი ტალანტი, რომლის შედეგია
სხვას რომ თავი დაეანებოთ, „ქართლის

პირის“ კემპარიტად პოეტური უმბო-
დები. გურამიშვილი თავის ჰომოგრაფი-
სწორედ კონკრეტული სინამდვილის
მომდინარე შთაბეჭდილებების
და ამით უკვე პრინციპულად შორდება
ძველ სასულიერო პოეზიას. კონკრე-
ტული ფაქტი, ამბავი პოეტს ახალ სი-
მალეზე აყავს და შემდეგ მისტიკურ-
ალეგორიული სურათით ასრულებს. გუ-
რამიშვილს აქვს ერთი ლექსი, სადაც
პირდაპირაა ნათქვამი, რომ პოეტი თავის
ამბავს გვიყვება: „ოდეს დავით გურა-
მიშვილი კისტრინის ომში ცხენითურთ
ლიაში, იმის მონასიბად ღვთის-მშობ-
ლის შესხმა“ (ლექსი მე). თითქოს ყვე-
ლაფერი ნათელია ავტორი გვიყვება
მეორედ დატყვევების ამბავს, რომელიც,
სხვათა შორის, მან იმავე სიტყვებით
ელისაბედ პეტრეს ასულისადმი წარდ-
გენილ „ჩელობიტაიშიც“ ჩასწერა: იმ
ბატალიის დასასრულს — წერს დავით
გურამიშვილი — კისტრინის მახლობ-
ლად მტერს მივდედი და მოულოდნე-
ლად ცხენითურთ ქაობში ჩავეფალ, ა
დროს მოწინააღმდეგემ დამატყვევაო.
პოეტი აღადგენს თავის ხსოვნაში ამ
შიძე დღეებს და შემდეგ მთელ ამ ფაქ-
ტში სიმბოლიურ შინაარსს აქსოვს:

„ზეცავ გესავ, ერთო ღმერთო,
ქვეყნად ერთ-უფალო,
ყოვლად წმინდაე ღვთის-მშობელო,
დიდო დედოფალო-
ცოდვის ლიას უკუვარდი, ღრმად
შიგ დაეფალო,
თუ შენ მე არ აღმომიყვან, ძნელად
აღმოვალო“ (გვ. 115).

ჰომოგრაფის დიდი უმრავლესობა ასეთი
პოეტური ხერხითაა დამუშავებული და,
როგორც აღვნიშნე, ეს მისი პოეზიის
სპეციფიკური ნიშანია. ტიპურია ამ
თვალსაზრისით გურამიშვილის ერთ-ერთი
ლორიკული შედეგია „ზუბოკა“. არ
შეიძლება ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ
აქ ლექსის მამოძრავებელია ცოცხალი
შთაბეჭდილება, რეალური ქალის ტრფი-
ალით გამოწვეული განცდა:

სარგის ცაიშვილი
დავით გურამიშვილი



„ზუბოვიდან მომავალმან ვნახე
ერთი ქალი,
მეტად ტურფა შეენიერი, მახე
დამრჩა თვალი,
შეე თვალწარბას, პირად თეთრსა
ასხდა შავი ხალი.
მისმან ეშხმან დაცამლეწა შემომუსრა
ქვალი“ (გვ. 144).


ამაზე კონკრეტული და პოეტურად
უფრო სრულყოფილი სურათის დახატ-
ვა მართლაც წარმოუდგენელია. მძლავრ,
რეალური სილამაზით გამოწვეულ განც-
დას აორკეცებს დროზე მოხშობილი
არქაულად გაწყობილი პოეტური ტმესი:
დაცამლეწა. გურამიშვილი თანდათან
დრამატული ელემენტებით აძლიერებს
ამ შეხვედრას და უცებ, ერთი შეხედ-
ვით მოულოდნელი გრადაცია... რეალუ-
რი ქალი ღვთიურ ძალად იქცევა, რეა-

ლური სიყვარული მისტიკურ-ალღურ-
რიულ ტრფიალებაში გადადის და
ცეცხლოვანი ენების ნაცვლად მისი
მსასოებელი ღაღადი:

„აწ შენ, ჩემო საყვარელო იმყოფები
სადა?
ქვეუნად შენგან უკეთესი მე არაეინ
მუავდა.
ქვესკნელსა ვარ, ვერა გხედავ.
მეგულეები ცადა
გეაჯები, ნუ გამწირავ, წამიყვანე
მანდა!“

ასეთია ძირითად ხაზებში დამოკიდე-
ბულება ძველქართულ ჰიმნოგრაფიას-
თან და, როგორც ვნახეთ, ფოლკლორ-
თან ერთად იგიც ერთ-ერთი მძლავრ
შემადგენელი ნაქადია გურამიშვილის
განუმეორებელი პოეზიისა.





აქაკი ბექაძე

სიცრუე სიცრუისა

„ზევგობა, ყრმობა, სიჭაბუკე, ვაჟკაცობის ხანა და სიბერე — ხუთნაირი სიციცხლეა, არსებობის ხუთნაირი საშუალებაა. ვინც ცდილობს ხუთივე ერთ კალამტში ჩააფნოს, ხუთივეს ჰკლავს“.

პანაიოტ ისტრატი

1880 წლის 17 ოქტომბერს ლ. ტოლსტოიმ ერთ კერძო წერილში ა. ფეტხ მისწერა — ხელოვნება სიცრუეა. „ომისა და მშვიდობის“ ავტორს აღბათ დიდი და სერიოზული საბუთი ჰქონდა, როცა ასეთ აზრს გამოთქვამდა ხელოვნებაზე. ამიტომაც დაეას სჯობს ლ. ტოლსტოის აზრს ღრმად ჩაუყვირდეთ და ვცადოთ იმ საიდუმლოს ახსნა, თუ რატომ ვერ იტანს ხელოვნების ვერცერთი დარგა სიყალბესა და ტყუილს. მართლაც, სიცრუის სიცრუე ან სიცრუის საშუალებით მოთხრობილი სიცრუე შინაგანად ცარიელ, აზრგამოცლილ ამბავს იძლევა (ამიტომ ცხადია და ბუნებრივი მათურებლისა თუ მკითხველის აღშფოთება, როცა იგი ტყუილთა წყებას უყურებს ან კითხულობს). ამ აზრის ნათელი დადას-

ტურებაა ფილმი „ზღვის ბილიკი“¹. თუ კვალდაკვალ გავეყვებით ფილმის სიუჟეტურ ტარვას, მკითხველის თვალწინ წარმოდგება ცრულსიქოლოგიურ განწყობილებათა კრებული, რომელიც მათურებელს არ აძლევს საშუალებას კინოსურათში მომხდარი ამბის სიმართლე დაიჯეროს.

ს ი ც რ უ ე პ ი რ ვ ე ლ ი: ფილმი იწყება დამთავრებული ქეიფით. სტუმრები წასულ-წამოსულან. მოხუცი, რომლის

¹ „ზღვის ბილიკი“. სცენარის ავტორები ა. სალუქაძე და რ. ჭეიშვილი; დამდგმელი ჩეიხოსია — რ. ზეინი; ოპერატორი ფ. ვისოცკი; კომპოზიტორი ს. ცინცაძე; მთავარი როლის შემსრულებელი ს. ზაქარაიძე. კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ნაწარმოები, 1962 წ.



პატრისაცემად შემდგარა ლხინი, მარტო დარჩენილა. აფორიაქებულმა მოხუცმა შინ ვერ გაძლო და გარეთ გამოვიდა. კიბეები ჩამოათავა და ქალაქის ქუჩებს გააჟვია. ჯერ მებლვადურთა რაზმი შეხვდა, მერე კარუსელზე გოგოების ტრიალი ნახა (რაც სიზმარშიაც მეორდება). შემდეგ საკუთარი ახალგაზრდობა ეხმანა, ბოლოს ზღვის პირას გაიქცა და იქაც ახალგაზრდობის დიდ ჯგუფს შეეფუთა. ერთი სიტყვით, მოხუცი რაღაც უცნაურ, მხოლოდ ახალგაზრდობით დასახლებულ ხამყაროში მოხვდა. ბუნებრივად ისმის კითხვა: ნუთუ მთელ ქალაქში — არც ქუჩაში, არც ბაღში, არც ზღვის პირას — ერთი ხანდაზმული ან შუახნის ადამიანი არსად იყო? მაგრამ საქმე ისაა, რომ ფილმის ავტორების წინ ხელოვნური ამოცანაა დასმული: რადაც არ უნდა დაუჯდეთ, გაუღვივონ მოხუცს ახალგაზრდობაზე დარდი. ამიტომაც ყველაფერი წინასწარ, ტენდენციურად, ცოვი მათემატიკური სინუსტიკითაა დალაგებული. იქნებ ეს ილუსტრაციული მეთოდი ფილმის საერთო სტილისტიკითაა ნაკარნახევი ან გამართლებული? რა თქმა უნდა, არა, რადგან ფილმის საერთო სტილისტიკა ყოფითი ამბებითა და ნატურალიზმითაა განსაზღვრული. ამაზე მეტყველებს ფილმის პირველივე კადრი: სუფრა ნასუფრალით — დაწყებული დუნადაბატული ტორტიტ და გათავებული ქალადის გედით; ანდა თუ გნებავთ, ავტობუსის მიერ დაყენებული მტერის ზული ან ახალგაზრდისა და მოხუცის ბრძოლა თუ ურთიერთშეგლა ზღვაში, სადაც ადამიანის ხორცის ფაქტურა ნატურალისტური სიყვადითაა გადმოცემული და, რაც მთავარია, პერსონაჟთა პორტრეტები, რომლებზეც მაცურებელს შეუძლია უმცირესი ხალიც კი დაინახოს. არც რაიმე მხატვრული ხერხია გამოყენებული, რომელსაც შეეძლებოდა პოეტური სტილისტიკისაკენ წარმართა მაცურებლის თვალში. აქ უნებლიედ არ შეიძლება არ გაგახსენდეთ მ. კალიკის ფილმი „ადამიანი მიყვება მზეს“. რეისორი იმთავითვე ფილმის სტილისტიკის ზუსტ მისამართს იძლევა.

ჯერ არის და ფილმის მთავარი პერსონაჟი პატარა ბიჭი ძველანაქ უყურებს (ბიჭი ღებხურთს უცნაური პოზა სრულიად არ არღვევს სიტუაციის სიმართლეს). მერე თვითონაც და მისი ამხანაგებიც მთელ ქალაქს ფერადი შუშით აკვირდებიან. ყველაფერი ეს ბიჭის ასაკითაა გაპირობებული. მხოლოდ ფილმის სტილისტიკის ზუსტი განსაზღვრის შემდეგ იწყებს მ. კალიკი ძირითადი ამბის თხრობას და თითქმის არსად არ არღვევს კინოსურათის საერთო სტილს, მის პოეტურ ხასიათს. „ზღვის ბილიკის“ ექსპოზიციას კი ყოფითი დეტალების ჩვენებით შევყავართ ირეალურ სამყაროში, რომელიც მხოლოდ ახალგაზრდობითაა დასახლებული და რომელშიც მხოლოდ ერთადერთი მოხუცია. ესოდენ დიდი პირობითობა არაფრით არაა გამართლებული და სიყრუის პირველივე შეგნება მაცურებელს გულგრილს ხდის ფილმის მიმართ.

სიყრუე მეორე: ახლა ფილმის მთავარი პერსონაჟის, მოხუცის საქციელს დავაკვირდეთ. ჯერ მივყვით გამოსახულებას, მერე კი დიქტორის ტექსტს. ს. ზაქარიაძის მოხუცის სახეზე ერთადერთი გრძნობაა აღბეჭდილი — სულიერი აფორიაქებულობის გრძნობა. რატომღაც შერის თვალთ უყურებს იგი ყველას — ახალგაზრდა მებლვადურებს, სიზმარში ნახულ თავის ახალგაზრდობას, ავტობუსით მოსულ გოგო-ბიჭებს. განსაკუთრებული გაშმაგება მოხუცისა იწყება იმ წუთიდან, როცა მან გადაწყვიტა ცურვაში გაუბრძობოდა ბიჭებს. აქედან დაწყებული ფილმის უკანასკნელ კადრამდე ს. ზაქარიაძის მოხუცის სახეს არ სცილდება გაბოროტების გრძნობა და სურვილი — რადაც არ უნდა დაუჯდეს აუბნოს ახალგაზრდებს. იქნება მოხუცს აქვს დიდი მიზეზი გაბოროტებისა, როგორც, მაგალითად, თ. მანის მოთხრობის „სასაფლაოს გზის“ პერსონაჟს ლობკოტ პიპაშის? თომას მანი გვიამბობს, რომ პიპაში უბედური, ცხოვრებისაგან გათელილი კაცი იყო, რომელსაც ცოლშვილი დაეხოცა, ღოთობისათვის სამსახურიდან გაძევებულს ამ ქვეყნად უბრა-

ლო თანამგრძობივ კი არვინ ყავდა. სრულიად ბუნებრივია, რომ ლობჯოტი პიპზამი, რომლის პირადი ცხოვრება მხოლოდ ტანჯვა-წამება იყო, ცხოველური შურის გრძნობით განიშსკვალა ახალგაზრდა ველოსიპედისტის მიმართ. სხვისი სიკბაბუცე, უდარდელობა, ბედნიერება შეშურდა და ამიტომ მტრობით აივსო. ეგების „ზღვის ბილიკის“ უსახელო პერსონაჟიც პიპზამივით უბედური კაცია? მაგრამ ამაზე ფილმის გამოსახულებითი მხარე არას გვეუბნება. ამიტომ დიქტორის ტექსტი მოვიშველიოთ. თურმე ნუ იტყვიოთ და ბერკაცეი ულამაზესი ვაგაკაცი და უმამაცესი მეზღვაური ყოფილა. მისი ცხოვრება ახალგაზრდობისათვის მისაბამ მაგალითად ქცეულა (ასე გვეუბნებიან სადღეგრძელოები, რომელიც კადრგარეთა ხმების საშუალებით ესმის მაყურებელს. ჩვენც უფლება არა გვაქვს ამ დახასიათებებს არ დაუყუეროთ). ერთი სიტყვით, საკმე გვაქვს ადამიანთან, რომელსაც დიდი ცხოვრებით უცხოვრია და ხალხისა და ქვეყნის წინაშე ვალი პირნათლად მოუხდია. ასეთ შემთხვევაში ყველა ნორმალური ადამიანის უპირველესი გრძნობაა სიხარული, სიამაყე და ბედნიერება. ამასთან ერთად, ასაკი არაა მარტო წლების სიმრავლე. იგი ცხოვრება: სიხარული და ტკივილი, ასრულებული და აუსრულებელი ოცნებანი, გამარჯვება და დამარცხება, სიყვარული და ოჯახი, გამოცდილება და სიმწიფე, განუმეორებელი მოვლენები და მათი მოგონებანი. ასაკი იმ ადამიანების ხსოვნა და პატივისცემაა, რომლებთან ერთად ცხოვრების გზა გაკვივლა. ასაკში უპირატესობისა და ღირსების გრძნობაცაა. შეგნება ყოველივე ამისა მიწაზე მტკიცედ ვატარებ და უფლებას არ ვაძლევს განვლილი ცხოვრება აბუნად აიგდო ან უარყო. ამის გარდა, მთელს ფილმში არსადაა ნაჩვენები, რომ ს. ზაქარიაძის მოხუცი სიბერის გამო რაიმე საქმისათვის ვინმეს დაეწუნებინოს, ან მას პირადად მოულოდნელი მარცხი განეცადოს, რასაც შეეძლო გამოეწვია ტრაგიკული დარდი წარსულ ახალგაზრდობაზე. ამიტომ ყოველად დაუჯერებელია,

რომ ს. ზაქარიაძის მოხუცი სიბერის პათოლოგიურმა შიშმა და შურმა შეიყაროს. აქ ცრუფსიქოლოგიურობაზე რაიმე დიდი ადამიანის ბუნების მარტოვე ნებით არაა მოტივირებული და რომლის ერთადერთი მიზანი ხელოვნური პრობლემის დასმაა. გარდა ამისა, სახის დასახატავად გამოყენებული საშუალებანი — გამოსახულება და დიქტორის ტექსტი — ერთმანეთს გამორიცხავენ. გამოსახულება ხატავს შურითა და ღვარძლით ავსებულ კაცს (დააკვირდით ს. ზაქარიაძის მოხუცს. მას არცერთხელ უბრალო ღიმილითაც კი არ შეუხედავს მეზღვაურებისათვის, სიზმარში ნანახი საკუთარი სიკბაბუკისათვის, იმ ბიჭებისათვის, რომელთაც ცურვაში გაეჯიბრა), ხოლო დიქტორის ტექსტი კი გვარწმუნებს, რომ მოხუცი სხვისი ახალგაზრდობით, სიჯანსაღით და სიხარულით ტკებოდაო, რაც მსახიობს არსად არ გამოუვლენია მოქმედებით.

ს ი ც რ უ ე მ ე ს ა მ ე : ახალგაზრდებმა ფიცი დასდეს, რაც შეიძლება შორს გაეცურათ და შეცურდნენ კიდევ ზღვაში. მათ მოხუციც გამოუდგა და მოხდა გასაოცარი რამ: მოხუცმა ახალგაზრდები ფიზიკურად დასჯაბნა (შეშინებული და დაღლილი ბიჭები რიგ-რიგობით უკან ბრუნდებიან. მხოლოდ ერთი მათგანი — დათო აგრძელებს მოხუცთან ერთად ცურვას. ბოლოს ისიც, ძალაგამოცლილი და დამარცხებული, საცოდავად ფართალებს წყალში). ეს ბუნების საწინააღმდეგო მოვლენაა და ამიტომაც დაუჯერებელი. იქნებ ფიზიკური შეჯიბრი ალევორიული აზრის სათქმელად სჭირთებათ ფილმის ავტორებს? მაგრამ, სამწუხაროდ, ამ შეჯიბრს არც ალევორიული ფორმა აქვს და არც სხვა რაიმე მხატვრული ხერხითაა შემზადებული ალევორიული აღქმისათვის.

ადამიანის უგუნური სურვილი, შეაჩეროს სიცოცხლის მსვლელობის ბუნებრივი პროცესი ხელოვნური წინააღმდეგობის გზით (ამ კონკრეტულ შემთხვევაში ბაქრაძე სიცრუე სიცრუისა

ვაში — დაივიწყო 60-70 წელი და რა-
ღაც მანქანებით შეიძინო 20-25 წლის
ახალგაზრდის ჯან-ღონე), უფრო სასაცი-
ლოა, ვიდრე ტრაგიკული. ამიტომაცაა
ჩ. ჩაპლინის ფილმის „მეფე ნიუ-იორკში“
ერთ-ერთ ეპიზოდში ტახტიდან ჩამოგდე-
ბული და გაძევებული ხელმწიფე სიცი-
ლის მომგვრელი. იგი რეკლამებში ვააბ-
რისყვეს და მეფემ პლასტიკური ოპერაცია
გააკეთა გასაახალგაზრდავებლად. „გა-
ახალგაზრდავდა“, მაგრამ ვაი ამისთანა
ხელოვნურ-გაქაბუკებას: მეფის სახემ
ერთდროულად შემზარავი და სასაცილო
ფორმა მიიღო. ადამიანის არარეალურ
სურვილს, დათრგუნოს ბუნებრივი და
მართალი არაბუნებრივისა და ხელოვნე-
რის სახელით, ჩ. ჩაპლინი სატირის საგ-
ნად ხდის. „ზღვის ბილიკის“ ავტორები
კი ბუნებრივი მდგომარეობის უარყო-
ფის სურვილს ხოტბას ასხამენ და სურთ
ტრაგიკულის კატეგორიაში აიყვანონ
იგი.

გარდა ამისა, ცურვაში გაჯიბრების
ეპიზოდში ფსიქოლოგიური ტყუილიც
არის. პროფესიონალი მეზღვაურისა და
მეთევზისათვის ზღვა სრულიადაც არ
არის საღალბო შეჯიბრების ასპარეზი
(ეს ტურისტული დამოკიდებულებაა
ზღვისადმი), არამედ მძიმე შრომის სარ-
ბიელია (გაიხსენეთ თუნდაც ე. ჰემინ-
გუის „ზერიკაცი და ზღვა“. რა სას-
ტიკი და მძიმეა სანტიაგოს შრომა. ვინ
დაიჯერებს, რომ იგი პირზე რძეშეუშ-
რალ ბიჭებს გაეჯიბრებოდა ცურვაში!).

ს ი ც რ უ ე მ ე ო თ ხ ე: დათო დაიღა-
ლა, შეშინდა. იგი უკან დაბრუნებას
ვეღარ შესძლებს. მაგრამ აქაც სასწაუ-
ლებრივი ამბავი ხდება: დიქტორის
ტიქსტის თუ დაეუჯერებთ (გამოსახულე-
ბა კი ორი კაცის წყალში ფართხალის
მეტს არაფერს გვიჩვენებს), მოხუცმა
ახალგაზრდას მხნეობა, სულიერი ძალა
და რწმენა დაუბრუნა. ურთულესი ფსი-
ქოლოგიური პროცესი, რომელსაც იუვე-
ლირული დამუშავება-დახვეწა, ფაქიზი
ნიუანსებითა და შინაგანი სიმართლით
გაკეთება სჭირდება, ფილმში ორიოდვე
ფრაზითაა „გადაწყვეტილი“.

ამ ეპიზოდში არაა არც ფაქტისა და

არც მხატვრული გამოგონების სიმარ-
თლე. ფრანგმა ექიმმა და მოგზაურმა
ალენ ბოზმარმა დაამტკიცა, ზეფერე ვე-
ლუპულთა უმრავლესობა შიშველ კბილებზე
პლანა და არა ფიზიკური უძლურებისა
და შიშმილისაო. თორმე ყველაზე ძნელი
ზღვის „შიშის დათრგუნვა ყოფილა. აქ
სჭირდება ადამიანს ნებისყოფის კოლო-
სალური დაძაბვა, რომ როგორმე საკუ-
თარ თავს მოერიოს და რწმენა დაიბრუ-
ნოს, როცა დათო ზღვას შეუშინდა. დასა-
შვებია, რომ მოხუცის გაამაზნეველ
სიტყვებს შეეძლო ერთგვარი შთაბეჭდი-
ლება მოეხდინა მასზე, მაგრამ ამ კონკ-
რეტულ შემთხვევაში უფრო საინტერესო
ისაა, თუ ბიჭი თავად როგორ მოერია
შიშს. ეს ფსიქოლოგიური პროცესი კი
ფილმში მთლიანად გამოტოვებულია,
ხოლო რაც შეეხება მოხუცს, მისი შეძა-
ხილი — არ შეგვეშინდესო — სრულია-
დაც არ ემართა იმისათვის, რომ ბიჭს
ზღვასთან საბრძოლველი ძალა დაბრუნე-
ბოდა, ამ ეპიზოდში ფილმის ავტორების
მიერ მხოლოდ მხატვრული ამოცანაა
დასმული, რომელიც არაა გადაწყვეტი-
ლი არც გამოსახულების და არც დიქ-
ტორის ტექსტის საშუალებით.

„ზღვის ბილიკის“ ამ ეპიზოდში მომა-
გონა ერთი მივიწყებული კინოგანრი,
რომელსაც ხშირად მიმართავდნენ რევო-
ლუციამდელ რუსულ კინემატოგრაფიაში
და რომელსაც მაშინ კინოდეკლამაციას
ეძახდნენ. რადგან კინოხელოვნება მუნჯი
იყო და უჭირდა ეკრანზე ესა თუ ის
ლიტერატურული ნაწარმოები მთელი ძა-
ლით აემირსველებინა, მიმართავდნენ
შემდეგ უბრალო ხერხს: აიღებდნენ ამა
თუ იმ პატარა მოთხრობას, გადაიღებ-
დნენ ეკრანზე; მაგრამ, რადგან გადღე-
ბული ნაწილი მოთხრობის აზრსა და
შინაარსს სრულად ვერ გადმოსცემდა,
ამიტომ ეკრანის წინ, ბნელში იდგა ცოც-
ხალი მსახიობი-დეკლამატორი და თა-
ვიდან ბოლომდე კითხულობდა მოთხ-
რობას (მაგალითად, ამ გზით ა. ჩეხო-
ვის მოთხრობა „ქირურგია“ შეიძვე-
რ იყო გადაღებული. ეკრანზე მის ჩვენებას
ახლდა მაშინ ცნობილი დეკლამატორის
იაკობ გდანოვის დეკლამაცია). ერთი

დანაც ჩანს: ფილმში ახალგაზრდობისა და სიბერის თემას კინოდინამიკის საშუალებით არც ფორმა აქვს მოჭებნილი და არც მხატვრული სახე. ხოლო ახალგაზრდობისა და სიბერის თავისებურებათა გამოსაყვანად კი დინამიკა და ტემპი ფილმის ავტორების ხელში ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება იქნებოდა. სათანადოდ რომ გამოყენებულიყო.

დაბოლოს, ყველა შემთხვევაში ხარვეზმა განაპირობა ის ფაქტი, რომ „ზღვის ბილიკის“ სახით მიტანილი სიბრძნე და სილამაზე სიცრუისა, არამედ სიცრუის სიცრუე, რადგან ხელთ შეგვრჩა ხელოვნურად მოგონილი პრობლემა და ცრუფსიქოლოგიური კონფლიქტი, რომლის დამაჯერებელი გადაწყვეტა შეუძლებელი აღმოჩნდა.



ჰალიჩა მატაპარიანი

საით მივყავართ „ზღვის ბილიკს“

კინოსტუდია „ქართული ფილმის“ უკანასკნელმა სურათმა „ზღვის ბილიკმა“ ერთგვარად მიიპყრო ჩვენი მყურებლის ყურადღება. ეს ალბათ იმიტომ გამოწვეული, რომ ეს პირველი ქართული ფართოეკრანიანი ფილმია. თბილისის სტუდიამ დაახლოებით ათი წლით დაიკვიანა, ფართოეკრანიანი ფილმები ხომ ათი წელია რაც გამოჩნდა მსოფლიო ეკრანზე. როგორც იტყვიან, სჯობს გვიან. ვიდრე არასდროს. „ზღვის ბილიკი“ ფერადი ფილმია. ჩვენ ფერად ფილმებს, როგორც ეს კარგად არის ცნობილი, სწორედ ფერის გადმოცემის თვალსაზრისით ახასიათებს ზევრი ნაკლი. ამ ნაკლს თავი ვერ აარიდა „ზღვის ბილიკმაც“. ეს ნაკლი ფერის დამუშავების ტექნიკის საკითხებს შეეხება. მიუხედავად ამისა, ფილმს რომ უყურებ, არ შეიძლება არ აღნიშნო ოპერატორ ფელიქს ვისოცკის კეთილსინდისიერი ნამუშევარი. კადრის კომპოზიციას, კადრის შიგნით არსებულ დინამიკას, ფერთა პალიტრას კვალიფიციური მუშაის ხელი ემჩნევა. აქაც შეიძლება გაკეთდეს ესა თუ ის შენიშვნა, მაგრამ ეს საეციალისტიების საქმეა და ჩვენ მათ დისკუსიაში ვერ ჩავერევით.

„ზღვის ბილიკი“ რეჟისორ რეზო ჩხეიძის, თუ არ ვცდებით, მეხუთე სრულმეტრაჟიანი ფილმია. დრამატურგიულ-მხატვრული პოზიციებიდან სურათს უკვე გამოცდილი, მომწიფებული, გარკვეული,

საკუთარი ხელწერის მქონე რეჟისორი აკეთებდა. ამ მხრივ რეჟისორს ვერაფრითარ შეღავათს ვერ მივცემთ და მის ნამუშევარსაც დიდ მოთხოვნილებას ვუყენებთ. ეკრანის სიფართოვე და სურათის ფერადობა რეჟისორს ხელს კი არ უშლიდა, პირიქით ხელს უწყობდა დრამატურგიულ-მხატვრული ჩანაფიქრის მეტი ექსპრესიით გამოსახვისათვის.

კინო სინთეზური ხელოვნება, აქ გაცილებით მეტი კომპონენტია, ვიდრე მავალითად თეატრში. ეს ანბანური ქეშმარიტებაა. ფილმის საფუძველს დრამატურგია წარმოადგენს, მისი სცენარი. მაგრამ ისიც ხომ ცხადია, რომ ფილმი, როცა ის უკვე გადაღებულია და თავის ცხოვრებას იწყებს, სრულიად დამოუკიდებელი, სპეციფიკურ-ესთეტიკური ფუნქციის მქონეა. ხშირად ამბობენ, რა კარგი სცენარი გააფლუკა რეჟისორმა ან პირიქით, როგორი ცუდი სცენარით რა კარგი ფილმი გადაიღო. ასე მსჯელობა, ჩვენის აზრით, გაუგებრობაა.

თუ სიუჟენარი რეჟისორმა დაინახა, გაიგო, ჩაწვდა მის აგვარავიანობას, ეს მის მაღალ პროფესიულობაზე და გემოვნებაზე მეტყველებს. ასეთ რეჟისორს გაუქირდება სცენარის გაფუჭება. თუ რეჟისორმა ცოდ სიუჟენარს მოჰკიდა ხელი, ეს ფაქტიც რეჟისორის მხატვრულ გემოვნებაზე და შესაძლებლობაზე მეტყველებს, მას არავითარი მორალური უფლება არა აქვს, თავისი არჩევანის მარც-

ხი სხვას გადააბრალოს. თუ რეჟისორი ცუდი ქლერადობის მუსიკას, ან უფერულ მხატვრობას ითმენს, იგი თვითონ აგვის პასუხს მაყურებლის წინაშე, რადგან მაყურებელთა ფართე მასა კინოსურათს აღიქვამს არა დანაწევრებულად, არა ანალიტიკურად, არამედ სინთეტურად, როგორც ერთს, მთლიან, შეკრულ ნაწარმოებს. მას საქმე აქვს იმ ესთეტიკურ ფაქტებთან, რომელსაც სახელად კინო-სურათი, კინო-ხელოვნება ჰქვია. ერთი სიტყვით კინორეჟისორი ვერავის გადააბრალებს თავისი ნაწარმოების ავარკიანობას. მაყურებლის წინაშე მხოლოდ ის აგებს პასუხს და სხვა არავინ.

რას წარმოადგენს „ზღვის ბილიის“ დრამატურგია, როგორია მისი სცენარული საფუძველი? სცენარის ავტორები არიან ანზორ სალუქვაძე და რეზო ჭეიშვილი. რას მოგვითხრობენ სცენარის ავტორები, ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, როგორ ვაიგო მათი მონათხრობი რ. ჩხეიძემ? სცენარის მოგვითხრობს ჯერ კიდევ ადამის დროიდან კარგად ცნობილ ერთ ფაქტს. ადამიანი რომ მოხუცდება და ცხოვრების გზის დასასრულს მიუახლოვდება, მძიმედ განიცდის ამ მისთვის გარდუვალ ვითარებას და მისი ერთადერთი შეგელა იწამოს ახალგაზრდობა, თავისი ცხოვრების გაგრძელება ახალგაზრდობაში დაინახოს. შენ მოხუციდი, დაბერდი, მაგრამ, ევრიკა, მიწა ხომ კვლავ ბრუნავს, ცხოვრება გრძელდება, მზე ჩადის, მაგრამ ის ხომ კვლავ ამოდის, მას შემდგომი თაობები იხილავენ, ჩვენ შედამ შევხედავთ მზეს. აქ ეძიებს ნუგეშს ყოველი ხანდაზმული ადამიანი, რომელმაც მოილია საწუთროს გზა-ბილიკი.

ამ თემაზე ანტიკურ, თუ უფრო ადრინდელ ხანიდან ჩვენ დროებამდე ბევრი რამ დაწერილა, იწერება და კვლავ დაიწერება. უნდა ვიცოთხოთ ერთი რამ, როგორ ვაიხსნა ეს თემა რ. ჩხეიძის სურათში. რა ახალი, საინტერესო, დამაფიქრებელი, ამაღლებელი იშოვა რეჟისორმა ამ თემის მხატვრულად აღქმის პროცესში, რა დაგვანახა ახალი, რაც

ჩვენმა დროებამ შობა, რაც მხოლოდ საეკუნის სამოციანი წლების ადამიანის გრძნობათა სამყაროს, მის უკიდურეს მის მსოფლმხედველობას, უკიდურეს სულიერ ცხოვრებას შეესატყვისება და იქ სათანადო გამომხატვრებას პოულობს. სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, „ზღვის ბილიკი“ არაფერს ახალს არ მოგვითხრობს, და რაც უფრო სავალალოა, იმაზე ნაკლებსა და უფრო ცუდად ამბობს, რაც არა ერთხელ თქმულა ამ მარადიულ პრობლემაზე, როგორც ჩვენ მშობლიურ, ასევე მსოფლიო ხელოვნებაში.

ამ დებულების დამტკიცება არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს. საკმარისია მხოლოდ გავეყვით სურათს, პირველი კადრიდან უკანასკნელამდე, გავისხენოთ ზოგი რამ სურათიდან. მოხუცი ზღვის ლომი (მსახიობი ს. ზაქარიაძე) დაღონებული და ჩაფიქრებული ზის მაგიდანატურმორტთან (რეალურად ასეთი მაგიდები ჩვენში იშვიათად შეგვხვდებათ, ეს ნატურმორტიც ცუდი ფერებითაა შესრულებული), სადაც უქეიფნიათ, ნადიმი-გამოთხოვება მოუწყვიათ მოხუცისთვის. კადრიდან ისმის უკვე წარმოთქმული სადღეგრძელოები. ს. ზაქარიაძე გეაჩვენებს თუ როგორ აღიქვამდა ის ამ ქება-დიდებას (მსახიობის მხატვრულ სინდისზე იყოს ამ განცდათა წარმოსახვა, ის ცნობილი ოსტატია, თუ მას და რეჟისორს ეს ზერხი მოსწონს, ჩვენ არას ვიტყვით ამის შესახებ, თუმცა სათქმელი კი ბევრია). ერთი სიტყვით, ნადიმზე დამსწრეებმა აღნიშნეს მოხუცის ღვაწლი, დამსახურება, საქმენი კეთილნი, რაც მას ცხოვრების გრძელ გზაზე მოუმოქმედია. მოხუცი შინც დაღონებულია, ის სახლიდან გამოდის. სახლში ბნელოდა, კარში სინათლე და მზევა (ასეთ სიმბოლიკა-ალეგორიის ავარკიანობაზე აქ არაფერს ვიტყვით), ცხოვრება თავისი გზით მიედინება, ჟამთა მსვლელობა თურმე არ შეწყვეტილა, ის ხედავს ახალგაზრდა გოგონებს, რომელნიც საქანელაზე ე. წ. „გიგანტურ ნაბიჯებზე“ ირთობენ თავს, სამხედრო მეზღვაურთა ქვეანაყოფს, რომელიც მარშის პანაგზე ჩაუვლის მას, მოხუცს, არ გიცო

რატომ, ალბათ იმისათვის, რომ მისი და-
ძაბუნება უფრო მეტად იყოს ხაზგასმე-
ლი, ხელში ქოლგა უჭირავს, ის მეზღვა-
ურთა ღებს აყვება (ეს სიმბოლიკა-ალე-
გორიაც მსახიობის და რეჟისორის გე-
მოვნების მარჯვენელი იყოს), მოხუცი
ბაღში შეივლის დაღლილი, იქვე ჩამოჯ-
დება, ჩათვლემს და სიზმარსაც ნახავს,
სადაც მისი ახალგაზრდა ორეული, რომელიც
კი არ დადის, არამედ საქციი-
აღური გადაღების საშუალებით დაფრინ-
ავს (ეს „ფრენა“ რეჟისორის როგორც
ხელოვანის სინდისზე იყოს), ზღვისაკენ
მოუწოდებს, იქით მიჰყავს. მოხუცი
ზღვას მიაღწევა, სადაც ახალგაზრდობა
ერთობა, ცურვის ჭინი აიტანს, ზღვაში
გადაეშვება და არც თუ მაინცდამაინც
მოსაწონს საქციელს ჩაიდენს. ამინდი
ფუბდება, ზღვა ღელავს, მოხუცი კი
ჯიუტობს და თავისი ცხოვრების გამოც-
დილებას აზარტში შესულ ახალგაზრ-
დას არ უზიარებს, არ გადასცემს (ყაჭვი-
შვილის მოთხრობაში „ზღვის ღომი“
სწორედ ეს მომენტი იყო ხაზგასმული,

რაც გარკვეულ ელერადობას აღწევდა
მთელ მოთხრობას, შეიძლება მისი კულ-
მინაცია იყო), პირიქით, აქეზებს კიდევ
ახალგაზრდას მხოლოდ იმიტომ, რომ
მაყურებელმა დაინახოს—მოხუცი კვლავ
ჯანით სავსეა. ახალგაზრდასთან შეჯიბრ-
მა მას ძალა შემატაო, გვეუნება რე-
ჟისორი. მაგრამ სწორედ ამის გამო
სრულიად გაუგებარი ხდება ფილმის
მთელი დრამატული კოლიზია და ამი-
ტომ გაურკვეველი და არაბუნებრივია
მისი დასასრულიც. საკითხავია რამ შე-
შინა და რატომ დაიღუპა ჯანდონით სავ-
სე მოხუცი. ბოლოს თითქოს ყველაფერი
წესიერად თავდება, ახალგაზრდა გადარ-
ჩება, მოხუცი ჩამავალი მზის კვალს გა-
უღდება.

ჩვენ არაფერს ვაუბრალივით, საუბე-
დურად და სამწუხაროდ, მთელი ეს
ამბავი ასეთივე პროზაიზმით არის მოთ-
ხრობილი სურათში. ცოტა არ იყოს
იაფთასიანი სიმბოლიკა და ალგორით-
ლობა თხრობას არაბუნებრივს ხდის და
რიგ შემთხვევაში მეტად მდარე იერს
ანიჭებს. ზოუხედავად რეჟისორის და

სმუკთა კავშირის სახალხო არტისტის
სერგო ზაქარიაძის ბევრი ცდისა და
მონდომებისა, პეიზაჟის საეციალური
შერჩევისა, წყნარი თუ ბოხოქაჩუქი
სა, ჩამავალი თუ ამომავალი მზის
ხან ცინცაძის მუსიკისა, ოპერატორ
ფ. ვისოცკის ხელოვნებისა, ამ სურათის
მთავარი ნაკლი ის არის, რომ იქ უზრა-
ლო პროზაა, პოეზია არ არის. კემმარი-
ტი ხელოვნების, დიდი პროზის ნიშან-
დობლივი თვისება კი პოეზიაა, სულ-
ერთია როგორც არ უნდა იყოს ის,
ინტელექტუალური, ფილოსოფიური,
ემოციურ-ლირიკული, თუ პუბლიცის-
ტურ-მოწოდებითი ხასიათისა.

სურათში იგრძნობა რეჟისორის და
მთავარი როლის შემსრულებელი მსახი-
ობის პოეტური განაცხადი — პრეტენ-
ზია, მაგრამ ეს განაცხადი არ არის
რეალიზებული და ამიტომ ხშირად ის
პრეტენზიულია. ეკრანზე მაყურებელი
ვერ ხედავს ამ საინტერესო განაცხადის
ემოციურ, კინემატოგრაფიულ გადაწყვე-
ტას.

ამ სურათის სცენარი, რამდენადაც
ჩვენ ვიცით, დაწერილი იყო ორნაწილიან
კინოსოფელისათვის. გადაღების პროცეს-
ში ის შვიდ ნაწილად, ე. ი. სრულმეტ-
რაიან ფილმად იქცა. თავისთავად (თუ
შედეგლობაში არ მივიღებთ ხარჯებსა
და წარმოების ინტერესებს) სცენარის
შემოკლება თუ გაგრძელება დიდი და-
ნაშაული არ არის, მაგრამ ამ შემთხვე-
ვაში „ზღვის ბილიკმა“ მხოლოდ წააგო.
ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს
ორნაწილიანი სცენარი ხელოვნურად
არის გაზრდილი, გაგრძელებული, გაწე-
ლილი. რის ხარჯზეა გაზრდილი სურა-
თი? ყოველ შემთხვევაში სცენარის გა-
წელება სურათს დამაბულობა არ მოუ-
მატა. „ზღვის ბილიკში“ ელიმენტარული
განცდა, ემოცია, რომელიც მაყურებლისა-
თვის გასაგები და ამოხსნილია ობიექ-
ტოლოგიური სიტუაციის წარმოქმნისთანა-
ვე, მისი კინემატოგრაფიული წარმოსახ-
ვის თვალსაზრისით გაკვირვებული და
ვლადიმარ მაჭაყარიანი
საით მივყავართ „ზღვის ბილიკს“

გაგრძელებულია. ლიტონსიტყვიერება რომ არ დაგეწამონ, მოვიყვანოთ მაგალითები სურათიდან. გავიხსენოთ პირველი კადრები, მოხუცი ზის მაგიდასთან, სადაც მას გამოეთხოვეს, პენსიაში გაისტუმრეს. მოხუცი ამას მწარედ განიცდის. მსახიობის სახე, ფიგურა, ცარიელი მაგიდა, კადრის ფერწერა ამ სიტუაციას გამოჩენისთანავე ამკლავებს, რომ ჩვენ საქმე გვაქვს კეთილ, ბრვე მოხუცთან, რომელიც იტანჯება, ღრმად განიცდის თავისი ცხოვრების დიდი წიგნის უკანასკნელი ფურცლების კითხვას. ამას ხომ ყველაფერი მეტყველებს და პირველ რიგში ს. ზაქარიასის სულიერი, ფსიქიკური და გარეგნული, ყოფითი პაბოტუსი. ერთი სიტყვით, პირველსავე შეხედვით ყველაფერი ნათელია. და აი ეს ნათელი, გასაგები უბრალოდ მისახვედრი სიტუაცია ათასგვარ რაკურსში, ფართო ეკრანის დიდი პლანებით, მრავალჯერ არის განმეორებული. მაყურებელს ვერ გაუგია, რატომ იმეორებენ უბრალო კემშარიტებას ათასჯერ, თუ მეტჯერ არა! იმიტომ ხომ არა, რომ სურათის რეჟისორმა იცის, რომ უკანასკნელ დროს, კინოსურათებში გარკვეულ ემოციურ-ფსიქოლოგიური სიტუაციის თუ კონკრეტულ-დრამატული კოლიზიის გახანგრძლივება, განმეორება, გაგრძელება ახალ ხერხად არის გამოცხადებული? მაგრამ, ამა თუ იმ ხერხს ხელოვნებაში. ლიტერატურაში, კერძოდ, კინო-ხელოვნებაში თვითმყოფადი ღირებულება ხომ არ შეიძლება პქონდეს. სტილმა, ხერხმა მასალა უნდა დასძლიოს და არა პირუცხ ხერხი მასალის პოეტური გააზრების შინაგან ლოგიკას უნდა ემორჩილებოდეს. ეს ხერხი გამართლებული იქნება, თუ გარკვეული ესთეტიკური მიზნის განხორციელებისათვის და მისაღწევდაა გამოყენებული. ეს ხერხი მაშინაც იქნება გამართლებული, თუ ის დრამატული კოლოზიის ან გამძაფრებას ან, წინააღმდეგ, შენელებას უწყობს ხელს. ჩვენ მიერ ზევით მოთხრობილ ეპიზოდში ეს ხერხი საჭირო არ არის, ამიტომ ის მთელ ეპიზოდს ცხოვრებისეულს უარაჯის და მაყურებელს ვერ გაუგია, რატომ სტან-

ჯავს რეჟისორი თავისთავს, მსახიობსა და მასთან ერთად მაყურებელსაც.

შეიძლება გავიხსენოთ ეპიზოდები, რომლებსაც ნელასთან, მოხუცი შესტერეს კლდეებზე, გორ ლაღად ერთობიან ქალიშვილები. პირველსავე შეხედვით ფსიქოლოგიური სიტუაცია სრულიად ნათელი და გარკვეულია, ერთი მხრით მოხუცი, მეორე მხრივ ახალგაზრდობა. აქ ორი საწყისია დაპირისპირებული. ეს უბრალო ამბავ ისე გაკვიანურებულად არის მოთხრობილი, რომ ეპიზოდის დასასრულს იგი უკვე მომავლებელი ხდება. არ ვიცი როგორი წარმოდგენისაა რეჟისორი ჩვენ მაყურებელზე, რატომ პკონია, ათასჯერ უნდა აუხსნას მას, რომ ორჯერ ორი ოთხია და არა ხუთი.

ასევე გაკვიანურებული და დამქანცველია ახალგაზრდათა ზღვისაკენ გამგზავრების ეპიზოდი. მიდის და მიჰქრის ავტობუსი, მაგრამ ვერ იქნა და ვერ მივიდა ზღვის ნაპირთან. ამ გაკვიანურებას როგორმე აიტანდა მაყურებელი, რომ ჩვენი ლამაზი ბუნების გამოჩენისათვის იყოს ეს ეპიზოდი გაგრძელებული, სამწუხაროდ, ეს ასე როდია. მრავალჯერ მეორდება საშუალო და პირველი პლანები, სადაც ჩვენ გვაჩვენებენ ავტობუსში მყოფ ახალგაზრდებს. ეს ახალგაზრდობა ავტობუსშიც, ზღვისპირაზეც არაბუნებრივად, ხელოვნურად ერთობა, არც ერთი ცხოვრებისეული შტრიხი ან ექსტი. სამაგიეროდ მრავალადა პრეტენზია მხატვრულ ჰიპერბოლაზე, რომელიც ხანდახან, საუბედუროდ, უგემოვნებაში გადადის. საკმარისია გავიხსენოთ ბურთით მხატვრული ტანვარჯიში, გულის ამრევად შესრულებული სერენადა თუ სიმღერა ვიტარის აკომპანიმენტო, ჩლუნგი, უაზრო ოხუნჯობა, პრეტენზია სილამაზის წარმოსახეაზე და ა. შ.

განცვიფრებას იწვევს კიდევ ერთი გარემოება. ზოგიერთი მაყურებელი შესაძლებელია ამ გაკვიანურებასაც მოითმენდა, რომ სურათში მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის მართლაც დამამშვენებელი, მოხდინილი ტანის, ლამაზი სახის ახალგაზრდობის (პირველ რიგში გოგო-

ნების) ტიპური წარმომადგენლები. რე-
ჯისორს თითქოს განვებ შეურჩევია ისე-
თი მსახიობი თუ მასიური სცენების მო-
წოდებელი, რომელიც თავისი გარეგნო-
ბით (რომელიც ასე გამოკვეთილად
მოსჩანს ფართო ეკრანზე) სრულიად არ
არის ტიპური. მათი დაუსრულებელი
ცქერა მაყურებელში ვერ გამოიწვევს
ვერავითარ ესთეტიკურ გრძნობას. ახალ-
გაზრდობის ამ რიგად გართობა ორგა-
ნულად არ არის ჩაქსოვილი მოქმედების
განვითარებაში, ამიტომ ის ატრაქციონ-
ნად გამოიყურება და, რაც მთავარია, ეს
ატრაქციონებიც არაპროფესიულ სიმაღ-
ლეზეა შესრულებული.

სად მიგვიყვანა „ზღვის ბილიკის“
მოკლე განხილვამ? ასე გამოდის, ჩვენს
კინოსტუდიას წარმოებისა და ტექნი-
კის თვალსაზრისით შესძლება ფართო-
ეკრანიანი ფერადი ფილმების გადაღე-

ბა. ის აღჭურვილი ყოფილა საკი-
რო მოწყობილობით. ოპერატორ ფ. ვი-
სოცკის პეონია ფართოეკრანიანე
დი სურათის გადაღების უნაძრ
ვიფიქროთ, რომ მომავალში კინორეჟი-
სურა, მსახიობთა დასი, კინოსტუდიის
ხელმძღვანელობა, წარმოების შესაძლებ-
ლობათა სიმაღლეზე აღმოჩნდება, და
ჩვენს, ბუერის ამტანსა და მომთმენს,
კეთილ და ზრდილ მაყურებელს მაღალი
მხატვრული ხარისხისა და გემოვნების,
უპრეტენზიო, ცხოვრებისეულ, ჭეშმარიტი
შემოქმედებითი ნიჭით გასხივოსნებულ
ფართე თუ ვიწრო ეკრანიან, ფერად თუ
ორფეროვან ფილმებს უჩვენებს.

ვლადიმერ მაჭავარიანი
საით მიგყავართ „ზღვის ბილიკს“



ბუნეური რედაქტორი გიორგი ქავთაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, მახარაძის ქ. № 14, ტელ. № 3-07-02

ხელმოწერილი დასაბეჭდად 29/XI-62 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით
ფორმათა რაოდენობა 13,7. შვედ. № 1250. უფ. 10710. ქაღალდის ზომა 70x108. ტირაჟი 5. 500.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბიბლიოთეკის გამომცემლობის ბეჭდვით
სიტყვის კომბინატი, თბილისი, შარვაშიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата, Министерства культуры Грузинской ССР.
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

ՀԱՅՈՒՄՆՈՒ
ՉՈՅՐՈՑ
ՏՄՁԱԿՅՈՒ

ՀԱՅԿԵՄԵՍԻԱՆ ԵՐԱՅԻՆ ԹՅՈՆՆԵՐՈՅՑ
ՅԵՆՈՅԵՆՈՒ ԳԵՏԱՆԵ ԵՈՒՅԵՆՈՒ
ՆԵՐՈՒՄԵՆԻ «ՏԵՆԵՐՉԻՈՒ ԾՈՂԱԿՅՈՒ»

ԵՐԵՎԱՆԻ ԿՈՄԻՏԵ
ՏՐԱԿՏՆԱԿԱՆ ԵՐԿՐԱՆ
ՄԱՐԿԵՏԻՆԳՆԻՆԳՆԻՆԳ
ՊՐԻՆՏԻՆԳՆԻՆԳՆԻՆԳ

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„ՇԻՏԿԱՐԻ“

ИЗДАТЕЛЬСТВО
„СВЕТЛОТ МЦЕРЯЛИ“